კვირის პალიტრა

ფეხი

N10(195) 4/III.-10/III.2004.

ფასი 60 თ.

ბიჭი, რომლის საქციელიც თბილისელებს არ დაავიწყდებათ

როდის ტირიან მამაკაცები – ნამდვილი ისტორიები

„ბიბლიური“ ქვების მადლი – ვინ რომელი აჭარს

საპატარძლო – როდის ცდება თამუნა ამონაშვილი დამყოლი

ვის გვერდით გრძნობს თავს კარგად ნათია აბრამია

ყველანაირ!

გამოვიდა „კვირის პალიტრის“ დამატება, ყოველთვიური მართლმადიდებლური ჟურნალი №2

№2, მარტი, 2004

ფასი 80 თეთრი

ეკლესია

მართლმადიდებლური ჟურნალი

მარტის თემა:
მრუშობის ცოდვა

დიანეტიკა
მეცნიერება თუ სექტანტური მოძღვრება?!

დეკანოზი დავითი (შარაშენიძე):
„ქართველი მხოლოდ საქართველოშია ბედნიერი“

სვეტიცხოვლის ჯვარს მირონი სდის

ჟურნალში მკითხველისთვის საჩუქარია:
დაუჯდომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისა „მოულოდნელი სიხარული“

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№10 (195)
4 - 10 მარტი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ეკონომიკური მანიფესტი ანუ რით ვუშველოთ ბიუჯეტს? 3
ერთი კითხვა 4
● „შავი ანგელოზის“ აღსასრული 5
სახელმწიფო
„შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლები კრიმინალებად რომ არ იქცნენ...“ 6
კოლეგა
„ღამის კურიერის“ ახალი სახე 8
სასწაული
„აქამდე საქართველოში მაცხოვრის ხატიდან არასოდეს გადმოსულა მირონი...“ 10
აინოონა-დაინოონა
რა როლი აკისრია პარლამენტის თავმჯდომარეს ანუ არსებობს თუ არა რეალური განხეთქილება? 11
მომლერალი
„ქილკიანი“ ნეკა სებისკვერაძე სწორ გზაზე დედამ დააყენა 12
კრიმინალი
● ნორვეგიიდან ჩამოსული ქართველი მშობლიურ ქალაქში მუხანათურად მოკლეს 14
● 22 წლის ახალგაზრდას სამი აღამიანის მკვლელობაში აღანაშაულებენ 16
სასიძო
„ვშიქრობ, სიზმარში მე მნახე... მეუბნებიან, მონიკა ბელუჩის ვგავარ...“ 18
საპატარძლო
„ვცდილობ, ბავშვურად ვიცხოვრო და ბავშვის თვალებით შევხედო ცხოვრებას“ 19
თემა
სამედიცინო დაზღვევა – რა შემთხვევაში კისრულობს სახელმწიფო თავისი მოქალაქის გადარჩენას? 21
ნამდვილი ამბავი
ნობელის პრემია „ბრელკას“ – ქართველთა 90%-ის გადამრჩენელს!.. 24
ტესტი
ერთგული მკითხველი 25
აურა
სამკურნალო ქვების მაღლი და უძველესი ალმასის ისტორია 26
გზავნილები
როდის ტირიან მამაკაცები? 29

„შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლები კრიმინალებად რომ არ იქცნენ...“

დღეს ნაკლებია იმის საფრთხე, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა ჩვენი დაზვერვის უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების გადაბირება სცადონ, მაგრამ იმის რეალური საშიშროება კი ნამდვილად არსებობს, რომ ისინი კრიმინალურ სამყაროში აღმოჩნდნენ.

6

„აქამდე საქართველოში მაცხოვრის ხატიდან არასოდეს გადმოსულა მირონი...“

როცა რედაქციაში დაგვიარეკეს და გვითხრეს – გლდანში, ერთ-ერთ ოჯახში, მაცხოვრის ხატს მირონი სდისო, – მაშინვე გამოვთქვით სურვილი, გვენახა ეს სასწაული. მას შემდეგ, ხუნდაძეების ოჯახში ხალხმრავლობა არ შეწყვეტილა. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

10

„ვცდილობ, ბავშვურად ვიცხოვრო და ბავშვის თვალებით შევხედო ცხოვრებას“

ვაიმე-ე!.. ნეტავ, იცოდე, რა მაგარი მზითვი მაქვს! დედაჩემი წლების განმავლობაში აგროვებდა ბალიშებს, ლეიბებს, საბნებს... ეს ძალზე სასაცილოდ მეჩვენება. სულ ვეკითხებოდი – დედა, რად გინდა ამდენი ბალიში-მეთქი?..

19

ნორვეგიიდან ჩამოსული ქართველი მშობლიურ ქალაქში მოკლეს

37 წლის რომან საბანაძე ნორვეგიიდან ერთი დღის ჩამოსული იყო საქართველოში, როცა ქართველმა კრიმინალებმა ტელეფონით დაურეკეს და ფულის „შეწერვა“ დაუპირეს. მეორე დღეს, ქურდული ტრადიციების მიმდევარმა თანამოქალაქეებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

14

სახე

ყველა სოფელსა და ქალაქში უნდა იყოს ქიტესა და ივანე კოტორაშვილი 32

ტაძარი

სისხლიანი მსხვერპლშეწირვის შესახებ 34

შთამომავლობა

„ბენეტიკურად იურისტი“ უგრეხელიძეების ოჯახი, მუსიკათმცოდნე „ტერორისტი“ და დაუვიწყარი შეხვედრა გროგნოში... 35

სპორტული მოზაიკა 38

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 40

შეუცნობელი 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ბომონდი 46

ავტო 48

მოგზაურის დღიურები

როგორ „დავაქორწინე“ ქუთაისელი სოსო ამერიკელ ჯასტიზე 49

ვარსკვლავი

შერის იმედი აქვს, რომ ოდესმე ღირსეულ მამაკაცს შეხვდება... 52

ასტროლოგია

შფოთიანი მარტი – ამინდი ბუნებაში, პოლიტიკაში, სიზმრებში... 54

ჯანმრთელობა

- როგორ ვებრძოლოთ გაგაფხულის ინფექციებს 56
- სოია – ცხოველური საკვების შემცველი 57
- მედიცინის სიახლეები 57

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (8-14 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

დიზაინერი

გარუჯულ კანს მოკლე ქვედაბოლო და მკვეთრი ფერის ქსოვილი მოუხდება 62

ტესტი

გაქვთ თუ არა მოთმინების უნარი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სამკურნალო ქვების მადლი და უძველესი ალმასის ისტორია

აკადემიკოსი ზაურ ქოქრაშვილი: 12 „ბიბლიური“ ქვა ნახსენებია „ძველ აღთქმაშიც“ ...არსებობს ქვა, რომელიც უშვილო ცოლ-ქმარმა უნდა ატაროს; ქვა, რომელიც ადამიანს ალკოჰოლიზმისგან კურნავს, აღადგენს მხედველობას, კურნავს დეპრესიისგან და ა.შ.

26

როგორ „დავაქორწინე“ ქუთაისელი სოსო ამერიკელ ჯასტიზე...

ორი წელია, ამ „კალაბოკას“ დავდევ, რასაც ვშოულობ, მაგას ვახარჯავ, მაგრამ არაფერი გამომდის!.. – შემომჩივლა სოსომ. – ხელი მინდა, რომ მომიწეროს, მაგრამ არ შვრება! ამერიკელები ლოგინში ისე ჩაგიგორებენ, არც დაფიქრდებიან, აი, ხელის მოწერაზე კი, თავს იგიქებენ...

49

შერის იმედი აქვს, რომ ოდესმე ღირსეულ მამაკაცს შეხვდება...

ბოლო ხანებში ჰოლივუდში გავრცელდა ხმა, რომ ჰელოუინის დღესასწაულის აღსანიშნავად გამართული კონცერტით მომღერალი საკუთარ კარიერას დაასრულებდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა გახლდათ...

52

თავისუფალი თემა

როგორც კი უმარი გაწყობილ სუფრას მიუჯდა, ზულეიჰამ მას თავი მოწიწებით დაუკრა და ოთახიდან უკვალოდ გაქრა. ის იყო, გვანცასაც მისთვის უნდა მიებაძა, რომ უცბად უმარმა მას სრულიად გამართული ქართულით უთხრა: შენ აქ დარჩი, გვანცა...

42

ეკონომიკური მანიფესტი ანუ რით ვუშველოთ ბიუჯეტს?

ეს დალოცვილი ისტორიის სახელმძღვანელოები, იმიტომ კი არ იწერება, რომ მარქსისა და ენგელსის სურათებს თვალები ამოსწვა სიგარეტით და ლენინს რქები დაახატო თავზე – უნდა წაიკითხო და პოლიტიკოსობაზე რომ აცხადებ პრეტენზიას, სხვისი გამოცდილება გამოიყენო. აი, მაგალითად: ერთი ეკონომიკური მანიფესტი გამოსცა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა – მიწა გლეხებს და ფაბრიკა-ქარხნები მუშებსო! – და იმოდენა პატივი ხვდა, რომ დღესაც დაუმარხავია.

ეს ფაქტი კარგად გამოიყენა ჩვენმა ხელისუფლებამ და მიხვდა, რომ ეკონომიკური სიძლიერისათვის აუცილებელი იყო მანიფესტის მიღება, მაგრამ არა ასეთი: გლეხს ვეღარ ნახავ სოფელში და ვის რად უნდა შენი გამოგვალული მიწა?! ანდა, ფაბრიკა-ქარხნები მუშებსო – დღეს რომ იძახო, ჩარხი და წნეხი აღარ დგას და რა უნდა მუშას ქარხანაში? ან ვირთხა შეჭამს, ან ობობა დაახრჩობს... ამიტომ, ეკონომიკურმა მანიფესტმა ასეთი შეცვლილი სახე მიიღო: თავისუფლება – ჩამშვებებს, ციხე – ქურდებს!..

გაამართლა, მაგრამ რა გაამართლა ამ ჩაშვებებმა! განსაკუთრებით ეფექტურია თვითჩაშვება ანუ, პატიოსნად რომ წარდგები პროკურატურაში და იტყვი – კი არ მინდოდა, მაგრამ ხელი წამიცდა და ერთიორი-რვა-ცხრა მილიონი კი შემომეფლანგაო, – და უკანვე მიიტან, ყველაფერი გეპატიება.

იგივე ვრცელდება „მოძრავ ქონებაზეც“: თუ უკანონოდ მიითვისე – მაგალითად, მოიტაცე ცოლი, მაგრამ შენში გაიღვიძა სინდისმა და დააბრუნებ, სასჯელი გეხსნება და ისევ თავისუფალი მამაკაცი გქვია; უფრო მეტიც, თუ „ნაქურდალს“ „პროცენტებით“ – ანუ ცოლს ბავშვიანად დააბრუნებ, პრემიის სახით სიდედრს გჩუქნიან; აღარ გეყოლება ცოლშვილი, მაგრამ გეყოლება სიდედრი და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ალალია შენზე?!..

„კუჭგამხმარი“ ბიუჯეტის შევსების სხვა უნიკალურ მეთოდსაც მიაგნო ჩვენმა მთავრობამ და ამას გარეგნული სიმდიდრის გადასახადი ჰქვია: რომ ჩაჯდები 150-ათასიან ჯიპში, გვერდით ლამაზ ცოლს მოისვამ და გულზე ხეთქავ მეზობლებს, დაგიჭერენ, აბა, რა იქნება?! თუ არა და, უნდა გადაიხადო...

თუ არც დაჭერა გინდა და არც გადახდა, მაშინ იმდენი ჭკუა მაინც უნდა იხმარო, რომ გარეგნულად დამალო შენი სიმდიდრე: შემოაცვა იმ შენს ჯიპს გარედან ზაპოროჟეცის „კუზაო“ – 32 ლარად იყიდი ელიავაზე; მზეთუნახავი ცოლის მაგიერ კი სამლარიანი ქალი ჩაისვი და იცხოვრე „ტკბილად“...

თუმცა, საბიუჯეტო პრობლემის საბოლოოდ მოგვარების საუკეთესო იდეა მაინც ჩემს პროვოკატორულ გონებაში მომწიფდა და სანამ დალპება, მინდა, ხელისუფლებასაც შევთავაზო და ხალხსაც: ეს არის ე.წ. „ზედმეტი თავისუფლების (სიტყვის) გადასახადი“. მაინც ბევრი გაიძახის – თავისუფალი სიტყვა იზღუდებაო, მაგრამ მგონი, „თავისუფალი“ და „ზედმეტად თავისუფალი“ ცნებები ერევათ ერთმანეთში.

თავისუფალი სიტყვისთვის არც არავინ დაუჭერიათ და არც არავინ დაუჯარიმებიათ, ხოლო რაც შეეხება „ზედმეტად თავისუფალი“ სიტყვის თქმას – კი, ბატონო, გადაიხადე და თქვი. ტარიფები იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი რანგის ჩინოვნიკია თქვენი სიტყვის ადრესატი: ერთი აუგი სიტყვა პრეზიდენტის მისამართით, 100 დოლარი დაჯდება, 10 სიტყვა – 800 („ოპტოვოი“ კლიენტებზე „სკიდკაც“ მოდის); უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურებზე მდგომთა ლანძღვა კიდევ უფრო იაფია და ა.შ...

მოკლედ, თუ საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებთ, მიდიხართ ბანკში, ბიუჯეტში რიცხავთ ფულს, სიტყვათა რაოდენობის მიხედვით, იღებთ ქვითარს და თამამად გამოდიხართ აქციაზე. ქვითარი კი იმისთვის გჭირდებათ, რომ პროკურატურიდან მოსულ გამომძიებელს თვალწინ აუფრიალოთ და ვერავინ შეგეხებათ... ამ კანონპროექტში ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ზოგიერთი პარტიის ლანძღვისა და კრიტიკისათვის გადასახადი საერთოდ მოიხსნება და შეიძლება, პრემიებიც დაწესდეს...

მოკლედ, კაცი თუ ტვინს გაანძრევს, დემოკრატიული კანონების მეტს რას მოიფიქრებს?! „პოზიციაც“ კმაყოფილი ეყოლება, ოპოზიციაც და რაც მთავარია, უცხოეთისაკენ აღარ დასჭირდება სამათხოვროდ ხელის გაშვერა...

P.S. პროკურატურის გამომძიებელი ეუბნება აქციის ორგანიზატორს:

– თქვენ დაპატიმრებული ხართ გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის...

– მე გადავიხადე – აი, ქვითარი...

– ჰო, მაგრამ თქვენ მხოლოდ სამი სიტყვისა გაქვთ გადახდილი: „ბიუროკრატი“, „უუნარო“ და „მოძალადე“, ხოლო რაც შეეხება სიტყვებს: „შემოგვიერთდით“ და „ტაში, ბატონებო, ტაში!“ – არ გადაგიხდიათ...

პროვოკატორი

ვის როგორ ესმის საგადასახადო ლიბერალიზაცია

— პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას ფინანსური ამნისტიის შესახებ სკეპტიკურად უყურებს „მრეწველებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ გაერთიანება. რატომ ადანაშაულებთ ხელისუფლებას ლეგალური ბიზნესის წინააღმდეგ მიმართული აქციის განხორციელებაში?

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— მე ვამბობ, რომ ქვეყანაში შიშის სინდრომის დამკვიდრებით, ბიზნესის აყვავება ვერ მოხერხდება. არადა, შიშის ფაქტორი უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით იგრძნობა. საქართველოში თუ არ მოხდა ბიზნესის ლიბერალიზაცია, ჩვენ ყოველთვის გვექნება ლეგალური ბიზნესის არსებობის პრობლემა. ინიციატივა ფინანსური ამნისტიასთან დაკავშირებით, თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ძალზე ბუნდოვანია და ამიტომ კანონპროექტის სახე უნდა მიიღოს. ამავდროულად, ეს კანონპროექტი ბიზნესმენების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. კანონმა კი უნდა მისცეს საშუალება ბიზნესს, რომ იგი ლეგიტიმურ ჩარჩოებში მოექცეს. ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ მოხდეს საგადასახადო ლიბერალიზაცია, რომელსაც ეს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ გვპირდებოდა. ლიბერალიზაციის პირობებში ბიზნესსაზოგადოებას — ყველა მცირე, საშუალო თუ მსხვილ მეწარმეს — ლეგალურ პირობებში მოღვაწეობის საშუალება მიეცემა. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კი, გამართლებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული და სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ არა ისე ქაოსურად და უკონტროლოდ, როგორც დღეს ხდება. მე გაოცებული ვარ მთავრობის იმ გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი თუ სამხარეო პროკურორების ნებართვით მოხდება საწარმოების შემოწმება. კანონის თანახმად, ამის უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. თუ ბიზნესისადმი ასეთი მიდგომა დროულად არ შევაჩერეთ, უახლოეს მომავალში ისეთი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით, რომ საგადასახადო ლიბერალიზაცია ვეღარ გვიშველის. ■

„ნინო ბურჯანაძე „სათამაშო“ ოპოზიციონერის როლს არ დასჯერდება...“

— საარჩევნო სიების შედგენის პროცესმა სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებს შორის დაპირისპირება აშკარად გააღრმავა. მოარული ხმებით, მომავალ პარლამენტში თავმჯდომარედ შეიძლება, „ნაციონალების“ პირველი ნომერი, მაია ნადირაძე მოგვევლინოს. თქვენი ვარაუდით, რამდენად რეალურია ეს?

ჯონდი გალათურია, *ლეიბორისტული პარტია:*

— პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძის არჩევა მისმა პოპულარობამ განაპირობა, დროთა განმავლობაში კი, უფრო რეალურად გამოიკვეთა მისი შესაძლებლობები. სწორედ ამის გამო არ სურთ სააკაშვილსა და ჟვანიას, ბურჯანაძის, როგორც პოლიტიკური ლიდერის გაძლიერება. ბუნებრივია, შიდაპარტიული პროცესები და ნიუანსები ჩემთვის ცნობილი არ არის, თუმცა, თვალნათლივ ჩანს, რომ პარტნიორებს მის მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება აქვთ. პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის ფასს და ნდობას. მათ შორის კი, გარიგება ირღვევა, რაც პოლიტიკური თუ მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, სრულიად გაუმართლებელია. რევოლუციის დროს, ბურჯანაძემ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. მისი ავტორიტეტი გამოიყენეს. ახლა კი ჟვანიასა და სააკაშვილს ის რეიტინგი აშინებთ, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს. ასეთ სიტუაციაში, არ გამოვრიცხავ, რომ სხვა შეთანხმებებიც დაირღვევა და უხეშად რომ ვთქვათ, ბურჯანაძე „გადააგდონ“. გამორიცხული არ არის, პარლამენტის თავმჯდომარედაც სხვისი კანდიდატურა დასახელდეს, თუნდაც მაია ნადირაძის. ჩვენ ისეთივე ოპონენტები ვართ ქალბატონი ნინოსი, როგორიც ზურაბ ჟვანიასი, მაგრამ ბურჯანაძე უსამართლოდ დაიჩაგრა და ვინ დგას ამ ინტრიგების უკან, ძნელი გამოსაცნობი არ არის. თუ პროცესები მომავალშიც ამგვარად განვითარდება, გამორიცხული არ არის, რომ ქალბატონი ნინო ოპოზიციაში ვიხილოთ. ის „სათამაშო“ ოპოზიციონერის როლს ნამდვილად არ დასჯერდება. ■

„ირინა სარიშვილის ომბუდსმენობას საზოგადოება ვერ შეეგუება“

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ირინა სარიშვილი ომბუდსმენად ვიხილოთ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამ პოსტზე მისი დანიშვნა?

ელენე თევდორაძე:

— პირველ რიგში ვიტყვი: არ ვიცი, ვინ შეიძლება წამოაყენოს ირინა სარიშვილის კანდიდატურა. არსებობს კანონი, რომლის შესაბამისადაც ჩამოყალიბებულია, თუ რომელ სუბიექტებს აქვთ ომბუდსმენის კანდიდატურის წამოყენების უფლება. არა მგონია, მათ შორის რომელიმემ სარიშვილს დაუჭიროს მხარი. პირადად ჩემთვის, სრულიად გაუმართლებელია, როცა პოლიტიკიდან მოსული პიროვნებები, ადამიანის უფლებათა დამცველები ხდებიან. მახსოვს, როცა ნანა დევდარიანის კანდიდატურა წამოვაყენეთ და ის ამ პოსტზე დაინიშნა, სოციალისტური პარტიის წევრი იყო. ქალბატონი ნანა 3-4 თვის განმავლობაში პოლიტიკოსის პოზიციიდან აფასებდა ამა თუ იმ საკითხს, თუმცა თანდათან შეძლო დამოუკიდებელ ომბუდსმენად ჩამოყალიბება და შემდგომ პერიოდში, ნამდვილად მოუკერძოებელი იყო ნებისმიერ მოვლენასთან მიმართებაში. რაც შეეხება ირინა სარიშვილს, ის ვერ შეძლებს, იყოს დამოუკიდებელი. მისი გამოსვლები და განცხადებები ამის თქმის უფლებას მაძლევს. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, ნინო ბურჯანაძესთან დაპირისპირებას თუ გავიხსენებთ, იგი აბსოლუტურად გაუგებარი და დაუსაბუთებელი არგუმენტებით ებრძოდა პარლამენტის თავმჯდომარეს. ირინა სარიშვილი ვერ შეძლებს, იყოს მოუკერძოებელი პიროვნება. თანაც, მას საზოგადოება ვერ მიიღებს, როგორც სახალხო დამცველს: მოსახლეობაში მის მიმართ ნდობა აღარ არსებობს. სამწუხაროდ, ძველმა პარლამენტმა ომბუდსმენის საკითხის განხილვა ვერ მოახერხა და ეს თანამდებობა დღემდე ვაკანტურია. ახალი პარლამენტი შეკრებისთანავე დღის წესრიგში დააყენებს ამ საკითხს. იმედი მაქვს, წარმოდგენილი იქნება ყველასათვის მისაღები კანდიდატურა... ■

„პირველ რიგში, გენოციდის საკითხი უნდა გაირკვეს“

— ამბობენ, რომ უახლოეს დღეებში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენი კანდიდატურა იქნება წამოყენებული. თუ გაქვთ დეპუტატების მხარდაჭერის იმედი და შეხვდით თუ არა პრეზიდენტს?

გია გვაზავა, *აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი:*

— მხარდაჭერასთან დაკავშირებით გეტყვით: დანამდვილებით ვიცი, რომ აფხაზეთის საზოგადოებრიობის მხარდაჭერა მაქვს. მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ რაიმის შეცვლას. დეპუტატებმაც და დევნილებმაც იციან, რომ ამ თანამდებობაზე ჩემი არჩევის შემთხვევაში, არაფერს დავზოგავ, ოღონდაც აფხაზეთის საკითხი დადებითად გადაწყდეს. მე ვიცი, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს სურვილი, კონკრეტული ძვრები მოხდეს, რა მძიმე და უკომპრომისო ნაბიჯების გადადგმაც არ უნდა მოგვიხდეს. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს გენოციდის საკითხი, რომელიც აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს იზოლაციაში მოაქცევს. ასევე სასწრაფოდ გასარკვევია რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხი. რაც შეეხება პრეზიდენტთან შეხვედრას — ჯერ არ მქონია. როცა საჭირო იქნება, თავად დამიძახებს და მეტყვის, როგორ უნდა მოვიქცე. ალბათ რამდენიმე დღეში ყველაფერი გადაწყდება. თავმჯდომარის გარეშე დარჩენილ უმაღლეს საბჭოს ძალიან უჭირს, დევნილებს კი, ჩვენი ყურადღება სჭირდებათ. ■

„შავი ანგელოზის“ აღსასრული

ცნობილი ჩეჩენი „ბოევიკი“ რუსლან გელაევი მართლაც, დაიღუპა. შეიძლება, ამის დაჯერება ცოტა ძნელია — თუნდაც იმის გამო, რომ გელაევის განადგურების ამბავს რუსული საინფორმაციო საშუალებები წინათაც არაერთხელ იუწყებოდნენ, — მაგრამ ამჯერად, იმ დაღუპულ მეომარს, რომელიც დაღესტნის მთებში ადგილობრივმა მილიციელებმა მოკლული იპოვეს, აღმოაჩნდა ფეხში მიღებული, დამახასიათებელი ჭრილობისგან დარჩენილი ნაიარევი (ზუსტად ასეთი, გელაევს ერთ-ერთ ბრძოლაში ჰქონდა მიღებული) და ის უცნაური ხანჯალი, რომელიც ცნობილ საველე მეთაურს სულ თან დაჰქონდა.

„შავი ანგელოზი“ — როგორც დაღესტნის მთებში გელაევს უწოდებდნენ — შემთხვევით გადაყრია ორ ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც რუსეთის სასაზღვრო ჯარებში კონტრაქტით მსახურობდა. ორმხრივი სროლის შედეგად, გელაევმა ორივე მესაზღვრე მოკლა, მაგრამ თავადაც მძიმედ დაიჭრა. გელაევის გვამი მოკლული მესაზღვრეებიდან ას მეტრში აღმოაჩინეს: მას ეს მანძილი ფორთხვით გადაულახავს, რასაც სისხლის კვალი ადასტურებს. ტყვიისგან დასახიჩრებული ხელი გელაევს თვითონვე მოუკვეთავს და სისხლდენის შესაჩერებლად, ჭრილობაზე „ჟგუტი“ წაუჭერია. იქვე ეყარა ხსნადი ყავის პაკეტი და შოკოლადის ფილის ნარჩენი — როგორც ჩანს, „შავმა ანგელოზმა“ ამგვარად, უკანასკნელად „ისადილა“...

რუსლან გელაევი, რომელიც საკუთარ თავს ჰამხატს უწოდებდა, საქართველოს ბევრმა მოქალაქემაც პირადად გაიცნო, იმ პერიოდში, როდესაც ის, კარგად შეიარაღებულ თანამებრძოლთა რამდენიმე ასეულთან ერთად, პანკისის ხეობას აფარებდა თავს.

თუმცა, სანამ გელაევი თავისი რაზმით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდოდა (სავარაუდოდ, ეს 2000 წლის დასაწყისში, შატილის სასაზღვრო საგუშაგოს გავლით მოახერხა), მანამდე მან რუსეთის ფედერალურ ძალებს მწარედ დაამახსოვრა თავი, განსაკუთრებით, თავისი მშობლიური სოფლის — კომსომოლსკოეს მისადგომებთან:

რუსულმა შენაერთმა, რომელიც ტანკებითა და ჰაუბიცებით იყო შეიარაღებული, პირისაგან მიწისა აღგავა ეს ჩეჩნური სოფელი, მაგრამ თავად გელაევი ვერ ჩაიგდო ხელთ. მას შემდეგ, გარკვეული ხანი რუსლან გელაევი საქართველოს აფარებდა თავს.

სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ცნობილი მარში ორ ხეობას — პანკისსა და კოდორს შორის, როდესაც გელაევის ასობით თანამებრძოლი, საქართველოს შინაგანი ჯარების სატვირთო მანქანებით იქნა გადაყვანილი კახეთიდან სვანეთამდე. მაშინ რამდენიმე ქართველ მაღალჩინოსანს უშუალო და ხშირი შეხვედრა ჰქონდა გელაევთან, როგორც პანკისის სოფლებში, ისე აფხაზეთის სვანეთში.

მას შემდეგ, რაც ეს ოპერაცია თუ ავანტიურა ჩაფლავდა, საველე მეთაური, რამდენიმე მებრძოლთან და დაღუპულ ჩეჩნებთან ერთად, ქართული შეიარაღებული კოდორის ხეობიდან კვლავ პანკისში დააბრუნეს.

გელაევის ფაქტორი, უფრო სწორად — მისი შეიარაღებული დაჯგუფების პანკისში ყოფნა, საშუალებას აძლევდა რუსეთს, საერთაშორისო ტერორიზმის მფარველობაში დაედანაშაულებინა საქართველო. არ არის გამორიცხული, რომ 2002 წლის ზაფხულის ბოლოს, მას შემდეგ, რაც რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაბომბეს პანკისის მიმდებარე ტერიტორია, ამ რეგიონში რუსული ტაქტიკური საჰაერო დესანტის გადასხმაც კი იგეგმებოდა. მაგრამ მაშინ, საბედნიეროდ, დაიწყო ანტიტერორისტული ოპერაცია და პანკისის ხეობაში ქართული შინაგანი ჯარები და სპეცსამსახურები შევიდნენ. ამ ოპერაციის ჩატარებისას, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურმა პირებმა უსაფრთხოების გარანტია მისცეს რუსლან გელაევს იმ შემთხვევაში, თუ ის პანკისის ხეობას დატოვებდა...

გელაევის რაზმი ინგუშეთის ტერიტორიაზე გადავიდა და სოფელ სამაშკოსთან რუს სამხედროებს მორიგი დარტყმა მიაყენა. ბოლოს, „შავმა ანგელოზმა“ შარშანდელი წლის დამლევს შეახსენა ყველას თავი — მაშინ, როდესაც დაღესტნის მთებში ტყვიამფრქვევიდან რუსი მესაზღვრეების სატვირთო მანქანა დაცხრილა და თავის მებრძოლებთან ერთად 9 რუსი მესაზღვრე მოკლა.

განრისხებული მოსკოვის გადაწყვეტილებით, დაღესტნის აღნიშნული რაიონი ბომბდამშენებისა და არტილერიის მასირებული ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამ დროს, გელაევს რამდენიმე ათეული მებრძოლი დაიღუპა, მაგრამ „შავი ანგელოზი“ ამჯერადაც გადაურჩა სიკვდილს და სოფლის განაპირას მდგარი მეცხვარის ქოხს შეაფარა თავი.

როგორც ჩანს, 28 თებერვალს ის სწორედ ამ ქოხში იმალებოდა და ბოლოს გადაწყვიტა, საქართველოს საზღვარზე გადმოსულიყო და კვლავ პანკისისთვის შეეფარებინა თავი... ■

ირაკლი ალადაშვილი

ოფიციალური თუ არაოფიციალური წყაროების თანახმად, საქართველოში ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულების შესახებ, ყველაზე მეტი ვალერი ხაბურძანიამ იცის. სწორედ ეს გაითვალისწინა ახალმა ხელისუფლებამ, როცა პოლიტიკური ფსონი ყბადაღებულ „ტელედაჭერებზე“ გააკეთა და ვალერი ხაბურძანია პროკურატურაში გადაიყვანა...

შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლები კრიმინალებად რომ არ იქცნენ...

ნანა ქიბიმაური

უშიშროების ყოფილი მინისტრის, აწ უკვე გენერალური პროკურორის მოადგილის – ვალერი ხაბურძანიას საკურატორო სფეროს (შსს-ს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვისა და ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული სამსახური) შესაძლოა, მალე უშიშროების სამინისტროს ოპერატიული სამსახურიც დაემატოს. გენპროკურორის მოადგილის მოვალეობაში შედის ოპერატიული სამძებრო საქმიანობის წარმართვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამბობენ, დღეს მთელი გენპროკურატურა, თავის დროზე უშიშროების სამინისტროს მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე მუშაობს. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკთა სავარძლები კი ზეგანათლებულმა, საშუალოდ განათლებულმა და არასრული საშუალო განათლების მქონე პირებმა ერთნაირი წარმატებით დაიკავეს. გაჩნდა ეჭვი, რომ თვით სახელმწიფო უშიშროების სამსახური დადგა საშიშროების წინაშე: შეიძლება, დაჭერების ხიბლში შესულმა და კონტრრევოლუციონერთა შესაძლო რევანშის თავიდან აცილების მოსურნე ხელისუფლებამ, ეს უწყება, სახელმწიფოს ნაცვლად, კონკრეტული პოლიტიკური ძალის უსაფრთხოების სისტემად გადააქციოს. თავის ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ვალერი ხაბურძანია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუ ეს ეჭვები რეალობად იქცევა, საფრთხე ჯერ თვით იმ პოლიტიკურ ძალას დაემუქრება, მერე კი – სახელმწიფოსაც...

— ბატონო ვალერი, შსს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის გარდა, ადამიანის უფლებების დაცვა და ამ უფლებების შელახვის გამოვლენაც თქვენ დაგეკისრათ. არადა, ბოლო დროს დაკავებული, თითქმის ყველა კორუფციაში ეჭვმიტანილი პირის ადვოკატი ამბობს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაპატიმრება, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით მოხდა...

– ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი თავად იყო ადვოკატი და დარწმუნებული ვარ, ისეთს არაფერს გაკეთებს, რომ შემდეგ, ვინმემ კანონის დარღვევაში ამხილოს. დღეს სულ სხვა ატმოსფეროა პროკურატურაში – ყველა ცდილობს, მაქსიმალურად დაიცვას კანონით გათვალისწინებული წესები; სისტემა გამოფხიზლდა და მისი რეიტინგი ამაღლდა. თანამშრომლებმა თავი პროფესიონალებად იგრძნეს. ყოველთვის ვამბობდი – პროკურატურა ადვოკატურას არ უნდა დაემსგავსოს-მეთქი და ახლაც ამავე აზრის ვრჩები. პროკურატურა უნდა იყოს ბრალდების მხარდამჭერი და სახელმწიფოსა და კანონის სახელით უნდა ითხოვდეს დამნაშავის დასჯას.

— ყველაზე გახმაურებული საქმეები, რომელსაც პროკურატურა უშიშროების სამინისტროსთან ერთად იძიებდა, რკინიგზის დეპარტამენტის, ენერგეტიკის სფეროსა და კომპანია „ომეგას“ საქმეებია. რა სტადიაშია ეს საქმეები და ამჟამად რაზე მუშაობთ?

– რეზონანსული საქმეების უმეტესობაზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – ე.ი. გასულია ჩემი ზედამხედველობის არიდან. პროკურატურაში საკურატორო სფეროები განაწილებულია მოადგილეებს შორის: მე ვკურირებ პირველ – ე.წ. მოკვლევის სტადიას, საგამოძიებო სტადია აბარია ჯიქიას, სასამართლოს ეტაპი კი – კობერიძეს. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ რეორგანიზაციის შემდეგ, ეს სქემა შეიცვლება და ერთ საქმეს ყველა ეტაპზე ერთი კურატორი ეყოლება. მანამდე კი, მე კიდევ ერთ „ცოცხალ“ კორუფციულ საქმეზე ვაპირებ მუშაობის დაწყებას: ეს არის კომუნიკაციების სფერო. ვფიქრობ, ბევრი სამუშაო გვექნება...

— რას გვეტყვით ფინანსური ამნისტიისა და ბიზნესმენთა „შეწყალების“ შესახებ? რა მექანიზმით შეამოწმებთ, თუ რამდენი პროცენტით „გათეთრდა“ ესა თუ ის ბიზნესი და რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ ბიზნესმენს საკუთარი შეხედულებისამებრ აპატიოთ გადასახადი? ეს მეთოდი კვლავ კორუფციის აყვავებას ხომ არ შეუწყობს ხელს?

– ამ დეტალებზე ფინანსისტებმა და ეკონომისტებმა უნდა მოილაპარაკონ – ვგულისხმობ მექანიზმს, რომლითაც უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად კეთილსინდისიერ ბიზნესმენთან გვაქვს საქმე. ამ პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიოში სხვადასხვა გამოცდილება არსებობს. მაგალითად, იტალიაში წლის ბოლოს, საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები მიდიან ბიზნესმენთან და ეუბნებიან, რომ მან ბიუჯეტში 5 მილიონი ლირა უნდა შეიტანოს, თან აფრთხილებენ, რომ თუ დადგენილ თანხას არ გადაიხდის, მისი ფირმის კომპლექსური შემოწმება დაიწყება. „ვაჭრობის“ შემდეგ, როგორც წესი, შეთანხმებამდე მიდიან... კრიტერიუმები ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაადგინოს და პარლამენტმა დაამტკიცოს. ამნისტიის იდეა სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო კომპრომისზე მიდის და ბიზნესს რაღაცრაღაცებს აპატიებს...

— პრეზიდენტმა სააკაშვილმა უშიშროების სამინისტროს არქივების გახსნა მოითხოვა.

შეექმნებათ თუ არა ამის გამო პრობლემები ხელისუფლებაში ამჟამად მყოფ პირებს ან ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს?

— ლუსტრაციის კანონი ხელმისაწვდომს გახდის ძირითადად, ისტორიული ხასიათის მასალას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმადაც, დადგა უშიშროების არქივის დიდი ნაწილის გამომზეურების ვადა. რა თქმა უნდა, ეს მიმდინარე ოპერატიულ მასალებს არ ეხება და ლაპარაკია 20-იანი წლების საბჭოური მმართველობის პერიოდის მასალებზე, პოლიტიკურ რეპრესიებთან დაკავშირებულ საქმეებსა და კა-გე-ბეს აგენტთა პირად საქმეებზე. თუმცა, არქივის უდიდესი ნაწილი რუსეთში იყო გატანილი და ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ მისი დაბრუნება — არადა, სწორედ იქ არის მასალების მთავარი ნაწილი. იმ ბარათებით კი, რომელსაც აქ ასე ხშირად აფრიალებენ და მასზე დაყრდნობით ჩვენი ცნობილი სახეები ერთმანეთს აგენტობაში სდებენ ბრალს, სიმართლის დადგენა ძნელია, რადგან თავის დროზე, უშიშროების კომიტეტიდან დიდი რაოდენობით ცარიელი ბარათები გაიტანეს. ლუსტრაციის კანონს აუცილებლად მოჰყვება კომისიის შექმნა. იმ ადამიანებს, რომლებიც დღემდე, ხელისუფლების სხვადასხვა შტოში მოღვაწეობენ და რომელთა პირადი საქმეებიც დაცულია არქივში, კომისია გარკვეულ პირობებს წაუყენებს. ვფიქრობ, ლუსტრაციას ახლა ისეთი შოკის მომგვრელი ეფექტი არ მოჰყვება, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველ წლებში ექნებოდა. უბრალოდ, ხალხის ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდება და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია. არ შეიძლება, დღევანდელ პირობებში აგენტურის ძველი სპეცკონტინგენტით მუშაობა. თუ ადამიანს ფული არ მიეცი და ასეთი საქმიანობის მოტივაცია არა აქვს, რეალური, სერიოზული ინფორმაციის წყაროდ არ გამოდგება.

— როგორ შეაფასებთ იმ ცვლილებებს, რომლებიც უშიშროების სამინისტროში თქვენი იქიდან წამოსვლის შემდეგ განხორციელდა?

— თუ უშიშროების სამინისტროსთან დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაერთიანებას გულისხმობთ, ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ცალკეული დეპარტამენტების შენახვა გაუმართლებელ ხარჯს ნიშნავს. არ გვქონდა ფული, რომ დაზვერვის დეპარტამენტი საჭირო თანხით დაგვეფინანსებინა, მაგრამ იქ დასაქმებული ადამიანების მდგომარეობასაც ვითვალისწინებდით. დღეს ისინი, შემცირების გამო შეიძლება, ბედის ანაბარად დარჩნენ. ქუჩაში, ბედის ანაბარად დარჩენილი, სპეცსამსახურის თანამშრომელი კი გარკვეულწილად საშიშიცაა. თუმცა, დღეს ნაკლებია იმის საფრთხე, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა ჩვენი დაზვერვის უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების გადაბირება სცადონ, მაგრამ იმის რეალური საშიშროება კი ნამდვილად არსებობს, რომ ისინი კრიმინალურ სამყაროში აღმოჩნდნენ. ამიტომ ამ ხალხის მიმართ მეტი ყურადღება გვმართებს. განვლილი გზით, სპეცსამსახურის ბევრი წარმომადგენელი მისდამი ღირსეულ დამოკიდებულებას იმსახურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნურავის გაუკვირდება, თუ ჩამოყალიბდება ახალი შეიარაღებული დაჯგუფებები, რომელთა ნეიტრალიზებაც ძალზე ძნელი იქნება — ამ ადამიანებმა კარგად იციან, როგორ მოიპოვონ ინფორმაცია, როგორ გამოიყენონ ადამიანური რესურსები, საინფორმაციო წყაროები და სხვა...

— ბოლოს, ყოფილ ხელისუფლებასთან თქვენი დამოკიდებულების გამო საზოგადოებაში არსებულ კითხვებს მინდა შევეხოთ. რას იტყვით ამის შესახებ?

— ყოფილ ხელისუფლებას, ძალის გამოყენების შესახებ რომ მიეღო გადაწყვეტილება, პოლიტიკური ნიშნით დაჭერები და რეპრესიები კი არა, დღეს დახვრეტებიც კი იქნებოდა. მართალია, ჩემი მინისტრობის დროს დაემხო ხელისუფლება და ამას დიდ ნაკლად მითვლიან, მაგრამ ნოდარ დუმბაძის სიტყვებიც გაიხსენონ: ყველა ხელისუფლება თავისი ხელით იკლავს თავს და ყველა ხელისუფლება თვითონ იმხობს თავის თავსო. ჩემი ფუნქცია არ იყო რევოლუციური პროცესების გაუვნებლება, ჩემი მოვალეობა ხელისუფლების გაფრთხილება გახლდათ და ამას ვაკეთებდი კიდეც. ბოლო წუთამდე ვიმყოფებოდი კრწანისის რეზიდენციაში და კანონის ფარგლებში ვმოქმედებდი. პრეზიდენტს კომპრომისზე წასვლას ვურჩევდი და მაშინ ითქვა პირველად — ხაბურძანია ჟვანიას კაციაო. ჟვანიას კაცი რომ ვყოფილიყავი, ახლა მინისტრთა კაბინეტის წევრი ვიქნებოდი... ბოლოს ვუთხარი პრეზიდენტს — თქვენ არაორდინარული პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ-მეთქი, — ის კი ფიქრობდა, რომ სესიის ჩატარებას მოასწრებდა... აქციის მონაწილენი კანცელარიის შენობას რომ მოადგნენ და კობა ნარჩემაშვილი კედელთან მიაყენეს, მაშინ ის ხალხი ჩვენ შევაჩერეთ და 1 მეტრით უკან დავახევინეთ. პრეზიდენტის გარემოცვა ამბობდა — ახლა რომ წავიდეთ, ქუდები აქ უნდა დავტოვოთო, — მაგრამ როცა ხალხი შენობაში შემოიჭრა, სამთავრობო ლოჟიდან მინისტრები ისე გარბოდნენ, კინაღამ გადამთელეს, ქუდები კი არა, პალტოებიც იქ დატოვეს... ყველამ უნდა გაიგოს: როდესაც ხელისუფლება გაკოტრებულია, მას ვერავინ და ვერაფერი გადაარჩენს. ის, რაც საქართველოში მოხდა და ისიც, რაც ამის შემდეგ იქნება, ხალხის, ექსპერტებისა და მომავალი თაობის შესაფასებელია. ჩვენ კი, ვინც ახლა ვიღებთ გადაწყვეტილებებს, მართლაც მრავალი დღისა და ღამის გასწორება მოგვიწევს, რომ კანონიერების გზიდან გადახვევა არ დავუშვათ და სამართლიანობის პრინციპები არ დაირღვეს. ■

სამთავრობო ლოჟიდან მინისტრები ისე გარბოდნენ, კინაღამ გადამთელეს, ქუდები კი არა, პალტოებიც იქ დატოვეს...



ღამის საინფორმაციო პროგრამების ხანმოკლე პაუზის შემდეგ, „რუსთავი 2“-ზე პირველი მარტიდან განახლებული, განსხვავებული „ღამის კურიერი“ გადის ეთერში. როცა ჯერ კიდევ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, გადაცემის წამყვანთა ოთხეულიდან ერთ-ერთს — ნათია აბრამიას შევუთანხმდი ინტერვიუზე.

„ღამის კურიერის“ ახალი სახე

„აკაკი გოგიჩაიშვილი ის ადამიანია, რომლის გვერდითაც შემიძლია, ძალიან კარგად ვიგრძნო თავი“

ხათუნა ჯავახიშვილი



„გარდა ამისა, მე და აკაკის დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს“

— პროექტის ავტორები კომპანიის ხელმძღვანელები არიან, მათ შორის ეროსი კიწმარიშვილი. ვიცი, რომ გადაცემის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ეკა ხოფერიამ შეასრულა. თავიდანვე გვკითხეს ჟურნალისტებსაც — თქვენ რას ფიქრობთ? შეგიძლიათ საკუთარი შტრიხები შეიტანოთო? — მაგრამ პროექტი კარგად იყო გააზრებული, ჩამოყალიბებული და ყველაფერი ისე შევინარჩუნეთ, როგორც შემოგვთავაზეს.

— სამუშაო პროცესი რამდენი ხანი მიმდინარეობდა?

— დაახლოებით ორი თვის წინ გავიგეთ, რომ „ღამის კურიერი“ უნდა შეიცვალოს და გაკეთდეს რაღაც ახალი, მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ ლაპარაკის დონეზე იყო. უფრო ზუსტად კი, რა სახის უნდა ყოფილიყო ეს გადაცემა, ერთი თვის წინ გახდა ცნობილი.

— სამუშაო ფუნქციები ჟურნალისტებს როგორ გაქვთ განაწილებული?

— ვართ ოთხი ჟურნალისტი. მიუხედავად იმისა, რომ გვყავს პროდიუსერი, ოთხივე ვითავსებთ პროდიუსერის ფუნქციებსაც, ოთხივე ჟურნალისტი ვმუშაობთ აგრეთვე სიუჟეტებზე და ა.შ. — ე.ი. ვართ თავიდან ბოლომდე თავისუფლები მოქმედებაში და ამავე დროს ძალზე დატვირთულები. აქ არავინ ასრულებს წამყვანის ფუნქციებს. ყველანი ვართ ავტორებიც, პროდიუსერებიც, რეპორტიორებიც და სხვა ამგვარი. ფუნქციები განაწილებული არ არის, მაგრამ რადგან აკაკი გამოცდილია და კარგად არის გათვითცნობიერებული მენეჯმენტის საკითხებში — ეს მხარე მას მივანდვეთ. ვიზუალური მხარის მოგვარებისას, თითოეული ვცდილობთ, ჩვენ-ჩვენი წვლილი შევიტანოთ, მაგრამ კიკალას (დავით კიკალიშვილი) აქვს ძალიან საინტერესო მოსაზრებები და ხშირ შემთხვევაში, მას ვუსმენთ. მე მაქვს ჟურნალისტებთან მუშაობის გამოცდილება. საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მყავდა ჯგუფები, რომელთაც ჩემ მიერ ჩამოყალიბებული სქემებით ვასწავლიდი „პროდაქშენს“. არ ვამბობ, რომ ეს ჩემი ფუნქციაა, მაგრამ ყოველთვის ვეცდები, ახალგაზრდა, დამწყებ ჟურნალისტებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო. საბოლოო ჯამში, ყველა ყველაფერს ვაკეთებთ. იმაზეც, თუ ვინ მოვიწვიოთ სტუდიაში, ყველანი ერთად ვმსჯელობთ. ჩვენი სამუშაო ოთახი ჩვენი სახლია. თვითონ დავალაგეთ, მოვაწყვეთ, გადავწყვიტეთ, როგორ განგვთავსებინა მაგიდები, კომპიუტერები... ძალიან შეწყობილად ვმუშაობთ. ყველაფერს ერთად ვწყვეტთ, იმასაც კი, კალენდარი სად დავკიდოთ.

— წყვილების შერჩევა როგორ მოხდა?

— ეროსიმ მე და აკაკის გვითხრა — ერთად კარგად გხედავთო. სიმართლე გითხრათ, ძალიან დავიბენით. აკაკიც ამბობდა: ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობაა, მე სულ სხვა იმიჯი მაქვს, ნათიას — სულ სხვაო... ნათია ზამბახიძისა და კიკალას შემთხვევაში ყველაფერი გარკვეული იყო: ძალიან ჰარმონიული წყვილია და ერთად კარგად აღიქმებიან. თუმცა, მე და აკაკიმ პირველსავე „პილოტების“ *(საცდელი გადაცემების. — ავტ.)* ჩაწერის შემდეგ დავინახეთ ჩვენი თავი ამ დუეტში. ეროსის რომ ვუთხარი — დავინახე-მეთქი, — მე მაგას დიდი ხანია ვხედავო, — მიპასუხა. ჩემს პარტნიორად აკაკის ვერასდროს წარმოვიდგენდი, მაგრამ დავდექით თუ არა ერთმანეთის გვერდით, მივხვდი, რომ აკაკი გოგიჩაიშვილი სწორედ ის ადამიანია, რომლის გვერდითაც შემიძლია, ძალიან კარგად ვიგრძნო თავი. ვართ აბსოლუტურად განსხვავებულები, მაგრამ ყველაფერი კარგად გამოგვდის. გარდა ამისა, მე და აკაკის დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. დიდ პატივს ვცემ მას და მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში ის საუკეთესო ჟურნალისტია, რომელიც ძალზე სერიოზული ნამუშევრებით შევიდა თანამედროვე ჟურნალისტიკის ისტორიაში. მისგან ყოველდღე რაღაცას ვსწავლობ და მიუხედავად ამისა, ვგრძნობ, რომ იგი ამას მენტორული ტონით არ აკეთებს. მართლა ძალიან კარგად ავეწყვეთ და ვნახოთ, რა გამოვა.

— გადაცემა „60 წუთი“ დაიხურა თუ ისევ გაგრძელდება?

— მუშაობა გრძელდება და „60 წუთი“ აუცილებლად გავა ეთერში აკაკისთან ერთად.

— რამდენად მოახერხებს ერთდროულად ორ გადაცემაზე მუშაობას?

— აკაკი ყველაფერს ახერხებს. არ

ვიცი, როგორ, მაგრამ შედეგს ვხედავ. ეს მან უკვე დაამტკიცა. იგი იმდენად ძლიერი პროფესიონალია, რომ არ სჭირდება ბევრი ლაპარაკი და ახსნა-განმარტება. საზღვარგარეთ სწავლის ერთ-ერთი ეტაპი, ჩემთვის BBC-ში პრაქტიკის გავლა იყო. გაოცებული ვიყავი იმით, რომ არავინ არაფერს ლაპარაკობდა. პროდიუსერი საინფორმაციო გადაცემის მსვლელობისას იდგა საეთერო ოთახში და ამბობდა: ერთი, ორი, წავიდა... გადაცემის ბოლოს კი – დიდი მადლობა, ყველამ ძალიან კარგად იმუშავეთო!.. ჩემთვის ეს გაუგებარი იყო: მე შეჩვეული ვარ იმას, რომ ჩვენში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, გიხსნიან ყველა დეტალს... საქართველოში, მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია, დასავლური სტანდარტებით მხოლოდ აკაკი მუშაობს. ძალიან მშვიდად, წყნარად, ერთი სიტყვით ახერხებს, თქვას იმაზე მეტი, ვიდრე სხვა, ათი სიტყვით იტყოდა.

— შენ რამდენად ელოდი, რომ ახალ პროექტში ჩაგრთავდნენ?

– ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო ეს შემოთავაზება. მაგისტრატურა ბრიტანეთში დავამთავრე. მანამდე, „რუსთავი 2“-ში უკვე ვმუშაობდი და სწორედ მისმა ხელმძღვანელებმა გამიწიეს რეკომენდაცია საზღვარგარეთ სასწავლებლად. დაბრუნების შემდეგ ვმუშაობდი, როგორც მსოფლიოს ახალი ამბების მიმომხილველი, რეპორტიორი, წამყვანი. ვფიქრობ, რაც ვისწავლე და რაც გამიკეთებია, ამით ჯერ ჩემი რესურსის ნახევარიც კი არაა ამუშავებული და გამოყენებული – ბევრად უფრო მეტის გაკეთება შემიძლია, ვიდრე აქამდე ვაკეთებდი, მაგრამ სხვებიც თუ ასე ფიქრობდნენ, არ ვიცოდი.

— ახალ სტუდიას იოლად შეეგუე?

– ნებისმიერ გარემოში შემიძლია მუშაობა. არა აქვს მნიშვნელობა, სად იდგება კამერა და რამდენი ოპერატორი იქნება. როგორი გარემოც არ უნდა იყოს, ნებისმიერს შევეწყობი. იქნება უფრო კარგი გარემო, – უფრო გამიადვილდება მუშაობა, იქნება ცუდი – მაინც ვიმუშავებ...

— თქვენს ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?

– ცოტა ხნის წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი წასული მივლინებით, სადაც ტელეკომპანიის მიერ გამოყოფილი თანხებითა და ჩემი გემოვნებით შევიძინე ტანსაცმელი ჩემთვის და ნათია ზამბახიძისთვის. დიდი არჩევანი არ არის, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ. ნათია ჩემი მეგობარია, ჩემი ასაკისაა, ერთი სტილი გვაქვს და ყოველთვის ვიცი – რასაც ვუყიდი, ყველაფერი მოეწონება. მოეწონა კიდეც.

— ყველას აინტერესებს — ეკრანზე დაბრუნებას აპირებს თუ არა ეკა ხოფერია?

– ეკა კომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელია და როგორც გითხარით, თავიდან ბოლომდე ჩაბმულია ამ პროექტში. რაც შეეხება ეკრანს – „ღამის კურიერის“ განახლებულ ვარიანტში წამყვანობას არ აპირებს, სხვა პროექტზე კი ვერაფერს გეტყვით.

— ბოლოს, ორიოდე სიტყვა შენს პირად ცხოვრებაზეც გვითხარი.

– ამ საკითხზე საუბარი არ მიყვარს. ერთს გეტყვი მხოლოდ: მყავს შვილი – ანა-მარია ბურდული...

საუბრის დასასრულ, კვლავ პროფესიონალურ თემას დავუბრუნდით და ნათიამ მითხრა: საქართველოში მასწავლიდნენ, რომ მედიისთვის მთავარი, ინფორმაციაა, ხოლო ბრიტანეთში გვასწავლიდნენ, რომ მედიისთვის მთავარი, ხალხი ყოფილაო: „ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ეხება ხალხს. ვფიქრობ, თუ ქართული ჟურნალისტიკისთვის პრიორიტეტად ხალხი იქცევა, ეს ძალზე კარგი იქნება. ჩემი, როგორც ჟურნალისტის კრედოა: არ დავრჩე ორიენტირებული მხოლოდ სამინისტროს პრესკონფერენციასა თუ ბრიფინგზე და გავიგო, რა ხდება ამ ყველაფრის მიღმა. რომელიღაც სისტემაში მომხდარი რეფორმა მაინტერესებს არა როგორც თავისთავად სიახლე, არამედ იმდენად, თუ რა გავლენა მოახდინა ამან ჩემს მეზობელზე, ირგვლივმყოფებზე, ჩემზე... ვფიქრობ, რომ საქართველოში ნელ-ნელა მივდივართ ამ მიმართულებით და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მე ამ პროცესში მივიღო მონაწილეობა“. ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაიელიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

„აქამდე საქართველოში მაცხოვრის ხატიდან არასოდეს გადმოსულა მირონი...“

მარინა ბაბუნაშვილი

როცა რედაქციაში დაგვირეკეს და გვითხრეს – გლდანში, ერთ-ერთ ოჯახში, მაცხოვრის ხატს მირონი სდისო, – მაშინვე გამოვთქვით სურვილი, გვენახა ეს სასწაული. მას შემდეგ, ხუნდაძეების ოჯახში ხალხმრავლობა არ შეწყვეტილა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ეთერ ლოდია-ხუნდაძეს ხშირად სტუმრობენ ძმა ელგუჯა და რძალი ლია ციგროშვილი-ლოდია. ისინი ოზურგეთის სოფელ კონჭკათიდან არიან. 1995 წელს შეუღლდნენ. ჰყავთ ერთი ვაჟი, შვიდი წლის ლევანი. თუმცა, ბავშვის დაბადებამდე ლიამ რამდენჯერმე დიდი ტკივილი გადაიტანა. სამჯერ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეც მდგარა. დღეს კი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამჯერვე უფალმა იხსნა იგი და შვილიც ღმერთმა შეუნარჩუნა. მძიმე წუთებში მას გამოცხადებაც ჰქონდა – თეთრით მოსილი კაცი ნუგეშს და რჩევას აძლევდა. თუკი ადრე, ლია ციგროშვილი (იგი წარმოშობით დუშელია) უფლის რწმენასა და სიყვარულს ჩვეულებრივზე უფრო ნაკლებად გამოხატავდა, რამდენიმე ხილვა-გამოცხადების შემდეგ, საოცარი განცდა დაეუფლა. იგი თბილისში ხშირად ჩამოდიოდა რძალთან და ქაშუეთის ეკლესიის ერთგული მრევლი გახდა. გამოცხადებების შესახებ მხოლოდ თავის მოძღვარს, მამა დიმიტრი სუხიტაშვილს უამბო, რომელმაც ურჩია, გამუდმებით ემარხულა და ელოცა.

ლია ციგროშვილი-ლოდია

ამ ორი წლის წინ, ლიას სხეულზე ცხრა ჯვარი გამოესახა. ეს მართლაც სასწაული იყო. შუბლზე, მკერდსა და მუცელზე გამოსახული ჯვრები თითქოს ხორცზე ამოეშანთათ – მოწითალო ფერისა იყო, იქიდან კი სითხე სდიოდა. შეშინდნენ ახლობლები. უპირველესად, კვლავ ეკლესიას მიაშურეს. ტაძარში მღვდელმა ათონის მთიდან ჩამოტანილი ზეთი სცხო ბუნებრივად ამოტვიფრულ ჯვრებზე. მოძღვარი იმედოვნებდა, რომ თუკი ყოველივე ეს უფლისგან მოდიოდა, მაშინ ზეთი დადებით შედეგს გამოიღებდა. მართლაც, შეწყდა სითხის დენა, ჯვრებიც გაფერმკრთალდა, მერე კი – გაქრა...

ახლა კი, იმ სასწაულზე მოგითხრობთ, რომელიც მათ ოჯახში (უფრო სწორად, ეთერ ლოდია-ხუნდაძის ოჯახში) მისულებმა ვნახეთ.

ოჯახს ოთახის აღმოსავლეთ კუთხეში პატარა სამლოცველო აქვს მოწყობილი. კედელზე ხატები კიდია, მაგიდაზე კი შანდლები და სანთლები აწყვია. მაცხოვრის ახალშეძენილი ხატი ჯერ კედელზე ეკიდათ, მერე მაგიდაზე დაუბრძანეს და ეკლესიის მსახურთა რჩევით, მის ქვეშ დიდი ლამბაქი დადეს. ლამბაქი ხატიდან გადმოსული მირონით ივსება. ლიას მეუღლემ, ელგუჯამ იქ მისულებს მირონით ჯვარი გამოგვსახა შუბლზე (ესეც მოძღვარს უთქვამს: ვინც თქვენთან მოვა ამ სასწაულის სანახავად, ხატიდან გადმოსული მირონი სცხეთო). მანამდე კი, ერთი კვირის წინ, როცა ლიამ გლდანის ეკლესიაში გოგონა მონათლა, ნათლულს ღვთისმშობლის ხატი აჩუქა, თავისთვის – მაცხოვრისა შეიძინა... თუმცა, ახლა ჯობს, თავად **ლია ციგროშვილი-ლოდიას** მოვუსმინოთ:

– კვირას, 22 თებერვალს მოვნათლე გოგონა. მაცხოვრის ახალშეძენილი ხატი კედელზე დავკიდე. ხუთშაბათს დილით, ჩვეულებისამებრ, ადრე ავდექი, ხატებთან მივედი, სანთელი დავანთე და ვილოცე. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გამოღვიძებული ვიყავი, ცოტა ხანში საოცარი დაღლა ვიგრძენი. მეძინებოდა, თვალები თავისით მეხუჭებოდა. ასე დამემართა ადრეც, როცა გამოცხადება მქონდა. მივხვდი, კვლავ რაღაც მნიშვნელოვანი მელოდა. მართლაც, ღვთისმშობელმა მამცნო: მაცხოვრის ხატს ცრემლი სდის და როგორ ვერ შეამჩნიეთო?.. თურმე, ძილში ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ამიტომ, როგორც კი გამოვფხიზლდი, დავინახე, რომ ჩემი მეუღლე და მული უკვე ხატებთან იდგნენ. მეც მივედი. ხატს სისხლიანი ცრემლი სდიოდა, ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა. ხუთშაბათიდან კი ხატიდან მირონმა დაიწყო დენა. განსაკუთრებით ბევრი, დილით გადმოედინება. ეკლესიიდანაც იყვნენ. მათ მრჩეს, ლამბაქზე დამეგროვებინა მირონი. იმდენი დაგროვდა, რომ ჭურჭელში გადაიღეს და ეკლესიაში წაიღეს.

— ამბობენ, ხატიდან მირონდენა რაღაც განსაცდელს მოასწავებსო. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, შიშით ვუცქიროთ მომავალს?

– ხატიდან მირონის დენა ერთგვარი გაფრთხილებაა უფლისა. აქამდე, არ ყოფილა იმის ფაქტი, რომ საქართველოში მაცხოვრის ხატიდან გადმოსულიყო მირონი. ახლა ესეც მოხდა. ალბათ გახსოვთ, ამ ორი წლის წინ, ლურჯ მონასტერში ღვთისმშობლის ხატს სდიოდა ცრემლები. მერე მიწისძვრა მოხდა, მაგრამ ღვთის შეწევნით გადავრჩით. ახლაც, ეს სასწაული ისე უნდა მივიღოთ, როგორც გაფრთხილება. არა მაქვს უფლება, ყველაფერი განვაცხადო, მაგრამ ერთის უფლებას ვიტოვებ – მოვუწოდო ხალხს, რომ ილოცოს. ყოველდღე ოჯახის თუნდაც ერთმა წევრმა სანთელი დაანთოს და წაიკითხოს „ტროპარი ჯვარისა“ და „ლოცვა ერისა და მამულისათვის“.

— როგორც ვიცი, მალე აპირებთ ოზურგეთში დაბრუნებას. ალბათ, ხატსაც იქ წააბრძანებთ...

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ისე მოვიქცევი, როგორც უფალი მიკარნახებს... ჩვენ გადავრჩებით, თუკი ძალებს მოვიკრებთ და ვიზრუნებთ ერის გამთლიანებისთვის. თუ უფლის გზას დავადგებით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოსაც დავიბრუნებთ და მომავალიც გაგვიბრწყინდება. ■

ლელა ჭანკოტაძე

რა როლი აკისრია პარლამენტის თავმჯდომარეს ანუ არსებობს თუ არა რეალური განხეთქილება?

„ხავერდოვანი რევოლუციით“ მოგვრილი ემოციები დაცხრა და ხალხი უკვე მიმდინარე მოვლენების უემოციოდ და საღად შეფასებას იწყებს. „შესანიშნავი სამეული“, „რევოლუციის ტრიუმვირატი“ ყველა სახელისუფლებო ბერკეტს ფლობს და ძალაუფლების განაწილების პროცესს საზოგადოებისთვის ზედმეტად აფიშირებულსაც კი ხდის. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, სწორედ ძალაუფლების გადანაწილება წარმოქმნის სერიოზულ წინააღმდეგობებს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის. ხომ არ მოხდება ამ პროცესში პარლამენტის თავმჯდომარის უფლებების შეზღუდვა? რატომ ალაპარაკდა ნინო ბურჯანაძე შესაძლო განხეთქილებაზე?..

რამაზ საყვარელიძე:

– პირველობისთვის ბრძოლა პოლიტიკაში ჩვეულებრივი მეთოდია. არ უნდა ვიყოთ ისეთი გულუბრყვილოები, რომ რევოლუციის ლიდერებს შორის განხეთქილება წარმოუდგენლად მივიჩნიოთ. პოლიტიკაში დაპირისპირება სავსებით ბუნებრივი ამბავია. რომ არა დაპირისპირება, არც „ხავერდოვანი რევოლუცია“ მოხდებოდა. ასე რომ, წინააღმდეგობები სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ჟვანიას შორის არც გამკვირვებია და არც მაწუხებს, რადგან არ შეიძლება, რომ ეს წამგებიანი აღმოჩნდეს ქვეყნისთვის. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ კონფლიქტის გაღრმავების საფუძველს ვხედავ.

— მაგრამ განხეთქილებაზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რის საფუძველსაც საარჩევნო სიების ფორმირების პროცესი იძლევა...

– მე მომწონს ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური სტილი. მათ რიგს მივეკუთვნები, ვინც თავის დროზე, პოლიტიკურ ასპარეზზე ნინო ბურჯანაძის წინ წამოწევას მიესალმა, მაგრამ ამჯერად, მას ვერ დავეთანხმები. ერთია, სურვილი და მეორე – რამდენად რეალურია ამ სურვილის ასრულება. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძალა აღმართს ხნავს – ე.ი. იმარჯვებს ის, ვისაც მეტი ძალა აქვს. უფრო გამიკვირდებოდა, კითხვის ნიშნის ქვეშ მიხეილ სააკაშვილის უპირატესობა რომ დამდგარიყო. საბედნიეროდ, არავის უკითხავს, მას მართლა ეკუთვნოდა თუ არა ერთიან სიაში უფრო მეტი ადგილი, ვიდრე ჟვანია-ბურჯანაძეს. ეს პოლიტიკოსები ერთად იყვნენ შებმულები რევოლუციის უღელში. ისინი რევოლუციამ გააერთიანა და არა პროგრამამ. ამიტომ ჩემთვის კარდინალური დაპირისპირებაც არ იქნებოდა გასაკვირი.

— პარლამენტის თავმჯდომარის კვოტა ერთიან სიაში საკმაოდ მოკრძალებულია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პრეზიდენტის სიმპათია პრემიერ-მინისტრისკენ იხრება?

– ვიცი, რომ პრობლემა წარმოიქმნა იმ კანდიდატების გამო, რომელთა სიაში შეყვანაც ნინო ბურჯანაძეს სურდა. ეს რომ ყოფილიყო მხოლოდ ბურჯანაძის სია, პრეტენზიები პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მხრიდან აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ ეს გახლავთ ერთიანი სია, რომელზეც პასუხს სამივე პოლიტიკოსი თანაბრად აგებს. ასე რომ, სიაში ის ადამიანი არ უნდა შეიყვანო, რომელიც დანარჩენ ორს არ მოსწონს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ერთიან სიაში ადგილების ძალზე უმტკივნეულო გადანაწილება მოხდა და ასეთი რამ არც ერთ სხვა ხელისუფლებას არ ახსოვს. მცირედი დაპირისპირებები კი, რაც ამჟამად შეიმჩნევა, პოლიტიკაში სავალდებულოც კია.

რამაზ კლიმიაშვილი:

– სიების გამო უთანხმოება ჩემთვის მოულოდნელი და გასაკვირი არ ყოფილა. დრამატული დასკვნების გამოტანა, გაუმართლებელია, თუმცა, სახელისუფლებო სიები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ცხადია, ერთპარტიულ პარლამენტს მივიღებთ. ისინი, ვინც რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდნენ, ახლა თავიანთი ღვაწლის დაფასებას მოითხოვენ. სულ სხვაა, როგორ წაადგება ჩვენს ქვეყანას რევოლუციური ნიშნით დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანო. ამ თემაზე რევოლუციის ლიდერებს შორის განხეთქილებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევად მეჩვენება, რადგან არც ერთი მათგანი არ არის ისეთი სუსტი პოლიტიკოსი, რომ მომავალი ვერ გათვალოს.

ვასილ მაღლაფერიძე:

– კონფლიქტი ნამდვილად არ მომხდარა. სიების დაკომპლექტების დროს, ქალბატონი ნინოს ინტერესები ნამდვილად არ შეუზღუდავთ. 60% „ნაციონალებს“ უნდა დაეკომპლექტებინათ, 40% კი, ბურჯანაძესა და „გაერთიანებულ დემოკრატებს“ გაეყოთ. სიების შედგენის პროცესი ყოველთვის იწვევს კამათს და რამდენი სუბიექტიც ერთვება ამ პროცესში, იმდენი აზრი ჩნდება. საუბარი იმაზე, რომ ნინო ბურჯანაძის უფლებები შეიზღუდა, მისი ინტერესები დაირღვა და პრეზიდენტის ფავორიტი, ზურაბ ჟვანიაა, უსაფუძვლოდ მიმაჩნია. არ ვფიქრობ, რომ ნინო ბურჯანაძის ოპოზიციაში გადასვლის წინაპირობა არსებობს, თუმცა, პოლიტიკაში პროგნოზების გაკეთება ძნელია.

ჯანსუღ ჩარკვიანი:

– ნინო ბურჯანაძე ჭკვიანი და ნათელი პიროვნებაა. მე მისი მომხრე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები. ვერ ვიჯერებ, რომ ნინო რევოლუციონერია. ამაში ვერავინ დამარწმუნებს. რევოლუციონერები ნინოს სამომავლოდ არავითარ შემთხვევაში არ დაიყენებენ გვერდით. მე ყოველთვის ვემხრობოდი იმ დემოკრატიას, როცა პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, დაეთხოვა პარლამენტი, მაგრამ პარლამენტს ჰქონდა უფლება, პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტი მოეწყო. ეს პარლამენტის თავმჯდომარის უფლებების შეზღუდვაა, აბა, რა არის?! თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მინისტრთა კაბინეტის უფლებებიც შეიზღუდა. ახალი პარლამენტიც ერთპარტიული იქნება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი, ნათლად გამოჩნდება, განხეთქილება არსებობდა თუ არა, ამ სამ პოლიტიკოსს შორის, რადგან ნინო ბურჯანაძეს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებენ. ■

გასულ კვირას კინოთეატრ „რუსთაველში“ ახალგაზრდა მომღერლის ნეკა სებისკვერაძის პირველი კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. იმდენი სტუმარი მოვიდა, რომ კინოთეატრის ორივე სართული გაივსო. ყვავილებით ხელდამშვენებული ნეკა ყველას ბედნიერი სახით ეგებებოდა და ხალისიანად ესაუბრებოდა. ბუნებრივია, პრეზენტაციაზე ვრცელი ინტერვიუს ჩასაწერად ვერ მოიცლიდა და მეორე დღეს, შინ მიგვიწვია, სადაც ყვავილების „ზღვაში“ ჩამალულიყო ჩვეული ბავშვური ღიმილით შემოგვეგება.

„ჟილეტიანი“ ნეკა სებისკვერაძე სნტრ ბზაზე დედამ დაყენა

ნათია ქივიძე

— სიმღერის ავტორი სოფო ტოროშინაძე ჯერ მხოლოდ 14 წლისაა. მისმა პედაგოგმა მანანა მორჩილაძემ დამირეკა და მითხრა, რომ სოფოს ჩემთვის სიმღერა ჰქონდა დაწერილი. ძალიან დავიბენი, რადგან არ ვიცოდი, თუ სოფო სიმღერებს წერდა, თუმცა მას ვიცნობდი. ის და მაკა შუკაკიძე შარშან ჩატარებული ფესტივალის — „ბროლის ნაძვის“ გრან-პრის მფლობელები არიან. იქ გავიცანი და მას შემდეგ კარგი ურთიერთობა გვქონდა. ვიდრე სოფოსთან მივიდოდი, ძალიან ვნერვიულობდი: რომ არ მომეწონოს სიმღერა, ბავშვს უარი როგორ ვუთხრა-მეთქი?! საბედნიეროდ, მომეწონა. ერთ კვირაში ტექსტიც დავწერე. სიმღერის თემად ბავშვობა და ზღაპარი ავირჩიე, რაშიც სოფოს ბავშვურობაც დამეხმარა. ამასთანავე, ჩემი ბავშვობის პერიოდი, რაც „ბროლის ნაძვთან“ მაკავშირებს, იმდენად ლამაზი იყო, რომ მინდოდა, ოდესმე, რაიმე ფორმით გამომეხატა და ახლა ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი. ლევანთან *(ლევან აბულაძე, კლიპის რეჟისორი. — ავტ.)* კი, დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. აქამდე ის კლიპების გადაღების დროს ოპერატორი იყო, თუმცა სარეჟისორო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ეს კლიპი მისთვისაც პირველი იყო, როგორც რეჟისორისთვის. დავუკავშირდი ლევანს და კლიპის იდეა ერთად მოვიფიქრეთ. სიმღერის ჩაწერასაც ესწრებოდა და კადრებზე ფიქრობდა. გადაღებები კინოთეატრ „რუსთაველში“ მიმდინარეობდა. ძირითადად, ღამით ვიღებდით, რაც ჩვენთვის ძალზე დამღლელი იყო. კლიპში მონაწილეთაგან ცნობილი ადამიანები მხოლოდ მოდელი სალომე ღვინიაშვილი და ირაკლი ჩოლოყაშვილი არიან, დანარჩენები — ჩემი მეგობრები, მათ შორის, მერაბ სეფაშვილის ვაჟი — ნიკუშა. მინდოდა, ის ადამიანები, ვინც მიყვარს, ჩემ გვერდით ყოფილიყვნენ. მართლა ძალიან დამეხმარნენ და ნამდვილი მეგობრობა გამიწიეს.

— აღნიშნე, რომ ეს შენი პირველი კლიპია, თუმცა მახსოვს, ადრეც იყო შენი კლიპები...

— მართალია, მაქვს სამი კლიპი, დუეტი კახუჩელასთან, დუეტი ნატო გელაშვილთან და ერთი, სოლო სიმღერაზე გადაღებული კლიპი, რომელიც გუდაურში გადავიღეთ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეს ახალი კლიპი ჩემი პირველი სერიოზული სოლო ნამუშევარია და ამიტომ ვამბობ, რომ პირველია.

— ამ ბოლო დროს, რატომღაც კონცერტებში ხშირად აღარ მონაწილეობ. რა არის ამის მიზეზი?

— ეს ჩემი სტილია *(იცინის)*... სიზარმაცისა და პასიურობის ბრალი არ არის. პირიქით, სულ ვმუშაობ და სულ ძიების პროცესში ვარ. როცა მომღერალს არა აქვს კლიპი, თითქოს არც ჩანს. თანაც, არ ვჩქარობ და არ მინდა, ზედმეტად გამოვჩნდე. დღევანდელ საესტრადო ხელოვნებაშიც ხომ ქაოსური სიტუაციაა, აქედან გამომდინარე, ჩემს საქმეს ვაკეთებ და თავს კარგად ვგრძნობ. არა მაქვს პრეტენზია, რომ ყველგან და ყოველთვის სულ მე ვიყო.

— როგორც გავიგეთ, ისრაელში მიემგზავრები...

— მართალია. სხვათა შორის, ისრაელის ელჩი საქართველოში — რივკა ქოენი კლიპის პრეზენტაციაზეც მობრძანდა. ეს ქალბატონი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჩემ მიმართ. ცოტა ხნის წინ, „მეტეხში“ ისრაელის კულტურის დღეები ჩატარდა და ქალბატონი რივკას მიწვევით, მეც ვმონაწილეობდი ამ კონცერტში. ის დამეხმარა აგრეთვე ჩემი მეორე ალ-

ბომის გამოცემაში. ერთხელ უკვე ვიყავი ისრაელში. იერუსალიმში, „ბენიამინ იომაში“ (ჩვენი ფილარმონიის მსგავსი საკონცერტო დარბაზია) ჩატარდა „ტერორიზმის საწინააღმდეგო აქცია“, რომელშიც ვმონაწილეობდი. მაშინ ბევრი ადამიანი დაინტერესდა ჩემით, უამრავი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ უმეტესი ჩაიშალა, როგორც ხდება ხოლმე. იქვე გავიცანი სოსო მიხელაშვილი, რომელიც ისრაელში ცხოვრობს. სწორედ მისი მიწვევით მივემგზავრებით მე, ლელა წურწუმია, თემურ თათარაშვილი და ვახტანგ ტატიშვილი. ჩვენი კონცერტი ქალაქ აშდოლში გაიმართება.

— როგორც ვიცით, წელს ფესტივალი „ბროლის ნაძვი“ პირველად ჩატარდა შენი ხელმძღვანელობით. როგორ გაართვი თავი შენს ახალ მოვალეობას?

— ეს ფესტივალი ბორჯომში 1994 წლიდან ტარდება. იმ წელსვე ვიყავი მისი მონაწილეცა და გამარჯვებულიც. მას შემდეგ, ხან ჟიურის წევრი ვიყავი, ხან ფესტივალის წამყვანი — მოკლედ, ყოველ წელს აქტიურად ვმუშაობდი. წელს, ბავშვთა ფედერაციის პრეზიდენტმა კობა გელაშვილმა რომ დამირეკა და მაცნობა, რომ ამ ფესტივალის ხელმძღვანელი ვიქნებოდი, შოკში ჩავვარდი. არანორმალურად კარგი მოგონებები მაკავშირებს „ბროლის ნაძვთან“. ამ შემოთავაზებით მომეცა შანსი, ისეთივე კარგი მოსაგონარი დავუტოვო სხვა ბავშვებს. წლევანდელმა ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. 13-კაციანი ჟიური გვყავდა, რომლის თავმჯდომარეც მერაბ სეფაშვილი გახლდათ. ფესტივალი ძალზე ობიექტურად ჩატარდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, არც ერთ კანდიდატს არ გადაეცა გრან-პრი. ბავშვებს სულ ვეუბნებოდი — მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება-მეთქი...

— ცოტა ნაადრევად ხომ არ მოირგე საქმიანი ქალის იმიჯი?

— ასეთი „ჟილკიანი“ ვარ ბავშვობიდან. ნაადრევად არ მეჩვენება, რადგან პატარაობიდან ამ სფეროში ვარ, ამ საქმის „შიდასამზარეულო“ ვიცი და ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემი საქმე სხვამ აკეთოს. ამდენი წელია, ვმღერი, მაგრამ პროდიუსერი არა მყავს. რომც მყავდეს, ალბათ მის საქმესაც თავადვე გავაკეთებდი... მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. ძალზე დამღლელია, მაგრამ როცა შენი საყვარელი საქმისთვის ირჯები, სასიამოვნოა.

— პროფესიით ჟურნალისტი ხარ. ამ საქმიანობისთვის თუ გრჩება დრო?

— ყველაზე დიდი პრაქტიკა ის არის, რომ ურთიერთობა სულ ჟურნალისტებთან მაქვს. ოთხი-ხუთი თვის მანძილზე, გაზეთ „ახალ დვრიტაში“ ვმუშაობდი, რომელიც დაიხურა, მგონი რევოლუციას შეეწირა. კოლეგებთან ინტერვიუზე წასვლაც მიხდებოდა და ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ჯერჯერობით, ამ სფეროში სერიოზულს არაფერს ვგეგმავ, თუმცა მინდა, რაიმე გავაკეთო, რადგან საინტერესო პროფესიაა.

— შენი თაობის სხვა მომღერლებისგან განსხვავებით, უფრო, ასე ვთქვათ, გაწონასწორებული სტილის მიმდევარი ხარ. ვინ გიბიძგა, რომ ამ მიმართულებით წასულიყავი?

— დედამ. ჩემს ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული იყო ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართ. ჩემი რეპერტუარიც სულ კლასიკოსი ქართველი კომპოზიტორების სიმღერებისგან შედგებოდა, რისი წყალობითაც დიდი სკოლა გავიარე. ალბათ დედა არ ცდებოდა და სწორ გზაზე დამაყენა, რადგან ის სიმღერები რომ არ შემესრულებინა, ალბათ ამ თანამედროვესაც ვერ ვიმღერებდი. ვცდილობ, ჩემი თანამედროვე სიმღერებიც ხარისხიანი, მელოდიური იყოს და არა ორაკორდიანი. მუსიკაში მელოდიკა ძალიან მიყვარს და მას ვერ ვუღალატებ.

■

ნორვეგიიდან ჩამოსული ქართველი მუზეუმიერ ქალაქში მუნიციპალურად მოკლეს

პროკურატურის ინფორმაციით, იგი ქურდული ტრადიციების მიმდევარი თანამემამულეების მსხვერპლი გახდა

37 წლის რომან საბანაძე ნორვეგიიდან ერთი დღის ჩამოსული იყო საქართველოში, როცა ქართველმა კრიმინალებმა ტელეფონით დაურეკეს და ფულის „შეწერვა“ დაუპირეს. მეორე დღეს, ქურდული ტრადიციების მიმდევარმა თანამოქალაქეებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. როგორც ირკვევა, ფულის გადახდაზე უარის თქმის გამო, საბანაძეს ე.წ. საქმის გარჩევა მოუწყვეს და შემდეგ გულმკერდის არეში დანა ჩაარტყეს.

მკვლელობის ფაქტზე პროკურატურაში იმავე დღეს, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიღებული შეტყობინების თანახმად, შემთხვევა ხაშურის ერთ-ერთ პარკში საღამოს, დაახლოებით 6 საათზე მოხდა. დანაშაულის ფაქტს შემთხვევით გამვლელი მოქალაქეები შეესწრნენ. ჯერ კიდევ არ იყო შებინდებული და ამიტომაც კარგად გაარჩიეს, თუ რა მოხდა. სწორედ თვითმხილველთა ჩვენებების წყალობით გახდა ცნობილი, რომ საბანაძე ახალგაზრდა კაცებმა ავტომანქანაში სცემეს, შემდეგ დაჭრილი, გადააგდეს, თავად კი, იმავე მანქანით მიიმალნენ. საბანაძე დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო იყო და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

„რამდენიმე დღეში, ისევ ნორვეგიაში უნდა დაბრუნებულიყო, რადგან იქ ცხოვრობდა და მუშაობდა. მარტო არ ჩამოსულა, თან ახლდა თავისი ნორვეგიელი კოლეგა – ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი. იმ დღეს, დილიდან, სტუმარს ღირსშესანიშნავ ადგილებს ვათვალიერებინებდით, შინ რომ დავბრუნდით, სუფრაც გაიშალა. სუფრაზე რაღაც დაგვაკლდა და რომანმა თქვა – მაღაზიაში პროდუქტის საყიდლად მე წავალო. ჩემი ავტომანქანით წავიდა“, – იხსენებს მოკლულის სიძე.

ბოროტმოქმედები საბანაძეს სწორედ მაშინ აედევნნენ, როცა ის მაღაზიიდან გამოდიოდა. პროკურატურის ინფორმაციით, ისინი ხაშურელები – 1971 წელს დაბადებული, წარსულში ბანდიტიზმისთვის ნასამართლევი ვლადიმერ გიორგაძე და 1970 წელს დაბადებული, ხულიგნობისა და ნარკომანიისთვის ნასამართლევი დავით არჯევანიძე გახლდნენ. გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ ციხიდან ახალგამოსული გიორგაძე კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტად და ქურდული ტრადიციების მიმდევრად ასახელებდა თავს და მიაჩნდა, რომ მისდამი პატივისცემის ნიშნად, თუკი მოითხოვდა, მისთვის ფული უნდა გადაეხადა ნებისმიერს, ვისაც ხელს დაადებდა. ამჯერად, ეს რომან საბანაძე აღმოჩნდა. ბრალდების თანახმად, გიორგაძემ ჩათვალა, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ საბანაძეს უეჭველად ექნებოდა თან გარკვეული თანხა და გადაწყვიტა, ეს შანსი ხელიდან არ გაეშვა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გიორგაძემ და არჯევანიძემ მკვლელობის წინაღამეს დაურეკეს საბანაძეს და 800 დოლარის გადახდა მოსთხოვეს. უარი რომ მიიღეს, გადაწყვიტეს, პირისპირ დალაპარაკებოდნენ. მეორე დღეს – 2003 წლის 22 მაისს, ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „გიოსთან“ შენიშნეს თუ არა იგი, შემთხვევით ისარგებლეს და მაშინვე, თვითნებურად ჩაუსხდნენ ავტომანქანაში. გიორგაძე წინ დაჯდა, არჯევანიძე – უკან. დასახელებულ თანხასთან დაკავშირებით მათ კამათი დაიწყეს. როცა მიხვდნენ, რომ საბანაძე გიორგაძის არც წარსულს ითვალისწინებდა და არც მის ქურდულ ორიენტაციას აქცევდა ყურადღებას, ძალადობას მიმართეს. იმდენად ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ შესაძლებელი იყო, ქუჩაში გამვლელებსაც გაეგონათ მათი ლაპარაკი, ამიტომაც საბანაძეს მოსთხოვეს, საკაძის ქუჩაზე მდებარე პარკის მიმართულებით წასულიყო.

მანქანის გაჩერებისთანავე, ბოროტმოქმედებმა ფული კატეგორიულად მოითხოვეს, თუმცა ამჯერად, თანხა 200 დოლარამდე შეამცირეს. საბანაძე ვერც ამაზე დაითანხმეს. მაშინ უთხრეს, რომ ფულის ნაცვლად, ავტომანქანას წაიყვანდნენ. მათი თავიდან მოშორების მიზნით, საბანაძემ მანქანა დაძრა, უნდოდა, პარკიდან გამოსულიყო – ალბათ, უფრო უსაფრთხო ადგილას, – მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ბოროტმოქმედებმა საჭეს ხელი ჩაავლეს, საბანაძეს სახეში მუშტები დაუშინეს და მანქანის გაჩერება აიძულეს. არჯევანიძემ მას უკნიდან მოხვია ხელები და ამგვარად, განძრევის საშუალება არ მისცა; ამ დროს, გიორგაძემ ჯიბიდან დანა ამოიღო და როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, მოკვლის მიზნით, გულმკერდის არეში, მარცხენა მხარეს ჩაარტყა საბანაძეს. ამ უკანასკნელმა მაშინვე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ბოროტმოქმედებმა იფიქრეს, რომ უკვე მკვდარი იყო და შეეცადნენ, იგი წინა სავარძლიდან უკანა სავარძელზე გადაეყვანათ. გადაწყვეტილი ჰქონდათ, მანქანა გაეტაცებინათ, გვამი კი, უკაცრიელ ადგილას დაეტოვებინათ. სწორედ ამ მომენტში, საბანაძე გონზე მოვიდა და კვლავ სცადა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ყოველივე ეს პარკში შემთხვევით მყოფმა მოქალაქეებმა შენიშნეს და მაშინვე ავტომანქანისკენ გაემართნენ. ატყდა ხმაური. გიორგაძე და არჯევანიძე შეშინდნენ, დაჭრილი იქვე მიატოვეს, მანქანა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მათ დაბა სურამის მიმართულებით, ცენტრალური მაგისტრალისკენ აიღეს გეზი. უნდოდათ, შემოვლითი გზებით მიელწიათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრამ-

დე, ისე, რომ სამართალდამცავებს არ ჩავარდნოდნენ ხელში, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. იძულებულები გახდნენ, დროებით, გიორგაძის ნათესავის ოჯახისთვის შეეფარებინათ თავი. ამ ოჯახის წევრებს მომხდარის შესახებ არაფერი უთხრეს.

ბრალდების თანახმად, რამდენიმე დღეში, მათ მორიგი დანაშაული ჩაიდინეს.

2003 წლის 8 ივნისს, სამტრედიაში ყოფნისას, გიორგაძე და არჯევანიძე დაუკავშირდნენ ალექსანდრე (აკაკი) კაკაბაძეს, იური ანდრიაძესა და არასრულწლოვან ხვიჩა არველაძეს. აღსანიშნავია, რომ იური ანდრიაძე შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე გახდა სრულწლოვანი. ხვიჩა არველაძემ მათ თავისი მეზობლის – თამაზ ჯანჯღავას ოჯახის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა: მისი თქმით, ჯანჯღავები შეძლებულები იყვნენ. მანვე მოამარაგა ბოროტმოქმედები ოთხი ნიღბით, ორი დანით და სამი გადაჭრილი, გლუვლულიანი თოფით. თუმცა ამას პროკურატურა ირწმუნება, თავად არველაძე კატეგორიულად უარყოფს და წინასწარი გამოძიებისას მიცემულ აღიარებით ჩვენებას კი, რომელიც საქმის მასალებში დევს, პოლიციის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით ხსნის. აღნიშნულ ჩვენებაში არველაძე წერს, რომ 2003 წლის 31 მაისს, ტოტალიზატორ „ბუმერანგში“ შეხვდა კაკაბაძესა და ანდრიაძეს, რომელთაც ჰკითხეს, თუ ვის ექნებოდა ფული, რომ გაეძარცვათ. მან ჯანჯღავას ოჯახზე მიუთითა, აჩვენა კიდეც მისი სახლი, რის შემდეგაც, ერთმანეთს სამტრედიის პარკში შეხვდნენ; იქ გიორგაძემ, არჯევანიძემ და ანდრიაძემ მას ფუთა გადასცეს, რომელშიც იარაღი და ნიღბები იყო ჩაწყობილი; ფუთა ჯანჯღავების სახლთან, წინასწარ დათქმულ ადგილას უნდა დაედო. არველაძე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ასეც მოიქცა, შემდეგ კი, შინ დაბრუნდა და იქიდან დაინახა, თუ როგორ შევიდნენ გიორგაძე, არჯევანიძე და ანდრიაძე ჯანჯღავების სახლში.

მადონა ელიაური, არველაძის ადვოკატი:

„ხვიჩა არველაძეს მომხდარ ფაქტთან არანაირი კავშირი არა აქვს. მისი დაკავებისას, პოლიციელებმა კანონით გათვალისწინებული არც ერთი წესი არ დაიცვეს. სასტიკად სცემეს, რისი დამადასტურებელი საბუთებიც საქმეში დევს. პროკურატურაში არაფრად ჩაგდეს ის ფაქტი, რომ არველაძე არასრულწლოვანი იყო და მის დაკითხვას პედაგოგი არ დაესწრეს. ცემის შედეგად კი, იმდენი მოახერხეს, რომ აღიარებით ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. არველაძის ის ჩვენება, რომელიც საბრალდებო დასკვნაშია მოყვანილი, სიმართლეს არ შეესაბამება. მიუხედავად ამისა, პროკურატურა მას მტკიცებულებად მიიჩნევს. თუმცა, ეს ბრალის დასადასტურებლად საკმარისი არ არის. განსასჯელები, რომლებიც ჯანჯღავების ოჯახის დაყაჩაღებას აღიარებენ, არველაძეს არ ასახელებენ“.

გამოძიების მასალების თანახმად, ბოროტმოქმედებმა ჯანჯღავების ოჯახიდან 600 ლარი, 400 დოლარი და საოჯახო ნივთები გაიტაცეს. გიორგაძემ თამაზ ჯანჯღავას სხეულის დაზიანებაც მიაყენა, თუმცა – მსუბუქი ხარისხის. თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს, მაგრამ მეორე დღეს, გამთენიისას, პოლიციამ ისინი დააკავა. მიმალვა მხოლოდ კაკაბაძემ მოახერხა.

ეკატერინე სეფიაშვილი, ანდრიაძის ადვოკატი:

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ყაჩაღურ თავდასხმას აღიარებს და თავს დამნაშავედ ცნობს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენისას, ცეცხლსასროლი იარაღი მას არ ჰქონია. ბრალდების მხარეს, აღნიშნული მუხლის გარდა, სამოქალაქო სარჩელის საკითხშიც ვეწინააღმდეგებით. სარჩელი ღიად უნდა დარჩეს, რადგან სათანადო მტკიცებულება არ არსებობს. ჯანჯღავების ოჯახიდან გატაცებული 3.900 დოლარის ნაქურდალი არსად ჩანს. პოლიციამ ყველანი მეორე დილით დააკავა. საქმის მასალების თანახმად, სახლში, სადაც ისინი დააკავეს, ვერაფერი იპოვეს. ღამით ფეხი არსად გაუდგამთ და ნაქურდალი სად უნდა წაეღოთ? ანდრიაძე ეჭვობს, რომ გატაცებული ფული და ნივთები პოლიციელებმა იპოვეს, მაგრამ განგებ არ გამოაჩინეს და მითვისეს“.

წინასწარი გამოძიებისას, ისევე, როგორც სასამართლოში, **ვლადიმერ გიორგაძემაც** აღიარა ყაჩაღობა. *„მე და ანდრიაძეს თანხა შემოგველია და გადავწყვიტეთ, ფული გვეშოვა“,* – აღნიშნა მან ჩვენების მიცემისას. ხოლო რაც შეეხება ხაშურში მომხდარ მკვლელობას, მასში თავი დამნაშავედ არ ცნო. ჯერ კიდევ პროკურატურაში დაკითხვისას განაცხადა, რომ იმ დღეს, დანა საბანაძეს ჰქონდა, ჩხუბის დროს, იგი თავისსავე დანაზე დაეცა და სასიკვდილო ჭრილობაც ასე მიიღო. სასამართლოში გიორგაძემ ჩვენება უფრო დაკონკრეტა: *„საბანაძეს ჩემთვის 200 დოლარი ვალი უნდა გადაეხადა. ამ თანხის გამო წავკამათდით, ამ დროს მე ავტომანქანიდან გადასული ვიყავი და მძღოლის მხარეს, კართან ახლოს ვიდექი. უცებ შევნიშნე, რომ საბანაძე, რომელიც საჭესთან იჯდა, მანქანიდან გადმოსვლას აპირებდა, ხელში კი დანა ეკავა. არ შეიძლებოდა, ჩვენ შორის დავა დანით გადაწყვეტილიყო, რადგან მეგობრები ვიყავით. ამიტომაც გავბრაზდი, მისი შეკავება ვცადე და ამ მიზნით, ვიდრე გადმოვიდოდა, ავტომანქანის კარს ფეხი ვკარი და მივუხურე. კარი საბანაძეს მოხვდა და ალბათ, სწორედ ამ დროს შეერჭო დანა სხეულში. მე ეს მომენტი არ დამფიქსირება, მაგრამ როცა მანქანაში შევიხედე, ვნახე, რომ იგი დასისხლიანებული იყო“.*

გიორგაძე მოქალაქეებისგან და კერძოდ, საბანაძისგან ფულის გამოძალვის ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფს. მის ადვოკატს კი, ბრალდების უარსაყოფად, ასეთი არგუმენტი მოჰყავს: *„მაშინ, როცა მკვლელობა მოხდა, ვლადიმერ გიორგაძე სულ რაღაც ერთი თვის გამოსული გახლდათ ციხიდან. იგი ქსნის კოლონიაში იხდიდა სასჯელს; მის გათავისუფლებას კი, მამის გარდაცვალება დაემთხვა. გიორგაძე მაშინვე ოჯახური საქმეებით დაკავდა, გასვენებისა თუ ორმოცის საკითხებს აგვარებდა, ასე რომ, ელემენტარულად, იმის დრო არ ჰქონდა, რომ ვინმესთვის ფული გამოეძალა...“*

გიორგაძესა და საბანაძეს შორის ახლო მეგობრობასა და ვალის არსებობას დაზარალებულის მხარე უარყოფს. მოკლულის ნათესავები ამბობენ, რომ ისინი ერთმანეთს უბრალოდ იცნობდნენ, რადგან ორივენი ხაშურელები იყვნენ. მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, მათ პროკურატურისგან განსხვავებული ვერსია აქვთ. მათი თქმით, ავტომანქანაში საბანაძეს, გიორგაძისა და არჯევანიძის გარდა, სავარაუდოდ, სხვა ბოროტმოქმედებიც ჩაუსხდნენ. მომხდარ მკვლელობაში დაზარალებულის მხარე ერთ-ერთ მეზობელ ოჯახს ადანაშაულებს.

გიორგი საბანაძე, მოკლულის მამა:

„დაახლოებით 15 წლის წინ, ჩვენმა მეზობელმა – ახალგაზრდა ბიჭმა სურამში მთელი ოჯახი ამოხოცა. როგორც ამბობენ, ასე პირადი ანგარიშსწორების გამო მოიქცა. იმ ოჯახში მისი და გახლდათ გათხოვილი. ერთხელ დედამ უთხრა, რომ მის დას იქ ცუდად ექცეოდნენ. ეს დამაც დაუდასტურა და წააქეზა, პასუხი მოეთხოვა. ეს ბიჭი მხედრიონელი იყო. გაბრაზებულმა, თავისი ავტომატი აიღო და სიძის ოჯახში ანგარიშის გასასწორებლად წავიდა. ვინც კი შინ დახვდა, ყველა ერთიანად ჩაცხრილა. ამის გამო დააპატიმრეს, თუმცა უმკაცრეს სასჯელს როგორღაც გადაარჩინეს. სასჯელს სწორედ იმ ციხეში იხდიდა, სადაც წინათ ჩადენილი დანაშაულების გამო, გიორგაძე და არჯევანიძე მოხვდნენ. იქ ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

მხედრიონელის და, რატომღაც ჩემს შვილზე გაბრაზებული იყო. შურის საძიებლად, თავის ძმას უთხრა – რომან საბანაძეს ჩემი ვალი აქვს და არ მიბრუნებსო. ფაქტობრივად, მან დაუკვეთა გიორგაძესა და მის თანამზრახველებს რომასგან ფულის გამოძალვა.

მკვლელობის წინაღამეს, ჩემს შვილს დაურეკეს. რომა აღშფოთდა და საკმაოდ მკაცრი ტონით შეეპასუხა მათ. ფულის გამოძალვას მისგან ვერ მოახერხებდნენ, ამას მიხვდნენ და მანქანის გატაცება სცადეს. წინააღმდეგობა რომ შეხვდათ, მკვლელობასაც არ მოერიდნენ. ზემოთ ხსენებული ვერსიის შესახებ თავის დროზე, გამომძიებელსაც ვუთხარი, მაგრამ სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა, ალბათ იმის გამო, რომ საქმის ძიებაში იმ მეზობლების ნათესავი გამომძიებელი იყო ჩართული და ყველაფერი იღონა, რათა ყოფილი მხედრიონელის – მძიმე დანაშაულისთვის ერთხელ უკვე ნასამართლევის გვარი საქმის მასალებში არ გამოჩენილიყო. იმედია, ამ ვერსიას სასამართლოში მაინც მიიღებენ მხედველობაში. დანამდვილებით ვიცი, რომ დანაშაულში მარტო გიორგაძე და არჯევანიძე არ არიან გარეულნი. არსებობენ მოწმეები, რომელთა თქმით, ავტომანქანაში, ჩემი შვილის გარდა, ოთხი ადამიანი იჯდა – ერთი სცემდა მას, დანარჩენები კი, აკვებდნენო. ლოგიკურიცაა, რადგან მარტო არჯევანიძე ჩემი შვილის დაკავებას ვერ შეძლებდა. რომა ფიზიკურად გაცილებით ღონიერი იყო და წინააღმდეგობის გაწევას ადვილად მოახერხებდა“.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოში ყველა მოწმე ჯერჯერობით არ დაკითხულა. დაზარალებულის მხარე ბრალდების მოწმეებზე მუქარისა და ზეწოლის ფაქტებზე საუბრობს. განსასჯელების ადვოკატები ამას კატეგორიულად უარყოფენ.

■

22 წლის ახალგაზრდას სამი ადამიანის მკვლელობაში ადანაშაულებენ

სასამართლო განსასჯელის ფსიქიკური მდგომარეობით დაინტერესდა

22 წლის ხვიჩა დემინაშვილს პროკურატურა სამი ადამიანის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს. მათგან ორი, სამართალდამცავთა თქმით, დემინაშვილს განსაკუთრებული სისასტიკით ჰყავს მოკლული.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, პირველი დანაშაული მან 2002 წლის 24 დეკემბერს, დაახლოებით დღის 2 საათზე ჩაიდინა. მაშინ ის გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში, გიგო კანაშვილის ოჯახში იმყოფებოდა სტუმრად. როცა მასპინძელი სახლიდან აცილებდა, დემინაშვილი უმიზეზოდ აუხირდა და ჩხუბი დაუწყო. ხმაურსა და ყვირილზე ქუჩაში სხვებიც გამოვიდნენ, მათ შორის, კანაშვილის ცოლ-შვილიც. დემინაშვილის დაწყნარება ვერავინ შეძლო. ამ დროს მან უკანონოდ შეძენილი „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ამოიღო და მასპინძელი, ცოლ-შვილის თვალწინ მოკლა, თავად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ კი, მეორე მკვლელობა ჩაიდინა.

თბილისში, 2003 წლის პირველ იანვარს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, დემინაშვილი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობდა და სრულიად უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. მიკროავტობუსში ასული დემინაშვილი მისთვის უცნობ ახალგაზრდა მამაკაცს – გიორგი მირიანაშვილს მიუჯდა გვერდით. რამდენიმე წუთში კი, სრულიად უმიზეზოდ, უხეშად მიმართა მას და სხვა მგზავრების თანდასწრებით, სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. თავმოყვარეობაშელახულმა მირიანაშვილმა მისგან ასეთი საქციელი იწყინა და სიტყვა შეუბრუნა. ამას მათ შორის ჩხუბი მოჰყვა. დემინაშვილმა არც ამჯერად დააყოვნა, ჯიბიდან დანა ამოიღო და მირიანაშვილს სხეულში ჩაარტყა. სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

აღნიშნული დანაშაულებისთვის ძებნაში მყოფმა დემინაშვილმა მესამე მკვლელობა 2003 წლის 3 მაისს ჩაიდინა. იმ დღეს, მან პოლიციის აკადემიის მე-4 კურსის კურსანტი – შალვა წითელაშვილი თავისივე საცხოვრებელ სახლთან ახლოს მოკლა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, დემინაშვილი და წითელაშვილი ერთმანეთს ადრეც იცნობდნენ, შელაპარაკება კი, მეგობარი გოგონას გამო მოუხდათ. წითელაშვილს ამ გოგონასთან რომანი ჰქონდა. ერთხელ მან შეიტყო, რომ დემინაშვილმა გოგონასთან ინტიმური კავშირი დაამყარა. გაბრაზებულმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ენახა იგი და გაერკვია, თუ რატომ მოიქცა ასე. სამწუხაროდ, მათ შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკება კურსანტის სადისტური მკვლელობით დასრულდა. დემინაშვილმა მას დანით მძიმე ხარისხის 22 ჭრილობა მიაყენა.

ბრალდებულმა ორი დანაშაული აღიარა. მან მხოლოდ მირიანაშვილის მკვლელობაში არ ცნო თავი დამნაშავედ.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაეცა, თუმცა მასალების შესწავლის შემდეგ, მოსამართლეებმა იგი კვლავ პროკურატურას დაუბრუნეს. აღმოჩნდა, რომ გამოძიება არასრულყოფილად და მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო ჩატარებული. დამატებით ძიებაში საქმის დაბრუნების მოთხოვნით განჩინება თავდაპირველად, სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე – თამაზ ილიაშვილი) გამოიტანა. განჩინება ბრალდების მხარემ გაასაჩივრა, მაგრამ საკასაციო პალატამ იგი ძალაში დატოვა.

განჩინების თანახმად, ყველაზე დიდი დარღვევა პროკურატურამ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით დაუშვა. გაირკვა, რომ წინასწარი გამოძიება დემინაშვილის პიროვნებითა და მისი ფსიქიკური ჯანმრთელობით არც დაინტერესებულა, მაშინ, როცა ბრალდებულმა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, სამი სადისტური მკვლელობა ჩაიდინა. მიუხედავად ამისა, არ დანიშნულა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. საქმის მასალებით ისიც ირკვევა, რომ გამომძიებელს ამ საკითხთან დაკავშირებით არც ბრალდებულის ოჯახის წევრები დაუკითხავს. თავად დემინაშვილი კი აცხადებს, რომ ფსიქიკური მოშლილობის გამო იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში არ მიიღეს. მისი თქმით, სამხედრო კომისიამ ჯარში მის გაწვევაზე უარი განაცხადა. დემინაშვილმა, როგორც თავად ირწმუნება, ამის შესახებ გამომძიებელს უთხრა, თუმცა, პროკურატურის მხრიდან ამ ფაქტს სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. სამხედრო გამწვევი კომისიის დიაგნოზით არავინ დაინტერესებულა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროკურატურამ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად სათანადო მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს, ექსპერტიზა კი დაადგენს, იყო თუ არა შერაცხადი დემინაშვილი დანაშაულების ჩადენის დროს.

■

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

®

„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, „შავი პრინცი“ — იგივე აკაკი ბაბუნაშვილი გახლდათ. უამრავი ნაცნობი თუ უცნობი გოგონა გამოეხმაურა აკაკის, მაგრამ ვიდრე მკითხველთა „მესიჯებს“ გაგაცნობთ, საინტერესო ამბავი უნდა შეგატყობინოთ: მომღერლის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა გოგონამ მის სახელზე ასეთი „მესიჯი“ გამოგზავნა: „ჩემი ოცნების პრინცი ხარ. ველი იმ დღეს, როცა შენს თვალებში ჩემს თავს დავინახავ. ნინო“. აღმოჩნდა, რომ ნინოს, ტელეფონზე აკრეფილი „მესიჯის“ ტექსტი შეცდომით სხვა ნომერზე გაუგზავნია (ერთი ციფრი შეშლია); იმ ნომრის მფლობელი მამაკაცი აღმოჩნდა და ნინომ მისი სახით თაყვანისმცემელი შეიძინა. ამის შესახებ თავად ნინოსგან შევიტყვე და შემპირდა, რომ მათი ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას უეჭველად მოგვაწვდის... ახლა კი, აკაკი ბაბუნაშვილის სახელზე მოსულ „მესიჯებს“ გაგაცნობთ.

„ვფიქრობ, სიზმარში მე მნახე... მეუბნებიან, მონიკა ბელუჩის ვგავარ...“

მარი ჯაფარიძე

„აკაკი, ყველა თავისი ნაკლით, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ეს თვითონაც კარგად იცის. ჩემი ცხოვრების ინტერესია და იქნება კიდეც სიცოცხლის ბოლომდე. აკაკი, მიყვარხარ“.

„დღეს თუ არ შემშლის და უშენობას დღეს თუკი ვძლიე, მალე მე თვითონ მოვალ და გეტყვი, რომ მენატრები ყველაზე ძლიერ.“ ძალიან მიყვარს „შავი პრინცი“. მასთან შეხვედრა და საუბარი მინდა. ნია“.

„მუდამ შენ ირგვლივ ტრიალებს ჩემი ფიქრები და რომ მიყვარდე, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?“

„შეიქმნება აზრები და ფიქრები და ამინდიც ბევრჯერ გამოიცვლება, შენ კი მუდამ მშვენერი იქნები, დავიწყება შენი არ შეიძლება. მირანდა, ბათუმი“.

„შენ შეიძლება, შეგიყვაროს ჩემზე ლამაზმა, მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე ლამაზად“.

„შენ აქ ხარ და მეცოდები, თორემ, მე რა მინდა ამ უდაბურ მიწაზე? ძალიან გეხერხება, ქალებისთვის თავის შეყვარება?“

„აკაკი, ძალიან მინდა შენი გაცნობა. ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ. გელოდები, ნათია“.

„აკაკი, ვფიქრობ, მე მნახე სიზმარში, თითქმის ისეთი ვარ, როგორც შენ აღწერ სიზმარში ნანახ გოგონას: შავი, დიდრონი თვალებით, გრძელი, სწორი თმით, ტუჩები — საშუალო. როგორც მეუბნებიან, მონიკა ბელუჩის ვგავარ“.

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“

„შენი თვალები, ტუჩები... რატომ არ აქცევ ყურადღებას იმ ხალხს, ვისაც უყვარხარ და სიცოცხლესაც კი გაიღებს იმისთვის, რომ ბედნიერი იყო. მე კი შენ სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები“.

„ადრე „შავი პრინცი“ არ მომწონდა. ახლა, მისი ინტერვიუ რომ წავიკითხე, ძალიან მომეწონა. აზრი სულ საპირისპიროდ შემეცვალა. სალომე“.

„მარი, რა მაგარი „სასიძო“ გაგვიჩალიჩე! „შავო პრინცო“, მაგარი ტიპი ხარ. შენს სიმღერებზე ვგიჟდები. შენი ფანი ყოველითვს ვიქნები. გისურვებ წარმატებებს. ნინო, ზუგდიდი“.

„აკაკი, მე შენ გიცნობ. შენს მეგობართან, ნიკასთან (ბუაჩიძის ქუჩაზე რომ ცხოვრობს) განახე. მაგარი მასტი ხარ. ნია“.

„აკაკი, შენ ისეთი ადამიანების რიგს ეკუთვნი, ვინც თავისი შექმნილი, არაორდინარული პრინციპებით ცხოვრობს. მე ჩემი „შავი პრინცი“ უკვე მყავს. შენ კი, სიზმრის ახდენას გისურვებ. ნიცა“.

„აკაკი აზიატი ყოფილა. მე კი სულ სხვანაირი მეგონა. „მაგარი“ არ „დამევასა“. ნანა, ბათუმი“.

„თქვენ ვერ წარმოიდგენთ,რა კარგი ტიპი იყო „შურიკა“ *(აკაკის ბავშვობის მეტსახელია. — ავტ.)*, როცა 15-16 წლის წინ, კინო „ქუთაისთან“ დისკოთეკებს აწყობდა და „ბრეიკდანსს“ ცეკვავდა. ეჰ, ნეტავ იმ დროს! მაკა, ქუთაისი“.

„მე მინდა, შენ რომ გაგიმეორო, მე მუღამი მაქვს შენი და უნდა მოგეფერო, მოდი, ჰო, მოდი ჩემთან, ჩემო ბიჭო, თუ არა და მაინც უნდა გავაბოლო. ანა ჯიბუტი“.

„მინდა, „შავ პრინცს“ ვუთხრა — მეამაყება, რომ ქუთაისელია. ბევრჯერ მქონდა მისი გაცნობის შესაძლებლობა, მაგრამ ჩემი სიმორცხვის გამო, ავტოგრაფის გამორთმევაც ვერ გავბედე. კინაღამ გავგიჟდი, მერიის წინ, ჩემ გვერდით რომ იდექი და რაღაცას ეძებდი. ბევრჯერ ავიარ-ჩავიარე, შენ რომ დაგენახე“.

„ყოველდღე გივიწყებ, ყოველდღე მახსენდები, ყოველდღე გხედავ და მაინც მენატრები, ყოველდღე ფიქრებში სიყვარულს გეფიცები, მუდამ მეყვარები, შენს თავს გეფიცები“.

„აკაკი, გახსოვს, ქობულეთში, ბარში, ჩემთან რომ მოხვედი და ჩემს მაგიდასთან დაჯდომის სურვილი გამოთქვი? მაშინ ვერ გიცანი. უარი გითხარი. მერე ვიღაც გოგომ მითხრა — შენ აზრზე ხარ, ვის უთხარი უარიო?!.. ძალიან ვინანე, მაგრამ გვიანი იყო“.

„აკი, შენ ხომ გიყვარს, ასე რომ მოგმართავ. ხომ იცი, რომ შენი ფანჯრიდან, რომელიც კი არ გაიღო, შენ თვითონ დატოვე ღია, მე გადმოვედი. აბა, თუ მიცნობ? ხომ იცი, დღემდე „ვეცემი“ შენზე. შენი თეთრი ცუგრია“.

„შავო პრინცო“, მინდა, გითხრა, რომ მაგარი „დაცემა კაცი“ ხარ. ცოტა „ბებერიც“ ყოფილხარ, მაგრამ რადგან ქუთაისელი ხარ, კაი ტიპი იქნები. თუ გინდა, დამირეკე და მაგარ რაცხას გეტყვი. მარი“.

„მარი, ნაღდად არ მეგონა, „შავი პრინცი“ ამხელა ასაკის თუ იყო. მიაწექი პირველ ჩვენებას, 20 წლის ბიჭივით გამოიყურები. ნინო“.

„აკაკი, მშურს იმ ქალის, ვინც შენი მეორე ნახევარი იქნება. ცისფერთვალა თამუნა“.

„სამი რამ მინდა არსებობისთვის — მზე, მთვარე და შენ. მზე — დღისთვის, მთვარე — ღამისთვის და შენ — ჩემი სიცოცხლისთვის. კაკის ბიბისგან“.

■

უამრავი მკითხველის თხოვნას ვასრულებ და „საპატარძლოდ“ ამჯერად, მშვენიერ **თამუნა ამონაშვილს** *წარმოგიდგენთ. წინასწარ ვიცი, რომ „მძიმე“ კვირა მელის და მინდა, მის თაყვანისმცემლებს ვთხოვო: ნუ ეცდებით, თამუნას ტელეფონის ნომერი დამტყუოთ და საამისოდ, ნურც ჟურნალისტობას დაიბრალებთ (როგორც სხვა „საპატარძლოებთან“ დაკავშირებით მომხდარა), ნურც კომპოზიტორობას, ნურც იმიჯმეიკერობას... როგორც ერთ-ერთი რეკლამა გვასწავლის – იყავით ის, რაც ხართ! – და გამოგზავნეთ „მესიჯები“, რომლებსაც შემდეგ, ჩვენ თამუნას გავაცნობთ... ახლა კი, თუ გსურთ, გაეცნოთ „საპატარძლოს“ თვისებებს, შეიტყოთ, რას შეცვლიდა ივი საკუთარ გარეგნობაში და რა მზითვი აქვს სასიდედროს გამზადებული მომავალი სიძისთვის – ეს ინტერვიუ ბოლომდე ჩაიკითხეთ და შემდეგ დამიკავშირდით. მანამდე კი, მომღერლის ოჯახის მინიდოსიე:*

დედა: ქალბატონი თინათინი, დიასახლისი;

და: ლიკა, დიასახლისი;

სიძე, დისშვილები და დისშვილის ქმარი.

„ვცდილობ, ბავშვურად ვიცხოვრო და ბავშვის თვალებით შევხედო ცხოვრებას“

მარი Хაშარიძე

– ...ასეთია ჩემი ოჯახის შემადგენლობა.

— ზოდიაქოთი ვინ ხარ?

– 8 ივლისს დავიბადე და შესაბამისად, კირჩხიბი ვარ. ვერ ვიტყვი, რომ ძალზე ჩახედული ვარ ჰოროსკოპებსა და ვარსკვლავთმრიცხველობაში, მაგრამ ვიცი, რომ კირჩხიბები ძალზე მგრძნობიარენი არიან და მეც სწორედ ასეთი ვარ. ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. ამ ნიშნისთვის ასევე დამახასიათებელია მოჭარბებული ქალურობა და ისინი „გიჟი დედები“ არიან. ვფიქრობ, ქალური ნამდვილად ვარ. სამწუხაროდ, დედა ჯერ არა ვარ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ კარგი დედა ვიქნები, რადგან ბავშვებზე ვგიჟდები.

— გვიამბე შენი კარგი თვისებების შესახებ.

– ვარ ძალზე დამთმობი და კეთილი, რითიც ვამაყობ. კარგად ვგრძნობ თავს, როდესაც ადამიანებს სიამოვნებას ვანიჭებ. უზომოდ შემიძლია გავცე... ძალზე კარგად მაქვს განვითარებული ინტუიცია. წარმოიდგინეთ – შესაძლოა, შევიდე უცხო სადარბაზოში და ვიგრძნო, რომ იქ ვიღაც მოკვდება ან სულ ახლახან მოკვდა. ამას რაღაცნაირად, შინაგანად ვგრძნობ...

— გამოდის, რომ წინასწარმეტყველური ნიჭი გქონია...

– არა, ეს ინტუიციაა. ხშირად ხდება, რომ რაღაცას გავიფიქრებ ან გული მიგრძნობს და ყურადღებას არ მივაქცევ, შემდეგ ვნანობ – ნეტავ, მაშინ მიმენიჭებინა მნიშვნელობა ამისთვის, ყველაფერი სხვაგვარად მოხდებოდა-მეთქი... დაკვირვებული ვარ, რომ ის, რასაც პირველად, უნებლიეთ გავიფიქრებ, უფრო რეალური და სწორი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ის, რაც გაანალიზების შედეგად მოდის. ეს ეხება როგორც ცალკეულ მოვლენას, ასევე შეხედულებას ამა თუ იმ ადამიანის შესახებ.

— ბუტია თუ ხარ?

– ბუტია ვარ, მაგრამ წყენა ძალზე მალე მავიწყდება. თუ ადამიანი უბრალოდ, მიმახვედრებს იმას, რომ თავს დამნაშავედ გრძნობს, მასზე გული მაშინვე მიბრუნდება. მაგრამ ვღიზიანდები, როდესაც კაცი საკუთარ დანაშაულს ვერ გრძნობს. ასეთ დროს, ძალზე განვიცდი ხოლმე და ამ ადამიანთან ჩემი ურთიერთობა იძაბება...

— ჯიუტიც ხომ არა ხარ?

– კი, ძალზე ჯიუტი ვარ, მაგრამ ხანდახან, ისეთი დამყოლი ვხდები, რომ საკუთარ თავს ველარ ვცნობ, ზოგჯერ კი, ისე გავჯიუტდები, რომ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. საერთოდ, სიჯიუტე ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ამიტომ ვერ ვიტყვი, განსაკუთრებულად ჯიუტი ვარ-მეთქი. მთელი ცხოვრება ვცდილობ, ეს სიჯიუტე მოვიშალო, მაგრამ...

— კიდევ რის გამოსწორებას ცდილობ?..

– საერთოდ, მორწმუნე ადამიანი ვარ. შაბათობით ეკლესიაში ვგალობ და ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, როგორც ეკლესიურ ადამიანს შეეფერება. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ვერ ვახერხებ მთლად მონაზონივით ვიცხოვრო, რადგან ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და შესაძლოა, ხშირად ვიქცევი ისე, როგორც წინასწარ ვიცი, რომ არ უნდა მოვიქცე. ისიც მიფიქრია ხოლმე – მორჩა, ამას აღარ გავაკეთებ-მეთქი, – მაგრამ არც ეს გამომდის... ეს აღსარებასავითაა: ჩავიდენთ ცოდვას, შემდეგ მოვინანიებთ, შემდეგ იმავეს ვაკეთებთ... შეუძლებელია, საკუთარ თავში ყველაფერი მოგწონდეს. ხშირად ვსწავლობ სხვისგან. ბავშვისგანაც კი მისწავლია რაღაც. ბავშვი ძალზე სუფთა არსებაა. ამიტომ ვცდილობ, ყოველთვის ბავშვად დავრჩე, ბავშვურად ვიცხოვრო და ბავშვის თვალით შევხედო ცხოვრებას, რომ ყველაფერი ასე მძიმედ არ მომეჩვენოს...

— რას შეცვლიდი შენს გარეგნობაში?

– ადამიანს მუდამ უნდა შეეძლოს სილამაზის აღქმა. ჩემს წარმოდგენაში, უამრავი ლამაზი ქალი და მამაკაცი არსებობს. ის, რასაც თვალი აღიქვამს, ფიზიკური სილამაზეა. სული – სულ სხვაა. მაგრამ მოგეხსენებათ – თვალი ჭამს და თვალი სვამს, ამიტომ გარეგნული შარმი აუცილებელია. რაც შეეხება იმას, თუ რას შევცვლიდი საკუთარ გარეგნობაში

ჩემთვის მისაღები მამაკაცი ცოტას უნდა ლაპარაკობდეს და ბევრს აკეთებდეს

— ვფიქრობ, არაფერს. თუმცა, ჩემი ცხვირის ფორმა არასდროს მომწონდა; მე მგონი, პატარა და ლამაზი ცხვირი უკეთესი იქნებოდა და სწორედ ამიტომ, რაც წამოვიზარდე, სულ გავიძახი — ოპერაცია უნდა გავიკეთო-მეთქი, — მაგრამ ყველა ნაცნობი მეუბნება, რომ სწორედ ცხვირი მაქვს ყველაზე კარგი. ყოფილა შემთხვევა, ბავშვობაში, როცა ჩემი თაყვანისმცემლებისთვის მიკითხავს — რა გიყვარს ჩემში-მეთქი? — ყველა ერთხმად მპასუხობდა — ცხვირიო... მოკლედ, ცხვირის ოპერაციას არ გავიკეთებ, რადგან როგორც ჩანს, ეს ერთადერთი შტრიხია, რომელიც ჩემი გარეგნობისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია.

— საოჯახო საქმე — რეცხვა, უთოობა, სადილის მომზადება თუ გეხერხება?

— ჩემი ახლობლები ხელმარჯვე ოსტატს მეძახიან. აბსოლუტურად ყველაფერი მეხერხება და ვაკეთებ კიდეც. მაგრამ ხშირად, შინ ისეთი დაღლილი ვბრუნდები, რომ კერძის მომზადება ან სახლის დალაგება რომ მომიწიოს, შეიძლება, „გავრეკო". მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, მაშინ დავრწმუნდი, რომ ძალზე გემრიელი კერძები გამომდის, რადგან იქ ყველაფერს თვითონ ვაკეთებდი. მოვა დრო, სიმღერას გვერდზე გადავდებ და მეტ დროს ოჯახს დავუთმობ...

— შენი მზითვი თუ შეგიძლია, ჩამოთვალო?

— ვაიმე-ე!.. ნეტავ, იცოდე, რა მაგარი მზითვი მაქვს! დედაჩემი წლების განმავლობაში აგროვებდა ბალიშებს, ლეიბებს, საბნებს... ეს ძალზე სასაცილოდ მეჩვენება. სულ ვეკითხებოდი — დედა, რად გინდა ამდენი ბალიში-მეთქი?.. ხანდახან სურვილი მიჩნდება, ეს ბალიშები დავარიგო. ბოლო დროს, ოთხი ბინა გამოვიცვალე და ამდენი ბალიშის ზიდვამ ჭკუიდან გადამიყვანა. ავდექი და ნახევარზე მეტი მზითვი ახლობლის დაკეტილ ბინაში დავტოვე...

— მოკლედ, საოცნებო „საპატარძლო" ხარ: ლამაზი, საქმიანი, მზითვიანი... გვითხარი, როგორ მამაკაცს ისურვებდი საქმროდ?

— ჩემთვის მისაღები მამაკაცი ცოტას უნდა ლაპარაკობდეს და ბევრს აკეთებდეს. შესაძლოა, მამაკაცს ბევრი ლაპარაკიც მოუხდეს, თუ საქმეს სჭირდება, მაგრამ უბრალოდ, ადამიანებთან ურთიერთობისას, ყველაფერზე რომ ილაპარაკებს, მიედ-მოედება, დაპირებებს „აფრქვევს" და საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაფრის მაქნისია — ეს ძალზე მაღიზიანებს ხოლმე... კაცი რომ მომეწონოს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს შინაგანი ინტელექტი. მამაკაცს აშკარად ეტყობა, ბუნებრივია თუ არა მისი გალანტურობა, მანერები, ქცევა. მამაკაცი არ უნდა იყოს ქალებში „გათქვეფილი", უნდა შეეძლოს ერთგულება და ათ ქვედაბოლოს ერთდროულად არ უნდა გაეკიდოს... შესაძლოა, კაცს რამდენიმე ქალთან ერთად სუფრასთან მოუწიოს ყოფნა, ასეთ დროს, თითოეულ მათგანს უნდა მიაქციოს ყურადღება, ყველას უნდა ათქმევინოს — ვა, რა მაგარი ტიპიაო! — მაგრამ ასეთ სიტუაციაშიც ერთი ქალის ერთგული უნდა დარჩეს... სწორად მოაზროვნე მამაკაცებს ძალზე დიდ პატივს ვცემ.

— სწორ აზროვნებაში რას გულისხმობ?

— უცხოელი მამაკაცები თითქმის არასოდეს იტყუებიან — რასაც ფიქრობენ, იმას ამბობენ კიდეც. რაც შეეხება ქართველებს, ისინი ერთს ამბობენ და ამ დროს, ათასი სხვა აზრი უტრიალებთ თავში, ამიტომ მათთან ურთიერთობა რთულია.

— აღგვიწერე შენთვის სასურველი მამაკაცი გარეგნულად როგორი უნდა იყოს...

— გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. კაცი რომ კარგი ტიპია, ეს ჩემთვის უკვე მნიშვნელოვანია. გარეგნულ ნაკლს ხშირად, სულიერი სილამაზე ფარავს და ისე იხიბლები პიროვნებით, რომ სულაც არ აქცევ ყურადღებას, ლამაზია თუ არა.

— მამაკაცის მატერიალურ მდგომარეობას რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებ?

— ვფიქრობ, რომ მამაკაცის კარგი ფინანსური მდგომარეობა აორმაგებს გრძნობას, რადგან სულიერი მხარე და „კარგი ტიპობა" რომ გამოავლინოს, ამისთვის საჭიროა ფული — ეს არის დამხმარე ატრიბუტი: თუ კაცს ფული აქვს, ბევრ თვისებას აღმოაჩენ მასში — სიძუნწეს, სიკეთეს, ხელგაშლილობას. კაცის სიდიადე სწორედ იმაში უნდა იყოს, რომ როცა „დიდი" ფული აქვს, თვითონ არ უნდა დაპატარავდეს...

— კეკლუცობა თუ გიყვარს?

— საქმე ის გახლავთ, რომ ბავშვობიდან, უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა და იქით „ჩალიჩი" არასოდეს მჭირდებოდა... საერთოდ, როცა ადამიანი კარგად გამიცნობს და ჩემს ყველა „პრელესტს" დაინახავს, ყველას ერთგულად ვუყვარდები და მე ამით ძალიან ვამაყობ, რადგან ამ დროს, მას ჩემში მომღერალი და ქალი კი არ უყვარს, არამედ — ჩემი პიროვნება.

— ოდესმე თუ გითქვამს მამაკაცის შესახებ — ეს რა „ფოკუსი" გამიკეთაო?..

— ვფიქრობ, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ მოდი, არ დავაკონკრეტებ. ურთიერთობის ერთ-ერთი ხიბლი სწორედ ის არის, რამაც უნდა გაგაოცოს და ისეთი რამ დაგმართოს, რომ სუნთქვა შეგეკრას...

— იქნებ, ყველაზე ორიგინალური თაყვანისმცემელი გაიხსენო...

— მახსოვს, ჩემი კონცერტის დღეს, ჩემს ბილბორდზე თაყვანისმცემელმა უამრავი ყვავილით შეკრული თაიგული დაამაგრა... ერთხელ, დილის 6 საათზე, აივანზე ვარდები დამიყარეს. წარმოიდგინე, როგორი სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც აივანზე გახვალ და იქ უთვალავი ვარდი გხვდება... ეს ყველაფერი უკვე მოგონებებშია. როდესაც ასაკში შევალ, ამ მოგონებებით ვიცოცხლებ...

— დედა არ გსაყვედურობს, გათხოვებას რომ აგვიანებ?

— ვფიქრობ, ამის გამო ყველა დედა საყვედურობს შვილს, ასევეა დედაჩემიც.

— შენი წარსულიდან ვინმეზე ხომ არ გწყდება გული?

— არა, რადგან ვფიქრობ, რომ რაც ხდება — ყველაფერი ღვთის ნებაა. წინათ მქონდა გრძნობა, რომელიც კრახით დამთავრდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ეს ყველაფერი უნდა განმეცადა — ამან ხომ რაღაც ცოდნა შემძინა... საერთოდ, რაც მეტ ტკივილს გადაიტან, მით უფრო დიდ პიროვნებად ყალიბდები...

აი, ასეთია თამუნა ამონაშვილი. მის თაყვანისმცემლებს შეგიძლიათ, დამირეკოთ ან „დამიმესიჯოთ" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61 მე კი თქვენ შესახებ ინფორმაციას ჩვენს „საპატარძლოს" გადავცემ.

■



ჯენიფერ ლოპესის ცვილის ფიგურასთან

სამედიცინო დაზღვევა

რა შემთხვევაში კისრულობს სახელმწიფო თავისი მოქალაქის გადარჩენას?

ლელა ჭანკოტაძე

ერთი კვირის წინ, თბილისელმა ქალმა რედაქციაში სხვისი სახელით წერილი გამომიგზავნა. ის არც პირველია და ალბათ, არც უკანასკნელი იქნება, რომელიმე ბიზნესმენთან შეხვედრის მოწყობას რომ მთხოვს... ცხადია, წერილი შემაძრწუნებელია: „დარწმუნებული ვარ, გულთან ახლოს მიიტანთ ჩვენს გასაჭირს, ქართული ოჯახის გაჭირვებას, ოჯახისა, სადაც 26 წლის გოგონა სიცოცხლისთვის იბრძვის. 4 წელია, სამართალი ვერ გვიპოვია. ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ. ახლა პეტერბურგში სამკურნალოდ ნინოს წასაყვანად 2.000 დოლარი გვესაჭიროება. ამხელა თანხა კი არა, საჭმელსა და წამალსაც ვერ ვყიდულობთ... ღმერთმა დაიფაროს, რომ ნინო დაიღუპოს. უკვე ცხვირიდან სისხლის დენა დაეწყო. სასწრაფოდ უნდა გადავაფრინოთ სამკურნალოდ, მაგრამ რითი? იქნებ, ვინმესთან შეგვახვედროთ. ასე გვითხრეს: მამუკა ხაზარაძე, ია ფარულავა, სოფო ჭყონია, მაკა ასათიანი ძალიან გულიანი ადამიანები არიან და ხალხს ეხმარებიანო. იქნებ, უშველონ ჩემს ბავშვობა და ქალობაწართმეულ შვილს“.

მათ ერთადერთ იმედად, ვისაც მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ გააჩნიათ, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი რჩება. ჩვენ არ ვისაუბრებთ იმ უამრავ დარღვევაზე, რითიც ამ ფონდმა სახელი გაითქვა – ამჯერად, მხოლოდ იმ ადამიანების ნამბობის გადმოცემით შემოვიფარგლებით, რომლებსაც ამ ფონდთან შეხება ჰქონდათ.

ხათუნა მაჭარაშვილი:

– მე იმ „იღბლიან“ ადამიანთა რიგს მივეკუთვნები, რომლებმაც შეძლეს სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო ფონდიდან დახმარების მიღება, მართალია, დიდი წვალების შემდეგ. ეს მოხდა 2003 წლის დასაწყისში. ჩემი შვილი უმძიმეს ავადმყოფთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა – ლეიკოზით იყო დაავადებული. თოთხმეტი წლის ბავშვი ხელში გვაკვდებოდა, ჩვენ კი მკურნალობისთვის საჭირო თანხები არ გვქონდა. ვერ გავიხსენებ, რამდენი ღამე მაქვს გათენებული ფონდის კიბეზე, რათა ვინმეს სიბრალული გამომეწვია ან შენობიდან გამოსულ თავმჯდომარეს მუხლებში ჩავვარდნოდი და შევევედრებოდი – მიშველე-მეთქი. ბევრჯერ გამიგონია იქ მდგარი ქალებისგან: მაგის შვილი მაინც ვერ გადარჩება, ამაოდ ირჯებაო... ფარხმალს არ ვყრიდი. შინ დაბრუნება აღარ მინდოდა, მეგონა – თუ ფონდში არ ვიყავი, ჩემი შვილის საბუთებს აღარავინ ნახულობდა... ექვსი თვის წვალების შემდეგ მითხრეს, რომ თანხის ნახევარს – 3.000 ლარს გადაგვირიცხავდნენ. თუ შეიძლება, დედამ, რომელსაც განწირული შვილი ჰყავს, ბედნიერებაზე ილაპარაკოს, მაშინ გეტყვით, რომ იმწუთას ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. აღფრთოვანებული და გახარებული, ფოიეში რომ ჩამოვედი, იქ მყოფი, ლოდინისგან გადაღლილი ქალები შემომეხვივნენ. ვუთხარი – ფული გადამირიცხეს-მეთქი. ყველას გაუხარდა ჩემი ამბავი. შენობიდან რომ გამოვდიოდი, ერთი შავოსანი ქალი მომიახლოვდა. მის თვალებს რომ შევხედე, შემაჟრჟოლა – ასეთი თვალები არასდროს მენახა. რა გნებავთ-მეთქი? – ვკითხე. – თქვენი შვილი მაინც ვერ იცოცხლებს – ლეიკოზი ჩვენთან ხომ არ იკურნება, – ჩემს შვილს კი უმნიშვნელო დაავადება აქვს, ორ ბავშვს დააობლებს, თუ არ იმკურნალა, დამითმე ეგ თანხა, იხსენი ადამიანის სიცოცხლეო... მიკვირს, გონება რომ არ დავკარგე. საშინლად გავლანძღე ის ქალი. მზად ვიყავი, მომეკლა კიდეც, მაგრამ ახლა, მისი ნახვა მინდა. თუ ამ წერილს წაიკითხავს, გამომეხმაუროს. ვეცდები, დავეხმარო.

— თქვენი ქალიშვილი განიკურნა?

– არა. გარდაიცვალა. მაგრამ არა იმიტომ, რომ ლეიკოზი უკურნებელი დაავადებაა – უბრალოდ, ალბათ, მისი ბედისწერა იყო...

ვარდო ფილიშვილი:

– როცა მითხრეს, ფონდი ყველაზე ხშირად, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობას აფინანსებსო, მაშინვე იმედი მომეცა. ჩემი ძმა ავად იყო. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ოცდაათი წლის ბიჭი სიკვდილს ებრძოდა. მეგონა, მის გადასარჩენად ყველა კარს შევაღებდი და ყველა დაბრკოლებას გადავლახავდი, მაგრამ სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო ფონდის შენობა აუღებელი ციხესიმაგრე აღმოჩნდა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი გაჭირვებული და უბედური ადამიანი ვნახე ამ შენობაში. უმეტესობას იმის ფულიც არ ჰქონდა, რომ ყოველდღე ტრანსპორტით მოსულიყო. ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგი შიმშილისგან თვალებს ძლივს ახელდა. ხშირად მრცხვენოდა კიდეც იმის გამო, რომ ჩემი ოჯახის წევრებს არც სციოდათ და არც შიოდათ – უბრალოდ, იმხელა თანხა არ გვქონდა, მკურნალობისთვის რომ იყო საჭირო. ისიც მითხრეს, ფონდის ხელმძღვანელობას თუ მოელაპარაკები და გადარიცხული თანხის მხოლოდ ნაწილს დასჯერდები, ფულს აუცილებლად გადაგირიცხავენო.

— უფრო კონკრეტულად მითხარით, რას გულისხმობთ?

– საშვთა ბიუროსთან ატუზული ადამიანები ჰყვებოდნენ იმის შესახებ, რომ ფონდის ხელმძღვანელობა წილს თხოულობდა. თუ 5.000 ლარს გადაგირიცხავდა, აქედან 3.000-ს თვითონ განკარგავდა... თუმცა, მე ისეთიც ვერავინ ვნახე, ვისაც ასეთ გარიგებას შევთავაზებდი. ძალიან გარკვევით და მკაცრად მითხრეს – თქვენს ძმას სამედიცინო დაზღვევა არ ეკუთვნისო. რაღა უნდა მექნა? როგორ ვეტყოდი ძმას – ამ სახელმწიფოში შენი სიცოცხლე არავის სჭირდება-მეთქი?!. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთი ადამიანის სიცოცხლეს უშველო და მეორისას – არა. რა ნიშნით არჩევენ ადამიანებს? უამრავი კითხვა მიტრიალებს გონებაში.

— თქვენი ძმის მკურნალობისთვის საჭირო თანხის სხვა გზით შეგროვება არ გიცდიათ?

– დიახ, ბინა გავყიდეთ, ვალებიც ავიღეთ და ალეკოს მკურნალობის ხარჯები მთლიანად დავფარეთ. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადარჩენის იმედი ექიმებსაც კი არ ჰქონდათ, ის გამოჯანმრთელდა. იმედი გვაქვს, იცოცხლებს და თავის სამ ვაჟს კარგ მამობას გაუწევს. ონკოლოგიური ცენტრის ექიმები გვეუბნებოდნენ: ალბათ, ღმერთმა გიშვე-

ლათ, – ალეკოს გადარჩენა ხომ სასწაულიაო!.. ჩვენი და საბერძნეთში მუშაობს. დიდი ხელფასი არა აქვს, მაგრამ ვალების გასტუმრებაში გვეხმარება. ამ სამი თვის წინ მოგვწერა: ფულს ვაგროვებ, მინდა, ერთი ადამიანის მკურნალობა მაინც დავაფინანსოო. საშინელ დღეში ჩავვარდი: ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა შევიდე იმ შენობაში, სადაც ყველა ადამიანი დახმარების სათხოვნელადაა მისული და მხოლოდ ერთი მათგანი ამოვარჩიო. მეც ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, როგორშიც ის მოხელეები, რომლებიც წყვეტენ, თუ ვისი მკურნალობა დააფინანსონ და ვისი – არა. ვინ ვარ მე, რომ ადამიანების სიცოცხლით თამაშის უფლება მივცე საკუთარ თავს?! ნუთუ, სხვა ქვეყნებშიც ასეთი მდგომარეობაა?! ნუთუ, ყველგან იმათ შველიან, ვისაც თავად ჩათვლიან საჭიროდ, რომ უშველონ?!.

ანზორ ჯოხაძე:

– მე და თეამ ერთმანეთი საირმეში გავიცანით. ნაზი, სიფრიფანა, მოკრძალებული გოგონა როგორ შეიძლებოდა, რომ არ შემყვარებოდა. მეგონა, ვერაფერი დაგვაცილებდა და ჩვენი სიყვარული ყველა წინაღობას გადალახავდა. მაგრამ ერთ ავბედით დღეს, მისმა მამიდამ შეხვედრა მთხოვა და საშინელი ამბავი შემატყობინა: თურმე თეა უკურნებელი სენით იყო ავად... რა უნდა ქნას ასეთ დროს შეყვარებულმა მამაკაცმა?! თავზარი დამეცა. რით დავხმარებოდი?! ნათლიაჩემი ექიმია. საშველად მასთან გავიქეცი. ბევრი ვისაუბრეთ. მან და მისმა კოლეგებმა გულდასმით შეამოწმეს, ანალიზები ჩაუტარეს და ბოლოს მითხრეს: არსებობს მისი გადარჩენის შანსი, სამკურნალოდ საზღვარგარეთ უნდა წაიყვანოთო. საბუთები გამიმზადეს და ფონდში მივედი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ დამეხმარებოდნენ. 26 წლის გოგოს უარს ვინ ეტყვის? მის სიცოცხლეს ვინ გაწირავს-მეთქი?! თურმე ვცდებოდი. მითხრეს: საზღვარგარეთ ჩატარებული ოპერაციები ჩვენ მიერ არ ფინანსდებაო. ვერ დავიჯერე, რომ ადამიანის სიცოცხლე მათ ხელში იყო, მათ კი მისი გადარჩენა არ უნდოდათ. თავმჯდომარის კაბინეტში ტირილი დავიწყე. ალბათ, მამაკაცის ცრემლი მისთვის მძიმე დასანახი აღმოჩნდა. ჩემი დამშვიდება სცადა. ვიცი, რომ ჩემი უარი შენთვის გაუგებარია, მთელი ცხოვრება მტრად ჩამთვლი, მაგრამ უძლური ვარო – მითხრა... შინ მკვდარივით დავბრუნდი. დედაჩემიც შეწუხდა. მართალია, თეა რძლად არ უნდოდა – სწორედ ავადმყოფობის გამო, – მაგრამ გულწრფელად შეეცოდა. თუ ასე გიყვარს, მანქანა გაყიდე და დაეხმარე, ნათესავებიც შეუგროვებენ ფულს და იქნებ, გადარჩესო – მითხრა... ადამიანები გულუბრყვილოები ვართ და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ფულიან კაცს უქონელის სატკივარი არ ესმის... მე მგონი, თბილისში მდიდარი ადამიანი არ დარჩენილა. ვის სახლთანაც ღამეები არ გამითენებია. უმეტესობამ ახლოსაც არ გამიკარა. ვისაც ავუხსენი, რაც მინდოდა, ყველამ უარი მითხრა. ვერ ვიპოვე კაცი, რომელიც ჩემი სიყვარულის გადარჩენაში დამეხმარებოდა. მეუბნებოდნენ, რომ ფინანსური პრობლემები ჰქონდათ... შემდეგ მომღერლებს მივადექი. ალბათ, ყველა მათგანი მიცნობს, იმდენჯერ ვთხოვე თითოეულს დახმარება. ისინი უფრო გულისხმიერები აღმოჩნდნენ – მათი შემწეობით 800 დოლარი შევაგროვე... შემდეგ, თავისუფლების მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელში დავდექი. გულზე აბრა ჩამოვიკიდე: „შეყვარებული მიკვდება, მიშველეთ!“ ალბათ, არც ერთ ადამიანს არ გაუვლია ჩემ წინ ისე, რომ მუყაოს ყუთში ხუთთეთრიანი მაინც არ ჩაეგდო. ჩემი მეგობრები გაოცებულები იყვნენ: შენ ხომ საკუთარი თავისთვის ერთ თეთრსაც ვერავის მოსთხოვდი, თეას სიყვარულმა ასე როგორ შეგცვალაო?!.

— შეძელი თეას გადარჩენა?

– არა. ვერ მოვახერხეთ იმხელა თანხის შეგროვება, რაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ იყო საჭირო. თეა საშინელი სიკვდილით გარდაიცვალა. ისეთი ტკივილები ჰქონდა, სულ თითებს იჭამდა. არავის ნახვა არ უნდოდა, ცხადია – არც ჩემი... შარშან, 31 დეკემბერს გარდაიცვალა. ჩემი ცდა ამაო აღმოჩნდა. თბილისელებს ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ გამხდარი, აყლაყუდა ბიჭი წარწერით: „შეყვარებული მიკვდება, მიშველეთ!“ ყველას, ვინც მაშინ ჩემს დასახმარებლად ხურდა ფული გაიღო, მინდა ვუთხრა, რომ საყვარელ ქალს ვერ ვუშველე, თუმცა მათ მიერ გაღებული თანხით ტკივილები შევუმსუბუქე.

ნათელა გოგლიძე:

– ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ჩემი ცხოვრება ისე შეიცვლებოდა, ქმარს წამალს ვერ ვუყიდდი და მომაკვდავ ადამიანს საჭმელს სანატრელს გავუხდიდი. ყოველთვის კარგად ვცხოვრობდით, ჩემი ქმარი მშენებელი იყო და ოჯახის რჩენა არ უჭირდა, მაგრამ ქვეყანა რომ აირია და ირგვლივ სიღუხჭირე გამეფდა, ჩვენც გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ინფლაციამ საბოლოოდ გაანადგურა ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი. 45 წლის კაცი ორ წელიწადში ისე შეიცვალა, ღრმად მოხუცებული გეგონებოდათ. ერთ ინფარქტს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. ბოლოს ექიმმა მითხრა: თუ გინდათ, თქვენი ქმარი გადარჩეს, გულის ოპერაცია უნდა გავუკეთოთო. ჩემს გონებაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მივხვდი, რომ მისი გადარჩენა შემეძლო, თუ საჭირო თანხას შევაგროვებდი. მოგეხსენებათ, გულის ოპერაცია რა ძვირი ჯდება. 7.000 ლარი კი არა, პურის ფულიც კი მიჭირდა. საიდან უნდა შემეგროვებინა ამხელა თანხა? სამედიცინო დაზღვევაზე წარმოდგენაც არ მქონდა.

— ექიმმა მითითება არ მოგცათ? არ გითხრათ, როგორ უნდა მიგეღოთ სამედიცინო დაზღვევა?

– არა. ექიმს არაფერი უთქვამს. როცა საჭირო თანხას შეაგროვებთ, მოდით და ოპერაციაზე მერე ვისაუბროთ, დაგაკვალიანებთ, ვისთან უნდა მიხვიდეთ, რომელ საავადმყოფოშიო, – მითხრა. ბინის გარდა, არაფერი მებადა. გავყიდდი, მაგრამ 7.000 ლარს მაინც ვერ შევაგროვებდი, რადგან როცა ვარლამს პირველი ინფარქტი დაემართა, ხუთოთახიანი ბინა ორიანზე გადავცვალეთ, დარჩენილი თანხა კი, ავადმყოფს მოვახმარეთ. თანაც ხუთოთახიან ბინას თბილისში აქვს ფასი, თორემ, ქუთაისში მისი ღირებულება ძალზე დაბალია. წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელმაც ყველაფერი გაყიდა, დანა-ჩანგალიც კი მევალეებს გაატანა. ავადმყოფი შიმშილისგან შეიძლებოდა მომკვდომოდა, მეზობლები რომ არ დამხმარებოდნენ... ყველა იმედი რომ გადამეწურა, ყველა ნათესავსა და ნაცნობ-მეგობარს ვთხოვე, ფული მასესხეთ-მეთქი, მერე თბილისში წამოვედი, 1998 წლის მაისი იყო. გავიგე, რომ არსებობდა ფონდი, რომელსაც, თუ ჩემს უბედურებაში დავარწმუნებდი, თუ ჩემი ცრემლებით გულს „ავუდუღებდი“, საჭირო თანხას გადამირიცხავდა. სამი დღე და ღამე შენობის კიბეზე ვათენებდი და ვაღამებდი. ყველას ვეკითხებოდი – რა უნდა ვქნა, საშველად ვის უნდა მივმართო-მეთქი? პასუხსაც არავინ მცემდა, ჩემსავით გაჭირვებული ადამიანებიც კი

არ მიბრალებდნენ: იქ ყველა ერთმანეთს უმალავდა, თუ რა ხერხებით შეიძლებოდა სამედიცინო დაზღვევის მიღება. ალბათ, იმიტომ, რომ ავადმყოფებისთვის გამოყოფილი ფული ცოტა იყო, დახმარების მიღების მსურველთა რაოდენობა კი – ძალზე დიდი... მერე საბუთები შევაგროვე. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვიარე, ვის კარზე არ დავაკაკუნე, პარლამენტის მისაღებშიც ვიტირე და ვიქვითინე – იქნებ რომელიმე დეპუტატს თავი შევაცოდო-მეთქი! ერთ-ერთ პარლამენტარს მათხოვარი ვეგონე – ჯიბიდან ხუთლარიანი ამოიღო და გამომიწოდა... ორი კვირის შემდეგ ქუთაისში სწორედ ამ ხუთლარიანით დავბრუნდი. ჩემი შვილები თვალებდასივებულები დამხვდნენ: ვარლამი წინა ღამით გარდაცვლილიყო... მას ხომ სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა, მე კი ოპერაციისთვის საჭირო თანხის შეგროვების მცდელობას რვა წელი მოვანდომე. რვა წლის მანძილზე, ამაოდ ვცდილობდი, ადამიანებისგან მოწყალება მიმეღო... უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შიმშილისა და ავადმყოფობისგან სასომიხდილი ჩემი ქმარი მიწას მივაბარეთ. ახლა ისევ ფონდის კიბეზე ვზივარ, ისევ იმ იმედით, რომ ფულს გადმოგვირიცხავენ: ახლა ჩემი მაზლის შვილს სჭირდება სასწრაფო ოპერაცია. იქნებ, ამჯერად მაინც გადმოგვხედოს უფალმა.

როგორ უნდა მივიღოთ სამედიცინო დაზღვევა? რა თანხებს გამოყოფს სახელმწიფო თავისი მოქალაქეების მკურნალობის დასაფინანსებლად? ამ კითხვებს პასუხს გასცემს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელი ***ლადო ჭიპაშვილი:***

– სამედიცინო დაზღვევის იმედი ვის შეიძლება ჰქონდეს, როცა ქვეყანა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევისთვის მხოლოდ 70 მილიონ ლარს გამოყოფს. დასავლეთის ქვეყნებში ეს თანხა ერთი მსხვილი ამბულატორიის წლიურ ბიუჯეტს შეადგენს. საავადმყოფოს წლიური ბიუჯეტი აშშ-ში 100 მილიონ დოლარს აღწევს. არ არსებობს საქართველოში სამედიცინო დაზღვევა. ქართული მედიცინის საჭიროების მაქსიმუმ 5-10%-ს ფარავს სახელმწიფო. დანარჩენს პაციენტი თვითონ იხდის. ბანანის რესპუბლიკებშიც კი, ჯანდაცვაზე მთლიანი შიდაპროდუქტის 3% გამოიყოფა, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში – 5%, დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში – 10%, ამერიკა 14%-ს გამოყოფს. საქართველო კი საამისოდ მთლიანი შიდაპროდუქტის მხოლოდ 1%-ს იმეტებს. რაღა გასაკვირია, რომ ავადმყოფები დახმარების სათხოვნელად სხვადასხვა კერძო პირს, რედაქციასა თუ ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციას მიმართავენ?!

— საზღვარგარეთ მკურნალობისთვის საჭირო ხარჯებს თუ გასცემს თქვენი ფონდი?

– ჩვენ მკვეთრად შევზღუდეთ საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება. ამას რამდენიმე სერიოზული მიზეზი აქვს. მკურნალობის ერთი შემთხვევა საზღვარგარეთ, ფონდს უჯდება ათჯერ მეტი, ვიდრე იგივე მკურნალობა დაჯდებოდა საქართველოში. ე.ი. როცა ერთ ადამიანს საზღვარგარეთ სამკურნალოდ ვაგზავნით, მინიმუმ ცხრა ადამიანს ვეუბნებით უარს საქართველოში მკურნალობაზე.

— თუ დადასტურდა, რომ ამ დაავადების მკურნალობა საქართველოში შეუძლებელია?

– ხშირად გვთხოვენ ისეთი დაავადების მკურნალობის დაფინანსებას, რომელიც შეიძლება, საქართველოში ჩატარდეს. ასეთ ადამიანს, ცხადია, უარს ვეტყვი. ჩემს ინტერესებში შედის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული დაბანდდეს ქართულ მედიცინაში. მე ფულს რომ აქაურ საავადმყოფოში გადავრიცხავ, ის ისევ ქართული მედიცინის განვითარებას მოხმარდება. ამიტომ თუ სახელმწიფოებრივ მიდგომაზე ვისაუბრებთ, ძალზე მკაცრად უნდა შევზღუდოთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ წამსვლელთა რიცხვი. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა მდგომარეობა გამოუვალია. თუ ისეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, როცა 15-16 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობა საქართველოში შეუძლებელია, საზღვარგარეთ მკურნალობისთვის თანხებს გამოვყოფთ. სამი დღის წინ გადავრიცხე 3.800 დოლარი 7 წლის ბავშვის სამკურნალოდ. საქართველოში მისი მკურნალობა შეუძლებელი იყო. ასე რომ, ხისტი პოზიცია გვიჭირავს. თუ საქმე ბავშვის სიცოცხლის გადარჩენას ეხება, უცხოეთშიც ვრიცხავთ თანხებს.

— ვინ არის იმ იღბლიანთა კატეგორია, ვისი მკურნალობის საფასურსაც ფონდი იხდის?

– ისინი უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები არიან: მარტოხელა მოხუცები, ბავშვები და ინვალიდები. კომისიას ყოველკვირა გასანაწილებელი აქვს 60-65.000 ლარი. ამ თანხიდან თუ რამე დარჩება, სხვა კატეგორიის პაციენტებსაც ვაკმაყოფილებთ.

— არის შემთხვევები, როცა ოფიციალურად, საბუთების მიხედვით, პაციენტისთვის ფულს გამოყოფთ, მაგრამ ფონდში ფულის არარსებობის გამო, მას თვეების მანძილზე უწევს ლოდინი...

– საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა საავადმყოფო 100%-ით დაფინანსებულია მას შემდეგ, რაც მე ფონდში ვმუშაობ, მაგრამ ყოველთვის არ იყო ასეთი სისტემატური დაფინანსება, ამიტომ ზოგიერთ საავადმყოფოს მილიონობით ვალი აქვს დაგროვილი. მაგალითად, 2003 წელს, სახელმწიფომ 6-7 თვის დაფინანსება ჩააგდო – ე.ი. საავადმყოფოებმა შარშან 6-7 თვის მანძილზე გამომუშავებული თანხა არ მიიღეს. ამიტომ დაუგროვდათ ელექტროენერგიის, წამლების, წყლის, საგადასახადო სამსახურის ვალები. ჯანდაცვის სისტემაში კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. ჩემი ინიციატივით, ფინანსთა სამინისტრომ 2004 წლის პროექტში სწორედ ამ დავალიანების გასასტუმრებლად 5 მილიონი ლარი ჩადო. ასე რომ, რაც მალე დაამტკიცებს ახალი პარლამენტი ახალ ბიუჯეტს, მით უფრო სწრაფად დავიწყებთ დავალიანებების დაფარვას.

— თუ არის ლაპარაკი იმაზე, რომ საერთო შიდაპროდუქტის 1%, რაც სამედიცინო დაზღვევისთვისა გამოყოფილი, კიდევ 1%-ით მაინც გაიზარდოს?

– ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია მცირეოდენი ზრდა. თუმცა, ჯერ რამე რევოლუციურ ეფექტზე საუბარი შეუძლებელია. თავად საავადმყოფოები არიან „რეანიმაციულ“ მდგომარეობაში; შესაბამისად, პაციენტებიც სავალალო დღეში არიან.

— ბიზნესმენები თუ გეხმარებიან?

– როცა ფონდში სამუშაოდ მოვედი, ეს შენობა და სამსახური შევადარე ერთ დიდ ყრუ კედელს, აბრაც კი არ იყო გაკრული და არ ეწერა, შიგ რა ორგანიზაციაა განთავსებული. არ არსებობდა მიღების დღეები. ახლა ყოველ ოთხშაბათს, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოვიდეს აქ, დადგეს თავმჯდომარის კაბინეტთან და როცა რიგი მოუწევს, შესჩივლოს მას თავისი გასაჭირი. ისინი, ვინც დახმარებას ვერ მიიღებენ, მიდიან რედაქციებში, კერძო ფირმებში, ბიზნესმენებთან... ჩვენ ბიზნესმენები არ გვეხმარებიან და ეს არც იქნებოდა მიზანშეწონილი. მათგან დახმარება ის იქნება, თუ გადასახადებს გადაიხდიან, რათა ბიუჯეტიდან დაფინანსება დროულად მივიღოთ. ასეთ შემთხვევაში, 400 მილიონი ლარის მაგივრად (ასეთია ფონდის მთლიანი ბიუჯეტი), ფონდს მილიარდი ლარი ექნება...

ინგა ჯაყელი

ნობელის პრემია „გრელკას" – ქართველთა 90%-ის გადამრჩენელს!..

სულ სხვა სტატიის მასალისთვის მივდიოდი იმ დღეს ტყიბულში. არა, ისიც გავაკეთე, მაგრამ კიდევ უკეთესი, გზაში მყოფმა მოვიპოვე და სწორედ ის მინდა, ახლა შემოგთავაზოთ...

დაახლოებით ასი წლის სამარშრუტო ტაქსიში მგზავრებმა საპატიო ადგილი მძღოლის გვერდით მე დამითმეს: უკან გეიგუდები, აპა, გრამი ჰაერი არაა არსად. მაქანე ფანჯარა არ ეკეტება შოფერს და იცოცხლე, გადი-გამოდის ჟანგბადიო!..

– რომ გაცივდეს?! – შევეცოდე ვიღაცას.

– რა გააცივებს, თვარა „გრელკა" მაქ აგერ, გოუვსეთ თფილი წყლით და ამოუდეთ ფეხებში, ხან გვერდებში მოუნაცვლეთ, დაგენაცვლეთ! – ვერ გავიგე ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა გოდორა კაცი, ძლივს რომ ჩატენა თავისი ზორბა სხეული სკამების ვიწრო რიგში! – დეილოცა ამის მომგონი, ქართველების 90% ხომ მაგან გადაარჩინა მოყინვით სიკვტილს და მეც ქე მევითფე პაწა ხელი.

– შენ შამილა ურია არა ხარ?! – იცნო ვიღაცამ „გრელკის" რეკლამით გატაცებული გოდორა.

– შევხვედრივართ სადმე, დაგენაცვლე?! – მოწკურა აშკარად ახლომხედველი თვალები შამილამ.

– შევხვედრივართ და მეტი არა?!. ახალსოფლისკენ არ გამეიარო მეორეთ, თვარა თელი სოფელი შენ დეგეძებს და მოკვლას გიპირობს, რა იყო, ბიჯო, რა ჯანდაბის შხამი ჩამეიტანე გასულ წელს შაბიამნის მაგივრათ, ერთიანათ დოუხმო ხალხს ვენახები...

– აჰ, მაგ ამბავი არ გამახსენო მეორეთ, დაგენაცვლე, მომატყუეს მეც მამაძაღლებმა, ოსეთიდან შემეეტანათ მაგი წამალი და კაის რას მოგვიტანდენ, აპა... შევხვთი მოგვიანებით იმ ოსებს, გევიგდე ფეხქვეშ და ვურტყი მამაპაპურათ, მარა ამით ეშველება რამე წახდენილ საქმეს?!.

– ისე შენ მოგემართოს ვაჭრობაში ხელი, რავარც ვინმეს გამლახავი ხარ! – ხელი ჩაიქნია უიმედოდ გადამხმარი ვენახის პატრონმა – მოსაკლავი ხარ ჩემგანაც, მარა არ გკიდებ ხელს. ვისაც მოუვიდა მოსავალი ამ ჩვენი მთავრობის ხელში, ვარეს დღეში ჩავარდა, კიტრის ფასადაც არ დოუფასეს ყურძენი და შემოასკტენ ჯერ გულებს და მერე მუცლებს: იმდენი ღვინო გამოუვიდათ ნაკეთები, რაც ჭურებში არ ჩეეტიათ, პირში ისხეს და ზოგს ოჯახი დეენგრა და ზოგსაც გულის კედელი. მე ქე ვარ ჯანმრთელად ჩემს ცოლ-შვილში. ახლაც რაცხას მიათრევ ალბათ გასაყიდათ?!.

– ახლა იმისთანა „ტავარი" მაქ, წყალი არ გოუვა მის ხარისხს პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით – „გრელკები" მომაქ პირდაპირ „ვლადიკავკავიდან", ხათრი მაქ ტყიბულელების ნამეტნავი, თვარა, აღარც ღირდა იქ წასვლათ, აქაც ამოვყიდდი, რაც დამრჩა... ა, ნახეთ, რავარია?!. – „გრელკა" ზე ასწია შამილამ – ამფერი აფთიაქში ოთხი ლარი ღირს, „პრიბორიანად" – ხუთი: მე ორ და სამ ლარათ ვყიდი, თითქმის თავის ფასში და მიტო არ მელევა კლიენტი.

– „პრიბორი" რათ უნდა „გრელკას", რავა, დურგლობაც ეხერხება თუ?! – თვალი მოწკურა დიდ ხერხს ჩახუტებულმა კაცმა, ყურებიანი ქუდი თასმებით რომ შეეკრა კისერთან.

– რავა არა – ქეც დაგიხერხავს იმ შეშას, რომლის მოსაპარათაც ახლა მიდიხარ ტყიბულის ტყეებში და ქეც გაგირანდავს, არ გინდა?! – ირონიით შეხედა კაცს შამილამ – ამას სამედიცინო პრიბორი მოყობა, კუჭის გამორეცხვა ხო ჭირდება დროდადრო კაცს, წამოაცუმ ამას „გრელკაზე" და...

– გედირიე, შე-ენ, მაგი ხო მოკლავს კაცს! – ეჭვით შეხედა პლასტმასის მილს შამილას წინ მჯდომმა. – გაწიე იქით, თვალი არ მომთხარო შე ოჯახქორო!..

– უი, შემშლია, დაგენაცვლე, ეს საქონლისაა, პატარაც მოყობა აგერ კაცისთვის. გნებავთ?!.

– შენს გამზრდელ-გამომცემელს მოახმარე! – უთხრა გაგულისებულმა მგზავრმა და ისეთი გინებაც მოაყოლა შამილას მისამართით, მგზავრებმა შეუტიეს – გაჩუმდი, შე კაცო, სტუმარი მოგვყობა აგერ, რას იფიქრებს ჩვენზეო! – ანიშნეს ჩემზე.

კაცმა მაინც არ გაიტეხა იხტიბარი: რა დროს სტუმრობაა ამ ყიამყრალ ამინდში და ისიც ტყიბულში, ვერ დეეტევა სახლში... სტუმარი აკლია აქოურ ხალხს კიდო სხვა უბედურობასთან ერთათო?!.

...რატომღაც ღიმილიც ვერ შევბედე, ისეთი სახით შემომხედა სტუმრის წინააღმდეგმა ტყიბულელმა.

ჩანთიდან ორლარიანი ამოვიღე და შამილას გავუწოდე: „უპრიბორო გრელკა" მომეცი-მეთქი!.. – რა დასამალია და, „გრელკა" ქუთაისელებისთვისაა თუა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანი, საკმაოდ დეფიციტურიც. ჩემი მეზობლები გამახსენდა, ერთი „გრელკის" პატრონები რიგში რომ დგანან ყოველ საღამოს და ცივი ლოგინის შიშით, სიამოვნებით რომ დაიძინებენ სკამებზე, გადმოვარდნის რომ არ ეშინოდეთ. ცოტა ვიფიქრე და... მეორე ორლარიანიც დავაძვრე ჩანთიდან: „მეორე „გრელკაც"

მომეცით-მეთქი! “ – ვთხოვე შამილას და წინასწარ დავტკბი იმაზე ფიქრით, რა უძვირფასესი საჩუქრით ხელდამშვენებული მივდგებოდი მეზობლების ცივ, უსინათლო და გამოქვაბულს დამსგავსებულ ბინას.

– არ გნავარგება ქმარიო! – სიბრალულით შემომხედა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაკაცმა და ვიგრძენი, რატომღაც ვწითლდებოდი, პასუხის გაცემა ვერ გავუბედე – რამე ისეთი არ წამომცდეს, თავი სასაცილოდ არ გავიხადო-მეთქი! სამაგიეროდ, შამილას გვერდით მჯდომი მამაკაცი დაინტერესდა: „ქმრის მაგივრობას თუ გაწევს მაი „გრელკა“, მეც მემეცი ორი, ამოვუდებ ჩემს ცოლს აქეთ-იქით გვერდებში და იქნება მეისვენოს, თვარა გამტანჯა კაცი, შეღამებული არაა ლოგინში რომ მიმათრევს – მცივა, მარტო ვერ დავწობიო! – 10-12 საათი რა მაძინებს და... მერვე ბაღანას ველოდებით დღე-დღეზე, დემესიენ გოჭებივით, ფეხის დასადგმელი აღარაა ჩვენს სახლში...“

– ა, დეგენაცვლე, საუკეთესო „გრელკები“ შენ, სამუდამოდ დაავიწყებს შენს ცოლს კაცს...

– ცოლს მე თავად მივხედავ, მარა, ტყეში ვაგდივარ ზამთარ-ზაფხულ დათვივით, მომე მეც ერთი, იქნება, ქე მიშველოს რაცხა! – ისე გაუწოდა ორლარიანი „ტყის მჭრელმა“ შამილას, ხერხისთვის წამითაც არ შეუშვია ხელი, აშკარად ეტყობოდა, ყველას და ყველაფერს რომ ერჩია ცხოვრების ერთადერთ იმედად ქცეული ნივთი...

...ცოტა ხანში რაღაც მიზეზი „გრელკის“ საყიდლად ყველამ გამოძებნა და ეგ კი არა, გვერდით მდგომი სამარშრუტო ავტობუსების მგზავრების ყურადღებაც მივიპყარით,გადმოვიდნენ და ალყაში მოაქციეს ჩვენი მანქანა. ცოტა ხანში ლიმიტიც კი დააწესეს – კაცზე თითოს მეტს ნუ გასცემთ, ყველას შეხვდესო! – და მართლაც, რომელი მიმართულებით აღარ „გაემგზავრნენ“ შამილას „გრელკები“ – თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისელებმაც გააყოლეს ხელს – მთავრობის იმედზე მტერი იქნა, რა დროს გამორთავენ დენს და გაზს, ვინ იცისო?!.

– ხომ მშვიდობაა?! – კაცის ღრიალმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება შექმნილ აჟიოტაჟში.

– ეგ ჩვენი „მარშრუტკის“ შოფერია, მოუშვით, ხალხო, იქნება, წასვლა მეიფიქროს! – იცნო ვიღაცამ მძღოლი, რომელმაც, ვინ იცის, რა საშინელება იფიქრა, როცა ხალხის მიერ ალყაში მოქცეული საკუთარი მანქანა დაინახა... რომ უთხრეს, რაც ხდებოდა, უფრო გაიგიჟა თავი: ჩამოუშვით, მე მაგისი ურია დედაო!..

შამილას მაინც აღარაფერი ესაქმებოდა ტყიბულში, რადგან ბედის წყალობით „გრელკების“ მთელი პარტია ქუთაისის ვაგზალში გაყიდა. განრისხებულ მძღოლს ხელში შეაჩეჩა ბოლო: კაი ფეხის ყოფილხარ, დაგენაცვლე, ალალი იყოს შენზე ეს „გრელკა“ თავის პრიბორიანათო! – ტყიბულელებთან მოკითხვა და ბოდიში დაგვაბარა: „წელს რაღა იქნება და გაისათ, ვინც წელს ცოცხალი გადოურჩებით ამ ზამთარს, დეითვალეთ რამდენი იქნებით და კიდევ უფრო იაფათ ჩამოგაიტანთო „გრელკებს!..“

...როგორც იქნა, აიძრა ჩვენი მიკროავტობუსი და მართლა ისე დამიბერა მოშლილი ფანჯრიდან ქარმა, გაცივებას ვინ დაეძებს, ლამის უკან წამიღო ქუთაისში... შევეხვეწე თანამგზავრებს: თუ მართლა პატივისცემა გსურთ ჩემი, სადმე უკან ჩამსვით-მეთქი! – და როდესაც ისედაც ვიწროდ მსხდომებმა ჩემთვისაც გამოძებნეს ადგილი, თამამად „ჩავეხუტე“ მამის ტოლ კაცებს.

– აუ, ეს რავა მამლის კუჭივით გალურჯებულა! – ჩაილაპარაკა ერთმა და ძველი კალათი მოჩიჩქნა: – ა, კიდო დამრჩა არაყი, გუშინ ბაზარში ვეგდე თელი დღე და მაგითი ვითფოფდი გაყინულ სულსო! – პატარა ჭიქაში ჩამოასხა და მირჩია: ერთბაშად გადაკარი, სპირტია თითქმის, იქნება, ფილტვების ანთებას გადარჩეო!.. მეც გადავკარი და მართალია, პირველად დამიბნელდა თვალებში, მაგრამ მერე ისე გამინათდა უცებ გულიც და გონებაც, მეორეც მოვითხოვე...

– მეორეს კაი სადღეგრძელო ჭირდებაო! – მივიღე შენიშვნა და... მოვყევით ამ მთისას თუ იმ ბარისას, სათაურად რომ წავუმძღვარე ჩემს მასალას, ის სადღეგრძელოც მაშინ დაილია – ნობელის პრემია „გრელკას“, ქართველთა 90%-ის გადამრჩენელსო! – და კამათში იმ დასკვნამდეც მივედით, რომ ამ უკვდავი ქმნილებისთვის ნობელის პრემიასთან ერთად, არც ღირსების ორდენის მინიჭება იქნებოდა ურიგო – ბოლოს და ბოლოს, მას რომ აქვს ღირსება და ხალხის წინაშე დამსახურება, ბევრი ჩინოვნიკი ვერ დაიტრაბახებს საქართველოში!..

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ შეასრულა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — ცუცას როლი მხ/ფ-ში „კუჩხი ბედინერი“?

ა) ხათუნა იოსელიანმა;
ბ) ციალა გურგენიძემ;
გ) გულჩინა დადიანმა.

2. წარმოშობით სადაურია კახა კალაძე?

ა) სამტრედიელი;
ბ) თბილისელი;
გ) ქუთაისელი.

3. რამდენ წელიწადში ერთხელ ღებავენ ეიფელის კოშკს?

ა) 25;
ბ) 50;
გ) 7.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი ქვების შესახებ ინფორმაცია მინერალოგებისა და იუველირებისგანაც შეგვიძლია მივიღოთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, ბევრმა მათგანმა არ იცის იმ „ბიბლიურ“ პატიოსან ქვათა შესახებ, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს და ჩვენი ეტლის (ზოდიაქოს) ნიშნის მიხედვით უნდა შევარჩიოთ. ბევრმა ალბათ არც ის იცის, თორმეტ მოციქულთაგან რომელი შეესაბამება მის ეტლს.

სამკურნალო ქვების ძველი და უძველესი ალფასის ისტორია

ნანა ქიბიმაური

გეოლოგსა და მინერალოგს, ***აკადემიკოს ზაურ ძოძრაშვილს*** *10 წელზე მეტი დასჭირდა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ძველი, საეკლესიო ფონდის უნიკალური ხელნაწერების დახმარებით, „ბიბლიურ“ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ ის უძველესი ინფორმაცია შეეგროვებინა, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ. მისი აზრით, ეს ცოდნა მხოლოდ ერის ინტელექტუალურ საგანძურს არ წარმოადგენს, რადგან თანამედროვე ცხოვრებაშიც, პატიოსან ქვათა ენერგეტიკის სამკურნალო მიზნით გამოყენებას დიდი პერსპექტივა აქვს.*

— ბატონო ზაურ, ჯერ ორიოდე სიტყვით თქვენ შესახებ გვიამბეთ — რატომ დაინტერესდით მაინცდამაინც ეტლებითა და ძვირფასი ქვებით? შემდეგ, კონკრეტულად თქვენი კვლევის შედეგზე ვისაუბროთ.

— პლეხანოვზე გავიზარდე. ვცხოვრობდი №104-ში. იქ, სადაც ორი აკადემიკოსი — ნევროლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი პეტრე სარაჯიშვილი და ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი — კორნელი კეკელიძე ცხოვრობდნენ. ბატონ კორნელისთან ხშირად მოდიოდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. ის რომ ეზოში შემოდიოდა, ბავშვები ბურთის თამაშს ვწყვეტდით და გზას ვუთმობდით... ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი, სვეტიცხოველში ყოფნის დროს, ცელქობის ხასიათზე დავდექით. ვიცინოდით, დავრბოდით, ვცდილობდით, საფლავის ქვებისთვის ფეხი არ დაგვედგა და მათ ზემოდან ვახტებოდით. მოულოდნელად, ვიღაცას დავეჯახე, ავიხედე ზემოთ და... ჩემ წინ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იდგა. თავზე გადამისვა ხელი და გენიალური სიტყვები მითხრა: დაადგი, შვილო, საფლავის ქვას ფეხი, რომ ჩვენმა წინაპრებმა გაიგონ — მათი შთამომავლობა ეკლესიაში კიდევ დადისო... მაშინ 12 წლის ვიყავი. სწორედ მაშინ გავიგე პატრიარქისგან, რომ ეკლესიაში არის 12 მოციქულის ფრესკა და თითოეულ მოციქულს თავისი ეტლი შეესაბამება, რომ მე ვარ კირჩხიბის ნიშნის ქვეშ დაბადებული... მოგვიანებით, უძველეს საეკლესიო ლიტერატურაში აღმოვაჩინე, ინფორმაცია „ბიბლიურ“ ქვებზე და რადგან გეოლოგი და მინერალოგი ვარ, ამ საკითხით დავინტერესდი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 12 მოციქულს, რომელთა ფრესკებითაც იყო მოხატული სვეტიცხოვლის კედელი და ქაშვეთის ეკლესიის შესასვლელი თაღი, შეესაბამებოდა არა მარტო თავისი ეტლები, არამედ ქვებიც, 12 „ბიბლიური“ ქვა ნახსენებია „ძველ აღთქმაშიც“. ისინი აარონის მოსასხამზე იყო განლაგებული და IV საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მწერლისა და ღვთისმეტყველის, ეპიფანე კვიპრელის მიერ დაწერილ ტრაქტატს — „თვალთაის“ თუ დავეყრდნობით, მათ სამკურნალო თვისებები ჰქონდა.

„ბიბლიური“ ქვები, ჯვართან ერთად, დადებითად რომ მოქმედებს ადამიანზე და აძლიერებს ჯვრის ცხოველმყოფელობას, ეს ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ. ამის ბრწყინვალე დამამტკიცებელი დასაბუთებაა თამარ მეფის გულსაკიდი ოქროს ჯვარი, რომელიც 4 ზურმუხტის, 5 იაგუნდისა და 6 მარგალიტისგან შედგება.

— ბატონო ზაურ, ახლა ჩამოვთვალოთ, რომელ ეტლს, რომელი პატიოსანი ქვა შეესაბამება.

— ვერძის ძირითადი პატიოსანი ქვა არის იასპი, კუროს ეტლის — საფირონი, მარჩბივის — ქალცედონი, კირჩხიბის — ზურმუხტი, ლომის — სარდონიქსი, ქალწულის — სარდიონი, სასწორის — ქრიზოლითი, ღრიანკლის — ბივრილი, მშვილდოსნის — ტოპაზი, თხის რქის — ქრიზოპრაზი, მერწყულის — იაგუნდი, თევზების — ამეთვისტო.

დღეისათვის საიუველირო წარმოებაში 200-მდე დასახელების ქვას იყენებენ. აქედან სამკურნალო თვისებები მხოლოდ 45-ს აქვს. მათ შორის ყველაზე ძლიერმოქმედი სწორედ ეს 12 ქვაა. მათი დადებითი ენერგეტიკა 70 დასახელების დაავადებას კურნავს, იცავს ავი თვალისგან და ასუფთავებს ადამიანის ბიოველს.

— ხელოვნურ მინერალებს არა აქვს სამკურნალო თვისებები? როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირი ხელოვნური ქვების წარმოებით ერთ-ერთი მოწინავე იყო და ჩვენს

12 „ბიბლიური“ ქვა ნახსენებია „ძველ აღთქმაშიც“

ქალბატონებსაც ბევრი ასეთი ქვით დამშვენებული სამკაული აქვთ.

— მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ძირითადად ხელოვნურ ალმასებს (ფიანიტებს) ამუშავებდნენ, საბჭოთა კავშირში კი — ყველანაირი ძვირფასი ქვის იმიტაციას ახდენდნენ. ქვეყნის ჩაკეტილი ბაზარი გადაჭედილი იყო ხელოვნური ძვირფასი ქვებით, რათა მუშათა კლასისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო იაფფასიანი „ბრილიანტების", „ზურმუხტების" და „იაგუნდების" შეძენა. ხელოვნურ და ბუნებრივ ქვებს შორის ძირითადი განმასხვავებელი თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნური ქვები ძალზე მცირე ენერგოინფორმაციული რესურსით ხასიათდება და ამის გამო, არანაირი სამკურნალო თვისებები არა აქვს. ხელოვნური მინერალების დიდხანს ტარება აჩლუნგებს ადამიანის მგრძნობელობას. ამ უსულო, მკვდარი ასლების ადგილი მხოლოდ ტექნიკაშია.

— მართალია თუ არა, რომ მარგალიტი და ფირუზი — ე.წ. „ცოცხალი" ქვები — დროთა განმავლობაში ფერს იცვლის?

— დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ არა მარტო მარგალიტი და ფირუზი, არამედ ყველა პატიოსანი ქვა, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს, ადამიანთან გარკვეული დროის კონტაქტის შემდეგ, ფერს იცვლის, მუქდება, უჩნდება ბზარები და „კვდება". ასეთი პატიოსანი ქვების შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ მათი პატრონები სხვადასხვა სნეულებით იყვნენ დაავადებულნი და ქვებსაც ამ დაავადებასთან ჭიდილის შედეგად ჰქონდა დარღვეული ენერგეტიკა. ბუნებრივი პატიოსანი ქვა, პირველ რიგში, ადამიანზე გარედან მოქმედ უარყოფით ენერგიაზე რეაგირებს — იღებს მას თავის თავზე, შთანთქავს და ბოლოს, ფერს იცვლის. ცნობილია, როცა ადამიანის ორგანიზმში დაავადების ჩამოყალიბება ხანგრძლივ პროცესს მოიცავს. ორგანიზმში ჯერ ენდოკრინოლოგიური ცვლილებები იწყება, შემდეგ ხდება ორგანიზმის ტოქსიკური მოწამვლა, ბოლოს კი, ავადმყოფობის ჩამოყალიბების შემდეგ — ანამნეზი — ე.ი. ადამიანი უკვე იწყებს იმის აღწერას, თუ რა აწუხებს და როგორ გრძნობს თავს. ბუნებრივი პატიოსანი ქვა, თუკი ადამიანი მას სისტემატურად ატარებს, რამდენიმე წლით ადრე იძლევა ნიშანს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. ამის დამამტკიცებელ მაგალითად, ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლის ნაქონი,ეგვიპტეში ნაყიდი დიდი ფირუზიც გამოდგება, რომელმაც ისე შეიცვალა ფერი, რომ გიშერივით გაშავდა. მაშინ რომ იმდენი მცოდნოდა ქვების სამკურნალო თვისებების შესახებ, რამდენიც ახლა ვიცი, ჩემი მეუღლე დღეს შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო.

პატიოსანი ქვა, თუკი ადამიანი მას სისტემატურად ატარებს, რამდენიმე წლით ადრე იძლევა ნიშანს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების შესახებ

— ფერშეცვლილი ქვის ტარება ჯანმრთელობისთვის საშიშია?

— უარყოფითი ენერგეტიკით დამუხტული ქვის ტარება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვა სხვა ადამიანს ეკუთვნოდა, არ შეიძლება. საიუველირო მაღაზიებშიც ხშირად იყიდება სამკაული მკვდარი ფირუზით, სარდიონით, მალაქიტით და სხვა ქვებით. ფერშეცვლილი ქვა აუცილებლად უნდა ჩაიმარხოს ან გასუფთავდეს სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით.

— დამუშავების დროს ქვა თავის თვისებებს ინარჩუნებს?

— ქვას უმეტესად, დოლური მეთოდით ამუშავებენ: დოლში ჩაყრიან როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური ქვის ნატეხებს და აბრაზივს (ქვის დასამუშავებელი). რამდენიმე დღის განმავლობაში, დოლს ატრიალებენ, ქვები ერთმანეთს ეჯახება და გლუვდება. ამ მეთოდით დამუშავებული ქვები საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის. ჩვენ შევამოწმეთ მათი ენერგეტიკა და აღმოჩნდა, რომ ის ნულის ტოლია. პატიოსანი ქვა აუცილებლად ხელით უნდა დამუშავდეს. ქვის ენერგეტიკაზე იმასაც კი აქვს გავლენა, თუ როგორი აურის მქონე ადამიანი ამუშავებს მას. პატიოსანი ქვის დამუშავების უფლება, ისევე, როგორც ხატის შექმნისა, ყველას როდი უნდა ჰქონდეს. მეც დიდხანს ვეძებე ხელოსანი, რომელსაც ქვებთან მუშაობას ვანდობდი... ზღვის სანაპიროს ქვების შემოწმებისას დავრწმუნდით, რომ ბუნება ყველაზე კარგი „ხელოსანი" აღმოჩნდა, რომ ზღვის მიქცევა-მოქცევა, დოლისგან განსხვავებით, ქვის ენერგეტიკას არ აზიანებს და ზღვაზე დასასვენებლად თუნდაც ერთი კვირით ჩასული ადამიანი ამ ქვებიდან იმდენ ენერგიას იღებს, რაც მთელი წლის განმავლობაში ჰყოფნის.

— როგორც ვიცი, არსებობს რამდენიმე დასახელების მინერალი, რომელსაც ერთმანეთი „არ უყვარს" და მათი სამკაულზე ერთად მოთავსება არ შეიძლება.

— კი, არის ისეთი ქვები, რომლებიც ერთმანეთის სიახლოვეს „ჩხუბობენ" — მაგალითად, ქარვა და ლაზურიტი. ქვების ერთმანეთთან დამოკიდებულება კარგად იცოდნენ ძველმა ხატმწერებმა და ყველა ქართული ხატი, რომელიც პატიოსანი ქვებითაა შემკული, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი.

— რა ხდება მაშინ, როცა ადამიანი სხვისი ეტლის ქვას ატარებს?

— ერთმანეთს უპირისპირდება ქვის ენერგეტიკა და ადამიანის ბიოველი. მაგალითად, ლომის ეტლით დაბადებულმა ადამიანმა არ შეიძლება გიშრის („სათი") ქვა ატაროს, იმიტომ, რომ ლომის ენერგეტიკა ამ ქვის ენერგეტიკაზე გაცილებით ძლიერია. ლომის სტიქიონია ცეცხლი, იქ კი, სადაც ცეცხლია, ნახშირს რა ძალა უნდა ჰქონდეს?! ასევე არ შეიძლება, ლომმა ძოწეული ატაროს. მისთვის კარგია ქარვა და არა მარგალიტი, სამაგიეროდ, სინესტის მოყვარული კირჩხიბისა და ღრიანკლისთვის მარგალიტი და ზღვიდან მოტანილი სხვა ქვები შეუცვლელია.

— აქვს თუ არა მნიშვნელობა ქვის ზომას?

— სამკურნალო თვისებები ერთნაირია — განსხვავება მხოლოდ ენერგოტევადობაშია. რა თქმა უნდა, დიდი ზომის ქვაში ის მეტია.

— როგორც ვიცი, სამკურნალო ქვები აფთიაქში იყიდება, მაგრამ საინტერესოა, რა წერია მათ რეცეპტებში? როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ ქვებით?

— რეცეპტში, რომელიც ქვას ერთვის თან, წერია, თუ რომელ დაავადებას კურნავს ის. აგრეთვე მინიშნებულია მისი მოვლის წესიც. ბანაობისას ქვას ნუ მოიხსნით. სასურველია ის გულზე დაკიდე-

ბული ატაროთ. მკერდის გასაყართან (კუჭის თავთან) მდებარეობს სხეულის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ადგილი – „მზის წნულის“ (ჩაკრას) წერტილი; მისი მეშვეობით ყველაზე კარგად ხერხდება ადამიანის ბიოველთან პატიოსანი ქვის დადებითი ენერგეტიკული ველის ურთიერთქმედება. არ შეიძლება, ჯიბით ან საფულით პატიოსანი ქვის ტარება. განსაკუთრებით მოარიდეთ ის ხურდა ფულს, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და დაბინძურებული ენერგეტიკით გამოირჩევა. დადებითი ენერგეტიკის მქონე პატიოსანი ქვა, ფულთან მოხვედრისას, ცდილობს, დაჯაბნოს მისი უარყოფითი ენერგეტიკა, ამიტომ იხარჯება და ჭუჭყიანდება. თვეში ორჯერ 1 ჩ/ჭ თბილ წყალში გახსენით 1 ჩ/კ მარილი; ქვა გარეცხეთ ჯაგრისით და გასაშრობად მზეზე დადეთ; საღამოს კი, როცა ქვას მოიხსნით, ჩადეთ წყლით სავსე ჭიქაში და დილით, უზმოზე ეს წყალი დალიეთ; სასურველია, ეს პროცედურა ორი კვირის განმავლობაში გაიმეოროთ.

— მართალია თუ არა, რომ არსებობს ქვები, რომელსაც ქალები ფეხმძიმობის დროს თეძოზე იმაგრებენ და ამის წყალობით, უმტკივნეულო მშობიარობა აქვთ?

– ასეთი ქვებია აქატი და იასპი. არსებობს ქვა, რომელიც უშვილო ცოლ-ქმარმა უნდა ატაროს; ქვა, რომელიც ადამიანს ალკოჰოლიზმისგან კურნავს, აღადგენს მხედველობას, კურნავს დეპრესიისგან; ქვა, რომელიც ოპერაციის შემდგომ პერიოდში უნდა ატაროთ და ა.შ.

— „შურისმაძიებელი“ ქვების შესახებ რას გვეტყვით?

– როგორც ამბობენ, ეს არის ალმასი, მაგრამ ის „არაბიბლიური“ ქვაა და შესაძლოა, სწორედ ამიტომ არის, რომ მის მოსაპოვებლად, უამრავი სისხლი დაღვრილა. თუმცა, რამდენიმე მათგანს მართლაც ზოგიერთ უძველეს ქალაქზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ასეთია, მაგალითად, ალმასი „სანსი“. თუმცა, ძვირფასი ქვების მფლობელების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, სჯობს მეტი ინფორმაცია იმ ქვების შესახებ მოვიპოვოთ, რომელსაც ადამიანებისთვის სიკეთე მოაქვს.

და მაინც – ინფორმაცია მათთვის, ვისაც ქვათა მეფედ აღიარებული ალმასი აინტერესებთ.

უძველესი ბრილიანტის ისტორია

ალმასს, რომელსაც შემდგომში „სანსი“ ეწოდა, დაახლოებით 1000-წლიანი ისტორია აქვს. ის 1064 წელს, აღმოსავლეთ ინდოეთში ვაჭარმა ჯაგუტუნგამ ადამსის ღრმა უფსკრულში მოიპოვა. ლეგენდის თანახმად, ამ უფსკრულის ფსკერზე დიდი რაოდენობით ალმასი ილექებოდა, მაგრამ მათი მოპოვება არცთუ ისე იოლი იყო: ჯერ ერთი, უფსკრულის ძირში გველები ბუდობდნენ, მეორეც – სალი კლდეების გადალახვა ბევრს როდი შეეძლო. სწორედ ამიტომ, ალმასებზე მონადირეები ძვირფასი ქვის მოსაპოვებლად საკმაოდ ორიგინალურ ხერხს მიმართავდნენ: უფსკრულის ძირში ცოცხალ ცხვარს აგდებდნენ, ისე, რომ ის პირდაპირ ალმასებს დასცემოდა, შემდეგ დიდი მოთმინებით ელოდნენ, ვიდრე ცხვარს არწივი არ აღმოაჩენდა და შესაჭმელად მთის რომელიმე ფერდობზე არ წაიღებდა. სწორედ ამ მეთოდით მოიპოვა თურმე არწივისგან გამოშიგნულ ცხვრის ტყავზე მიწებებული უდიდესი ალმასი ინდოელმა ვაჭარმაც. ამ მართლაც, გასაოცარი სილამაზის ქვას არც ერთი ბზარი არ ჰქონდა, წყალზე უფრო გამჭვირვალე იყო და 101,25 კარატს იწონიდა.

1451 წლამდე, ალმასი ინდოეთის სხვადასხვა სამეფო დინასტიას ეკუთვნოდა. მოგვიანებით კი, მისი მფლობელი კარლოს მამაცი – ბურგუნდიის ჰერცოგი გამხდარა. 1475 წელს, ალმასი ფლამანდიელ იუველირს დაუწახნაგებია, რის შედეგადაც, ის ბრილიანტად გადაიქცა და მის ზედაპირზე 32 წახნაგი გაჩნდა.

ბურგუნდიის ჰერცოგი კარლოსი განდიდების მანიით იყო შეპყრობილი და მთელი ევროპის დაპყრობაზე ოცნებობდა. მას მტკიცედ სწამდა ბრილიანტის მაგიური ძალის. 1477 წელს, შვეიცარიელებთან ბრძოლაში ძვირფასი ქვის დაკარგვიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ჰერცოგი გარდაიცვალა. დაკარგული ბრილიანტი პორტუგალიის მეფე ალფონს აფრიკანელს ჩაუვარდა ხელში. მან კი, 100 ათას ფრანკად ფრანგ მარკიზ ნიკოლას დე სანსს მიჰყიდა. მას შემდეგ, ბრილიანტი სწორედ მარკიზის სახელს ატარებს.

შემდგომში, ალმასი ხელიდან ხელში გადადიოდა და ხან ინგლისის, ხან კი საფრანგეთის მეფეთა საგანძურს ამშვენებდა. 1691 წელს, საფრანგეთის მეფეთა საგანძურის აღწერისას, ბრილიანტი „სანსი“ 600.000 ლივრად შეაფასეს. 1791 წლისთვის, მისი ფასი უკვე მლნ ლივრს უტოლდებოდა და საფრანგეთის მეფეთა გვირგვინს ამშვენებდა.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, 1792 წელს, „სანსი“ უკვალოდ გაქრა. ნაპოლეონ პირველმა, რომელიც ძვირფასეულობის დიდი მოყვარული გახლდათ, დაკარგული ალმასის ძებნა თავის ჯაშუშს დაავალა, მაგრამ მანაც ვერ შეძლო მისი პოვნა. 1830 წელს, პარიზში გავრცელდა ხმა, რომ რუსმა მეწარმემ პავლე დემიდოვმა „სანსი“ თავისი მეუღლის, ავრორა შერნალ-დემიდოვასთვის შეიძინა. 1840 წელს, თავადი დემიდოვი გარდაიცვალა. მისი მეუღლე ავრორა კარლოვნა დიდი ხნის განმავლობაში, საზოგადოებაში მხოლოდ თალხ ფერებში გამოწყობილი ჩნდებოდა, თუმცა მის მკერდს „სანსი“ გამუდმებით ამშვენებდა. რამდენიმე წლის შემდეგ, იგი ცოლად გაჰყვა გვარდიის ოფიცერს, ცნობილი რუსი მწერლისა და ისტორიკოსის ნიკოლოზ კარამზინის ვაჟს, რომელიც პარიზში ცხოვრობდა. ავრორამ, რომელიც ყოველთვის თან დაატარებდა თავის უძვირფასეს სამკაულს, ერთ დილას აღმოაჩინა, რომ „სანსი“ გამქრალიყო. ბრილიანტის დაკარგვიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ის გარდაიცვალა (1902 წელს). იმის თაობაზე კი, თუ ვინ გახდა ძვირფასი ქვის მფლობელი, მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება. თუ იმ ვერსიას ვირწმუნებთ, რომ 1969 წელს ძვირფასი ქვების აუქციონზე გაყიდული უზარმაზარი ბრილიანტი, „სანსი“ იყო, მაშინ მის მფლობელად ელიზაბეტ ტეილორი უნდა ვაღიაროთ, რომლისთვისაც მის მეუღლეს, რიჩარდ ბარტონს სწორედ 1969 წელს შეუძენია უზარმაზარი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი. შეიძლება, ეს სწორედ ის ბრილიანტია, რომელიც ელიზაბეტს ძალიან უყვარს და მუდმივად თან ატარებს. და თუ ეს მართლაც „სანსია“, წარმოიდგინეთ, როგორ ეშინია კინოვარსკვლავს მისი დაკარგვის...

■

არსებობს ქვა, რომელიც უშვილო ცოლ-ქმარმა უნდა ატაროს

ბოდის ფიქრიან ეკეკაცები?

მარი ჯაფარიძე

კაცობრიობის სუსტი და მშვენიერი ნახევარი რომ დახელოვნებული ვართ ამ საქმეში და ხშირად ვაღვარღვარებთ ცრემლებს, ყველამ კარგად იცის. ისიც ცნობილია, რომ ჩვენთვის ტირილის მიზეზი, ხან სიხარულია, ხან უბრალოდ, ჭირვეულობა, ზოგჯერ უმიზეზოდაც ვტირით. ხშირად კი, ქალს აცრემლების საფუძველს სწორედ მამაკაცები აძლევენ. თავად ისინი კი, როგორც მკითხველთა „მესიჯებიდანაც" ჩანს, იშვიათად ტირიან, უნებლიე ცრემლსაც საგულდაგულოდ მალავენ და თუ ვინმემ შენიშნა, უხერხულად იშმუშნებიან ხოლმე...

„გოდერძი მეცოდებაო, — თან თვალები აუწყლიანდა..."

„გამარჯობათ. მე მარიკა გახლავართ, 34 წლის. ქმარს გაცილებული ვარ და უკვე სამი წელია, რაც მეგობარი მამაკაცი მყავს. ის ძალოვან სტრუქტურაში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და ძალზე მკაცრი ხელმძღვანელის სახელი ჰქონდა. თანამშრომლებს უყვარდათ, მაგრამ მისი შიშიც ჰქონდათ. ქალი თუ კაცი თითის წვერებზე დადიოდა, რადგან სულ მცირე შეცდომასაც კი არავის აპატიებდა. კაცური კაცის სახლით სარგებლობს მეგობრებს შორისაც და არაერთხელ გამიგონია მისი ვაჟკაცური ბუნების ქება იმ ადამიანებისგანაც, რომლებიც მას შორიდან იცნობენ და საერთო ნაცნობებისგან გადმოცემით იციან მის შესახებ. ასე დაწვრილებით იმიტომ გიყვებით, რომ წარმოდგენა შეგიქმნათ, თუ როგორი ადამიანია ლევანი. ერთხელ კი, აი, რა მოხდა: შარშან, 9 მაისს დამირეკა და მთხოვა, მასთან სამსახურში მივსულიყავი, საღამოს კი, გამარჯვების დღის აღსანიშნავად, რესტორანში ვიყავით დაპატიჟებულები. სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო, როდესაც მისი კაბინეტის კარი შევაღე. შევნიშნე, რომ თვალები ტირილისგან დაწითლებული ჰქონდა. რომ დამინახა, ცხვირსახოცი მოიშველია და ცრემლი მოიწმინდა. ტელევიზორს შევხედე... იქ კი, „ჯარისკაცის მამის" ბოლო კადრებს მოვკარი თვალი. ლევანი უხერხულად შეიშმუშნა და თითქოს თავი იმართლა — გოდერძი მეცოდებაო, — თან თვალები კვლავ აუწყლიანდა. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. არ მეგონა, თუ მას ტირილი შეეძლო... როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერ მამაკაცებსაც უჩვილდებათ გული, როცა გულში ჩამწვდომ სცენას უყურებენ..."

„გარდაცვლილ სიყვარულს ვტიროდი..."

როგორც ჩანს, მამაკაცები მაშინაც ტირიან, როცა უიმედოდ არიან შეყვარებული, მაგრამ ეს მათ სისუსტეზე სულაც არ მეტყველებს. გავიხსენოთ რუსთაველი — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა, მტირალი წყლისა პირსა" — ტარიელის შესახებ რომ ამბობს, თუმცა, ტარიელს ვაჟკაცობაში ბევრი ვერ შეედრება...

„35 წლის გახლავართ და ერთი პირი ცოლ-შვილი უკვე გამოვიცვალე. არ დავიწყებ თავის მართლებას — მამა აბრამის ბატკანი ვარ, მაგრამ ცოლმა ვერ გამიგო-მეთქი; ცოტა ჩემი ბრალი იყო, ცოტა მისი და ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ოჯახი ვერ შევინარჩუნეთ. ეს ამ ოთხი წლის წინ მოხდა. გავიდა ორი წელი და შევხვდი ერთ არაჩვეულებრივ ქალბატონს. ძალიან მალე მოვიხიბლე მისით და მოსვენება დავკარგე. არ დამიმალავს, რომ შვილები მყავდა. მაშინვე შევნიშნე — არ მოეწონა ეს ამბავი, რადგან თუ მანამდე მის კეთილგანწყობას ვგრძნობდი, ამის შემდეგ მეტისმეტად უკარება და ცივი გახდა. ხან აქედან მოვუარე, ხან იქიდან მივუდექი, მაგრამ ვერ „გავტეხე". თანაც, უარის ნამდვილ მიზეზსაც არ მეუბნებოდა. მე კი ყურებამდე გახლდით შეყვარებული და მის გარდა, ქვეყნად ვერავის ვამჩნევდი. ისე მიყვარდა, რომ ყოფილმა ცოლმაც შეიტყო და არ დამიმალავს, სულ დაწვრილებით ვუამბე მის შესახებ... ნინოსთვის შორიდანაც რომ მომეკრა თვალი, გული ამოვარდნაზე მქონდა. ასეთი გრძნობა ალბათ 17-18 წლის ასაკშია შესაძლებელი. ერთხელაც, დავიმარტოხელე და ვუთხარი — ორ კვირას გაძლევ მოსაფიქრებლად, მანამდე არ შეგაწუხებ, ვადის გასვლის შემდეგ კი შემხვდი და საბოლოო პასუხი მითხარი, გამომყვები ცოლად თუ არა-მეთქი. ის ორი კვირა არ მძინებია, არც საჭმელი მიჭამია, მთელი ცხრა კილო დავიკელი ნერვიულობითა და შიმშილით. შეხვედრისას მითხრა — შვილები რომ არ გყავდეს, ცოლად გამოგყვებოდი, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია, ნაცოლარზე გათხოვებაო... ამ დროს კაფეში ვისხედით. თვალი თვალში გავუყარე. თვითონაც გამისწორა მზერა და სწორედ ამ დროს, ცრემლები თავისთავად ჩამომიგორდა თვალებიდან. ჩემი ცრემლები მაგიდაზე წკაპაწკუპით ეცემოდა, მე კი არც მისი მერიდებოდა და არც გარშემომყოფების. ბოლოს, ნინომ რამდენიმე სიტყვა გადმომიგდო — ვაჟკაცი მეგონე, შენ კი ქალაჩუნა ყოფილხარო, — და დამტოვა. მე კი მინდა, თქვენი საშუალებით ვუთხრა, რომ არავისზე ნაკლები ვაჟკაცი არა ვარ, მაგრამ იმწუთას ასე მეგონა, ქვეყანა თავზე მენგრეოდა... მართალია, ახლა სულაც არ მიმაჩნია, რომ დედამიწა ნინოს გარშემო ბრუნავს, მაგრამ არ ვნანობ იმ ცრემლებს, რადგან იმ წუთში ჩემს „გარდაცვლილ" სიყ-

ვარულს ვტიროდი... პატივისცემით, ნიკო“.

„სპიტაკის მიწისძვრამ ამატირა...“

„ცრემლებით სავსე ხელთ მეპყრა თასი, ღმერთს თუ იცის, ტირილის ფასი?“ – ეს შანდორ პეტეფის სიტყვები გახლავთ და გონებაში მაშინ ამომიტივტივდა, როდესაც 43 წლის დათოს „მესიჯი“ წავიკითხე:

„მეტად მძიმე ამბავი უნდა მოგიყვეთ. ალბათ გახსოვთ, სპიტაკში რომ მიწისძვრა მოხდა. მაშინ 25 წლის ბიჭი ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე ქართველ მაშველებთან ერთად. დაზაფრული ვიყავი, როდესაც ნანგრევებიდან დამტვრეულ-დასახიჩრებული გვამები ამოგვქონდა, მაგრამ ის, რაც ერთ-ერთი კორპუსის ნანგრევებში ვიხილე, მეტისმეტი იყო. მიწისძვრის დღიდან უკვე 22 დღე იყო გასული, როდესაც კორპუსს რამდენიმე სართული „მოვხსენით“ და უამრავი მიცვალებული გადმოვასვენეთ. ნელ-ნელა ქვედა სართულებისკენ მივიწევდით. წარმოიდგინეთ, ჩამოშლილი სახლი, რომლის პირველი სამი სართული მიწის ქვეშ არის ჩასული და ზევიდან 5 სართულის ნანგრევები ფარავს... მესამე სართულამდე რომ ჩავაღწიეთ, ძალიან სუსტი კნავილი მოგვესმა. ყურები ვცქვიტეთ, ცხადი იყო, რომ ამ ხმას ცოცხალი არსება გამოსცემდა. კატაც რომ ყოფილიყო, ისიც კი გვეცოდებოდა სასიკვდილოდ, ამიტომ ძალზე ფრთხილად ვმოქმედებდით. მივხვდით, რომ ხმა ერთ-ერთი სინკარის ქვემოდან მოდიოდა, რომელიც მეორესთან ერთად, სამკუთხედად იყო აღმართული. როგორც იქნა, სინკარი ავწიეთ და რას ვხედავთ – ახალგაზრდა, ასე 25 წლის ქალი, რომელიც უამრავი ღია მოტეხილობის გამო სისხლისგან დაცლილიყო, კუთხეში იჯდა; გულზე მიკრული, ჩვრებში გახვეული სამიოდე თვის ბავშვიც, როგორც ჩანს, შიმშილისგან დაღუპულიყო, გარდაცვლილ დედას კი, ოთხი წლის გოგონა ეკვროდა და საცოდავად კნაოდა, რადგან შიმშილისგან მისავათებულს, ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდა... იქვე, ბეტონის ნატეხზე დავჯექი და იცით, როგორ ვიტირე? სულ ხმამაღლა ვბღაოდი, ისე მეცოდებოდნენ ეს ადამიანები... სასწაულებრივად გადარჩენილი ბავშვი გულში ჩავიხუტე და მიწის ზედაპირზე ძლივს ამოვბობღდი. მოგეხსენებათ, გადარჩენილი ადამიანები თავ-თავიანთი სახლების ნანგრევებთან იდგნენ და მათი ახლობლების ნეშტის გამოჩენას ელოდნენ. ამ ბავშვის მამაც იქ მდგარა, მაგრამ შვილი ვერ იცნო, მხოლოდ ტანისამოსით მიხვდა, რომ გოგონა მისი იყო. ბავშვი გულში რომ ჩაიკრა, მეორედ მაშინ ავბღავლდი. ექიმებმა ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან, შემდეგ შემომიბრუნდა და სომხურად რაღაც მკითხა. მივხვდი, მეუღლისა და ჩვილის ამბავს კითხულობდა და თვალი რომ ავარიდე, იქვე ჩაჯდა და ტირილი დაიწყო... მიმაჩნია, საკმარისია, რაც გიამბეთ. თუ ძალზე მძიმე მოსასმენი არ არის, ვფიქრობ, გამოაქვეყნებთ...“

ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთ დროს მამაკაცი კი არა, ქვა და კლდეც ატირდებოდა. ასევე ბუნებრივია ტირილი, როცა საქმე შვილის ყოფნა-არყოფნის საკითხს შეიძლება შეეხოს...

„ღმერთს შვილის გადარჩენას შესთხოვდა...“

„საკმაოდ გვიან გავთხოვდი, 38 წლის ასაკში. შვილი არა და არ მიჩნდებოდა. მე და ჩემი მეუღლე ხუთი წლის განმავლობაში ვიტანჯებოდით იმის გამო, რომ ვფიქრობდით, შვილი არ გვეღირსებოდა. ექიმთან არ მივდიოდი, რადგან ერთ-ერთი ჩემი ნათესავი გამოუცდელმა ექიმმა სულ მთლად დაღუპა, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა არ ღირს. მხსნელად ღმერთი მეგულებოდა. დავდიოდი ეკლესიაში და წმინდა მარიამის ხატს შევთხოვდი, შვილი ეჩუქებინა ჩემთვის. მეუღლე ვერ ავიყოლიე. დამცინოდა ხოლმე – ლუარსაბივით და დარეჯანივით, თელეთის ეკლესიას ვეწვიოთ ურმით, იქნებ, დაფეხმძიმდეო. მე მაინც არ ვიშლიდი ჩემსას და ეკლესიაში სიარულს განვაგრძობდი... მოკლედ, ხუთი წლის შემდეგ დავფეხმძიმდი და მშვენიერი გოგონა შეგვეძინა. ბავშვი ორ წლამდე ისე გავზარდეთ, ფრჩხილიც არ წამოსტკენია. ზამთარში, გასათბობად ნავთქურას ვხმარობდით. ერთ დილას, შინ მხოლოდ მე და გვანცა ვიყავით. ავტოფარეხიდან ნავთი ამოვიტანე და ქურაში ჩავასხი (აღმოჩნდა, რომ ბენზინი ყოფილა). მე სამზარეულოში ვსაქმიანობდი, ბავშვი კი ოთახში თამაშობდა. უცებ, ნავთქურა აფეთქდა. ოთახში რომ შევვარდი, ვერაფერი გავარჩიე... კვამლში, როგორც იქნა, ცეცხლმოკიდებული ბავშვი შევნიშნე, ხელი ვტაცე და აბაზანაში ჩავაგდე. ამასობაში ხალხი მოგროვდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წავედით. ბავშვი საშინელ მდგომარეობაში იყო. ექიმს არ დაუმალავს, რომ მისი გადარჩენის შანსი თითქმის არ იყო. კინაღამ გავგიჟდი. თავს კედელს ვურტყამდი, ხმამაღლა მოვთქვამდი და მეუღლემ სწორედ ასეთ დროს მომისწრო. ის რეანიმაციაში, ბავშვის სანახავად შევიდა, თან ექიმსაც გაესაუბრა და ბუნებრივია, მასაც იგივე უთხრეს. მე ამასობაში გავირინდე, მის გამოსვლას ველოდი. რეანიმაციის განყოფილებასთან დერეფანში უამრავი ადამიანი იდგა. კარი რომ გაიღო და ჩემი ქმარი გამოჩნდა, ხალხი შუაზე გაიყო და ჩემსა და ვახტანგს შორის დერეფანი გააკეთა. კაცს სახეზე ფერი არ ედო. ექთანმა მის ზურგს უკან კარი ჩაკეტა. ამ დროს ვახტანგმა მუხლებზე დაიჩოქა, ხელები ერთანეთს გადააჭდო, მზერა ჭერისკენ აღაპყრო და მივხვდი, რომ ის ღმერთს შვილის გადარჩენას შესთხოვდა. თან თვალებიდან უწყვეტად ცრემლი სდიოდა... ასე გარინდებული, 2-3 საათის განმავლობაში იდგა, შემდეგ წამოდგა, ჩემთან მოვიდა, გულში ჩამიკრა და მითხრა – ნუ გეშინია, ღმერთი არ გაგვწირავსო... მართლაც, გვანცა გადარჩა, მაგრამ მთელი თვე ებრძოდა სიკვდილს... ახლა გვანცა უკვე 12 წლის

არის. სხეულზე დამწვრობის კვალი ეტყობა, მაგრამ ამას ვინ ჩივის?! ამის შემდეგ ვახტანგი ყოველ კვირას მიდის ეკლესიაში და ღმერთს მადლობას სწირავს. ელზა“.

„რომ შევნიშნე, ყველა ტიროდა, მეც ავბღავლდი...“

ხშირად ისეც ხდება, რომ მწუხარების კი არა, სიხარულის გამოც ტირიან მამაკაცები – თუნდაც, ეს სხვისი სიხარული იყოს:

„ჩემს მეზობლებს საოცარი ამბავი შეემთხვათ. ცოლ-ქმარს ორი ვაჟი ჰყავდა. ერთ საღამოს უფროსი შვილი მანქანით წავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი ტელეფონით შეატყობინეს, რომ ავთო ავარიაში მოყოლილიყო. თითქმის ყველა მეზობელი შემთხვევის ადგილისკენ გავემართეთ. ავარია გაჩიანის ხიდთან მომხდარა, მანქანა ხიდიდან გადავარდნილა და მიწაზე დავარდნისას ცეცხლი გასჩენია... მძღოლის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ბიჭი მანქანის შორიახლოს უპოვიათ ცოცხალმკვდარი და როგორღაც მისგან შეუტყვიათ ავთოს ოჯახის ტელეფონის ნომერი. მძღოლი მთლიანად დამწვარიყო, ისე, რომ მანქანიდან გადმოსვლა ვერც მოესწრო... ავთოს ნეშტიც მორგში გადაესვენებინათ... ყველანი გულწრფელად განვიცდიდით ავთოს ტრაგედიას. პოლიციელებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ ექსპერტიზა ჩაეტარებინათ და გარდაცვლილის სხეულის ნაწილები იმ ღამით მორგში დატოვეს. დედა ძლივს წამოიყვანეს შინ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი იქნებოდა მათ ოჯახში?! ამდენი ატირებული მამაკაცი არასოდეს მინახავს... როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, მშობლებს კატაბალახას წვეთებით აბრუნებდნენ, მეზობლები კი ოთახს ვამზადებდით, მიცვალებულის მოსასვენებლად... მოკლედ, საკმაოდ გვიან – ასე, ღამის ორ საათზე – კარი გაიღო და თავზე ავთო წამოგვადგა. მთვრალი იყო, თავს ძლივს იმაგრებდა, მაგრამ მიხვდა, რომ ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. ვერ გაიგო, რა ხდებოდა, ვინ გარდაიცვალა, მაგრამ თავში ხელი წაიშინა და ბღავილი დაიწყო. ყველა გაოგნებული მისჩერებოდა ავთოს. დედამისი კივილით წამოხტა და შვილს ეცა, თავიდან ბოლომდე დაკოცნა და სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა – ხან იცინოდა, ხან ტიროდა... მოკლედ, ბოლოს გაირკვა, რომ მანქანაში ავთოს ორი მეგობარი იჯდა, თვითონ კი გვიანობამდე რესტორანში ყოფილა, ქეიფობდა, როგორც კი ავარიის შესახებ შეუტყვია, მაშინვე საავადმყოფოში გაქცეულა. ჩვენ კი, მწუხარების ნაცვლად, სიხარულის ცრემლი გვდიოდა... ცრემლი მეც მომადგა თვალზე, მივიხედ-მოვიხედე და რომ შევნიშნე, ყველა ტიროდა, თანაც ცრემლს არავინ მალავდა, იცოცხლე, მეც ავბღავლდი... ომარი, 30 წლის.“

„გეგა, შენ ტიროდი... ცრემლები ეკლებივით მესობოდა გულში“

ტრადიციისამებრ, მოკლე გზავნილებსაც გადავხედოთ:

„ტირილის რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდად სანანებელი გამიხდა ჩემი ერთადერთი და უკანასკნელი შეცდომა, რომელსაც ახლა, მეტად განვიცდი... ჩემი თამუნა სიყვარულით შევირთე, მაგრამ ჩემმა პატარა შეცდომამ გზა-კვალი აგვირია და უკვე ორი წელი ხდება, რაც ერთმანეთს დავცილდით. ღმერთს ვევედრები, რომ დამიბრუნოს ის ბედნიერი წუთები, როდესაც ერთად ვცხოვრობდით. თამუნა და ჩემი შვილები, ნათია და ირაკლი, ქვეყანას მირჩევნია. ოჯახზე ტკბილი არაფერი ყოფილა. მარი, თქვენი იმედი მაქვს. გამოაქვეყნეთ ჩემი „მესიჯი“. იქნებ, მიშველოს და ჩემი ოჯახი დავიბრუნო. პატივისცემით, მ...ა.“

„ჩემი ატირება მხოლოდ ერთ ანგელოზს შეუძლია. ეს შენ ხარ, ნია ისაკაძე, გახსოვდეს, მიყვარხარ უზომოდ და უიმედოდ. გიო“.

„გიორგი დაჩიბერიძეს. გიორგი, მაპატიე, რომ ფარულად გირეკავ და ხმას არ ვიღებ. ვიცი, გაღიზიანებს... მომწონხარ. ჩემი „კლიჩკაა“ „დაჩი“.

„მართლა არ ვიცი, როდის ტირიან მამაკაცები, მაგრამ მათ ცრემლებს ბევრი რამ შეუძლია. ერთ თაყვანისმცემელს ვეჩხუბე და ჩემთან დარეკვა აკუკრძალე. ის გაჩუმდა, გვერდზე გაიხედა და ცრემლიანი თვალები სივრცეს გაუშტერა. როდესაც ის ამ მდგომარეობაში ვნახე, მოსვენება დავკარგე. მგონი, შემიყვარდა! მარი“.

„იქნებ, სისუსტეა, მაგრამ მართლა მაგრად ვიტირე, როცა ჩემი უსაყვარლესი სოფო დავკარგე. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც მივხვდი, რომ ჩემს უახლოეს ადამიანსა და მას ძალზე უყვარდათ ერთმანეთი. დავთმე... მაპატიეთ.“

„ერთ საღამოს, უკვე შებინდებული იყო, როდესაც მე და ჩემი შეყვარებული ხელიხელგადახვეულები მივსეირნობდით. უცებ, გოგიტა სადღაც გაქრა. მოვიხედე და მივხვდი, რომ თავღია ჭაში ჩავარდა... თავზე დავადექი. ის 3-4 მეტრის სიღრმეზე, ჭაში გაყვანილ მილებზე იყო დაცემული. ბევრი ცდის მიუხედავად, ამოსვლა გაუჭირდა. ცოტა ხანში, ტირილი დაიწყო. მე გამვლელებს ვთხოვე დახმარება და რის ვაი-ვაგლახით ამოვათრიეთ საკანალიზაციო ჭიდან... აი, როდის იტირა ჩემმა გოგიტამ“.

„ჩემს შეყვარებულს ვკითხე – ბოლოს, როდის იტირე-მეთქი? – და მითხრა, – ორი წლის წინ, როცა ხელი მოვიტეხეო. რაღაც არ მჯერა... ს.“

„მე ლანა ვარ. ორი დღეა, გეგას დავშორდი... გეგა, შენ ტიროდი და ცრემლებით მასველებდი, მე კი ისინი ეკლებივით მესობოდა გულში. იცი, გადავწყვიტე, შეგირიგდე, რადგან შენ უჩემოდ ვერ იცოცხლებ, ისევე, როგორც მე უშენოდ. მიყვარხარ. შენი „ცმაცუნა“, კიკინიანი ლანკა“.

„მე და დათოს ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ მისი მშობლები ჩაერივნენ და ცოლად სხვა მოაყვანინეს. ერთი თვის შემდეგ, ახლობლის ქორწილში ერთად აღმოვჩნდით. სულ მე მიყურებდა. შემდეგ, დამიმარტოხელა, გულში ჩამიკრა და მითხრა – ყოველივე ამას ვერ გადავიტანო, – თან ტირილი დაიწყო. ვფიქრობ, მამაკაცები მაშინ ტირიან, როდესაც საყვარელ ადამიანს სამუდამოდ კარგავენ. თეო.“

ამჯერად „გზავნილებს“ ამით დავასრულებ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ: ცოლქმრული უსიამოვნება, რომელიც ახლა ძლიერ გვაცინებს. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გილოცავთ გაზაფხულის მოსვლას და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

კინორეჟისორმა ნოდარ მანაგაძემ 30 წლის წინ გადაიღო მხატვრული ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლზე არაპროფესიონალი მსახიობი — ვახტანგ ცხადაძე მიიწვია. ქიტესას როლის შემსრულებელი სასტუმრო „ევერიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. ფილმში ხშირად ისმის ზურაბ ქაფიანიძის (ივანე კოტორაშვილის) სიტყვები: ქიტესას ვეძებ, ქიტესასა! ჰოდა, ჩვენც სასტუმრო „ევერიაში“ მოვძებნეთ ბატონი ვახტანგი.

კვერა სოფელსა და ქალაქში უნდა იყოს ქიტესა და ივანე კოტორაშვილი

მაია კახიძე

— რა პროფესიის ბრძანდებით?

— ორი პროფესია მაქვს, ინჟინერ-ჰიდროლოგი გახლავართ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტიც დავამთავრე. ძირძველი თბილისელი ვარ, ლარსის ქუჩაზე, ვერაზე გავიზარდე. ჩვენი „ბირჟა“ ე.წ. „არკასთან“ იყო. მერვე კლასიდან უნივერსიტეტში დავდიოდი კალათბურთზე. მერე სტუდენტი გავხდი, უნივერსიტეტის ბაღი მთელი აკადემია იყო ჩვენთვის. ჯერ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ვთამაშობდი, შემდეგ უნივერსიტეტის გუნდში. მე და ნოდარ მანაგაძე კარგი მეგობრები ვართ, კალათბურთსაც ერთად ვთამაშობდით, თან ერთ სკოლაში ვსწავლობდით. როდესაც ნოდარმა ამ ფილმის გადაღება გადაწყვიტა, შემთხვევით შემხვდა და მითხრა, — ჩემთან წამოდი, ზაფხული ერთად გავატაროთ, თან ეპიზოდურ როლსაც გათამაშებო. ზაფხული თავისუფალი მქონდა, უკვე ასპირანტურაში ვსწავლობდი და დავთანხმდი. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, ერთ-ერთი მთავარი როლი შენ უნდა მოგცეო. თავდაპირველად შემეშინდა, მაგრამ ნოდარი არ მომეშვა და სამხრეთ საქართველოში გავემგზავრეთ გადაღებებზე. ქიტესას როლი გივი ბერიკაშვილს უნდა ეთამაშა. გივის არ ეცალა, თეატრიდან გასტროლებზე მიდიოდა და აი, ასე აღმოჩნდით მე და ქიტესა „ერთად“.

— ცნობილია, რომ ფილმს კადრების თანმიმდევრობით არ იღებენ. „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ რომელი სცენის გადაღებით დაიწყეთ?

— ეკლესიაში ჯვრისწერის გადაღებით დავიწყეთ, ივანე რომ ჰყავთ გაკოჭილი, იმით. კამერის წინ პირველად რომ აღმოჩნდი, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ შემდეგ თანდათან გამიქრა შიში და ნერვიულობა და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა. მერე ისე გავთამამდი *(იცინის)*... გახსოვთ ალბათ, ჩასაფრებული ვარ კედელთან (ივანეს სახლთან) და როგორც კი ივანემ საცოლესთან გამბედაობა მოიკრიბა და მეუღლის მოვალეობა უნდა შეასრულოს, იმ დროს ვყვირი, ვატყუებ — „აბა, გვიშველე, ივანე, სოფელს ლეკები დაეცნენ-მეთქი!“ უდროო დროს შევაწყვეტინე ოჯახური იდილია. ივანემაც მიატოვა საცოლე და გამომეკიდა. სცენარში არ იყო „ფეხის ტკივილი“. გაჭირდი და ვყვირი: „ვაი ფეხი, ვაი ფეხი!“ ზურამაც დაივერა, რომ ფეხი ნამდვილად გადამბრუნდა. გაჭირდა, — რა მოგვიდა, კაცოო... ერთი ავხედე ეშმაკურად და გავიქეცი. რას ჰქვია, მომატყუე და გაიქეცი? მივრბივარ და მომდევს კომბლით, გაშწარებული. მერე მეკითხებოდნენ, რა მაგრა გარბოდი. გავიქცეოდი, აბა რა, ქაფიანიძე რომ გამოგეკიდება — ისედაც რამხელაა და თანაც კომბლით ხელში — არ გაიქცევი?.. ფილმში ასეთი სცენაცაა, ხანჯლისა და კომბლის ტრიალი. მე ლეკებმა მომკლეს, მიწაზე ვარ გართხმული, ზურა იქნევს იმ უშველებელ კომბალს (დღესაც არ ვიცი, სად იშოვეს იმხელა კომბალი) და ღრიალებს. ზურას ზომა კომბალმა ზუსტად ერთ მილიმეტრში გამიარა თავთან და შიშისგან ისეთ დღეში ჩავვარდი... *(იცინის)*...



ზურას ზომა კომბალმა ზუსტად ერთ მილიმეტრში გამიარა თავთან და...

— გული არ გწყდებათ, მაინცდამაინც ქიტესას რომ კლავენ?

| | | |

ვახტანგ ცხადაძე ნიუ-იორკში შვილთან – ირაკლისთან, ამერიკელ რძალთან – ანასთან და მეუღლესთან ნანასთან ერთად

– გადაღების შემდეგ, რა თქმა უნდა, ფილმის გასინჯვა შედგა. მამიდაჩემიც დავპატიჟე და ძალიან ინერვიულა „მკვდარი“ რომ მნახა, რაღა ეს მოკალითო? – დიდ ამბავში იყო. იცით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ქართველ კაცში ქიტესა ზის, ყველა სოფელსა და ქალაქში უნდა იყოს ივანე კოტორაშვილი და ქართველები აუცილებლად გადავრჩებით.

— ბატონი ზურა ქაფიანიძე გადასაღებ მოედანზე გაიცანით?

– შორიდან ვიცნობდი, პირადად – არა. თავიდან შეფიქრიანებული ჩანდა, რა უნდა ამ კაცს ფილმშიო, მაგრამ ისე კარგად წავიდა ყველაფერი და ისე დავახლოვდით, რომ ჩემს ქორწილში თამადა იყო. ძალიან საინტერესო კაცია, სამეგობრო კაცი.

— ფილმის გადაღება სად მიმდინარეობდა?

– ახალციხეში, ასპინძაში, ვარძიაში... ვანის ქვაბებში კი ქორწილია გადაღებული. ძალიან მაღალი ადგილია და ყველაფერი ცხენებით აგვქონდა. ახალგაზრდები ვიყავით და არ გვიჭირდა ფიზიკური შრომა. ნოდარისთვის საპასუხისმგებლო სამუშაო იყო, რადგან ეს მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი გახლავთ.

— ახლა თქვენს სამსახურზეც მინდა გკითხოთ: მართალია, ამბობენ სასტუმრო „ივერია“ უნდა გაიყიდოსო?

– რატომ ამბობენ, ვერ გავიგე. „ივერია“ შესყიდულია, აქციონერებს აქვთ, კერძო საკუთრებაა. ჩვენ, უბრალოდ, სახელმწიფო დავალებას ვასრულებთ ამ გაჭირვების დროს, თავჩალუნულები ვასრულებთ. აქციონერი ვერც მოგებას ნახულობს. რა დროს მოგებაზე ლაპარაკია, როდესაც ქვეყანა ასეთ დღეშია. როცა აფხაზეთს დავიბრუნებთ, „ივერიაში“ მცხოვრები ლტოლვილები თავის ეზო-კარს დაუბრუნდებიან და ცხოვრება დალაგდება, ასი „ივერიისთანა“ სასტუმრო არ ეყოფა აქ ჩამოსულ ტურისტს. ანდორა, მაგალითად, ერთი პატარა კუნძულია, მაგრამ იმდენ ტურისტს, რასაც მთელი საბჭოთა კავშირი ღებულობდა, ის ერთი კუნძული მასპინძლობდა. საბჭოთა კავშირის დროს მესამე ტურისტულ რესპუბლიკად ვითვლებოდით, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო დარგი აუცილებლად აღორძინდება.

— „ივერიაში“ ამჟამად მცხოვრებნი თავიანთი პრობლემებით ხშირად მოგმართავენ?

– ერთადერთი, რასაც ვაკეთებთ ისაა, რომ წყალი და შუქი ჰქონდეთ, არ დაინგრეს, ცეცხლი არ გაჩნდეს... სახელმწიფო, რაც გვეკუთვნის, იმასაც არ გვაძლევს. ამ 12 წლის განმავლობაში, უამრავი ბავშვი დაიბადა, აქ იზრდებიან, ქორწინდებიან...

— თქვენ თუ გეპატიჟებიან ხოლმე ქორწილში?

– რა თქმა უნდა. რესტორანიც გვქონდა და შეღავათიან ფასში კეთდებოდა ყველაფერი. კარგი ურთიერთობა გვაქვს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

ძალიან მაღალი ადგილია და ყველაფერი ცხენებით აგვქონდა. ახალგაზრდები ვიყავით და არ გვიჭირდა ფიზიკური შრომა

— თუ შეიძლება, თქვენს ოჯახზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა...

– მამა ცოცხალი მყავს, 92 წლისაა. მეუღლე – ნანა მონიავა გახლავთ, მსახიობ ჯემალ მონიავას და. მყავს ქალ-ვაჟი. ჩემი ვაჟიშვილი ჩემმა მეგობარმა – ბობ უოლშმა წაიყვანა *(ბობ უოლში ის პიროვნებაა, რომელმაც „მერიოტის“ მშენებლები ჩამოიყვანა თბილისში, ანსამბლი „ერისიონიც“ მან მიიწვია. – ავტ.)* ჩემმა ვაჟმა ირაკლიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ სიეტლში გააგრძელა სწავლა. თავისი მეორე ნახევარიც სიეტლში გაიცნო, შეუყვარდათ ერთმანეთი და დაქორწინდნენ.

— ამერიკელი რძალი გყავთ?

– კი, ანა ამერიკელია, მაგრამ მისი ფესვები ლენინგრადს უკავშირდება. გასულ წელს, ივნისში შეუღლდნენ და ჩვენც ჩავედით. ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობენ. რძალიც მაგისტრატურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტია. რძლის მშობლები სიეტლში ცხოვრობენ და ისინიც ჩამოვიდნენ ქორწილში.

— ბატონო ვახტანგ, კიდევ რომ შემოგთავაზონ ფილმში გადაღება, დათანხმდებით?

– მეგობარმა მითხრა, ჩემმა შვილმა ვნახა ტელეგადაცემაში და ასე თქვა – დაბერებულა ქიტესაო. ფილმი 30 წლის წინ, გამოვიდა ეკრანზე და რამდენიმე ხნის წინ ასე ვთქვათ, სიუბილეოდ აჩვენეს ტელევიზიით. ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, სულ სხვა თვალით ვუყურეთო. ხალხს მოსწონს ეს ფილმი, მეც მომწონს. „კოტორაშვილის“ მერე, ეპიზოდური როლები ვითამაშე ნოდარ მანაგაძის ორ ფილმში. მიშა ჭიაურელმა კი, პელეზე ფილმი რომ გადაიღო, მეც მიმიწვია, მაგრამ ქიტესა მანც სულ სხვაა. რაც შეეხება გადაღებას, თუ ვინმეს დავჭირდები, სიამოვნებით, ოღონდ იღებს კინოს ვინმე?! რა ვიცი, არა მგონია, ქართველებმა კინოს გადაღების უნარი დაკარგონ. ■

...ომპოზიტორი არნო ...	ბია	ნაცია	ჯიქანი	მწვანილი	... ხელს ბანს, ორივე კი პირს	სასმელი, რომელსაც ჯინს უმატებენ	იაპონური თეატრი
ძალა, ღონე, მხნეობა	კიას ქვრივი ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“	მაძღარს ... მაძღარი ეგონაო	ბორბლიანი საზიდარი	ხაფანგი	ყალბი, არასწორი, მაგალითად, ... სიტყვები	სინემა, იგივე ...	

საქართველოში, განსაკუთრებით კი რაიონებში, გავრცელებულია უფლის სახელზე საკლავის — ცხვრის დაკვლა, რომელსაც ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს აღუთქვამენ უფალს და შემდეგ, შესაწირის სახით სწირავენ. შემწირველი ამ ქმედებით გამოხატავს მადლიერებას უფლისადმი. უფლის სახელზე გაღებულ შესაწირს უწოდებენ „სალმრთოს", რაც ღვთისადმი შეწირულს ნიშნავს. ცხვრის დაკვლა იციან მიცვალებულის სახელზეც... რამდენად მისაღებია მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უფლის სახელზე სისხლიანი შესაწირის შეწირვა? რატომ სწირავდნენ სისხლიან მსხვერპლს „ძველი აღთქმის" პერიოდში? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა კონსტანტინე გიორგაძე.

სისხლიანი მსხვერპლშეწირვის შესახებ

მორენა მერკვილაძე

— სისხლიან მსხვერპლშეწირვას აღასრულებდნენ „ძველი აღთქმის" პერიოდში. „ძველი აღთქმის" ღვთისმსახურება სხვადასხვა მსხვერპლის შეწირვისგან შედგებოდა. „ძველი აღთქმის" მიხედვით, ღმერთისადმი შეწირულ მსხვერპლთა შორის, უმთავრესი იყო მსხვერპლი „მრგვალად დასაწველი ანუ ყოვლად დასაწველი". ეს მსხვერპლი უძველესია. „მრგვალად დასაწველ ანუ ყოვლად დასაწველ" მსხვერპლად უნდა დაეწვათ მთელი ცხოველი ან ფრინველი. ეს მიანიშნებდა იმაზე, რომ ადამიანი მთლიანად მინდობილი იყო ღმერთზე — სულით, ხორცით და მთელი ძალით. „მრგვალად დასაწველ მსხვერპლად" აუცილებლად უნდა შეეწირათ მამრობითი სქესის ცხოველი — ხარი, კრავი, თიკანი თუ ფრინველი — გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი. გარდა ამისა, „ძველი აღთქმის" დროს, არსებობდა მსხვერპლშეწირვის სხვა სახეებიც: „მსხვერპლი საცხოვრებელი ანუ ცხოვრების"; „მსხვერპლი ცოდვისათვის" და „მსხვერპლი ბრალისა". მრგვლად დასაწველი მსხვერპლის მსგავსად, დანარჩენი მსხვერპლშეწირვის დროსაც სწირავდნენ ცხოველებს და ფრინველებს, მაგრამ დანარჩენი მსხვერპლშეწირვისას, იწირებოდა ორივე სქესის ცხოველები — ამ დროს მთავარი იყო, რომ შესაწირი ცხოველი უბიწო ყოფილიყო.

— როგორ აღესრულებოდა მსხვერპლშეწირვა „ძველი აღთქმის" ეკლესიაში?

— როგორც აღვნიშნეთ, „ძველი აღთქმის" დროს არსებობდა მსხვერპლშეწირვის ოთხი სახე. ყველა მსხვერპლშეწირვა სხვადასხვა წესით სრულდებოდა. მაგალითად, „მრგვალად დასაწველი ანუ ყოვლად დასაწველი" მსხვერპლის შეწირვისას, შემწირველი სამსხვერპლო ცხოველს მიიყვანდა მოძრავი ტაძრის კართან და თვითონვე დაკლავდა; დაკლული ცხოველის სისხლს მღვდელმსახური საკურთხევლის გარშემო ასხურებდა. გატყავების შემდეგ, სამსხვერპლო ცხოველს დაჭრიდნენ, გარეცხავდნენ და ნაწლავებთან ერთად საკურთხეველზე დაწვავდნენ. თუ შემწირველს შესაწირად მიჰყავდა ფრინველი, მას ღვთისმსახური მოჰკვეთდა თავს, სისხლს საკურთხევლის კედელთან დაწრეტდა, შემდეგ წარკვეთდა მხრებს, გააცლიდა ბუმბულს, რომელსაც აღმოსავლეთის კედელთან დაყრიდა, ბოლოს კი, შეწირულ ფრინველს მღვდელმთავარი მოსტეხდა ფრთებს და დაწვავდა საკურთხეველზე — სამსხვერპლოზე. განსხვავებული წესით სრულდებოდა „ცხოვრების მსხვერპლის" შეწირვა: შემწირველი თავზე დაადებდა ხელს შესაწირ ცხოველს, შემდეგ კი, მოძრავი ტაძრის კართან დაკლავდა; სისხლს მღვდელმსახური საკურთხევლის გარშემო აპკურებდა. სამსხვერპლოზე უნდა დაეწვათ შეწირული ცხოველის ქონი, ნაწლავები, ღვიძლის ნაწილი და თირკმლები. თუ შესწირავდნენ ცხვარს, მაშინ სამსხვერპლოზე იწვებოდა ცხვრის დუმაც. რაც შეეხება მსხვერპლშეწირვის სახეს — „მსხვერპლი ცოდვისათვის" — ის სრულდებოდა სხვადასხვა წესით, სხვადასხვა ცოდვისდა მიხედვით. მაგალითად, თუ მღვდელმთავარი უნებლიეთ შესცოდავდა, მას უნდა შეეწირა უბიწო ხბო. მღვდელმთავარს შესაწირი ხბოსთვის ჯერ თავზე უნდა დაედო ხელი და შემდეგ დაეკლა ტაძრის კარის წინ; სისხლი უნდა შეეტანა ტაძრის „წმიდაში", ჩაეწო სისხლში თითი და შვიდგზის ეპკურებინა კრეტსაბმელის (ფარდა, რომელიც კანკელის დანიშნულებას ასრულებდა) წინ; დანარჩენი სისხლი უნდა დაეღვარა კრეტსაბმელის კედელთან. სამსხვერპლოზე კი იწვებოდა შეწირული ცხოველის ქონი, ღვიძლი და თირკმლები ქონიანად. თუ მთელი ერი შესცოდავდა, მაშინ ხბო უნდა შეეწირათ იმავე წესით, ოღონდ, შესაწირ ცხოველს, მღვდელმსახურის ნაცვლად, თავზე ხელს ადებდნენ ერის უხუცესნი. თუ მთავარი შესცოდავდა, მას იმავე წესით უნდა შეეწირა თხა, ხოლო თუ შესცოდავდა უბრალო ადამიანი, მას უნდა შეეწირა ცხვარი. „მსხვერპლი ბრალისა" შეიწირებოდა მაშინ, როდესაც ვინმე შესცოდავდა დავიწყების გამო. მაგალითად, თუ ადამიანს დაავიწყდებოდა პირველი მოსავლის ან მოსავლის მეათედის ტაძარში დროზე მიტანა, „მსხვერპლი ბრალისა" შეიწირებოდა ისევე, როგორც „მსხვერპლი ცოდვისათვის".

— როგორც აღვნიშნეთ, მსხვერპლთა შეწირვა სრულდებოდა სხვადასხვა წესით, თუმცა, მსხ-

ვერპლშეწირვის დროს, ძირითადად ხდებოდა შესაწირი ცხოველის მიყვანა ტაძრის კართან, ხელის დადება მის თავზე და შემდეგ სხურება სისხლისა. რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ ქმედებას?

— სამსხვერპლო ცხოველის შეწირვით შემწირველი მთლიანად სწირავდა თავს ღმერთს; შესაწირი ცხოველის თავზე ხელის დადებით შემწირველი მასზე გადასცემდა იმ სარწმუნოებრივ გრძნობას, რომელიც მას ჰქონდა დაუფლებული იმ დროს — ღმერთისადმი სრული მინდობა, სინანული და მადლიერების გამოხატვა; ცხოველის დაკვლა ნიშნავდა შემწირველის ღმერთისათვის სიცოცხლის გაწირვას, სისხლის სხურება კი — ცოდვათაგან შემწირველის განწმენდას და ღმერთთან შერიგებას.

— ეკლესიური სწავლებით, „ძველი აღთქმა“ იყო მოსამზადებელი პერიოდი, მესიის ანუ ქრისტეს მისაღებად. ამიტომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც აღესრულებოდა „ძველი აღთქმის“ დროს, იყო წინასახე „ახალ აღთქმაში“ განსახორციელებელი ანუ მოსახდენი მოვლენისა. რისი წინასახე იყო „ძველი აღთქმისეული“ სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დროს დაღვრილი სისხლი?

— სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დროს დაღვრილი სისხლი იყო წინასახე მაცხოვრის მიერ დაღვრილი სისხლისა, რომელიც მაცხოვარს უნდა დაეღვარა ჯვარცმის დროს, ადამიანთა გამოსახსნელად. ე.ი. სისხლი, რომელიც „ძველი აღთქმის“ პერიოდში შეიწირებოდა, მოასწავებდა უფლის სისხლს. ამ ქმედებით, ადამიანებს შეახსენებდნენ, რომ უნდა მოსულიყო მესია, მხსნელი, რომელსაც ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოსახსნელად საკუთარი სისხლი უნდა დაეღვარა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბოლო მსხვერპლი შეიწირა — ანუ უფალმა იესო ქრისტემ ჯვარზე სისხლი დაღვარა — სისხლიანი მსხვერპლშეწირვა გაუქმდა.

P.S. როგორ შეიძლება მივიღოთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი ჩვეულება — უფლის სახელზე „საღმრთოს“ დაკვლა? რა უნდა ვიცოდეთ მიცვალებულის სახელზე დაკლულ ცხვართან დაკავშირებით? — ამ და სხვა საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში განვიმარტავთ. ■

„გენეტიკურად იურისტი“ უგრეხელიძეების ოჯახი, მუსიკათმცოდნე „ტერორისტი“ და დაუვიწყარი შეხვედრა გროზნოში...

სევდია უგრეხელიძესთან საუბარი, იმ ოთახში შედგა, სადაც დიდი შავი როიალის გვერდით, იურიდიული ლიტერატურითა და მრავალგვარი დოკუმენტაციით დაფარული, მისი სამუშაო მაგიდა დგას. პირველი, მის ყოფილ პროფესიაზე მიუთითებს, მეორე კი — ამჟამინდელ საადვოკატო საქმიანობას უკავშირდება.

ალბათ წარდგენა არ სჭირდება ქალბატონი სევდიას ძმას — ბატონ მინდია უგრეხელიძეს, რომელიც წლების მანძილზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახლდათ, ამჟამად კი სტრასბურგში, საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე განაგრძობს მოღვაწეობას. იურისტი ყოფილა აგრეთვე ქალბატონი სევდიას და, ნიბლია უგრეხელიძე (სამწუხაროდ, იგი ცოცხალი აღარ არის), ამ პროფესიას ემსახურებოდა თურმე ქალბატონი სევდიას ბაბუა — პლატონ უგრეხელიძე (რომელიც ქალბატონ სევდიას დავით კლდიაშვილის პერსონაჟს ახსენებს) და მამა — გურამ უგრეხელიძე, რომელიც საბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელ ადვოკატად მუშაობდა...

ემა ტუხიაშვილი

— მამაჩემი, ისევე, როგორც ბაბუა, იურისტი გახლდათ. ბაბუის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ჩამრჩა მეხსიერებაში: მას განათლება პეტერბურგში მიუღია და მამაჩემი ხშირად გვიჩვენებდა მისი სტუდენტობის დროინდელ ფოტოს: ამ სურათზე კარგად ჩანს, რომ ბაბუას ძველი ფრენჩი აცვია და ღილი ერთ ძაფზე ჰკიდია (ეტყობა, მოსუსტდა და ვერ დააკერა). მამაჩემი ხშირად მიგვითითებდა ამაზე — ალბათ უნდოდა, ამით ეჩვენებინა ჩვენთვის, რომ სიდუხჭირის მიუხედავად, სწავლას დაწაფებული იყო... მართალია, ისინი იმერელი აზნაურები გახლდნენ, მაგრამ ფუფუნებაში არასოდეს უცხოვრიათ. მამაჩემის ოჯახს საკმაოდ ტრაგიკული ისტორია აქვს. ოჯახში, მის გარდა, კიდევ ოთხი ვაჟი ჰყოლიათ, ორი მათგანი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, ხოლო ყველაზე ლამაზი და ნიჭიერებით გამორჩეული დავითი, თვრამეტი წლის ასაკში მენინგიტისგან დაიღუპა. ბებიაჩემს მხოლოდ ორი შვილი — უფროსი ვიტალი და უმცროსი მამაჩემი დარჩა. შესაძლოა, სწორედ ასეთი ტრაგიკული ცხოვრების გამო, მამას და მის ძმას ერთმანეთთან საოცარი ურთიერთობა ჰქონიათ. ბიძაჩემი ასწავლიდა მას ყველაფერს — ცხენზე ჯირითს, იარაღის ხმარებას, ცურვას და მის განათლებაზაც ზრუნავდა. მაგრამ ცხოვრება მის მიმართაც ულმობელი აღმოჩნდა და მისმა ტრაგედიამ მთელ ჩვენს ოჯახს მძიმე დაღი დაასვა. იგი სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და ოცი წლის იუნკერი, 1921 წელს, როდესაც საქართველოში ბოლშევიკები შემოიჭრნენ, თურქებისგან ბათუმის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობდა. ამ ბრძოლისას თურქეთში გადავიდა და უკან დაბრუნებული აღარავის უნახავს...

— მამათქვენმა სად მიიღო იურიდიული განათლება?

— საოცარი მეხსიერებისა და ნიჭის პატრონი გახლდათ, მაგრამ კომუნისტური მმართველობის პირობებში ვერ მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზება. თუმცა, მისი ლექტორისა და უფროსი მეგობრის, ერეკლე ტატიშვილის წყალობით, საკ-

ნიბლია კრიმინოლოგი გახლდათ და დამნაშავეობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფესვებს იკვლევდა

მაოდ კარგად დაეუფლა ინგლისურ ენას. მამის ნაამბობიდან ვიცი, რომ იმ დროისათვის თბილისში შემორჩენილი ყოფილა ვინმე ელისაბედ ორბელიანის სალონი, სადაც იკრიბებოდა ქართული ინტელიგენციის ის ნაწილი, ვისაც ევროპულ ენებზე საუბრის ნოსტალგია ჰქონდა. სწორედ ამ სალონის ხშირი სტუმრები ყოფილან მამაჩემი და ერეკლე ტატიშვილი. მისი მასწავლებელი გახლდათ აგრეთვე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი იყო რუსეთში, ვინაიდან ბევრ გახმაურებულ პროცესში მონაწილეობდა და ხშირად იყო ტერორისტის ადვოკატი. ტერორი მაშინ ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოქმედების ერთ-ერთ ჩვეულებრივ ხერხს წარმოადგენდა და ბოლშევიკები ამ ბრალდებას ბევრ პოლიტიკოსსაც სრულიად უსაფუძვლოდ უყენებდნენ... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მამაჩემი მოსკოვში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე. მისი ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი კოროვინი გახლდათ. მაგრამ სწორედ იმ პერიოდში, სტალინმა აკრძალა ქვეყანაში საერთაშორისო სამართლის ნორმების სწავლება და მამა იძულებული იყო, უკან დაბრუნებულიყო. საქართველოში მას სწავლა აღარ გაუგრძელებია და დროებით დასახლდა თავის მამიდაშვილთან მიტროფანე ლაღიძესთან. მიტროფანე მამაჩემზე გაცილებით უფროსი იყო და უკვე მოზრდილი შვილები ჰყავდა. ყოველთვის უხაროდა მამაჩემის სტუმრობა და თურმე ხშირად ამბობდა: გურამი ისეთი სწავლის მოყვარულია, რომ ნეტავ, ჩემმა შვილებმაც მიჰბაძონო... მოგვიანებით, მამა ქუთაისში დედამისთან გადავიდა და იქ ერთ-ერთ ქარხანაში იურისკონსულტანტად დაიწყო მუშაობა. ამავე ქარხანაში დედაჩემს თურმე მთავარი ინჟინრის თანამდებობა ეკავა და სწორედ იქ გაიცნეს მათ ერთმანეთი. ამ დროს მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი. გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც საუბარი იყო პოლონეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტზე მოსკოვში. წერილს თან ფოტოებიც ჰქონდა დართული და ბებიაჩემმა დელეგატებს შორის მყოფი, პოლონეთის სამხედრო ატაშეს, უგორსკის პორტრეტზე თავისი უგზოუკვლოდ დაკარგული შვილი ამოიცნო... როგორც გაირკვა, ბიძაჩემს თურქეთში გადასვლის შემდეგ, ბოლოს, პოლონეთისთვის შეუფარებია თავი. მაშინ პოლონეთში ბევრი ჩვენი თანამემამულე იმყოფებოდა და პილსუცკის მთავრობასთან არსებული, ქართული ბატალიონიც კი ყოფილა ჩამოყალიბებული.

— მამათქვენმა თუ მოახერხა ძმასთან შეხვედრა ან მისთვის წერილის მიწერა მაინც?

— რას ამბობთ? არანაირი შეხვედრა არ მომხდარა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ბიძაჩემი მხოლოდ მის ახლობლებს კი არა, კაგებეს თანამშრომლებსაც ამოუცნიათ და სტალინს პოლონეთის მთავრობისთვის უთხოვია — ჩემი მოღალატე თანამემამულე გადმომეცითო, მაგრამ უარი მიუღია... სულ მალე, მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და ბიძაჩემის კვალიც დაიკარგა. ამ დროს, მამას უკვე ჰყავდა ოჯახი, ჩემი და ნიბლიაც დაბადებული გახლდათ. ჩემი ძმაც მალე უნდა მოვლენოდა ქვეყანას, მაგრამ მამა მაინც წავიდა ფრონტზე. როგორც თავად ამბობდა, ომში თვითგადარჩენის მიზნით წასულა, რადგან აქ დარჩენის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, ე.წ. „წმენდაში“ მოყოლილიყო... ალბათ მოგეხსენებათ, რომ ქართული ბატალიონი ფაშისტებსაც ჰქონდათ შექმნილი და მამამ იცოდა ამის შესახებ. ხომ წარმოგიდგენიათ მისი განცდები იმის გამო, რომ შეიძლებოდა ფრონტის მოწინააღმდეგე მხარეს ღვიძლ ძმას გადაჰყროდა... მალე ის დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა.

— ომის შემდგომ მაინც თუ მოახერხა ძმის შესახებ რაიმის შეტყობა?

— პატარა ვიყავი, როდესაც სტალინი გარდაიცვალა, მაგრამ მახსოვს, რომ მამაჩემი სიხარულს ვერ ფარავდა. დარაბები დაგვაკეტვინა და ისე ზეიმობდა საშინელი ეპოქის დასრულებას. მხოლოდ ხრუშჩოვის დროინდელი ე.წ. „დათბობის“ შემდეგ, პირველად, მამაჩემის ერთმა ბიძაშვილმა, საფრანგეთში ემიგრირებულმა დიმიტრი უგრეხელიძემ მოგვაწოდა ცნობა თავის შესახებ და საქართველოში მცხოვრები თავისი ქალიშვილის მეშვეობით შეგვატყობინა, რომ ბიძაჩემი ცოცხალი იყო და იმ დროს, უკვე დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა. მას პოლონელი ცოლი შეურთავს და ქალიშვილიც ჰყოლია, რომლისთვისაც, ჩვენდა გასაოცრად, სევდია დაურქმევია. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მიწერ-მოწერა მამასა და მის ძმას შორის, მაგრამ მათ შეხვედრა აღარ ეწერათ, ბიძაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ მამას მასთან გამგზავრების უფლება არ მისცეს. ვიტალი უგრეხელიძე 1981 წელს გარდაიცვალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან დალუქა თავისი პირადი არქივი და დაწერა ანდერძი, სადაც შთამომავლობას სთხოვს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური დამხობიდან 50 წლის შემდეგ გაიხსნას.

— მამათქვენი როგორ შეეწყო საბჭოთა ხელისუფლებას?

— იგი არასოდეს თანამშრომლობდა მთავრობასთან, ამიტომაც არანაირი თანამდებობა საბჭოთა ხელისუფლებისგან არ მიუღია. ის მუშაობდა, როგორც დამოუკიდებელი ადვოკატი, ხშირ შემთხვევაში, დასაცავად ირჩევდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირებს და როგორც თავად განმარტავდა, ასეთი ფორმით ებრძოდა სიკვდილით დასჯას...

— ალბათ ასეთი პროფესიის ადამიანი ოჯახში საკმაოდ მკაცრი იყო...

დედა მიყვებოდა, თუ როგორ წვავდა მამა სარდაფში აკრძალულ ლიტერატურას და ტიროდა...



ქალბატონ სევდიას მეუღლე – თენგიზ ჩაჩავა (მარცხნივ) პროფესორ ნოდარ ანდღულაძესთან ერთად

– ის არაჩვეულებრივად თბილი მამა და ჩემი დიდი მეგობარი იყო. ჩემსა და ჩემს და-ძმას შორის საკმაოდ დიდი ასაკობრივი სხვაობაა, ამიტომ ვერ გეტყვით, როგორი იყო მამა მათთან ურთიერთობისას, მე კი მისი გარდაცვალებით დიდი დანაკლისი განვიცადე, რადგან სხვა ასეთი მეგობარი არ მყოლია. იგი ხშირად თავად იგონებდა ინტელექტუალურ თამაშებს, მიწერდა საბავშვო ლექსებს... სხვათა შორის, მამაჩემის ნათარგმნი იყო შექსპირის სონეტები. მახსოვს ერთხელ, ბატონმა ვანო გიგინეიშვილმა *(ენათმეცნიერი, ქართული განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი ავტორი. – ავტ.)* სუფრასთან უთხრა მამას: გურამ, შენ რომ ფილოლოგი ყოფილიყავი, აკადემიკოსი გახდებოდიო. მათ ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ უპასუხა: ვანოია გამოსულელებულო, მე ჩემი პროფესიითაც კი გავხდებოდი აკადემიკოსი, მაგრამ პარტიაში რომ არ შევედი და სული არ მივყიდე ეშმაკს, იმიტომ ვერ გავხდიო... ჩვენს ოჯახს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების შიშით მამაჩემი იძულებული ყოფილა, ბევრი წიგნი გაენადგურებინა. დედა მიყვებოდა, თუ როგორ წვავდა მამა სარდაფში აკრძალულ ლიტერატურას და ტიროდა...

— ალბათ სწორედ მისმა იურისტობამ განაპირობა, რომ სამივე შვილმა ეს პროფესია აირჩია, ხომ?

– სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემმა დამ საბუთები უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა და, როგორც ოქროს მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა. ნიბლია სპეციალობით კრიმინოლოგი გახლდათ და დამნაშავეობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფესვებს იკვლევდა. იგი ხშირად დადიოდა ქალაქ ტულის რეციდივისტთა კოლონიაში, სადაც სწავლობდა, თუ როგორ იქმნებოდა მოზარდთა კრიმინალური დაჯგუფებები, რომლის წევრებიც ჯგუფურ დანაშაულებს სჩადიოდნენ. ჩემმა ძმამ მინდიამაც იმთავითვე ეს პროფესია აირჩია და იურიდიული განათლების მისაღებად მოსკოვში გაემგზავრა. მე კი იმდენად მობეზრებული მქონდა იურიდიული თემატიკა, რომ გადავწყვიტე, უფრო ნაზი და ქალური პროფესია ამერჩია და ვინაიდან მუსიკა ძალიან მიყვარდა, კონსერვატორიაში ჩასაბარებლად მოვემზადე. მამა ძალიან გაანაწყენა ჩემმა გადაწყვეტილებამ და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მეც იურისტობაზე მეფიქრა. მაგრამ ვერაფერს გახდა – კონსერვატორიაში ჩავაბარე და 30 წელი, მუსიკათმცოდნედ ვიმუშავე.

...ჩემმა ძმამ, მინდიამ იმთავითვე ეს პროფესია აირჩია

— მერე რამ გაიძულათ პროფესიის შეცვლა?

– მეც, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ზვიად გამსახურდიას მომხრე გახლდით. ჩემი მეუღლე თენგიზ ჩაჩავა კი, უზენაესი საბჭოს წევრი იყო. 1992 წელს, როდესაც დაემხო კანონიერი ხელისუფლება და ჩემი ხალხის დევნა-შევიწროება დაიწყო, არ შემეძლო, ყოველივე ამისთვის მშვიდად მედევნებინა თვალყური, მივატოვე ჩემი პროფესია და უფლებადაცვით საქმიანობას მივყავი ხელი.

— თუ არ ვცდები, თქვენ თავადაც ბრძანდებოდით დაპატიმრებული...

– 1992 წლის 24 ივნისს, ე.წ. ტელევიზიის აღების დღეს დამაკავეს, მაგრამ იმ საღამოსვე გამომიშვეს, ვინაიდან, არანაირი კავშირი აღნიშნულ აქციასთან არ მქონდა. ან რა კავშირი შეიძლებოდა მქონოდა, როდესაც მხოლოდ იმ დილით ჩამოვედი გროზნოდან, სადაც ჩემი მეუღლე ზვიად გამსახურდიასთან ერთად იმყოფებოდა?! ამის შესახებ რომ სცოდნოდა მაშინდელ ხელისუფლებას, გაცილებით ხანგრძლივი ვადით დამაპატიმრებდნენ, მაგრამ ისე გავატარე გროზნოში ერთი კვირა, რომ თბილისში ამის შესახებ არავის არაფერი გაუგია.

— პირადად ზვიად გამსახურდიას თუ შეხვედრიხართ?

– მანამდე ზვიადს პირადად არ შევხვედრივარ და ერთმანეთი გროზნოში გავიცანით. მან მე და ჩემი მეუღლე სადილად დაგვპატიჟა. ძალიან ნაღვლიანი იყო და ცოტას საუბრობდა. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იჩენდა თბილისში მიმდინარე მოვლენების მიმართ და მეც ვცდილობდი, მისთვის მაქსიმალური ინფორმაცია მიმეწოდებინა.

— ქალბატონო სევდია, ახლა რას საქმიანობს თქვენი მეუღლე?

– ჩემი მეუღლე პროფესიით მომღერალია, ნოდარ ანდღულაძის მოსწავლე და ცნობილი პიანისტის ვაჟა ჩაჩავას ძმა გახლავთ. მე და თენგიზმა ერთმანეთი კონსერვატორიაში გავიცანით. იგი არაჩვეულებრივად მღეროდა, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, სიმღერაზე უარი თქვა. 1992 წელს, ზვიად გამსახურდიამ იგი მოსკოვში, დევნილი ხელისუფლების ელჩად მიავლინა. თენგიზი ახლაც იქ ცხოვრობს და მომღერლებს კერძო გაკვეთილებს აძლევს ვოკალში. სხვათა შორის, მისი მოსწავლეები ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერისა“ და პეტერბურგის მარიას თეატრის მომღერლები არიან.

— ქალბატონო სევდია, თქვენი შვილებიც იურისტები არიან?

– ამ პროფესიის სიყვარული ჩვენ ალბათ გენეტიკურად გადმოგვეცემა. ჩემი უფროსი გოგონა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია, უმცროსმა კი, ცოტა ხნის წინ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი.

■

პენანტს მართვის უფლება ჩამოართვეს



ცნობილია, რომ ინგლისი იმ საფეხბურთო ქვეყნებს შორის ლიდერობს, რომელთა კლუბების წარმომადგენელი მოთამაშეებიც ხშირად ეხვევიან ალკოჰოლიზმთან დაკავშირებულ სკანდალებში. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, საგზაო პოლიციამ „არსენალის“ წევრი, ჯერმეინ პენანტი ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავა. მოგვიანებით სასამართლო გაიმართა, რომელზეც ფეხბურთელი დამნაშავედ ცნეს, რის გამოც მას მართვის უფლება 16 თვით ჩამოართვეს. ჯარიმის სახით კი, ჯერმეინმა 1.200 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. აღსანიშნავია ის, რომ სასამართლოზე საინტერესო დეტალები გამოაშკარავდა. პოლიციელებს პენანტის გაჩერება 13 თებერვალს, დილით უცდიათ, თუმცა ფეხბურთელი მათ ნიშანს არ დამორჩილებია და გაქცეულა. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მალე იძულებული გამხდარა, რომ თავისი ვერცხლისფერი „მერსედესი“ გაეჩერებინა. პოლიციელთა ჩვენებით, ამ მომენტში იგი საკმაოდ მთვრალი იყო და თავს ვერ აკონტროლებდა. საგულისხმოა ისიც, რომ პენანტი საგზაო წესრიგის დამცველთა ყურადღების ცენტრში ადრეც არაერთხელ მოქცეულა. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით გადაწყვიტა მოსამართლემ ხანგრძლივი დროით მისთვის მართვის უფლების ჩამორთმევა. ■

მატიგოლს ათენისკენ უჭირავს თვალი

გაბრიელ ბატისტუტამ 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინის ნაკრებში ასპარეზობის სურვილი გამოთქვა. „ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრაზე ვოცნებობ. ამისთვის საჭიროა, რომ მწვრთნელის ტაქტიკურ მონახაზში ჩავჯდე და მან გუნდში მიმიწვიოს. ამჟამად კოჭის ტრავმა აღარ მაწუხებს და ჩინებულ ფორმაში ვარ“, – ამბობს ბატიგოლი, რომელიც ამჟამად კატარის ჩემპიონატში მოასპარეზე ერთ-ერთი კლუბის ღირსებას იცავს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, მარსელო ბიელსამ განაცხადა, რომ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობის ჩამოყალიბებისას მოთამაშეთა ასაკს ყურადღებას არ მიაქცევს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ გაბრიელ ბატისტუტას არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 78 მატჩში 56 გოლი აქვს გატანილი. ■

დევიდ „პეპსის“ რეკლამირებას განაგრძობს, ვიქტორია კი, ჯორდანს ემრძვის

2003 წელს გამოვიდა „პეპსის“ სარეკლამო ვიდეორგოლი, რომელშიც ამ კომპანიის ცოცხალ სიმბოლოსთან, დევიდ ბექჰემთან ერთად რობერტო კარლოსი და იკერ კასილასიც მონაწილეობდნენ. აპრილში კი, ფეხბურთის გულშემატკივრები და გამაგრილებელი სასმლის მოყვარულები კიდევ ერთ ფილმს იხილავენ, რომელსაც რეჟისორი ტარსენ სინგჰი იღებს. ახალ ვიდეორგოლში დევიდ ბექჰემი, რონალდინიო, ფრანჩესკო ტოტი, რაული და რობერტო კარლოსი მონაწილეობენ. ამჯერად ვარსკვლავები გლადიატორთა არენაზე იმყოფებიან, ოღონდ ცივი იარაღის ნაცვლად, ისინი ფეხბურთის ბურთს იყენებენ. ბექსი აცხადებს, რომ უძველეს სამოსში გამოწყობილს ბურთაობა ძალიან მოეწონა. საგულისხმოა ის, რომ როდესაც ბექჰემი პირველ ვიდეორგოლში „სამეფოკლუბელებთან“ ერთად გადაიღეს, მაშინ იგი ჯერ კიდევ „მანჩესტერის“ რიგებში ირიცხებოდა. ამჟამად „რეალის“ ვარსკვლავებს რონალდინიო და ტოტიც შეუერთდნენ. სხვათა შორის, ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე მადრიდული გრანდის ახალი შენაძენი სწორედ „რომას“ ფორვარდი იქნება. ამასობაში კი, მისის ბექჰემმა ცნობილ ინგლისელ მოდელს, ჯორდანს (კეტი პრაისი) ომი გამოუცხადა. ვიქტორია ადამსმა ერთ-ერთ ლონდონურ სალონში დიდი აყალმაყალი მოაწყო. ბრიტანული „ყვითელი პრესის“ ცნობით, ადრე „ექსსპაის გერლზს“ არაერთხელ შეუჩივლია ცნობილი ვიზაჟისტებისთვის იმის გამო, რომ პრაისი გარეგნობით შეგნებულად ემსგავსებოდა მას. „ეს დიდმკერდიანი ღორი ჩემსავით არ უნდა გამოიყურებოდეს“, – აპროტესტებდა თურმე ვიქტორია. პრესტიჟულ სალონ „პრომიში“ კი, დევიდ ბექჰემის მეუღლე პირისპირ შეხვედრია თავის საძულველ მეტოქეს, რის შემდეგაც ცნობილი ქალბატონები ძლივს გაუშველებიათ. ბოროტი ხმების თანახმად, ადამსი ჯორდანის მიმართ ასე აგრესიულად განწყობილი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მოტივაციით არ არის. როგორც ცნობილია, მალე კეტი პრაისის ავტობიოგრაფიული წიგნი გამოვა, რომელშიც დიდმკერდიანი სექსსიმბოლოს თქმით, დევიდ ბექჰემთან მისი ინტიმური ურთიერთობის შესახებ იქნება მოთხრობილი. ■

ლოთმაჭარებს ათენში არათერი ესაქმებათ

2004 წლის ევროპის ჩემპიონატი უეფას ეგიდით ჩატარებული პირველი ტურნირი იქნება, რომელზეც ქომაგებს სისხლში ალკოჰოლის შემცველობას შეუმოწმებენ. „ევრო-2004“-ის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მსგავს ტესტს გულშემატკივრები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაივლიან, თუ ისინი საფრთხეს შეუქმნიან გარშემომყოფებს. პოლიციელებს უფლება ეძლევათ, სტადიონზე არ შეუშვან ის პირი, რომელსაც ორგანიზმში ალკოჰოლის დასაშვებზე მეტი დოზა აღმოაჩნდება. ■

ტიდტკე დამრუნდა

17-თვიანი პაუზის შემდეგ გერმანელი სექსსიმბოლო, სიგრძეში მხტომელი სიუზენ ტიდტკე დიდ სპორტს დაუბრუნდა. დორტმუნდში მიმდინარე გერმანიის ჩემპიონატზე დამსწრე საზოგადოება აღტაცებული დარჩა, როდესაც 34 წლის „პლეიბოის“ ვარსკვლავი კვლავ იხილა ასპარეზობისას. მართალია, სპორტული თვალსაზრისით მან ამჯერად მაღალი შედეგი ვერ აჩვენა, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა მოხიბლა თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობით. შეჯიბრებაში სიუზენმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა და ისიც აღნიშნა, რომ აქტიურ სპორტში დაბრუნების წინ მეტისმეტად ნერვიულობდა. „ცხადია, უკმაყოფილო ვარ ჩემი მიღწევით, – დასძინა ტიდტკემ, – ძალიან ვნერვიულობდი, რის გამოც საკუთარი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინე“. ■

ჟურნალისტი შირერის სასქესო ორგანომ დააინტერესა

უეფას თასის გათამაშებაში ნორვეგიულ „ვოლერენგთან“ ფრედ დასრულებული მატჩის (1:1) შემდეგ, „ნიუკასლის“ ქარიზმატულმა ლიდერმა ალან შირერმა თავისი გუნდის მთავარი მწვრთნელი, ბობ რობსონი გააკრიტიკა, რისი მიზეზიც ის გახლდათ, რომ ამ უკანასკნელმა იგი მოედანზე არ შეიყვანა. „რობსონს ვუთხარი, რომ იმედგაცრუებული და გაბოროტებული დავრჩი და მისმა გადაწყვეტილებამ მეტისმეტად გამაკვირვა. ბოლო 10 დღის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გავედი მოედანზე, რომელ დაღლილობაზე შეიძლება საუბარი?“ – განაცხადა ალან შირერმა, რომელსაც ნორვეგიელ ჟურნალისტთან ურთიერთობისას ერთი თავშესაქცევი ამბავიც გადახდა. გასაკვირია, მაგრამ მისთვის ინტერვიუში ინტიმური შეკითხვები არა რომელიმე ბულვარული პრესის წარმომადგენელს, არამედ საფეხბურთო კლუბ „ვალერანგის“ ოფიციალური ჟურნალის კორესპონდენტს, კრისტოფერ შოუს დაუსვამს. შოუ შირერის სასქესო ორგანოსთან დაკავშირებული პიკანტური დეტალებით დაინტერესებულა, ხოლო როდესაც მისი ცნობისმოყვარეობით ფეხბურთელი მეტისმეტად დაბნეულა, შეკითხვა კვლავ გაუმეორებია. მიუხედავად ამისა, ნორვეგიელი საფეხბურთო ჟურნალისტისთვის შირერს თავისი მამაკაცური საიდუმლოება მაინც არ გაუმხელია. ■

ტიფოზერმი ვიერის ემუქრემიან

როგორც ცნობილია, სერია A-ს ბოლოს წინა ტურში „ინტერი“ „მილანთან“ დამარცხდა (2:3), რამაც მეტისმეტად აღაშფოთა ძაკერონის გუნდის ქომაგები. რამდენიმე დღის წინ ტიფოზებმა კრისტიან ვიერის კუთვნილ რესტორან Baci & Abbracci-ს საწვავით სავსე ბოთლები ესროლეს. პოლიციელთა განცხადებით, ხანძარმა ვიტრინა და რესტორნის კედელი დააზიანა. იმავე ღამეს ანალოგიური თავდასხმა მოაწყვეს მილანის „ინტერის“ კიდევ ერთი მოთამაშის, ფაბიო კანავაროს კუთვნილ რესტორანზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ კრისტიან ვიერის რესტორნის კედელზე ფანებმა ფეხბურთელს მუქარაც დაუტოვეს: „ვიერი, ყველაფერი დასრულდა, თქვენ ჩვენი ქალაქის მხარდაჭერის ღირსი არ ხართ. იმიტომ, რომ მოედანზე სრულად არ იხარჯებით. თქვენ კლუბი და გულშემატკივრები ჩირადაც არ გიღირან, რაზეც პასუხს აგებთ“... ■

„არსენალმა“ 7 წლის თეხმურთელი მოინადირა

ლონდონის „არსენალმა“, ცოტა ხნის წინ, 7 წლის ბიჭთან გააფორმა კონტრაქტი. პატარა ალექს იოვბიმ „მეთოფეთა“ ყურადღება იმით მიიქცია, რომ საბავშვო გუნდის „რიპლვეის“ შემადგენლობაში 33 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ იოვბი ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელის, ჯეი-ჯეი ოკოჩას დისწულია და შეიძლება ამ ფაქტორმაც განაპირობა მისდამი ლონდონური კლუბის მესვეურთა დაინტერესება. თავად არსენალის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელები კი აცხადებენ, რომ ალექსისა და ჯეი-ჯეი ოკოჩას ნათესაური კავშირის შესახებ არაფერი იცოდნენ. „ჯეი-ჯეის თამაშით ვამაყობ, – ამბობს იოვბი, – მინდა სწორედ ისეთი დიდი ფეხბურთელი გამოვიდე, როგორიც ისაა“. ოკოჩას დის თქმით, მისი ბიჭუნა ძალიან მონდომებულია და დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევს. „მან ჯერ სიარულიც არ იცოდა, როდესაც პირველად შეეხო ბურთს. ხოლო პირველი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა ბურთს მისდევდა,“ – ამბობს ბედნიერი დედა. ■

კურნიკოვას ფინჩი ატჩიეს

ანა კურნიკოვას პერსონა თანდათან კარგავს აქტუალურობას. ასეთი დასკვნა გამოიტანა კომპანია ESPN-მა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ამერიკელ მამაკაცთა შორის სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვაში „კოკა-კოლასა“ და ჩიპსის მილიონამდე მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. ანა კურნიკოვასგან განსხვავებით, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, მათ უპირატესობა ამერიკელ ჯენი ფინჩს მიანიჭეს. 23 წლის ფინჩი Playboy-ის სარეკლამო გადაღებებში მონაწილეობას, თავის დაოსტატებაზე მუშაობას ამჯობინებს. ჯენი ბეისბოლს მისდევს, რაც ამერიკაში ჩოგბურთზე გაცილებით უფრო პოპულარულია და თუ იგი კვლავაც დარჩება ამერიკელ მამაკაცთა ყველაზე სასურველ გოგონად, მაშინ რუს ლამაზმანს ალბათ სარეკლამო ბიზნესშიც იმედგაცრუებულს დატოვებს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ჰარი პოტერი 47 ენაზეა ნათარგმნი.
2. გირჩას მეორენაირად ჯალღუზა ჰქვია.
3. პარტენოფობია ქალწულობის დაკარგვის შიშია.
4. გონებას პითაგორა ბრძენ ზედამხედველს ეძახდა.
5. ნაცარში გამომცხვარ ხმიადს შაფართხელი ჰქვია.
6. ტროპიკული ტყის ხეებს არა აქვს წლიური რგოლები.
7. 1900-1920 წლებში, ბაგირის გადაწევა ოლიმპიურ თამაშებში შედიოდა.
8. კამიკაძეებს აფრენის წინ, ტრადიციისამებრ, ფინჯან საკეს მიართმევდნენ ხოლმე.
9. ვაშინგტონის შტატის ქალაქ უილბურში უშნო ცხენით გასეირნება კანონით ისჯება.
10. მცენარეთა ხელოვნური გადაშენების სისწრაფე დღეს, სამოცდაათჯერ აღემატება ბუნებრივს.
11. სტარტის აღებისას, კოსმოსური ხომალდის ძრავა 12 მილიონი ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს.
12. ნიურნბერგი მესამე რაიხის იდეოლოგიური ცენტრი იყო. ჰიტლერი იქ ატარებდა თავის ყრილობებს.
13. მიტროფანე ლაღიძე, გურამ რჩეულიშვილი და ჯუზეპე გარიბალდი 4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს იყვნენ დაბადებულები
14. წამების აღმნიშვნელი ისარი პულსის შესწავლის მიზნით, ინგლისელმა ჯონ ფლოუერმა გამოიგონა.
15. პირველი მტვერსასრუტი XX საუკუნის დასაწყისში, ფირმა „ბრიტიშ ვაკუუმ კომპანიმ“ გამოუშვა. მას სახელად „მქშინავი ბილი“ დაარქვეს.
16. იმისათვის, რათა ყვირილისგან ყელი არ ჩახლეჩოდა, გენერალი მორო ბრძოლის წინ უმ კვერცხს მიირთმევდა.
17. როლან გაროსი, რომლის სახელსაც პარიზის საჩოგბურთო კომპლექსი ატარებს, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გმირი მფრინავი იყო.
18. „იმისათვის, რომ იმღერო, საჭიროა ცოტა ხმა, ცოტა სმენა და ბევრი სინდის-ნამუსი“, – განაცხადა „ღამის შოუს“ ეთერში თემურ წიკლაურმა.
19. 1569 წელს, ლიონში გამოვიდა წიგნი, რომლის სათაური იუწყებოდა: „ამ წიგნის პირველი ნაწილი გვასწავლის

ნიუტონმა სამყაროს აღსასრული იწინასწარმეტყველა

ლონდონელი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სამყაროს აღსასრულის ზუსტი თარიღი მათთვის უკვე ცნობილია. ამ მოსაზრებას საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს. ბოლოს და ბოლოს, სპეციალისტებმა ისააკ ნიუტონის ჩანაწერების გაშიფვრა მოახერხეს. თუკი მისი გამოთვლები სწორი აღმოჩნდება, მაშინ სამყაროს აღსასრული 56 წლის შემდეგ დადგება.

ყველასათვის ცნობილია, რომ ნიუტონმა სამყაროს მიზიდულობის კანონი მაშინ აღმოაჩინა, როცა მას თავზე ვაშლი დაეცა. ეს ამბავი ნებისმიერმა სკოლის მოსწავლემ იცის, მაგრამ ყველამ როდი უწყის ის, რომ სახელგანთქმული მეცნიერი წლების განმავლობაში მუშაობდა „ბიბლიის“ ტექსტზე, რათა მასში აღწერილი სამყაროს აღსასრულის გამაფრთხილებელ მოვლენებს ჩასწვდომოდა. ნიუტონის შრომებში დაფიქსირებული სწორედ ეს თარიღი გამოაქვეყნეს მკვლევარებმა. მეცნიერი სამყაროს აღსასრულის თარიღად 2060 წელს ასახელებს.

შრომა, რომელიც ნიუტონმა იერუსალიმის ბიბლიოთეკაში მუშაობისას დაწერა, თანამედროვე მეცნიერებს სრულიად შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში. ეს ჩანაწერები, რომელიც 1930 წელს კოლექციონერ აბრაჰამ იაკუდეს აუქციონზე შეუძენია, მის ნათესავებს აღმოაჩნდათ. ■

ნესი ჩინეთშიც გამოჩნდა

ტიანჩის ტბის სანაპიროზე დასვენებისას, ასობით ტურისტი გახდა მოწმე წყლის ზედაპირზე ჩინელი ნესის გამოჩენისა. ადგილობრივი მოსახლეობა ურჩხულს ტიანჩის სახელით მოიხსენიებს. ვულკანური წარმოშობის ტბა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და მისი სიღრმე 373 მეტრია.

ტიანჩის ამბავი, ნესის ამბის მსგავსად, ლეგენდებითა და მითებითაა მოცული და მას რამდენიმე ასწლეულის ისტორია აქვს. აქამდე ჩინეთში მისტიკური ურჩხულის მნახველი ათობით მოწმე არსებობდა, მაგრამ როგორც ადგილობრივი გაზეთი იუწყება, წყლის ზედაპირზე უცნაური არსების ბოლო დროს გამოჩენას უკვე ასობით ადამიანი ადევნებდა თვალს.

თვითმხილველთა თქმით, გიგანტურ შავ არსებას ცხენის თავი აქვს. უამრავმა ტურისტმა ის ცხრა მეტრის მანძილიდან დააფიქსირა. თანაც ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ ტურისტულ ჯგუფთან. ერთი ჯგუფი ტბის მახლობლად მდებარე მთაზე იმყოფებოდა, მეორე კი – პირდაპირ ტბის ნაპირას. მისტიკურ ურჩხულს აგრესიულობა არ გამოუვლენია და წყლის ზედაპირზე თხუთმეტი წუთის ყოფნის შემდეგ, მშვიდად გაუჩინარდა ტბის სიღრმეში.

საინტერესოა ისიც, რომ ადგილობრივი მონასტრის მუზეუმში დაცულია, მცირე ზომის, ძვლისგან გამოკვეთილი ტიანჩის ფიგურა, რომელიც საოცრად მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული. ადგილობრივი გლეხები კი, გამომწვარი თიხისა და ხის შავად შეღებილი, თვითნაკეთი ტიანჩის ფიგურებით ვაჭრობენ. ნიშანდობლივია, რომ ტიანჩის ტანი, თათები და კუდი ოსტატებს სხვადასხვანაირად აქვთ გამოქანდაკებული. ეს ალბათ იმან განაპირობა, რომ წყლის ზედაპირზე გამოჩენისას, ურჩხულს მხოლოდ თავი და ზურგი უჩანს. აი, მონასტერში დაცული უძველესი ფიგურის სხეული კი, ძალზე ჩამოჰგავს ჩინური დრაკონის ტანს. ■

ეშმაკის ნაკვალევი

ამ ზამთარს ინგლისში მოსული დიდთოვლობის დროს, დილით გაღვიძებულმა დევონშირის მცხოვრებლებმა თოვლზე უცნაური, ჩლიქებიანი ნაკვალევი შენიშნეს. კვალი უჩვეულოდ იკლაკნებოდა, მთელ ქალაქს სერავდა და შემდეგ უკვალოდ ქრებოდა.

„აღმოჩენილია არნახული ნაკვალევი, – წერდნენ გაზეთები. – მოსახლეობის ცრუმორწმუნე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს თავად სატანის ნაკვალევია“.

რატომ მიიჩნიეს კვალი დევონშირის მცხოვრებლებმა ეშმაკის ნაკვალევად? საქმე ის გახლავთ, რომ ეს ჩვეულებრივი ჩლიქებით დატოვებული კვალი არ იყო. ნაკვალევი ისეთ ჩლიქებიან არსებას ეკუთვნოდა, რომელიც ორ ფეხზე ადგილდებოდა. ამ ამბავში კი, ყველაზე ბურუსით მოცული ის გახლდათ, რომ ნაკვალევი მხოლოდ მიწაზე არ იყო აღმოჩენილი: კვალი ისეთ ადგილებშიც აღმოჩნდა, სადაც შინაური ცხოველი პრინციპში, მას ვერანაირად ვერ დატოვებდა. მაგალითად, სახლებისა და დამხმარე ნაგებობების სახურავებზე, მაღალი ღობეებით გარშემორტყმული, ჩაკეტილი შიდაეზოების ტერიტორიაზე და სხვა.

ამ იდუმალებით მოცულ ამბავს დღემდე ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს. ფაქტი კი ერთია, იმ დღის შემდეგ დევონშირის მოსახლეობის ცრუმორწმუნე ნაწილი, ღამით შინ ჯდომას ამჯობინებს. ■

თურმე ჯუდიანების სამშობლო შვეიცარია ყოფილა

შვეიცარიელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კუდიანების შეკრებები, რასაც თან ახლდა ადამიანის ხორცის ჭამა და უამრავი სხვა შემზარავი რიტუალი, XV საუკუნის დასაწყისში თანამედროვე შვეიცარიისა და საფრანგეთის ტერიტორიებზე აღმოცენებულა. ყოველ შემთხვევაში, გადმოცემები ამ თავყრილობების შესახებ; ევროპაში სწორედ ამ დროიდან გავრცელდა. ისტორიკოსები ალპური და ქვემოალპური რაიონების 1430-1440 წლებით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობიან. XV საუკუნის მასალებში ამ რეგიონებში კუდიანების სექტების არსებობა და კუდიანებზე ნადირობის დაწყების ფაქტებიც დასტურდება.

იმ ხანებს უკავშირდება ამგვარ თავყრილობებზე გავრცელებული წარმოდგენები: კუდიანების შეკრებები, როგორც წესი, ამაღლებულ ადგილას – მთაზე ან გორაკზე იმართებოდა. ჯადოქრები და კუდიანები დათქმულ ადგილას ცოცხზე ან ჯოხზე ამხედრებულები მიდიოდნენ. ისინი წელს ქვემოთ ემთხვეოდნენ ეშმაკს და ამ სახით გარიგებას დებდნენ მასთან. შემდეგ კი იწყებოდა ორგია, რასაც თან ახლდა რიტუალური როკვა და სექსუალური აღვირახსნილობა. კუდიანების შეკრებებზე ყველაზე ნუგბარ კერძად პატარა ბავშვის ხორცი მიიჩნეოდა.

სხვათა შორის, შვეიცარია სულაც არ ჩქარობს მიჰბაძოს რუმინეთს, რომელმაც დრაკულასა და ვამპირებზე საკუთარი უფლებები განაცხადა. ადგილობრივი ხელისუფლება ამ „მემკვიდრეობის“ აფიშირებას არ აპირებს და არც შვეიცარიის „კუდიანების სამშობლოდ“ გამოცხადებით მოზიდული ტურისტების პერსპექტივა ხიბლავს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიდა დვალის „ბების წიგნაკიდან“:

სხვადასხვა სახის პომადისა და სუნამოს დამზადებას სახის შესამკობად. მეორე ნაწილი გვასწავლის სხვადასხვა სახის მურაბის დამზადებას თაფლის, შაქრისა და ღვინისაგან“. ამ წიგნის ავტორი იმ დროისათვის, უკვე რამდენიმე წლის გარდაცვლილი მიშელ ნოსტრადამუსი გახლდათ.

20. წლების განმავლობაში, კრემლის ოფიციალური ღონისძიებების რეგლამენტში არსებობდა ქალის ქვედაბოლოს მინიმალური და მაქსიმალური სიგრძის განმსაზღვრელი პუნქტი. იგი რაისა გორბაჩოვას მოთხოვნით გააუქმეს.

21. როცა მწვრთნელმა ერიკ ლოუელმა კლუბი „ჰიტინგ ბრედშოუ“ ჩაიბარა, აღმოაჩინა, რომ გუნდში პრაქტიკულად ვერც ერთი ფეხბურთელი მარცხენა ფეხით ვერ თამაშობდა. ამის აღმოსაფხვრელად ლოუელი ვარჯიშზე ფეხბურთელებს მხოლოდ ერთ, მარცხენა ბუცს აძლევდა.

22. მეტრული დუიმი იმ მანძილს უდრიდა, რასაც მწიფე ქერის თავთავის შუაგულიდან ამოღებული სამი, ერთმანეთზე წვერებით მიწყობილი მარცვალი იკავებდა.

23. უმუშევრობის 1%-ით გაზრდისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიუჯეტის დეფიციტი 25 მილიარდი დოლარით იზრდება, მკვლელობათა მაჩვენებელი – 5,7%-ით, თვითმკვლელობათა რიცხვი – 4,1%-ით, პატიმართა რიცხვი – 4%-ით, ფსიქიატრიულ პაციენტთა რიცხვი – 3,5%-ით.

24. ამერიკაში ხუმრობენ: „სამნი ვართ ამის წინააღმდეგნი: მე, ბატონი სმიტი და ქალბატონი ვესონი“ („SMITH & WESSON“ რევოლვერის მარკა გახლავთ).

25. ჩეხოსლოვაკიელი მეკარის ფრანტიშეკ პლანიჩკაზე ამბობდნენ, წინასწარხედვის ნიჭით არისო დაჯილდოებული, რადგან ის პრაქტიკულად ყოველთვის ახერხებდა, გამოეცნო მის კარში პენალტით დარტყმული ბურთის მიმართულება. სინამდვილეში მას სამსახურს უწევდა მარტივი ფსიქოლოგიური ფანდი: როდესაც პენალტი ინიშნებოდა, „აღშფოთებული“ პლანიჩკა იხდიდა კეპს და კარის რომელიმე კუთხეში ისროდა. პენალტის შემსრულებელთა 90 პროცენტი ბურთს სწორედ იმ კუთხეში ურტყამდა. ■

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-9)

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, 8 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა — მიშიკო ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედადღა რჩებიან. თუმცა, გვანცას კიდევ ერთი ადამიანის — თანაკლასელ ლუკა ჩადუნელის დიდი იმედი აქვს. გვანცა ლუკას თავის უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ თვლის, ლუკას კი გოგონა მთელი გულით უყვარს. მაგრამ ერთხელ, გოგონა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს ირაკლი იაშვილს ისე დაუახლოვდება, რომ ის ცოლად შერთვასაც შეჰპირდება. ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება და ირაკლისაც მაშინვე სერიოზული თავსატეხი გაუჩნდება: ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, მისი ორი ნახევარძმა იბრძვის, ერთ-ერთი — პრეზიდენტის მხარეზე მეომარი გიორგი კი, ამ ბრძოლას შეეწირება კიდეც... ამის შემდეგ, ხელში იარაღს ირაკლიც აიღებს და... უგზო-უკვლოდ დაიკარგება. ცოტა ხანში, გვანცა მიხვდება, რომ მისგან ფეხმძიმედაა... გვანცას ბებია-ბაბუას, მომავალი ბავშვი ლუკასი ჰგონია. ის ამას არ იუარებს და გვანცასთან დაქორწინებაზეც დათანხმდება, თუმცა, გვანცასთან მარტოდ დარჩენილი, პირობას წაუყენებს: ვიცი, ეს ბავშვი ვისიცაა, ამიტომ მხოლოდ ფორმალურად ვიქორწინებთ და ბავშვის გაჩენისთანავე, გავიყრებითო...

ამასობაში, აფხაზეთში ომი დაიწყება. ლუკა ომში წასვლას გადაწყვეტს და გვანცას გამოუცხადებს: არ დამელოდო, რაც არ უნდა მოხდეს, შენთან აღარ დავბრუნდებიო...

ლუკას წასვლიდან ერთი თვის შემდეგ, გვანცას ბიჭი შეეძინება და ამირანის დაჟინებული თხოვნით, მასაც ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ამაო ძებნაში, არაერთ დიდსა თუ პატარა ჩინოვნიკს მიაკითხავს. ერთხელაც, პარლამენტში ირაკლის ნახევარძმას, ლაშას გადაეყრება. ლაშა მას გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნას შესთავაზებს და თან, ვითომ სასხვათაშორისოდ, იმასაც ეტყვის, რომ ირაკლი ცოცხალია და ისიც გერმანიაშია...

გერმანიაში ჩასული, ნელ-ნელა ახალ პირობებსაც შეეგუება, მაგრამ მალე, თავაშვებული იტალიელი თანაკურსელის — სოფიას წყალობით, ახალი უბედურება დაატყდება თავს: სოფიას მორიგი სატრფო — ვინმე თურქი ალი, სამ გოგონას თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში...

გვანცა საშინლად დაუნდობელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის არალეგალურ სამფლობელოში აღმოჩნდება. ზეინაბ-ხანუმი მის ხელში ჩავარდნილ ქალებს მონათმფლობელივით ექცევა: ლამაზ გოგონებს ჯერ სხეულით ვაჭრობას აიძულებს. შემდეგ კი, როცა ისინი კლიენტებს თვალში აღარ მოსდით, თავის უზარმაზარ სამღებროში უკრავს თავს. გვანცასაც ამავეს დაუპირებს, მაგრამ რომ გაიგებს, ქართველიაო, დაინდობს და ხელზე მოსამსახურედ დაიყენებს... მალე გვანცა ზეინაბ-ხანუმის ნდობას იმდენად მოიპოვებს, რომ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ანკარაშიც ჩაიყვანს. ბოლო ჩასვლის დროს გვანცა გაქცევას გადაწყვეტს...

გვანცა ცოტა ხანს უძრავად იჯდა, შემდეგ ნელ-ნელა კარისკენ ჩაჩოჩდა და ფანჯრის მინა ჩამოსწია. მანქანაში მაშინვე ქუჩის ხმაური და ოხშივარი შემოვარდა. გვანცამ ღია ფანჯარაში თავი სულ ოდნავ გაყო და ქურდულად გაიხედ-გამოიხედა. ზეინაბ-ხანუმი და მისი მძოღლი აღარსად ჩანდნენ. გვანცამ მინა სასწრაფოდ ასწია. შემდეგ მეორე კარისკენ გადაინაცვლა, ქუჩა იმ მხრიდანაც გულდაგულ დაზვერა და ის იყო, მეორე ფანჯრის მინაც ასწია, რომ მანქანის წინა კარი ხმაურით გაიღო და სალონში ზეინაბ-ხანუმმა შემოიხედა:

— მომეჩვენა თუ ფანჯარას მართლა ეჯავჯგურებოდი? — მაშინვე გამომცდელად ჰკითხა მან გვანცას.

— არ მოგჩვენებიათ — სული ძლივსღა მოითქვა გვანცამ. — მინა ნამდვილად ჩამოვწიე...

— იქნებ, ამიხსნა, რატომ? — წინა სავარძელში მძიმედ ჩაეშვა ზეინაბ-ხანუმი და მაშინვე გვანცასკენ შებრუნდა.

გვანცამ მის გამჭოლ მზერას რის ვაი-ვაგლახით გაუძლო და რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა:

— როგორც კი მანქანაში მარტო დავრჩი, მაშინვე მომეჩვენა, რომ სული მეხუთებოდა და...

— დედა, დედა, ეს რა მითხარი?! — ვითომ თანაგრძნობის ნიშნად, თავი აქეთ-იქით გადააქნ-გადმოაქნია ზეინაბ-ხანუმმა. — უცბად დაგიჯერე, ხომ იცი?.. ესე იგი, კონდიცირებულ მანქანაში სული გეხუთებოდა, ქუჩიდან შემოსულმა ხვატმა კი სული მოგათქმევინა, ხომ?

— არა, რა თქმა უნდა... — ბოლომდე მაინც არ დაიბნა გვანცა. — უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ კლაუსტროფობია მჭირს...

— რა გჭირს? — თვალები ჭყიტა ზეინაბ-ხანუმმა.

— დახშული სივრცის შიში... — მორიდებით განუმარტა გვანცამ. — როგორც კი ლიფტში, ჩაკეტილ ოთახში ან მანქანაში მარტო ვრჩები, მაშინვე სუნთქვა მეკვრის და ცუდად ვხდები... ზოგჯერ კი შეიძლება, გულიც წამივიდეს...

— ანუ ყველა „სიკეთესთან“ ერთად ბნედიანიც ხარ, ხომ? — ბოროტად გაეღიმა ზეინაბ-ხანუმს. — კარგია, რომ დროზე გამაფრთხილე. აბა, ეგეთ მოსამსახურეს რა თავში ვიხლი?!. უკან დავბრუნდებით თუ არა, მაშინვე ჩვენს ბიჭებს მივუგდებ შენს თავს და კარგად გაერთობიან...

— ზეინაბ-ხანუმ!.. — ცრემლმორეულ

თვალებში სასწრაფოდ მუდარა ჩაუდგა გვანცას.

— რა ზეინაბ-ხანუმ?.. რა?!. — უღრიალა მას ქალმა. — გგონია, შენი ნაბოდვარი მართლა დავიჯერე?!. ვითომ ვერ მივხვდი, მანქანიდან გადახტომა და გაქცევა რომ გინდოდა!..

— არა, რას ბრძანებთ?!. — შიშით მთლად თვალებად იქცა გვანცა. — მსგავსი რამ ფიქრადაც კი არ გამივლია... დამიჯერეთ, გემუდარებით...

— მორჩი წკმუტუნს! — ხელი მბრძანებლურად ასწია ზეინაბ-ხანუმმა. — შენი ბედი, რომ დღეს კარგ ხასიათზე ვარ... მაგრამ თუ მსგავსი რამ ერთხელ კიდევ გაბედე, მერე მართლა შენს თავს დააბრალე!..

ამასობაში, მანქანას მძღოლიც მიუახლოვდა, კარი ფრთხილად გააღო და იქვე მოწიწებით გაჩერდა.

— დაჯექი, რას გაშტერებულხარ? — გასძახა მას ზეინაბ-ხანუმმა.

მძღოლი მანქანის სავარძელში ფრთხილად ჩაეშვა და ზეინაბ-ხანუმს რაღაც საბუთები გადასცა. ზეინაბ-ხანუმმა საბუთებს თვალი სწრაფად გადაავლო და მაშინვე იღრიალა:

— ძაღლიშვილი!.. ხედავ, რამდენს მიბედავს?!. ხედავ, ჩემს ზურგს უკან რას აკეთებს?!. მაგრამ არა უშავს, ვაჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ზეინაბ-ხანუმი!.. ეგ მძორი!.. ეგ ცოცხალი ლეში! ოცდახუთი წელია, შვილივით ვუვლი და ვინახავ და ეგ კიდევ ყოველ წუთს სამარეს არ მითხრის?!.

მძღოლი საჭეს დამნაშავესავით თავდახრილი უჯდა და მორიგი განკარგულების მოლოდინში, ზეინაბ-ხანუმს ხანდახან მორიდებით თუ გახედავდა.

— ჩქარა, წავედით! — უყვირა მას უცბად ზეინაბ-ხანუმმა. — ერთი იმ გამოღამებულ თვალებში უნდა ჩავხედო და ისე ვკითხო, ამის გაკეთება როგორ გამბედა?!.

მძღოლმა გასაღები მაშინვე გადააბრიალა და მანქანა ადგილიდან ნელნელა დაძრა, თუმცა როგორც კი ქუჩის კუთხეში მდგარ პოლიციელს გასცდნენ, ზეინაბ-ხანუმმა მაშინვე ააჩქარა:

— ცოტა სწრაფად! რას მიზოზინებ?.. შენც ჩემი მოსამსახურესავით გულყრა ხომ არ გემართება?!.

მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა და მალე ხმაურიანი ცენტრალური ქუჩიდან, შედარებით უფრო წყნარ ქუჩაზე გადაუხვია.

— მოიცა! — ისევ უყვირა მას ზეინაბ-ხანუმმა. — მოაბრუნე მანქანა!.. დღეს რომ ჩემი ძმა ვნახო, ისე ვარ გამწარებული, შეიძლება, ყელიც გამოვღადრო!.. ცოტა დავწყნარდები და მერე დაველაპარაკები...

მძღოლმა მანქანა ამჯერადაც უხმოდ მოაბრუნა და საპირისპირო მიმართულებით გააქროლა...

უკან დაბრუნებულმა გვანცამ ჯინას ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ეს უკანასკნელი კი მაშინვე ზეინაბ-ხანუმის ლანძღვას მოჰყვა.

— აუ... მაინც, რა დამპალი ვინმეა?!. უცბად მიხვდა, ხომ გაპარვა რომ გინდოდა?

— კი... თუმცა, მე, მაინც, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე...

— მაგრამ არა უშავს... — თავისას განაგრძობდა ჯინა. — ერთხელაც იქნება, მაგ დამპალსაც მოუდუნდება ყურადღება და აი, მაშინ კი ნამდვილად უნდა იმარჯვო...

— ეჰ! — ამოიოხრა გვანცამ. — არა მგონია, ანკარაში ოდესმე კიდევ წამიყვანოს...

— ნუ გეშინია! — დაამშვიდა ის ჯინამ. — წაგიყვანს... ანკარაშიც წაგიყვანს და თავის ძმასაც აუცილებლად გაგაცნობს... იმიტომ, რომ ეს, პირველ რიგში, მისსავე სამომავლო გეგმებში შედის..

— რა გეგმებში? — დაინტერესდა გვანცა.

— როგორ თუ რა გეგმებში?.. შენ რა, მართლა ხომ არ დაიჯერე, რომ ზეინაბ-ხანუმი შენნაირ მარწყვივით გოგოს ხელზე მოსამსახურედ დიდხანს მოაცდენს?..

— რაღაცებს ნუ ჩმახავ, რა, ჯინა! — გააწყვეტინა გვანცამ. — ხომ იცი, ზეინაბ-ხანუმმა რატომაც დამინდო და თავისთან დამტოვა?..

— და შენ გგონია, რომ ამის მიზეზი მართლა ის რამდენიმე წვეთი ქართული სისხლია, რომელიც მაგის დამპალ ძარღვებში ან ჩქეფს და ან არა?.. მაშინ მართლა სულელი ყოფილხარ...

— აბა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს? — შეშფოთდა გვანცა.

— მართალი გითხრა, ბოლომდე ჯერ მეც ვერ მივმხვდარვარ, მაგრამ გული მიგრძნობს, როგორც კი ანკარაში, თავის სახლში მიგიყვანს, მაშინვე ყველაფერი გაირკვევა.

— ანკარაში კარგი სახლი აქვს? — დაინტერესდა უცბად გვანცა.

— ძალიან ლამაზი... თუმცა, რას გიხსნი?.. შენ ხომ ის სახლი ერთხელ უკვე ნახე!..

— მე-ე? — გაოცდა გვანცა. — ჯინა, შენ მართლა ხომ არ აურიე?.. ზეინაბ-ხანუმის სახლი მე სად უნდა მენახა?..

— ახლავე ყველაფერს აგიხსნი... — დაამშვიდა ის ჯინამ. — ანკარაში რომ ჩამოხვედით, ალიმ შენ და შენი დაქალები სად მიგიყვანათ?

— სად და თავის სახლში...

— თავის სახლშიო?.. — ბოროტად ჩაიქირქილა ჯინამ. — სად აქვს, გოგო, იმ არამზადას სახლი?..

— აბა, ის უზარმაზარი სახლი ვისი იყო?

— ვისი და ზეინაბ-ხანუმის... ალიმ სახლი თუ დაგათვალიერებინათ?

— არა. როგორც კი მივედით, კარისკაცმა მაშინვე მშობლების დანატოვარი წერილი გადასცა და...

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯინამ. — ის კარისკაცი ზეინაბ-ხანუმის მარჯვენა ხელია... არა, ისე მაინც რა თავზეხელაღებული არამზადები არიან?!. წლები ისე გადის, ხელწერას ოდნავაც კი არ ცვლიან... ორმოცი წლის წინათ მეც სწორედ მაგ სახლში ფეხის შედგმის შემდეგ გავხდი მონა...

— გამოდის, რომ ის სახლი სატრანზიტო პუნქტივითაა, ხომ?

— ჰო, რაღაც მაგის მაგვარია... თუმცა, იქ კიდევ ხდება რაღაც ისეთი, რასაც ზეინაბ-ხანუმი დროდადრო წონასწორობიდან გამოჰყავს...

— ის „რაღაც“ მის ხეიბარ ძმასთან ხომ არ არის დაკავშირებული?..

— მე მგონი, რომ კი...

— ძმაც მაგასავით საზიზღარია?

— ვერაფერს გეტყვი... — მხრები აიჩეჩა ჯინამ. — მე ის უბედური არასოდეს მინახავს...

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას, ზეინაბ-ხანუმი კი გვანცასთან ანკარაში წასვლას საერთოდ აღარ ახსენებდა. და ის იყო, გვანცას იმედი საბოლოოდ გადაეწურა, რომ ერთ დილით ზეინაბ-ხანუმმა მანქანაში ჩაისვა და უკვე ნაცნობ გზას გაუყენა...

ანკარაში შესვლისთანავე, ზეინაბ-ხანუმმა მძღოლს შინ მიყვანა უბრძანა. გვანცამ სახლიც მაშინვე იცნო და მისი აყლაყუდა კარისკაციც. თავად კარისკაცმა კი გვანცას დანახვაზე ისეთი უმეტყველო სახე მიიღო, თითქოს მის ადგილზე საერთოდ სიცარიელე ყოფილიყო. სამაგიეროდ, ზეინაბ-ხანუმს თავი ხაზგასმული მოწიწებით დაუკრა.

ზეინაბ-ხანუმი მაშინვე თავის საძინებელში განმარტოვდა და, ცოტა ხნის შემდეგ, გვანცას სამზარეულოში ჩასვლა და ჩაის მოდუღება უბრძანა. გვანცამ კიბე სწრაფად ჩაირბინა და ის იყო, საიდანღაც ხესავით ამოზრდილი კარისკაცისთვის უნდა ეკითხა, სამზარეულო სად არისო, რომ ამ უკანასკნელმა დაასწრო:

— ზეინაბ-ხანუმს, ალბათ, ჩაი ნებავს...

— დიახ... — უპასუხა გვანცამ.

— გამომყევი... სამზარეულო დერეფნის ბოლოსაა...

გვანცა კარისკაცს უხმოდ აედევნა და მალე საკმაოდ ფართო და ნათელ ოთახში აღმოჩნდა. იქ ქათქათა სუფრაგადა-

ფარებულ ოვალურ მაგიდას ვიღაც ბრგე მამაკაცი თავდახრილი უჯდა და ქაფქაფა ჩაის ყლუპ-ყლუპით სვამდა. მის დანახვაზე გვანცა შეკრთა და მაშინვე კარისკაცისკენ რაღაცის საკითხავად შებრუნდა, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე უკვალოდ გამქრალიყო... დაბნეულმა გვანცამ ახლა სამზარეულოს მოავლო თვალი და როგორც კი მაგიდის შორიახლოს მდგარი ინვალიდის ეტლი დაინახა, ყველაფერს მიხვდა.

— უკაცრავად... — მაშინვე დაიწყო მან და თან, ხეიბრისთვის უცნაურად დაკუნთულ მამაკაცის მკლავებს გაოცებული დააშტერდა, — ზეინაბ-ხანუმმა ჩაის მოსადუღებლად გამომგზავნა, შეიძლება?

უცხო ხმის გაგონებაზე მამაკაცმა თავი ნელ-ნელა მაღლა ასწია, გვანცას უზარმაზარი შავი თვალები შეანათა და თან, მშვიდად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, შეიძლება. — აგერ ქურა და აგერ ჩაიდანი... ისე თუ არ შეწუხდები, ერთი ჭიქა მეც მომიდუღე...

— დ-დიახ, ახლავე! — დაფაცურდა გვანცა და რამდენიმე წუთში ოთახში ახალმოდუღებული ჩაის სურნელი დატრიალდა. გვანცამ ქაფქაფა ჩაით სავსე წელში გამოყვანილი ერთი ჭიქა მამაკაცს მიართვა, მეორე კი ლანგარზე დადგა და ის იყო, ოთახიდან უხმოდ უნდა გასულიყო, რომ მამაკაცმა კითხვა დაადევნა:

— მე უმარი მქვია, შენ?

— მ-მე — გვანცა... — ისევ ენა დაება გვანცას.

— უცნაური სახელია... საიდან ხარ, გვანცა?

— საქართველოდან...

— მართლა? — სახე გაუნათდა უმარს. — ჩემი დიდი ბებიაც საქართველოდან იყო... საოცარი ქალი იყო და საოცრად ლამაზი ამბების მოყოლაც იცოდა... გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი დამიმარტოხელა და მთხოვა, დიდი რომ გაიზრდები, სადაც გაჭირვებულ ქართველს ნახავ, მე გამიხსენე და მიეხმარეო... გამოდის, რომ შენც უნდა დაგეხმარო, გვანცა...

— მე-ე? — დაიბნა გვანცა და თან, აქეთ-იქით შიშით გაიხედ-გამოიხედა. — გმადლობთ, მაგრამ მე დასახმარებელი ნამდვილად არაფერი მჭირს... ზეინაბ-ხანუმი იმდენად ღვთისნიერი ქალია, რომ...

— ერთი ამას დამიხედეთ! — გაისმა უცბად ზეინაბ-ხანუმის ცივი ხმა. — მე ჩაის ველოდები, ეს კი აქ ჩემს ძმას ეკურკურება...

— მაპატიეთ, ზეინაბ-ხანუმ, ახლავე!..

— საპატიებელი არაფერი გჭირს... — სასწრაფოდ დაამშვიდა ის უმარმა, შემდეგ ზეინაბ-ხანუმს მიუბრუნდა და თურქულად უთხრა: თვალებს ტყუილად აბრიალებ, ეს გოგონა მე შევაყოვნე...

— რატომ? — თურქულადვე შეუბრუნა კითხვა ზეინაბ-ხანუმმა. — თვალში ხომ არ მოგივიდა?

— აი, ეს კი შენი საქმე ნამდვილად არ არის.

— სწორედაც რომ ჩემი საქმეა! — ხმას აუწია ზეინაბ-ხანუმმა. — ეს გოგო ჩემი მონაა... თუმცა, თუ ძალიან მთხოვ, შეიძლება, ცოტა ხნით დაგითმო...

— მაშინ ჩათვალე, რომ უკვე გთხოვე. — მშვიდად მიუგო უმარმა.

— მაშინ გული დაიარხეინე — უკვე შენია. — უცნაურად წაუსისინა ზეინაბ-ხანუმმა. — ოღონდ, ერთი პირობით.

— რა პირობით?.. კიდევ რა მზაკვრობა მოიფიქრე?

— არაფერი განსაკუთრებული... ამ გოგოს ერთი თვით დაგიტოვებ, სანაცვლოდ კი ერთ დოკუმენტზე მომიწერ ხელს.

— არც იოცნებო! — ხმას აუწია უმარმა. — მე შენ ხელს მეტად აღარაფერზე მოგიწერ!

— მაშინ არც შენ იოცნებო, რომ ამ გოგოს ოდესმე, თვალით კიდევ ნახავ! — კვლავ სისინებდა ზეინაბ-ხანუმი.

— ვერ ვნახავ და ნუ ვნახავ... — ისევ მშვიდად უპასუხა უმარმა და რამდენჯერმე ტაში შემოჰკრა. ტაშის ხმაზე სამზარეულოში ვიღაც წვერმოშვებული ახმახი შემოვიდა და ბრძანების მოლოდინში გაირინდა.

— კარგი, ჰო! რა უცბად აიფოფრე! — ხელი ბრაზიანად აიქნია ზეინაბ-ხანუმმა. — ამ გოგოს ჯერ ისე დაგიტოვებ, მერე კი ვნახოთ... იქნებ, ისე მოგეწონოს, რომ სხვა რამეზეც ადვილად შევთანხმდეთ... თუ არა და, ერთ თვეში ისევ უკან წავიყვან...

— ეს გოგონა აქედან აღარსად წავა! — სათქმელს საბოლოოდ წერტილი დაუსვა უმარმა და შემდეგ ახმახს თვალით რაღაც ანიშნა.

ახმახმა უმარს მაშინვე ინვალიდის ეტლი მიურბენინა და ჩაჯდომაში მიეხმარა...

— დამპალი, ბინძური ღორი! — პირიდან ტალახი ამოსდიოდა ზეინაბ-ხანუმს და თან, სამზარეულოში ნერვიულად გადიგამოდიოდა. — სულ აქ დარჩებაო... მერე მე რაღა ვქნა?.. ისევ ახალი მოსამსახურე ვეძებო?.. ახია ჩემზე! საერთოდ, რატომ ვაჩვენე, რატომ?!.

უცბად ზეინაბ-ხანუმმა ბოლთის ცემა შეწყვიტა და შორიახლოს მდგარ განაბულ გვანცას ცნობისმოყვარე მზერა ესროლა.

— ხომ მართლა მაგარი დამპალია? — ჰკითხა მან შემდეგ.

— ვინ? — სასწრაფოდ გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო გვანცამ.

— ვინ და ჩემი ძმა, სულელო! ვერ გაიგონე, რას მთხოვს?

— ვერა... მე ხომ თურქული არ ვიცი...

— ისე, მაგარი უნიჭო კი ხარ... — ზიზღით გადახედა მას ზეინაბ-ხანუმმა. — ნეტავ, ინგლისური როგორღა ისწავლე?..

— ძალიან დიდი წვალებით... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა გვანცამ.

— თუმცა, დიდად არც ინგლისურში ბრწყინავ... — ისევ დატუქსა ზეინაბ-ხანუმმა.

— მართალი ბრძანდებით... — მთლად თავი მოისაწყლა გვანცამ.

— კარგი, მოვრჩეთ უაზრო ლაქლაქს... — გააწყვეტინა ზეინაბ-ხანუმმა. — ჯერჯერობით შენი გვერდიდან მოშორება ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ ჩემი სადისტი ძმა თუ ვინმეს გადაეკიდა... მოკლედ, შენი თავი მთხოვა და აქ უნდა დარჩე...

— ა-აქ? — გული სიხარულით შეუხტა გვანცას, მაგრამ მაინც გარეგნულად არაფერი შეიმჩნია. — კი, მაგრამ რისთვის?

— ნუ ინაზები რა! — შეუღრინა ზეინაბ-ხანუმმა. — ვითომ არ იცი, ქალი კაცთან რისთვის რჩება?..

— კი მაგრამ... — ახლა კი ფერი მართლა ეცვალა გვანცას. — თქვენი ძმა ხომ...

— შენ არხეინად იყავი! — ბოროტად ჩაიქირქილა ზეინაბ-ხანუმმა. — იმ ,,საქმეში" ხეიბრობა ხელს ნამდვილად არ უშლის...

წასვლამდე ზეინაბ-ხანუმმა ცოტა ხნით უძვირფასესი ავეჯითა და ანტიკვარიატით გადატვირთულ სასტუმრო დარბაზში შეიარა და დიდ-პატარა ბალიშებით სავსე ფართო ტახტზე მიესვენა, აჩრდილივით ადევნებულ გვანცას კი თვალით პირდაპირ მდგარ სავარძელზე ანიშნა. გვანცა სავარძლის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა და ზეინაბ-ხანუმს ათასი კითხვითა და ვედრებით სავსე თვალები წამით მიაპყრო, შემდეგ მორჩილად დახარა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— სულ ტყუილად იწირპლები! — შეუღრინა ზეინაბ-ხანუმმა. — საქმე გადაწყვეტილია. მე მივდივარ, შენ კი აქ უნდა დარჩე! თუმცა, ისე, კაცმა რომ თქვას...

ზეინაბ-ხანუმს სათქმელი რაღაც უსიამო ჭრიალმა გააწყვეტინა. ხმაურზე გვანცამაც აიხედა და ინვალიდის ეტლში მჯდარი, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი უმარი დაინახა.

— საით გაგიწევია? — აგდებულად ჰკითხა ძმას ზეინაბ-ხანუმმა.

— ტრენაჟორებზე უნდა ვივარჯიშო. — მშვიდად მიუგო უმარმა და მზერა სავარძელში შიშით ჩაკარგულ გვანცაზე გადაიტანა.

— რას მეუბნები? — ტუჩები უშნოდ დაბრიცა ზეინაბ-ხანუმმა. — ივარჯიშო,

თორემ შენც სირბილში მსოფლიო რეკორდი არ მოხსნა!

— ნუ იღრინები... — აუღელვებლად უპასუხა უმარმა დას და თან, გვანცასთვის თვალი არ მოუშორებია.

— ნუ იღრინებიო?! — ხმას აუწია ზეინაბ-ხანუმმა. — გესმით, ხალხო?!. მე წელებზე ფეხს ვიდგამ, ეს კი ჩემს ნაშრომ-ნაწვალებს რომელიღაც უაზრო საქველმოქმედო ფონდებს ურიცხავს...

— სხვათა შორის, — კვლავ მშვიდად განაგრძო უმარმა, — მაგ უაზრო საქველმოქმედო ფონდებმა, როგორც შენ ეძახი, ასობით ჩემსავით ხეიბარი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა და ჩემი შეწირულობებით კიდევ მეტს გაადარჩენს!

— მერე? — ფეხზე წამოხტა გაცოფებული ზეინაბ-ხანუმი. — მე ამით რა მემატება?!. და, საერთოდაც, ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც, მამაჩემის და ჩემი სიმწრით ნაშოვნმა ფულებმა უნდა გადაარჩინოს ყველა მძორი და ცოცხალი ლეში?!.

— მძორები და ცოცხალი ლეშები შენკენ მოიკითხე! — ხმას აუწია უმარმაც.

— მოკეტე! — ფეხზე გიჟივით წამოვარდა ზეინაბ-ხანუმი. — შენ რა გენაღვლება? სასახლეში ნებიერად ცხოვრობ!.. აბა, მე მკითხე!.. დღეები, ხანდახან კი თვეებიც კი ისე გადის, რომ ბოზების, მათი ბინძური კლიენტებისა და სამღებროს კიდევ უფრო ბინძური მუშების გარდა, თვალით ვერავის ვხედავ!.. შენ კი აქ განცხრომით ცხოვრობ და თან, ჭკუას მარიგებ! მორჩა! წავედი და, კარგა ხანს, აქ ჩემი ფეხი აღარ იქნება!

— ზეინაბ-ხანუმ, მერე მე? — წამოიკნავლა უცბად გვანცამ და სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა.

— შენ აქ ეგდე და შენი ახალი ბატონის მახინჯი სურვილები დააკმაყოფილე! — ხელი უხეშად აუქნია მას ზეინაბ-ხანუმმა და დარბაზიდან გავარდა...

ზეინაბ-ხანუმის წასვლის შემდეგ გვანცა კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა და უმარს დამფრთხალი ნადირივით ათვალიერებდა. უმარმა მას ცოტა კიდევ აცალა და შემდეგ ისევ ტაში შემოჰკრა. ტაშის ხმაზე გვანცა მართლა ნადირივით დაფრთხა და შემდეგ ნელ-ნელა უკან დაიხია. დარბაზში მაშინვე ის ახმახი გამოჩნდა და უმარს თავი მდაბლად დაუკრა.

— ჩვენი სტუმარი ძალიან დაღლილი ჩანს. — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა უმარმა გვანცას. — ქალებს მიუყვანე და უთხარი, დააპურონ და მოასვენონ...

ახმახმა უმარს თავი მაშინვე მორჩილად დაუკრა და გვანცას თვალით ანიშნა, გამომყევიო. გვანცა მას მაშინვე სიხარულით დაედევნა.

ახმახმა გვანცა ისევ სამზარეულოში დააბრუნა, სადაც უკვე რამდენიმე ქალს მოეყარა თავი და მათგან ყველაზე უფროსს ჩააბარა...

გვანცა პატარა, მაგრამ ნათელ ოთახში დააბინავეს. როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე ფანჯარას ეცა და გამოაღო. ფანჯარა ულამაზესი ყვავილების ბაღში გადიოდა. გვანცამ ყვავილების თავბრუდამხვევი სურნელი ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ფანჯარა ისევ საგულდაგულოდ დაკეტა, შემდეგ ფართო საწოლზე გაუხდელად მიწვა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა...

მომდევნო რამდენიმე დღემ ისე ჩაიარა, რომ გვანცას უმარი ერთხელაც არ უნახავს. სამაგიეროდ, გაიცნო მზარეული ქალი ზულეიჰა და მალევე დაუმეგობრდა. ზულეიჰა წარმოშობით თურქეთის რომელიღაც მიყრუებული პროვინციიდან იყო. ქალაქში კი მას შემდეგღა მოხვედრილიყო, რაც მამამისს მასზე საკმაოდ უფროს და ხეიბარ კაცზე გაეთხოვებინა. ზულეიჰამ გვანცას ქმარიც მალე გაიცნო. ცალფეხა ფათიჰი უმართან მებაღედ მუშაობდა და საკუთარი ხელით გაშენებული ბაღნარით თავს ხშირ-ხშირად იწონებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარმა ძალიან თბილად მიიღო, გვანცამ მათ გული მაინც არ გადაუშალა და მხოლოდ ის უთხრა, რომ თურქეთში საქართველოდან სამუშაოს საძებნელად ჩამოვედიო.

— მაშინ, ჩათვალე, რომ ძალიან გაგიმართლა. — სიხარულით აუწყა მას ზულეიჰამ. — უმარ-ეფენდი მოწყალე კაცია. არც ძალიან დაგტვირთავს და ფულსაც ნორმალურად გადაგიხდის. თუ გინდა, ვეტყვი და შენც მზარეულად გამუშავებს...

— რა ვიცი, აბა? — ზულეიჰას წინადადება ცოტა შორს დაიჭირა გვანცამ. — რომ ვერ შევძლო?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ შეძლებ. — დაამშვიდა ის ზულეიჰამ. — უმარ-ეფენდი ჭირვეული ნამდვილად არ არის და ჭამითაც ცოტას ჭამს... იქნებ, პირველად, რამე ქართული კერძი მოუმზადო, ვიცი, ძალიან მოეწონება.

— მართლა? — გახალისდა გვანცა. — საერთოდ, დიდი ვერაფერი მზარეული ვარ, მაგრამ რამდენიმე ჩვენებური კერძი ურიგოდ ნამდვილად არ გამომდის...

— ჰოდა, ძალიან კარგი... დღეს, სადილად, უმარ-ეფენდის ნამდვილ სიურპრიზს მოვუწყობთ...

ამის შემდეგ გვანცა და ზულეიჰა სამზარეულოში განმარტოვდნენ და სადილობამდე გარეთ აღარც გამოუხედავთ. სადილის დრომ რომ მოაწია, ზულეიჰამ გვანცა სასადილო ოთახში შეიყვანა, მაგიდაზე ქათქათა სუფრის გადაფარებაში დაიხმარა და თან, ენასაც არ აჩერებდა:

— უმარ-ეფენდი ძალიან გულაზიზი კაცია. საკმარისია, სუფრაზე ერთი პატარა ლაქაც კი აღმოაჩინოს, რომ მე არაფერს მეტყვის, მაგრამ საჭმელს პირს აღარ დააკარებს, ამიტომ სუფრას ყოველი ჭამის წინ ვუცვლი... თუმცა, დღეს ისეთი სადილი ელოდება, არა მგონია, სუფრის დასათვალიერებლად მოიცალოს...

როგორც კი უმარი გაწყობილ სუფრას მიუჯდა, ზულეიჰამ მას თავი მოწიწებით დაუკრა და ოთახიდან უკვალოდ გაქრა. ის იყო, გვანცასაც მისთვის უნდა მიებაძა, რომ უცბად უმარმა მას სრულიად გამართული ქართულით უთხრა:

— შენ აქ დარჩი, გვანცა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელიზაბეტ ჰერლი გადაღებებისას სექსით დაკავდა

ბოლო დროს ბრიტანელ მსახიობ ელიზაბეტ ჰერლის ძალზე უტევენ. ჯერ იყო და (როგორც ჩვენი ჟურნალის წინა ნომრიდან შეიტყვეთ) მას თავისი თანამემამულე და კოლეგა სამანტა მორტონი აკრიტიკებდა, ახლა კი რეჟისორმა დანკან როიმაც არ დაიშურა მისთვის „კეთილი სიტყვები“ (მან მსახიობი ახალ ფილმში „მეთოდი“ გადაიღო): „ლიზი ნამდვილი მსახიობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის დარწმუნებულია, რომ განსაკუთრებულია, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ“. როგორც დანკანმა აღნიშნა, ლიზის მხოლოდ თავისი ბოიფრენდის გაღიმება შეეძლო, რომელიც მას გადაღებებზე აკითხავდა. რეჟისორის თქმითვე, მსახიობი შეყვარებულთან იქვე, ტრილერში კავდებოდა სექსით.

ელიზაბეტ ჰერლის წარმომადგენლებმა რეჟისორის სიტყვებს მაშინვე ცილისმწამებლური უწოდეს და იგი სიცრუესა და უმადურობაში დაადანაშაულეს, რამეთუ სწორედ ჰერლი იცავდა მას პროდიუსერებთან, რომლებიც როის წარსულის გამო უკმაყოფილებას გამოხატავდნენ (როგორც ირკვევა, დანკანი ადრე სვამდა და ნარკოტიკებს ეძალებოდა, 1983 წელს კი ციხეშიც ამოყო თავი, ვინაიდან თავს არისტოკრატად ასაღებდა და საკრედიტო ბარათებით თაღლითობდა).

„მეთოდის“ პროდიუსერმა თავი გამოიდო და ლიზ ჰერლი დაიცვა: „ელიზაბეტი გადაღებებისას ექსტრაორდინარული იყო. ადრე არც კი მინახავს მსგავსი მსახიობი, რომელიც სრულად მიუძღვნიდა თავს სამუშაოს. იგი ყველაზე კარგი პროფესიონალი ქალია, რომელთანაც კი ოდესმე მიმუშავია“. ■

დაიანა როსი მინელის ყოფილ ქმარს მიჰყვება ცოლად

სენსაციური ჭორი გავრცელდა ამერიკის მასმედიის საშუალებებით. ცნობილი მომღერლისა და მსახიობის, ლაიზა მინელის ყოფილი ქმარი დევიდ გესტი, რომელთან გაყრასაც დიდი სკანდალები ახლდა თან, კვლავ დაქორწინებას აპირებს. მისი ახალი რჩეული კი მინელზე არანაკლებ პოპულარული მომღერალი, დაიანა როსი გახლავთ.

როგორც ამბობენ, ისინი უკვე დაინიშნნენ. საინტერესო ის არის, რომ დაიანა ლაიზას მეგობარია. უფრო დამაინტრიგებელი კი — ის, რომ წყვილი ძალზე ხმაურიანი და პომპეზური ქორწილის გადახდას გეგმავს. მათი ნაცნობ-მეგობრების თქმით, შეყვარებულებს ერთმანეთის მიმართ ინტერესი პირველად 2002 წელს გაუჩნდათ. ■

დრიუ ბერიმორმა 9 კილოგრამი დაიკლო

დრიუ ბერიმორმა დიდი ძალისხმევის გარეშე რამდენიმე თვეში ცხრა კილოგრამი დაიკლო. ეს სასწაული ყოველდღიური სირბილითა და შესანიშნავი სავარჯიშო ბიუსტჰალტერის შერჩევის წყალობით მოხდა. სავარაუდოდ, ბერიმორს დაკლების სურვილი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში სიფრიფანა კამერონ დიასთან ერთად იმუშავა. „არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს, ჩემი ცხოვრება აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა“ — ასე აღწერს დრიუ თავის ამჟამინდელ მდგომარეობას.

გოგონებს, რომლებსაც სურვილი აქვთ იდეალური ფიგურა ჰქონდეთ, ალბათ არ აწყენდათ ბერიმორის რჩევების გათვალისწინება. — ძირითადად, მიირთვით პროტეინის შემცველი პროდუქტები და სასირბილოდ შეიძინეთ სპეციალური ბიუსტჰალტერი. ■

ჯეიმს ბონდის როლზე ვაკანსიაა

გავრცელებული ინფორმაციით, პირს ბროსნანი შესაძლოა, ჯეიმს ბონდის როლში აღარ გადაიღონ. რეჟისორების აზრით, 50 წლის ბროსნანი ძალზე ხანდაზმულია იმისათვის, რომ კვლავ სუპერჯაშუში ითამაშოს.

როგორც Rate Music-ი იტყობინება, სტუდიების მფლობელებს დიდი სურვილი აქვთ, 22-ე „ბონდიანაში“, რომლის პრემიერაც მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი, ახალი სახე იხილონ.

ამ როლზე პრეტენდენტები არიან: ჯუდ ლოუ, კოლინ ფარელი, ჰიუ ჯეკმანი, კრისტიან ბალი და ორლანდო ბლუმი. მაგრამ ბროსნანს მოულოდნელად ავტომობილ Aston Martin-ის წარმომადგენლები გამოექომაგნენ. მათი აზრით, მსახიობის გარეგნობა იმდენად ჰარმონიულად ერწყმის გმირს, რომ ფილმი მის გარეშე ეფექტს დაკარგავს. ■

მარტინ სკორსეზე არ შემცდარა

ჯგუფ No Doubt-ის ვოკალისტი გვენ სტეფანი მარტინ სკორსეზეს ახალ ფილმში „ავიატორი“ მიიღებს მონაწილეობას. მას მსახიობი ლეონარდო დი კაპრიო გაუწევს პარტნიორობას. ფილმი, რომელიც გვენისთვის კინოდებიუტი იქნება, მილიარდერ ჰოვარდ ჰიუზის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. „დიდი ხანია ვოცნებობ ფილმში გადაღებაზე – ამბობს სტეფანი, – ჩემი აზრით, შემოქმედი ადამიანი მხოლოდ ერთ სფეროში არ უნდა მოღვაწეობდეს, ყოველთვის მაწუხებდა კინემატოგრაფიული იდეები. რა თქმა უნდა, მუსიკა ჩემი მთავარი საქმიანობაა და პროფესიონალ მსახიობებს კონკურენციას ვერ გავუწევ, ისინი ხომ ამით ცხოვრობენ, მე მათ სამყაროში მხოლოდ სტუმარი ვიქნები“.

სკორსეზემ, რომელიც ახალი როლისთვის მსახიობს ვერ პოულობდა, მოზარდებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ჟურნალის ყდაზე შემთხვევით შენიშნა ახალგაზრდა გოგონას ფოტო და მის ძებნას შეუდგა ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო იგი. სტეფანის პირადად გაცნობის შემდეგ, ცნობილი რეჟისორი მიხვდა, რომ არჩევანში არ შემცდარა. ■

ტინა ტერნერი ღმერთქალი გახდემა

ამერიკელ მომღერალს ტინა ტერნერს ისმაილ მერჩანტის ჰოლივუდურ ფილმში „ღმერთქალი“ გადაიღებენ, სადაც ის ინდოელ ქალღმერთს, შაკტის განასახიერებს.

63 წლის ბუდისტმა ტერნერმა მერჩანტთან ერთად ინდოეთში ორი კვირა დაყო, რათა უკეთ გაეთავისებინა ადგილობრივი კულტურა. ფილმში ასევე მონაწილეობს ჰოლივუდის ვარსკვლავი მეთიუ მოდაინი.

როგორც ცნობილია, ტინა ტერნერი ორიოდ წლის წინ დაემშვიდობა სცენას. „მე ფრიად წარმატებული კარიერა მქონდა, – ამბობს მომღერალი, – მაგრამ ახლა სურვილი მაქვს, ხელოვნების სხვა სფეროშიც ვიღვაწო“. ■

ლეგენდარული შედევრი „რომაული არდადეგები“ მიუზიკლი გახდა

1953 წელს გადაღებული ჰოლივუდის შედევრი „რომაული არდადეგები“ იტალიის დედაქალაქში „სისტინის“ თეატრის სცენაზე მიუზიკლის სტილში დაიდგა. ოდრი ჰეპბერნისა და გრეგორი პეკის მიერ შესრულებული როლები ამჯერად მასიმო გინისა და სერენე აუტერის ხვდათ წლად. დადგმისთვის მუსიკა დაწერა ცნობილმა კომპოზიტორმა არმანდო ტროვაიოლიმ, რომელმაც მუსიკაში ჩართო მსუბუქი ჯაზის სტილის პოპულარული სიმღერების ავტორის, პოულ პორტერის კომპოზიციების ელემენტები.

სპექტაკლის დიალოგები იაია ფიასტრის ეკუთვნის, ქორეოგრაფია – ჯინო ლანდის, სცენოგრაფია – უმბერტო ბერ ბერტაკას, რომელმაც ნამდვილი სასწაული მოახდინა და 200 კვ მეტრ სცენაზე მარადიული ქალაქი მთლიანად „მოათავსა“ და გააცოცხლა. ■

რისი უფლება აქვს ცოლს, მეგობარს კი – არა

როდ სტიუარტის ყოფილი ცოლი რეიჩელ ჰანტერი ყველას გასაკვირად, მომღერლის ამჟამინდელი მეგობრის, პენი ლანკასტერის ნაცვლად, ქვედა საცვლის Ultimo Underwear-ის „სახე“ გახდა.

ახლახან პენის Ultimo-სთან (200.000 ევროს ღირებულების) კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრეს, ვინაიდან ის დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ არცთუ ისე პოპულარულია.

რაც შეეხება ჰანტერს, კომპანიის თავკაცის, მიშელ მოუნის აზრით, ის „მსახიობი და სუპერმოდელია, იგი ორი შვილის დედა და ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალია მსოფლიოში“ – ე.ი. მომავალი ორი წლის განმავლობაში იდეალური მოდელი და სარეკლამო გმირი.

ლანკასტერის პრესატაშეს კი სულ სხვა აზრი აქვს:

„ამ არჩევანს, უცნაურს ვუწოდებდი. როგორც წესი, მოდელებს უფრო ახალგაზრდებზე ცვლიან და არა პირიქით. ეს ნაბიჯი იაფფასიანი პოპულარობის მოსახვეჭად გადაიდგა. შეგახსენებთ, რომ პენი ამას წინათ Ultimo-ს ჩვენებაზე როდთან ერთად იხილეს. რეიჩელი ალბათ ვერ მოახერხებს ვარსკვლავთან ერთად გამოჩენას“. ასე რომ, სტიუარტის გულის დასაპყრობად ქალების ბრძოლა კვლავ იწყება. ■

Bentley-მ სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა

„მსოფლიოს ულამაზესი ავტომობილი“ – ეს წოდება, რომელსაც ტრადიციული კონკურსის შედეგად ყოველწლიურად ანიჭებენ ასეულიდან ერთ მანქანას, შარშან წილად ხვდა წარმომადგენლობით ლიმუზინს – Bentley Continental GT. აღსანიშნავია, რომ ჟიურის შემადგენლობაში არა მარტო საავტომობილო სფეროს წარმომადგენლები, არამედ ცნობილი მხატვრები, არქიტექტორები, ხელოვნები, ისტორიკოსები და დიზაინერები შედიან. ინგლისურ ავტომანქანაზე არჩევანის შეჩერება მათ იმით ახსნეს, რომ მასში საოცარი ჰარმონიულობითაა შერწყმული ტრადიცია და ულტრათანამედროვე საინჟინრო ოსტატობა.

აღნიშნული კონკურსი 1993 წლიდან ეწყობა მილანში, რაც საკვებით ბუნებრივია – იტალია ხომ საავტომობილო მოდის კანონმდებლადაა მიჩნეული, ყოველ შემთხვევაში – დიზაინის სფეროში.

პრემიის გადაცემაც მილანში, მიმდინარე თვეში გაიმართება. დაჯილდოების ცერემონიასთან ერთად, მსოფლიოს ულამაზესი ავტომანქანების აღლუმიცაა დაგეგმილი. ამ კონკურსში „ბენტლი“ უკვე მეორედ იმარჯვებს: შარშან პრიზი ე.წ. რესტაილინგურ მოდელს – Arnage-ს მიენიჭა. ბევრი სხვა მწარმოებლისგან განსხვავებით, რომელიც მიწვეულ დიზაინერთა სამსახურს მიმართავს ხოლმე, ფირმა „ბენტლი“ თავად აპროექტებს ყველა მარკის გარეგნულ იერსახეს. დიზაინის განყოფილება იქ 1999 წელს ჩამოყალიბდა. Arnage-ის გარდა, რომელსაც სპეციალისტთა მოწონება ხვდა წილად, „ბენტლის“ დიზაინერებმა საკუთარი ძალებით შექმნეს აგრეთვე Continental GT-ის გარეგნული იერსახე. მათვე მოუწიათ მუშაობა დედოფალ ელისაბედ მეორისთვის განკუთვნილ ლიმუზინის სტილზეც. ■

Kia-ს სამოდელო ევოლუცია

კორეულ ავტოგიგანტ Hyundai-სთან ალიანსში მყოფ კომპანია Kia-ს შორს მიმავალი გეგმები აქვს: 2010 წლისთვის, ის მსოფლიოს უმსხვილეს ავტომწარმოებელთა ხუთეულში შესვლას აპირებს. სადღეისოდ, კორეული ღუეტი საკონტინენტთაშორისო ნუსხაში მეშვიდე ადგილს იკავებს და სპეციალისტთა აზრით, მას მიზნის მიღწევის კარგი შანსი აქვს. უახლოესი 18 თვის მანძილზე, კორეელები 4 სრულიად ახალი სამოდელო რიგის წარმოების დაწყებას აპირებენ. სამოდელო რევოლუციის პირველი მერცხალი იქნება Kia Cerato, რომლის ოფიციალური პრემიერა დეტროიტის ავტოსალონზე წლის დასაწყისში გაიმართა. თავდაპირველად, ამ მანქანას ოთხკარიანი სედანის სახით გამოუშვებენ. უკვე მიმდინარე თვეში კი, ჟენევის ავტოსალონზე, ის ხუთკარიანი ჰეჩბეკის ვერსიით იქნება წარმოდგენილი. საექსპორტო ბაზარზე Cerato წლევანდელ ზაფხულში გამოჩნდება – მცირე კლასის მოდელის Kia Picanto-ს რეალიზაციის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში. შემოდგომაზე, პარიზის ავტოსალონზე კი, კორეელები, Cerato-ს ბაზაზე შექმნილი კომპაქტური ვენის ჩვენებას აპირებენ. ■

Audi-ს ფლაგმანი სტარტზე გამოდის

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალმა გერმანულმა კომპანია „აუდიმ“ ცოტა ხნის წინ, თავისი სამოდელო რიგის ფლაგმანი – წარმომადგენლობითი ლიმუზინის, 12-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი A8-ის დაგრძელებული ვერსია გამოიტანა საავტომობილო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე. ის ცხვირის განახლებული დიზაინით გამოირჩევა – რადიატორის ცხაური უფრო მასიური გახდა, ტრაპეციის ფორმა შეიძინა და უხვადაა მოპირკეთებული ქრომირებული ლითონით. მაგრამ ეს კონსტრუქცია არა იმდენად დიზაინერული სამშვენისია, რამდენადაც ძრავას საჰაერო გაცივების სისტემის დასახვეწად გამიზნული ნაბიჯი. თვით აგრეგატის მოცულობა 6 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე – 450 ცხ.ძ-ს შეადგენს. 100 კმ/სთ სიჩქარის გასავითარებლად ამ მანქანას 5,2 წმ სჭირდება, 200 კმ/სთ-ს კი, 17,4 წმ-ში აღწევს. დინამიკური მახასიათებლებით „აუდის“ 12-ცილინდრიანი ძრავა თავისი „მოძმის“ – Volkswagen Phaeton-ის აგრეგატს ჯაბნის: ეს უკანასკნელი 100 კმ/სთ სიჩ-

ქარის მიღწევას 6,1 წმ-ს ანდომებს.

ახალი „აუდის“ მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს შეადგენს და მას სისწრაფის შემზღუდავი უყენია. ლიმუზინი სრულამძრავიანია, იშვიათი მდგრადობით გამოირჩევა. ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ე.წ. ადაპტური პნევმატური საკიდარი, რომელიც ავტომატურად უსადაგებს მანქანის „ქცევას“, გზის საფრის თავისებურებებს. „აუდი“ აღჭურვილია Tiptronik-ის სისტემის 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით. თავად კონსტრუქტორები ამ მოდელს „მსოფლიოში ყველაზე სპორტულ ლუქსის კლასის ლიმუზინს“ უწოდებენ. მწარმოებელი ფირმის მონაცემებით, საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 13,8 ლ-ზე მეტი არ იქნება, რაც ამგვარი დინამიკური მახასიათებლების მქონე მანქანისთვის საკმაოდ მცირეა. თუმცა, ეს ამ კლასის ავტომობილის პოტენციურ მყიდველთათვის განმსაზღვრელ ფაქტორს სულაც არ წარმოადგენს – ლიმუზინის მინიმალური ფასი ხომ 117.000 ევროს შეადგენს.

თავდაპირველად, ამ მანქანის მხოლოდ დაგრძელებულ ვერსიას გამოუშვებენ. შეკვეთების მიღება კომპანიამ წლის დამდეგიდან დაიწყო, პირველი მფლობელები კი, Audi A8L 6.0-ს უკვე უახლოეს დღეებში გაუჩნდება. კომპანიის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ ამ მოდელზე და ვარაუდობენ, რომ მან შეიძლება, საგრძნობლად შეავიწროოს კონკურენტი – მე-7 სერიის BMW-ს წარმომადგენლობითი ლიმუზინი. „აუდისთვის“ სასიამოვნო პროგნოზს გერმანელი ექსპერტებიც გამოთქვამენ, რომლებიც შარშანდელი შემოდგომის მაჩვენებლებს ეყრდნობიან: ოქტომბერში გერმანიაში 638 A8 გაიყიდა – მაშინ, როდესაც BMW-მ 558 „შვიდიანის“ რეალიზაცია მოახერხა. თუმცა, გერმანია მთელი მსოფლიო როდია, ამ კლასის ლიმუზინები კი უმეტესად, საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. ■

როგორ «დავაქორწინე» ჟუთაისელი სოსო ამერიკელ ჯასტიზე...

ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც მეორე ნახევარსფეროში ვიმყოფებოდი და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ვცდილობდი, გამოუვალი სიტუაციიდან თავის დაღწევას.

ამჯერად, ჩიკაგოში ვიყავი და ერთდროულად „ვიცავდი“, როგორც საკუთარ, ასევე იმ ფირმის ინტერესს, რომელშიც ვმუშაობდი.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ტვირთის გადამზიდავი სადგურიდან ერთი თანამედროვე „კოვბოისთვის“ ჩიკაგოში შეძენილი პირუტყვი უნდა გადამეყვანა. ჯეკი (ასე ერქვა ფერმერს) ძალზე ჩქარობდა. მე კიდევ ჯიბეში კალათბურთის მატჩის ბილეთი მედო, რომელიც ზანგი გადამყიდველისგან 200 დოლარად ვიყიდე. თამაში რამდენიმე საათში იწყებოდა და თანაც ჩვეულებრივი მატჩი კი არ იყო, მოედანზე ვოვა სტეფანიაც შეიძლება გამოჩენილიყო...

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №8

აკაკი გეგენავა

„შორია საქართველომდე...“

კიდევ ერთხელ მოვსინჯე ნიადაგი და კლიენტს მივუახლოვდი.

– მისტერ ჯეკ, როდის უნდა გავემგზავროთ? – თითქოს სასხვათაშორისოდ ვიკითხე.

– ხომ გითხარით, რაც მალე წავალთ, მით უკეთესი იქნება-მეთქი, – ცივად მომიჭრა კლიენტმა და ზურგი შემაქცია.

ნამდვილად არავითარი სურვილი აღარ მქონდა, მისთვის მეთხოვა – დღეს ჩემი თანამემამულე თამაშობს და იქნებ, რამდენიმე საათით გადავდოთ გამგზავრება-მეთქი.

სამაგიეროდ, ჩემს თანამგზავრ მოხუც ზანგ დარაჯს არ დაუყრია ფარხმალი – უთქმელად მიმიხვდა გულისნადებს და გამამხნევა:

– Just a moment (ერთი წუთით)!.. – მითხრა და კოვბოის დაედევნა.

– მე კარგად ვიცი, ბიზნესი რაც არის, მაგრამ ამერიკელებმა უცხოელებსაც უნდა გავუგოთ!.. – მოხუცი ჯო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ყველაფერი გარკვევით მესმოდა.

– თქვენ რაღა გინდათ?! – ახლა კი, მართლა გაოცებული იყო ფერმერი.

– დღეს კალათბურთის მატჩია... – მშვიდად დაიწყო ჯომ.

– მერე, მე რა შუაში ვარ?!

– იქნებ, იქნებ... გამგზავრება რამდენიმე საათით გადაგედოთ... თუ, რა თქმა უნდა, ძალიან არ გეჩქარებათ... მაშინ, მძღოლი კალათბურთის მატჩს დაესწრებოდა!.. – თვალით ჩემკენ ანიშნა.

– დაესწრებოდა?! ტრაილერში ხომ აქვს ტელევიზორი, – იქ უყუროს!..

„მშვიდობით, კალათბურთის მატჩო!..“ – ხმამაღლა წამოვიძახე და მოხუცი ჯოს სიტყვებიც „წამომეშველა“:

– აკაკის თანამემამულე თამაშობს დღეს!..

– მაშინ მე სხვა გადამზიდავ კომპანიას დავუკავშირდები, თქვენ კი კალათბურთზე წადით!.. – კოვბოიმ ჯოსაც გაუცრუა იმედი და მეც ახალი სადარდებელი გამიჩინა. არა, შეკვეთის გაუქმებას კომპანიის შეფი ნამდვილად არ მაპატიებდა – ამ ოხერი კალათბურთის მატჩისთვის სამსახურს ვკარგავდი!

– ჩვენ უბრალოდ, ის გითხარით, რაც გვაწუხებდა, თორემ აკაკის შეკვეთა არასოდეს ჩაუგდია! – ახლა კი, მართლა ჩემს გულში იჯდა მოხუცი ჯო.

– ეს უკვე სხვა საქმეა! – აშკარად მოლბა ფერმერი და თავის ცხენებსა და ძროხებს მიაშურა.

– ბედი არ გქონია, აკაკი! აი, ასეთი თეთრები არ გვიყვარს ჩვენ, ზანგებს და ამიტომ გვაქვს გაუთავებელი კონფლიქტები... – ხმადაბლა ლაპარაკობდა ჯო.



კიდევ ერთხელ თხოვნისა და თავის დამცირების სურვილი, ბუნებრივია, აღარ მქონდა. სასაქონლო ბირჟის ავტოსადგომზე გადავედი და პირუტყვისთვის განკუთვნილი მისაბმელი ვიქირავე. ისე, ამერიკელები მართლა კომფორტის მოყვარული ხალხია — ეს მისაბმელი მოძრავი მიკროფერმა გახლდათ, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი.

მივაბი ეს „ფერმა“ ჩემს ტრაილერს და ზედ იმ ადგილთან მივაგორე, სადაც კოვბოი იდგა თავის საქონელთან. ღილაკს თითი დავაჭირე და ავტომატური რკინის ხიდი თვითმფრინავის ტრაპივით დაეშვა მიწაზე. ამ ხიდით ცხოველები ძარაზე ავიყვანეთ, იქ კიდევ თითოეული სპეციალურ „კუპეში“ მოვათავსეთ... სულ რაღაც ოც წუთში, გასამგზავრებლად მზად ვიყავით.

ჯეკმა კიდევ ათიოდე წუთი საბუთების მოწესრიგებას მოანდომა.

მერე დავემშვიდობე და კაბინაში მოვკალათდი. შევეგუე იმ აზრს, რომ კალათბურთის მატჩის 200-დოლარიან გამოუყენებელ ბილეთს სუვენირად ჩავიტანდი საქართველოში და ძრავა ავამუშავე.

მოულოდნელად ჯეკმა თავისთან მიხმო. ძრავა უხალისოდ გამოვრთე და კაბინიდან გადმოვხტი.

— რომელი ქვეყნიდან ხარ? — მკითხა ჯეკმა.

ცოტა არ იყოს, გაოცებულმა ვუპასუხე.

— რა მანძილია აქედან შენს სამშობლომდე?

— იქნება ასე, რვა ათასი მილი...

— და ის შენი თანამემამულე მართლა დღეს თამაშობს?

ინსტინქტურად ჯიბიდან ბილეთი ამოვიღე.

— მე არც ისეთი დესპოტი ვარ, როგორიც შენ და იმ მოხუც ზანგს გგონივართ... მოდი, ხვალ დილის ექვს საათზე გავიდეთ ჩიკაგოდან. საქონელი უკვე დაბინავებულია, საკვებიც საკმარისად აქვთ... თან ქალაქშიც გავისეირნებ — დიდი ხანია, ჩიკაგოში არ ვყოფილვარ. ერთი სიტყვით, ხვალ ადრიანად გავალთ... — გამიღიმა და დამემშვიდობა.

საათზე დავიხედე. მატჩის დაწყებამდე 40 წუთი იყო დარჩენილი...

სტეფანიას ნაცვლად, სოსო გავიცანი

ამჯერად ტაქსიმ დროულად მიმიყვანა დანიშნულების ადგილამდე. ჩიკაგოს ის სპორტული დარბაზი, სადაც შეხვედრა იმართებოდა, ჩვენი სპორტის სასახლისხელა იყო, შეიძლება, ოდნავ დიდიც. მაყურებლის ტევა არ იყო. ძლივს მივაღწიე ჩემს ადგილამდე.

დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა. კაშკაშა ფერები და რიტმული მუსიკა ავსებდა იქაურობას... გარდა ამისა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნახევრად შიშველი, მოხდენილი გოგონები გხვდება — ზოგი ბილეთს გიმოწმებს, ზოგი გზას გასწავლის, უმეტესობა კიდევ, სახელდახელო დახლთან დგას და ათასგვარ სასმელსა თუ ნუგბარს გთავაზობს — თანაც, ისე ოსტატურად, რომ ძნელია, უარი უთხრა. მეც ცდუნებას ვერ გავუძელი და მიუხედავად იმისა, რომ არ მშიოდა, თითქმის ყველა გოგონასგან ვიყიდე ცოტ-ცოტა რაღაც და დარბაზში დატვირთული შევედი. ჩემს სკამთან ჭიპმოხატულმა გოგონამ მიმიყვანა და ისე ვნებიანად გამიღიმა, კინაღამ დამავიწყდა, სად ვიყავი...

თავდაპირველად, დარბაზში ასატანი ხმაური იდგა, მაგრამ როგორც კი მოედანზე კალათბურთელები გამოჩნდნენ, ისეთი კაკაფონია ატყდა, მეგონა, ქვეყანა იქცეოდა... ამ აურზაურს დოლის (თანაც უამრავის) ბრახუნი და რიტმული, მაგრამ უსაშველოდ ხმამაღალი მუსიკა ემატებოდა.

...თამაში დაიწყო. მოედანზე ორი სახელგანთქმული გუნდი — ნიუ-ჯერსის „ნეთსი“ და ჩიკაგოს „ბულზი“ შეერკინა ერთმანეთს. სპეციალისტის თვალით ნამდვილად ვერ შევაფასებდი ამ მატჩს, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო — კარგად ვხედავდი, თუ რა ენერგიისა და დაძაბულობის ფასად უჯდებოდა თითოეულ მოთამაშეს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა დაძაბული ორთაბრძოლა, რომელშიც აქტიურ პირებთან — სპორტსმენებთან ერთად გულშემატკივრებიც მონაწილეობდნენ.

...და მოულოდნელად, ყველაფერი დამავიწყდა — აღარც ლამაზი გოგონები მახსოვდა და არც ყურისწამღები ხმაური მაწუხებდა: მოედანზე ამერიკული კალათბურთის ლეგენდები — სკოტი პიპენი და დენის როდმანი დავინახე... ისე გამიხარდა, თითქოს მთელი ცხოვრება მათი თამაშის ნახვაზე ვოცნებობდი. არც უმაგისობა იყო, მაგრამ იმ დღეს იქ ვოვა სტეფანიას სანახავად მივედი, რომელიც მოედანზე არა და არ გამოჰყავდათ. ერთი ხანობა, ისიც კი ვიფიქრე — იქნებ, თამაშობს და მე ვერ შევნიშნე-მეთქი? — მაგრამ ამდენ შავკანიან მოთამაშეს შორის ნამდვილად არ უნდა გამჭირვებოდა ჩვენებურის გამორჩევა!

ბოლოს, ვეღარ მოვითმინე და ჩემ გვერდით მჯდომ გულშემატკივარს ვკითხე: ვოვა სტეფანია სად არის-მეთქი? მანაც დაუფიქრებლად მიმითითა სათადარიგო სკამისკენ. მაშინვე ვიცანი სტეფანია, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს მატჩის მსვლელობას. გამიხარდა, მაგრამ რა გამიხარდა!.. მაგრამ სამწუხაროდ, თამაში ისე დამთავრდა, სტეფანია მოედანზე არ გამოუყვანიათ, რამაც გული დამწყვიტა. თავი იმითღა დავიმშვიდე, რომ მართალია, „ნიუ-ჯერსიმ“ ჩიკაგოელებთან ბრძოლა წააგო, მაგრამ ამ მარცხს ვოვას ვერაფრით დააბრალებენ-მეთქი... ერთი პირობა, ისიც გავიფიქრე — მოდი, მოედანზე ჩავალ და სათადარიგო სკამზე მჯდომ სტეფანიას ხელს მაინც ჩამოვართმევ-მეთქი, — მაგრამ აბეზარი გულშემატკივრებისგან დასაცავად ჩამწკრივებულ კუნთმაგარ ბიჭებს რომ შევავლე თვალი, განზრახვაზე ხელი ავიღე...

მერე ვიფიქრე — იქნებ, თამაშის შემდეგ მაინც მოვახერხო ავტობუსთან მისვლა და ქართველი კალათბურთელის ნახვა-მეთქი?.. ამაზე ფიქრისას,

მეზობელი ტრიბუნიდან ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი და მივხვდი, რომ უცნობი, ქართველი იყო. ერთმანეთს შორიდან მივესალმეთ და შესვენებისას შევხვდით კიდეც.

— არ მითხრა ახლა, რომ ქართველი არა ხარ... — ქუთაისური კილოთი მომმართა საოცრად გახარებულმა.

— ასეა, ძმაო... — გავუღიმე და ხელი ჩამოვართვი.

— სოსო! — გამეცნო ქუთაისელი და მაშინვე „დაკითხვაზე“ გადავიდა:

— დიდი ხანია, ამერიკაში ხარ?

— მეორე წელია უკვე... — ვუპასუხე.

— შენ „სულ ახალი“ ყოფილხარ — მე უკვე ექვსი წელია აქაურობას „ვეჭიდავები“... ამათი დედაც ვატირე!.. — ერთბაშად იფეთქა ქუთაისელმა და მერე იმით დაინტერესდა, თუ რას ვსაქმიანობდი. რომ ვუთხარი, ტრაილერზე ვმუშაობ და შტატიდან შტატში ვმოგზაურობ-მეთქი, გაუკვირდა:

— მაგარი ვინმე ყოფილხარ! როგორ მოახერხე ტრაილერზე მოწყობა? — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა.

— ხალხი კოლუმბიის უნივერსიტეტში ეწყობა და ეგ რა გასაკვირია?!

— რა ვიცი, ძმაო... მე კიდევ, ამ ქალის გადამკიდეს, ყველაფერი დამავიწყდა... — და ერთი ჩაფუშფუშებული „ლამაზმანისკენ“ გამახედა. ერთიანად ჩამრგვალებული, ქერათმიანი ახალგაზრდა ქალი ჩვენკენ იყურებოდა და თან, გემრიელად ილუკმებოდა...

— ორი წელია, ამ „კალაბოკას“ დავდევ, რასაც ვშოულობ, მაგას ვახარჯავ, მაგრამ არაფერი გამომდის!.. — შემომჩივლა სოსომ.

— როგორ თუ დასდევ?! — მართლა ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა სოსოს.

— აბა, შენა ხარ, რა!.. როგორ და, ხელი მინდა, რომ მომიწეროს, მაგრამ არ შვრება! ჩვენი ქალები ხომ, პირიქით იქცევიან — ჯერ ხელის მოწერას გთხოვენ და მერე გიწვებიან. ამერიკელები კიდევ, ლოგინში ისე ჩაგიგორებენ, არც დაფიქრდებიან, აი, ხელის მოწერაზე კი, თავს იგიჟებენ...

— ცოლად გინდა მოიყვანო? — შემეცოდა ჩემი თანამემამულე.

— მოყვანილი არ მყავს?! მაგრამ ხელს არ მიწერს!

ამ ლაპარაკში ვართ და „საპატარძლოც“ მოგვიახლოვდა, უფრო სწორად — მოგოგმანდა...

— საყვარელო, სად დამეკარგე?.. — განაზებული ხმით ჰკითხა მან სოსოს.

— გაიცანი — ეს აკაკია, ჩემი თანამემამულე...

მოკრძალებით ჩამოვართვი ხელი.

— მე ჯასტი მქვია. ძალიან მიხარია, რომ სოსოს თანამემამულეს შევხვდი. ჰოთდოგი არ გინდა? ძალიან გემრიელია... — ასე გამეცნო ჯასტი, მერე ღია ფერის ჩანთიდან სამი, კარგად მოზრდილი ჰოთდოგი ამოათრია, ერთი მე გამომიწოდა, მეორე — სოსოს და ერთიც თავად მოიმარჯვა.

შევთანხმდით, მატჩის შემდეგ რომელიმე კაფეში დავმსხდარიყავით...

სიურპრიზი ჩინურ რესტორანში

— მოდი, რა, სოსო, ჩინურ რესტორანში შევიდეთ... — ეს ჯასტის სურვილი იყო.

— დღეს ხომ უკვე ვიყავით ჩინურ რესტორანში?! დისკოთეკაზე არ სჯობია? — შეეწინააღმდეგა ქუთაისელი.

— არა, არა! შეიძლება, აკაკიმ არც იცის, რა გემრიელ კერძებს ამზადებენ ჩინელები. ცეკვას მირჩევნია, დავსხდეთ და ვივახშმოთ... — ისე გაინაზა ჯასტი, თითქოს მთელი დღე არაფერი ეჭამა.

— ჭამა ისე უყვარს, ერთ ჰამბურგერში გამცვლის, მაგრამ რა ვქნა — ამის გამო ხომ არ დავშორდები?!. — შემომჩივლა ქართულად სოსომ.

— ისე, ერთად ცხოვრობთ? — დავინტერესდი.

— აბა, რა! მდიდარმა ბიძამ მემკვიდრეობა დაუტოვა. მაგრამ რად გინდა! — ხელის მოწერამდე ვერ მივიყვანე და...

— რას გეუბნება?

— ...სიყვარულს საბუთი არ სჭირდებაო. მეც, ეს შანსი ხელიდან რომ არ გავუშვა, ყველა სურვილს ვუსრულებ: მოქალაქეობის მიღება მინდა და... ხომ იცი, რაც ღირს ფიქტიური ქორწინება?.. მოკლედ, ჯასტი რომ არ გამექცეს, ამისთვის რას არ ვაკეთებ...

— დაანებე, ძმაო, თავი! გოგოები გამოილია? — ვერ დავფარე გაღიზიანება.

— გოგოების მეტი რა არის, მაგრამ ხელი რომ მოგიწერონ, ბევრი ფული უნდა გადაუხადო, მე არც ფული მაქვს და არც ბინა... — ახლა მართლა შემეცოდა ქუთაისელი ხელმოცარული სასიძო.

— აბა, ამას როდემდე უნდა ელოლიავო?..

— რას იზამ! უმსხვერპლოდ არაფერი გამოდის!

...ჩინურ რესტორანში მართლაც, ჩინებულად გვიმასპინძლეს. იმდენი ეგზოტიკური კერძი მოიტანეს, კაცს თავგზა აერეოდა. ყველა ვერც გავსინჯე... აი, ჯასტიმ კი, მართლა მოილხინა.

შამპანურიც გავხსენით. ჯასტიმ ერთი ბოკალი დაიდგა და ისიც არ დაულევია ბოლომდე. სამაგიეროდ, რაც იქ ვიყავით, არც ენა გაუჩერებია და არც პირი. თანაც, როგორც ყველა მსუქანი ადამიანი, ისიც ძალზე უშუალო და მხიარული აღმოჩნდა და ჩვენებური სადღეგრძელოებიც საოცრად მოეწონა.

— ქართველები ძალიან მიყვარხართ... — „გამოგვიტყდა“ ბოლოს ჩასუქებული ამერიკელი საპატარძლო. მერე კი, რატომღაც გრძნობების გაზიარებისა და გულის გადაშლის ხასიათზე მოვიდა.

— სოსო მართლა მიყვარს. ისიც ვიცი, რომ ამერიკის მოქალაქეობა უნდა და ამიტომ დამდევს. თუმცა, რაც დრო გადის, ვგრძნობ, რომ მასაც გაუჩნდა რაღაც გრძნობა ჩემ მიმართ. თანაც, დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამიტომ მინდა სიურპრიზად გამცნოთ: ხვალ მე და სოსო ხელს მოვაწერთ... ხვალიდან სოსო ამერიკელი ქალის ქმარი გახდება! აკაკი, თქვენ შეგიძლიათ, ჩვენი მეჯვარე იყოთ?..

მართლა გული დამწყდა, რომ დილაადრიანად ჩიკაგო უნდა დამეტოვებინა...

— არა უშავს, აკაკი, სამაგიერიოდ, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნები, — დამამშვიდა სოსომ. — ეს რა კარგ ფეხზე შემხვდი?! ჩიკაგოში რომ ჩამოხვალ, იცოდე, მეწყინება, ჩვენთან რომ არ მოიხვიდე... — სიხარულს ვერ ფარავდა სოსო.

P.S. აკაკი გეგენავას მოგონებების ამსახველ მომდევნო წერილს „გზის“ №12-ში შემოგთავაზებთ. ■

შერის იმედი აქვს, რომ ოდესმე ლირსეულ მამაკაცს შეხვდება...

...მანამდე კი, ძალიან ხალისობს, როდესაც წვეულებებზე მისი ვაჟის მეგობარ გოგონად თვლიან ხოლმე (შვილთან, ელაიჯთან ერთად)

ბოლო ხანებში ჰოლივუდში გავრცელდა ხმა, რომ ჰელოუინის დღესასწაულის აღსანიშნავად გამართული კონცერტით მომღერალი საკუთარ კარიერას დაასრულებდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა გახლდათ...

სავარაუდოა, მომღერალი არცთუ ისე გულწრფელი იყო, როცა ამბობდა, რომ განმარტოება და მშვიდი ცხოვრება სურდა. ეს სიტყვები ძნელად დასაჯერებელია ისეთი პოპულარული მომღერლისა და მსახიობისგან, როგორიც შერია. თავისი ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე, ის იმდენად შეეთვისა სცენას და პუბლიკის სიყვარულს, რომ ალბათ ყოველივე ამის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ 57 წლის მომხიბლავი ქალბატონი იმედს არ კარგავს, რომ ბედი პირად ცხოვრებაშიც გაუღიმებს და ბოლოს და ბოლოს, საკუთარ ბედნიერებას იპოვის.

ამას წინათ მან ჟურნალისტებს განუცხადა: „მარტოხელა იმიტომ ვარ, რომ მამაკაცებს ჩემი ეშინიათ. ისინი ჩემ გვერდით საოცრად უბადრუკებად გრძნობენ თავს, მაგრამ მე მჯერა, რომ ოდესმე შევხვდები მამაკაცს, რომელიც ჩემი ტოლი და სწორი იქნება!“

„ეს გოგონა აუცილებლად მიაღწევს წარმატებას!“

შერილინ სარქისიან ლა პიერის მამის, ჯონ სარქისიანის ძარღვებში სომხური სისხლი ჩქეფდა. დედამისს, მსახიობ ჯოან კროუჩს კიდევ უფრო ეგზოტიკური წარმომავლობა ჰქონდა: მას ინგლისელი, ფრანგი, ინდიელი და ბოშა წინაპრები ჰყავდა. ერთი სიტყვით, ჯონისა და ჯოანის მხოლოდშობილ ასულს, როგორც ჩანს, ახირებული ხასიათი საკუთარი წინაპრებისგან გამოჰყვა. გოგონამ ეს თვისება პირველად 17 წლის ასაკში გამოავლინა, როცა მშობლების ნების საწინააღმდეგოდ სწავლას თავი დაანება და ბედის საძებნელად ლოს-ანჯელესში გაემგზავრა. სულ მალე მან საკუთარი ბედნიერება სალვატორე ბონოსთან იპოვა. სალვატორე უბრალო ყმაწვილი გახლდათ და ერთ-ერთ მაღაზიაში პროდუქტების დამტარებლად მუშაობდა. შერილინს სიყვარული იმდენად მოეძალა, რომ საკუთარი შორს გამიზნული გეგმები საერთოდ აღარ გახსენებია და ბონოს ცოლად გაჰყვა. საყვარელ მეუღლესთან ერთად სულ პაწაწინა ბინაში ცხოვრება, მისთვის სადილების მომზადება და ოჯახის მოვლა, შერინისთვის უდიდესი ბედნიერება გახლდათ. თუმცა, სალვატორეს მომავალი სულ სხვაგვარად ესახებოდა — მას ამ ცხოვრებაში უფრო მეტი რამის მიღწევა სურდა. ერთხელ, სამზარეულოში შერილინის ფუსფუსისას, სალვატორემ ყური მოჰკრა ცოლის ღიღინს. პროდუქტების დამტარებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეუღლის ტალანტი მაშინვე ჯეროვნად შეაფასა და გაიფიქრა: „ეს გოგონა აუცილებლად მიაღწევს წარმატებას!“

ერთი წლის შემდეგ, ქვეყანას მოევლინა დუეტი Sonny & Cher, რომლის მიერ შესრულებული სიმღერა — I Got You Baby ნამდვილ ჰიტად იქცა. სონი და შერი (სწორედ ეს ფსევდონიმები აიღეს მათ) ჰიპების ტიპურ განსახიერებად იქცნენ: ძალზე განიერი შარვლები, ფოჩიანი ტანსაცმელი და ქცევის დაუდევარი მანერა — აი, მათი იმჟამინდელი იმიჯი. „ყვავილთა შვილების“ წარმომადგენლებისგან ცოლ-ქმარი მხოლოდ ერთი რამით განსხვავდებოდა: ისინი ძალზე უფრთხილდებოდნენ და სათანადოდ აფასებდნენ საკუთარ ქორწინებას, მათ ხომ იმხანად უკვე თავიანთი სიყვარულის ნაყოფი, პატარა გოგონა — ჩესტიტი ჰყავდათ. სამწუხაროდ, დუეტის მიერ მოპოვებულ პოპულარობასთან ერთად, მათ ოჯახს ბზარი გაუჩნდა. მიუხედავად ამისა, სონი და შერი სხვების დასანახად ბედნიერი წყვილის

როლის თამაშს გულმოდგინედ განაგრძობდნენ. ამას ბიზნესის ინტერესები მოითხოვდა. სცენაზე ისინი სიყვარულს უმღერდნენ, კონცერტის დამთავრების შემდეგ კი, შერი გიტარისტ ბილ ჰემთან მიდიოდა, სონი – სტრიპტიზის მოცეკვავე კონი ფორმანთან. ასე გაგრძელება დიდხანს აღარ შეიძლებოდა, მათი განშორება გარდაუვალი იყო და 1975 წელს წყვილი ოფიციალურად გაიყარა.

გაყრის ინიციატორი შერი გახლდათ, რადგან იმხანად ის კვლავ შეყვარებული იყო და როგორც მას ეჩვენებოდა, არანაკლებად უყვარდა როკვარსკვლავი გრეგ ოლმანი, ვიდრე თავის დროზე სონი. გაყრიდან სულ მოკლე ხანში წყვილმა იქორწინა, მაგრამ ცნობილ მუსიკოსსა და ნარკომანს – გრეგ ოლმანს ქორწინებიდან ერთი კვირის თავზე გრძნობა გაუნელდა. თაფლობის თვეც არ იყო გასული, როცა გრეგმა შერისთან გაყრა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ასე იყო თუ ისე, ორ წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე (მათი კავშირი ამდენ ხანს გაგრძელდა) შერი და გრეგი სკანდალური ქრონიკების მთავარ გმირებად იქცნენ, რასაც, სხვათა შორის, მათთვის სულაც არ შეუშლია ხელი ბავშვის გაჩენაში და ქვეყანას პატარა ბიჭუნა – ელაიჯი მოევლინა.

პირველ სიყვარულთან, სალვატორე ბონოსთან ერთად. მათი ქორწინება ხუთ წელს გაგრძელდა, 25 წელი კი, ისინი გაყრილები იყვნენ, მიუხედავად ამისა, სონის სიკვდილი შერიმ საოცრად განიცადა...

გრეგ ოლმანთან ერთად. შერისთან გაყრის შემდეგ, როკვარსკვლავმა სმას, ნარკოტიკებს და სკანდალების მოწყობას თავი დაანება...

ის სულ უფრო და უფრო ხშირად იხსენებდა სონის

ოლმანთან გაყრის შემდეგ, მომღერალმა იმიჯი შეიცვალა და მოტოციკლზე ამხედრებულ, ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილ და ტატუირებულ ფურიად მოევლინა საზოგადოებას. შერი მილიონების კერპად იქცა: პუბლიკა აღფრთოვანებული იყო მომღერლით, ჰბაძავდა და აღმერთებდა მას. კარიერაში მოპოვებულმა უდიდესმა წარმატებამ მას კიდევ უფრო გაუმძაფრა პირადი ბედნიერების წყურვილი... სიყვარულის ძიებაში შერის დიდი დრო არ დაუკარგავს და მოკლე ხანში ჯგუფ Kiss-ის ბასგიტარისტთან ჯენ სიმონსთან გააბა რომანი. მეტალისტების კერპმა მომღერალს ხელიც კი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან შერი მექალთანე როკ-მუსიკოსის ერთგულებაში სულაც არ იყო დარწმუნებული (გავიდა წლები, 1998 წელს შერის ალბომის – Believe – ტრიუმფალური წარდგენის დროს ისინი კვლავ შეხვდნენ კულისებში და ნაზად გადაეხვივნენ ერთმანეთს, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა).

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი მუდამ ურიცხვი თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული, მისი პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აეწყო. ეს არ გახლდათ ის, რასაც მისი გული ელტვოდა. რაც დრო გადიოდა, შერი სულ უფრო და უფრო ხშირად იხსენებდა თავის პირველ სიყვარულს – სონის, რომელიც შოუბიზნესიდან წასულიყო და ახლა პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდა.

თავის მხრივ, ყოფილი ცოლის წარმატებულ კარიერას, როგორც ესტრადაზე, ასევე კინოში, სალვატორეც ადევნებდა თვალს. მან იცოდა, რომ შერი კვლავაც მილიონების სექსსიმბოლოდ რჩებოდა, პლასტიკური ქირურგიის ექსპერიმენტებზეც არ ამბობდა უარს და ხან მაიკლ ჯექსონს ეხვეოდა და ხანაც ახალგაზრდა რობ კამილეტის საყვარელი იყო, რომელიც ქალზე 18 წლით უმცროსი გახლდათ...

როგორც ამბობენ, სალვატორე ამაყობდა შერის მიღწევებით და შესაძლოა, წარსულში დაკარგული სიყვარულით გამოწვეული სევდა არც მას აძლევდა მოსვენებას. ასე იყო თუ ისე, 1986 წელს სონიმ და შერიმ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში დიდი გრძნობით შეასრულეს თავიანთი პირველი ჰიტი, რომლის უკანასკნელ აკორდზეც, ისინი ვნებიანად ეამბორნენ ერთმანეთს. შესაძლოა, ეს მათი ახალი ურთიერთობის დასაწყისი ყოფილიყო, მაგრამ არ დასცალდათ... 1998 წელს, სონი თხილამურებით სრიალისას დაიღუპა. მისი სიკვდილი შერიმ იმდენად განიცადა, რომ თაყვანისმცემლებს ეჭვიც კი გაუჩნდათ, რომ მათი საყვარელი მომღერალი სცენაზე გამოსვლას ვერასოდეს შეძლებდა. მაგრამ მან ეს შეძლო. უფრო მეტიც, შერიმ იმ მისთვის მძიმე თვეებში შექმნილი სიმღერების ალბომი – Believe – გამოუშვა, რომელიც 42-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა და სამგზის იქცა პლატინის დისკად! მაშინ ვარსკვლავმა კიდევ ერთხელ შეიცვალა იმიჯი: მოიშორა სვირინგი და საზოგადოებაში ფრიად მოკრძალებულად და სადად გამოწყობილი გამოდიოდა. მისი ასეთი სახეცვლილება პუბლიკამ სხვაგვარად აღიქვა და მიიჩნია, რომ ეს ვარსკვლავის დიდების დასასრულის დასაწყისი გახლდათ. მაგრამ მათი ვარაუდი არც ამჯერად გამართლდა.

...შარშან დეკემბერში, ნიუ-იორკში ძმებ ფარელების უკანასკნელი ფილმის – Stuck On You – პრემიერა შედგა,რომელშიც მთავარ როლს შერი ასრულებდა. პრემიერაზე ვარსკვლავი შვილის თანხლებით გამოცხადდა და ისეთ გამაოგნებელ კაბაში იყო გამოწყობილი, რომ ნამდვილი დედოფალივით გამოიყურებოდა. ამბობენ, რომ შერის საკუთარი ძალების რეჟისურაში მოსინჯვა აქვს გადაწყვეტილი – ის პატიმრების ცხოვრებაზე სერიალის გადაღებას აპირებს. დანამდვილებით ირწმუნებიან იმასაც, რომ ვარსკვლავი ახალ ფილმში გადასაღებად ემზადება და შემდგომი ალბომის ჩაწერაზეც მუშაობს. როგორც ჩანს, ასეთი „მშვიდი და განმარტოებული" ცხოვრების გეგმები აქვს უბერებელ შერის... ■

რობ კამილეტისთან ერთად. მათ რომანს სკანდალურს უწოდებდნენ: მათ შორის ხომ ძალზე დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო!

კევინ ოკოინთან ერთად. კევინი მისი სტილისტი გახლდათ. მისი რჩევით, მომღერალი რამდენიმე ნეკნსაც კი შეეღია, რათა უფრო ტანადი ყოფილიყო

უფროთიანი მარტი

— ამინდი ბუნებაში, პოლიტიკაში, სიზმრებში...

როგორი იქნება მარტი? რა ელოდებათ თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს? როგორი იქნება თევზების ზოდიაქოს ზონა ჰოროსკოპის სხვა ნიშნებისთვის? როგორ განვითარდება პოლიტიკური მოვლენები?.. ასტროლოგები მარტს ორ პერიოდად ყოფენ: 21 მარტამდე, თევზების ზოდიაქოა, 21 მარტიდან, ვერძის ზოდიაქო იწყება. შესაბამისად იცვლება მოვლენები, ადამიანების გუნება-განწყობილება და ბედ-იღბალი. გვესაუბრება ასტროლოგი მარინა გაგ-უშანა.

ლელა ჭანკოტაძე

— ზოგადად როგორ შეიძლება შევაფასოთ თევზების ზოდიაქო?

— მზე 21 მარტამდე, თევზების ზოდიაქოს ნიშანში გაივლის. ეს საშუალებას გვაძლევს, განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეთ. იწყება ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ბევრ ვნებათაღელვასთან იქნება დაკავშირებული. გაძლიერდება ცვლილებებისკენ ადამიანთა მიდრეკილება. 21 მარტამდე, სანამ მზე ვერძის ნიშანში შევა, ხალხი ემოციების ზღვარს მიუახლოვდება. ქაოსი, გაუგებრობა, პოზიციისა და პრინციპების ცვლა, ბევრისთვის იქნება დამახასიათებელი. ჭორებისა და ინტრიგების ხლართვის პერიოდია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია, რამაც შეიძლება, ჩვენი შეშფოთება გამოიწვიოს. აპრილი გაცილებით რთული და ქაოსური იქნება. მარტი შედარებით მშვიდი, მაგრამ მაინც შფოთიანია. თევზების ზოდიაქო მსხვერპლისა და ანალიზის ნიშანს წარმოადგენს და ამიტომ მარტი ისტორიული კატაკლიზმებით აღინიშნება ხოლმე.

— ზოდიაქოს რომელი ნიშნებისთვის არის მარტი განსაკუთრებით რთული?

— თევზებსაც კი რთული დღეები დაუდგებათ, რადგან მათაც შეიძლება, დაუშვან გამოუსწორებელი შეცდომები; სირთულეები და იმედგაცრუება არ ასცდებათ. რთული დღეები დაუდგება ღრიანკალს. უთანხმოებები მეგობრებთან, საქმიან პარტნიორებთან და ოჯახის წევრებთანაც კი ექნებათ. ვურჩევ, თავი შეიკავონ სერიოზული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისგან. უსიამოვნებები ელის მერწყულსაც, განსაკუთრებით — თვის დასაწყისში. ჯანმრთელობის შესუსტება, მატერიალური პრობლემები და მძიმე გუნება-განწყობილება მერწყულებს მარტში თან ახლავს.

— ენერგიის ნაკლებობა ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის იქნება დამახასიათებელი?

— ენერგიის მკვეთრ ნაკლებობას იგრძნობს ვერძი. მისთვის საკმაოდ არახელსაყრელი პერიოდი დადგება. პრობლემები შეექმნება, როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში. იგივე ითქმის ლომზეც. მას იმის ძალაც არ ექნება, რომ უმნიშვნელო ცხოვრებისეულ სიძნელეებს შეებრძოლოს. ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნება და კონფლიქტებს ვერ ასცდება.

— მაშ, რომელ ნიშნებს მოუტანს მარტი სიკეთეს?

— კირჩხიბისთვის შედარებით სტაბილური და მშვიდი თვე იწყება. ის ენთუზიაზმითა და სიახლის სურვილით აღივსება. მას საკმაოდ სტაბილური ენერგეტიკული პოტენციალი ექნება. მარტი თხის რქისთვისაც წარმატებული იქნება. მისი ენთუზიაზმის დაქვეითებას ფინანსური პრობლემების გამწვავებაც კი ვერ გამოიწვევს. ის ბრძოლისა და სიახლეების ჟინით იქნება შეპყრობილი. ამ თვეში თამამად შეგიძლიათ, საკუთარი ბედი ანდოთ მას, რადგან უმართლებს და საკუთარ პრობლემებს ვეღარც კი ამჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ზოდიაქოს ნიშანს აშკარად ეტყობა ტრანსფორმაციის პროცესი, მაინც ხელსაყრელი პერიოდია ქორწინებისთვის. შეგიძლიათ, მსხვილ შენაძენზეც იზრუნოთ. თევზების ზოდიაქოს ზონა ხელს უწყობს წარმატებას ხელოვნებაში, ახალი იდეების დაბადებას, ამიტომ ხელოვნების დარგის მუშაკებს გააქტიურებას ვურჩევ.

— პოლიტიკოსებისთვის როგორი პერიოდია?

— მარტი შეიძლება, შევადაროთ სიტუაციას, როდესაც პოლიტიკოსი ბურუსში გზის გაკვლევას ცდილობს და ზუსტად არ იცის, წინ რა დახვდება. ამიტომ ნებისმიერი ცვლილება პარტიაში ან პარტიებს შორის ურთიერთობისას, პოლიტიკური ინიციატივა თუ მკვეთრი განცხადება შეიძლება, მცდარი აღმოჩნდეს და მომავალში გამოუსწორებელ შეცდომაში გადაიზარდოს. მძიმე და დაძაბული პერიოდი აქვს **ზურაბ ჟვანიას**. ბევრი კამათი მოუწევს. თავისი მოწინააღმდეგეებისგან სერიოზულ დარტყმას უნდა ელოდოს, მაგრამ ძლიერია, იმდენად მყარად დგას ფეხზე, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება ფუჭი აღმოჩნდება. მასთან ჭიდილი უაზრობაა, რადგან ხელში ბევრი კოზირი უჭირავს. უნდა გამოვყო **შალვა ნათელაშვილი**, რომელიც საინფორმაციო ომს წამოიწყებს და ამის საპასუხოდ, ცუდ სიურპრიზს მიიღებს. თუმცა, ოპონენტები მის გაჩუმებას შეეცდებიან, მაგრამ — უშედეგოდ. მისთვის რთული პერიოდი იქნება 12 მარტი—1 აპრილი. სირთულეები **ვანო ზოდელავასაც** არ ასცდება. მისთვის უმნიშვნელოვანესი დღეები იქნება 6-7 მარტი. ამ თვეში მოსალოდნელია **ნინო ბურჯანაძის** რეიტინგის ზრდა. მართალია, მაქსიმალურად ცდილობს, არ ჩაერიოს სკანდალურ ამბებში, კონფლიქტებსა და პოლიტიკურ ავანტიურებში, მაგრამ მარტის ბოლოს, მისი მოთმინების ძაფი გაწყდება. შუალედური პოზიცია, რომელიც ხშირად უჭირავს, მკვეთრი დაპირისპირებით შეიცვლება. ახლა ის ენერგიას აგროვებს, რადგან იცის — სერიოზული უსიამოვნებები ელოდება. მისი პირადი ჰოროსკოპის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში პირველად უჭირს სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. მაგრამ იმაზე დიდი მომავალი აქვს, ვიდრე ახლა ამის წარმოდგენა შეიძლება. სავარაუდოდ ზაფხულში, რომე-

ლიმე დიდი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. შეიძლება, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი გახდეს, შეიძლება, უფრო დიდ წარმატებასაც მიაღწიოს.

— ხმაურიან დაპატიმრებათა სერია გაგრძელდება?

— ამ თვეში, კიდევ ორი „დიდი თევზი" წამოეგება ანკესზე. ახლა ორივე შიშისგან ძაგძაგებს. საკმაოდ ხმაურიანი ორი დაპატიმრება საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდება. თუ სწრაფად არ მოხდა დაპატიმრებათა სერიის აღკვეთა, ისედაც სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ზოდიაქოს ნიშნები, როცა თევზის ზოდიაქოს ზონაში იქნებიან, შეიძლება უარეს დღეში ჩაცვივდნენ. მაგალითად, კუროს ნიშნის ქვეშ დაბადებულთა ენერგეტიკული ველი უკვე იმდენად არასტაბილურია, რომ უჭირს გარშემომყოფებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება. კენტ რიცხვებში დაბადებული ადამიანები საკუთარ ქმედებებსაც კი ძნელად აკონტროლებენ. ეს თევზების ზონის გავლენის შედეგია. მაგრამ კიდევ უფრო ცუდად მოქმედებს და ამწვავებს სტრესებს საზოგადოებაზე ისეთი ზემოქმედება, როგორსაც ხმაურიანი დაპატიმრებები ახდენს. გახშირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, გაიზრდება ინფარქტების რიცხვი...

— თუ შეგიძლიათ, თქვათ, რა ელის თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს? როგორი იქნება მათი ინტიმური სამყარო მარტში?

— თევზებს იუპიტერი და ნეპტუნი მფარველობს. ამოუცნობი ხასიათი და დახვეწილი მანერები აქვთ. ისინი კარგი ინტუიციით გამოირჩევიან, კარგი საყვარლები და მაცდუნებელი ადამიანები არიან. როცა ამ ნიშანზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, მათი შემგუებლობა უნდა აღვნიშნოთ. ისინი ეგუებიან ნებისმერ მდგომარეობას, რომელშიც უფრო ხშირად, საკუთარი ნებით ხვდებიან ხოლმე, ამიტომ ნუ ელით მათგან ცვლილებებს. თევზები წყლის ნიშანია, ამიტომ მათ არჩევანი ყოველთვის წყლის ნიშნებზე უნდა შეაჩერონ, თუ უნდათ, ჰარმონიული ურთიერთობა ააწყონ. დაოჯახება თევზებისთვის მარტის პირველ ნახევარშია ხელსაყრელი.

— შეგიძლიათ თუ არა, პირად ჰოროსკოპებზე დაყრდნობით განსაზღვროთ, როგორი იქნება მარტი ცნობილი ადამაინებისთვის?

— **გიგი წერეთელს** ძალზე სერიოზული წარმატებები ელის. მართალია, მნიშვნელოვანი ამბავი 2006 წელს მოხდება, მაგრამ მთელი გზა მანამდეც, წარმატებული იქნება მისთვის. მარტიც, აპრილიც, მაისიც და ა.შ. მას სიძლიერესა და დიდ სიმაღლეზე ასვლას უქადის. თუმცა, ახლა, რთული კარმული პერიოდი აქვს. თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აიხლართება და გამოსავლის მოძებნა გაუჭირდება. ეს მხოლოდ პირად, ინტიმურ სამყაროს ეხება. თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებს და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი დიდ ყურადღებას გამოიჩენს, არ ინანებს, რადგან მას საფრთხე ემუქრება.

ვანო ზოდელავას სხვების აზრის გათვალისწინება მოუწევს. მეგობრების რჩევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება მისთვის. 18 ან 28 მარტი უსიამოვნო აღმოჩნდება ბატონი ვანოსთვის. მას დიდი მატერიალური ზარალი ელის. ის ახლა ცხოვრებისეულ სასწორზე იმყოფება და თავადაც არ იცის, როგორ გადაწყდება მისი ბედი. მაგრამ შემიძლია დავამშვიდო: მისი შიში უსაფუძვლოა, მას საფრთხე არ ემუქრება. არადა, საბრალდებო სკამზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს და ესიზმრება კიდეც. მისი 12-წლიანი ცხოვრებისეული ციკლი მთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება. უსაქმურობა, ბევრი თავისუფალი დრო, მელანქოლია — არცთუ ისე სასიამოვნოს გახდის მარტსა და აპრილს.

კვლავ დადებითი პერიოდი აქვს **მიხეილ სააკაშვილს**. მიუხედავად იმისა, რომ შეცდომას შეცდომაზე დაუშვებს, მისი რეიტინგი მაინც სტაბილური იქნება. მას ბევრი მოგზაურობა და საქმიანი შეხვედრა ელოდება. მართალია, საკუთარ თავთან მარტო დარჩენას წუთითაც ვერ მოახერხებს, მაგრამ ეს არ ადარდებს, რადგან ჯერ არ აპირებს განვლილი მოკლე საპრეზიდენტო გზის შეფასებას. მას თვითდასამშვიდებლად და დაკარგული ენერგიის აღსადგენად ნამდვილი ნირვანა ელოდება.

— როგორ განვითარდება მოვლენები აჭარაში?

— **ასლან აბაშიძის** შესახებ ტაროს კარტის დახმარებით ვილაპარაკებ. მისი ბედი სასწორზე დევს, არა იმიტომ, რომ ჯერ არ არის გადაწყვეტილი — უბრალოდ, თვითონ არ უნდა იმ აზრთან შეგუება, რომ უკვე ჰაერშია გამოკიდებული და ძალაუფლება ხელიდან გამოაცალეს. 25 მარტიდან, მის შესახებ განსაკუთრებით ბევრს ილაპარაკებენ. მის მომავალზე კარტი — „ბაბილონის გოდოლი" ეცემა.

— რას ნიშნავს ტაროს კარტში „ბაბილონის გოდოლი"?

— ეს ნიშნავს ძველი ცხოვრების დანგრევას, ძირეულ ცვლილებებს, რევოლუციას... ასლან აბაშიძეს ემიგრაცია ელოდება. ჯობს, ამას შეეგუოს და ისე იმოქმედოს. ის ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებს — ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამას ტარო ამბობს.

— ეი. მარტის ბოლო, პოლიტიკური მოვლენებით საკმაოდ დაძაბული იქნება?

— ურთულესი და წინააღმდეგობებით აღსავსე მარტი პოლიტიკური თვალსაზრისით იმდენად დახლართული აღმოჩნდება, რომ საქმეში ჩახედულ ადამიანებსაც კი გაუჭირდებათ ტყუილ-მართლის გარჩევა. გამწვავდება და პიკს მიაღწევს წინააღმდეგობა ცენტრსა და რეგიონს შორის, გახშირდება საპროტესტო აქციები, მოსახლეობას შეაწუხებს ენერგოკრიზისი, დაიძაბება კრიმინოგენური სიტუაცია, გაღრმავდება ფინანსური პრობლემები.

— როგორ ამინდს უნდა ველოდოთ? ხომ არ არის მოსალოდნელი სტიქიური უბედურებები?

— 5 მარტის ღამე წინასწარმეტყველური სიზმრებით იქნება გამორჩეული. დაიმახსოვრეთ 11 მარტს ნანახი სიზმარიც... ნეგატიურია 8, 9, 10, 11 მარტი. ამინდის თვალსაზრისით მარტი ცვალებადი და ცუდი აღმოჩნდება. თვის ბოლოს, წყალდიდობა და მეწყერი ადამიანთა სიმშვიდეს დაარღვევს. გახშირდება ავტოავარიები. მარტის 10 რიცხვამდე, ძლიერი ქარი შეგვაწუხებს. სავარაუდოდ თურქეთის ტერიტორიაზე მოხდება მიწისძვრა, რომლის ბიძგებს აჭარაშიც იგრძნობენ. 13 მარტიდან პირველ აპრილამდე, მერკურის შესვლა ვერძის ნიშანში ინტელექტუალურ სფეროში გამოცოცხლებას შემოიტანს, ახალი იდეები დაიბადება. ეს პერიოდი განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება მასმედიის წარმომადგენლებისთვის. საერთოდ, 20-21-22 მარტი გარდამავალ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. 22 მარტამდე პერიოდი შემდგომი პერიოდისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება: ვისაც 22-მდე, ენერგიის სისუსტე შეაწუხებს, 22-ის შემდეგ, ენერგიის მოზღვავებას იგრძნობს, ვისაც უმართლებდა, მას ხელი მოეცარება და ა.შ. დაძაბული და მძიმე პერიოდი დადგება ზოგიერთი სახელმწიფოსთვის. ბევრი ქვეყანა სტიქიური უბედურებების ზონად გადაიქცევა. ცუნამი და ტორნადო საშინლად დააზარალებს ამერიკის ოკეანისპირა შტატებს. იქნება მსხვერპლიც. სხვადასხვა ქვეყანაში წყალდიდობა მოხდება, რომელიც აპრილის ბოლოს კიდევ უფრო ძალუმად შეახსენებს მსოფლიოს თავს... ■

როგორ ვებრძოლოთ გაზაფხულის ინფექციებს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზამთრის დასასრული და ადრეული გაზაფხული მწვავე რესპირატორული დაავადებების სეზონია. ამ დროს იმუნიტეტი დაქვეითებულია და ისიც კი, ვინც ზამთრის ყინვას მშვიდობიანად გადაურჩა, შეიძლება ახლა დაავადდეს. როგორ მოვიქცეთ გაცივების შემთხვევაში?

რა არ უნდა გავაკეთოთ

● არ გამოუწეროთ საკუთარ თავს ანტიბიოტიკები. არა იმიტომ, რომ ეს ძლიერმოქმედი საშუალებაა, არამედ იმიტომ, რომ ის სხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ანტიბიოტიკებს უნიშნავენ ბაქტერიული ინფექციის დროს, ხოლო გრიპსა და სხვა მწვავე რესპირატორულ დაავადებებს ვირუსები იწვევს. ანტიბიოტიკების მიღებით მაშინ, როცა ეს საჭირო არ არის, ჩვენ ხელს ვუწყობთ მათ მიმართ მდგრადი შტამების წარმოქმნას, ხოლო როცა ნამდვილად ჩნდება ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობის საჭიროება, მან შეიძლება სასურველი შედეგი ვეღარ მოიტანოს.



● არ მიიღოთ სიცხის დამწევი პრეპარატები, როცა ტემპერატურა 38 გრადუსზე დაბალი გაქვთ.

სიცხე ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლას უწყობს ხელს. ასე რომ, თქვენ დახმარების მაგიერ ხელს შეუშლით მას. სიცხის დროს ავადმყოფს მდგომარეობას შეუმსუბუქებს არყით დაზელვა, აგრეთვე დიდი რაოდენობით თბილ-თბილი სასმლის მიღება.

● ეცადეთ, არ გამოიყენოთ სურდოს საწინააღმდეგო წვეთები და შესასხურებელი საშუალებები. ის კი არ კურნავს, მხოლოდ დროებით ხსნის სიმპტომს, ხოლო ხშირი გამოყენებისას იწვევს შეჩვევას, ცხვირის ლორწოვანის შეშუპებას ე.წ. წამლისმიერ სურდოს. გარდა ამისა, სისხლძარღვთა შემავიწროებელმა საშუალებამ შეიძლება ასწიოს არტერიული წნევა. ეფედრინის შემცველი პრეპარატები იწვევს აგზნებას, ხოლო ანტიჰისტამინური საშუალებები, პირიქით, მოდუნებას. წოლითი რეჟიმის დროს, ეს პრობლემა არ არის, მაგრამ თუ იძულებული ხართ, საჭეს მიუჯდეთ ან აკეთოთ საქმე, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაქციას, ჯობს ასეთი წამალი არ მიიღოთ.

როგორ მოვიქცეთ

კომპლექსური პრეპარატები, რომლებიც აფთიაქებში იყიდება რეცეპტის გარეშე, როგორც წესი, სამი ელემენტისაგან შედგება: ანალგეტიკ-ანტიპირეტიკისაგან ანუ ტკივილგამაყუჩებლისა და სიცხის დამწევისაგან (ჩვეულებრივ, პარაცეტამოლი), სურდოს საწინააღმდეგო საშუალებისა და ასკორბინის მჟავასგან (C ვიტამინი). პირველი ორი კომპონენტი, როგორც იცით, არ კურნავს, მხოლოდ სიმპტომებს ხსნის, ამიტომ კომპლექსური პრეპარატები მაშინ უნდა გამოიყენოთ, როცა მაღალი ტემპერატურა გაქვთ ან სასწრაფო სამუშაო გაქვთ შესასრულებელი. თუ მართლა გინდათ, დაეხმაროთ ორგანიზმს გამოჯანმრთელებაში, სხვა არჩევანი გააკეთეთ.

ასკორბინის მჟავა აუმჯობესებს ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს, ხოლო, როგორც ანტიოქსიდანტი, უმსუბუქებს ორგანიზმს დაავადების მიერ მიყენებულ ზარალს. მიიღეთ იგი დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენიდან სრულ გამოჯანმრთელებამდე. პრეპარატის დოზებს ექიმი შეგირჩევთ თქვენი სისხლძარღვების მდგომარეობის გათვალისწინებით.

იმუნომოდულატორები. მათ დიდ ნაწილს ღებულობენ მცენარეული ნედლეულისგან. ასეთებია მაგალითად: ალისფერი ექინაცეის ნაყენი, ელეუტეროკოკი. აუცილებლად იქონიეთ ეს წამლები აფთიაქში. ამასთან ერთად, გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი ექინაცეა იწვევს ალერგიას. კარგად აუმჯობესებს წინააღმდეგობის უნარს თუთიის პრეპარატები. ავადმყოფობის საწყის ეტაპზე მისი მიღებით C ვიტამინთან ერთად შეიძლება თავიდან აიცილოთ დაავადების შემდგომი განვითარება.

არ დაივიწყოთ ნიორიც: ჭამეთ ყოველდღიურად 1-2 კბილი, უკეთესია, ღამით. თუ შინ დარჩით, აუცილებლად მოხარშეთ ქათმის ბულიონი — იგი ორგანიზმის სისუსტესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მირთმევის წინ შავ პილპილს მოაყრით.

დაბოლოს, აუცილებლად გადაამოწმეთ წამლების ვარგისიანობის ვადა თქვენს აფთიაქში. დაუნანებლად გადაყარეთ ვადაგასული და სახეშეცვლილი წამლები.

ასპირინი: მივიღოთ თუ არა?

ასპირინი მწვავე რესპირატორული დაავადების და გრიპის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალებაა. მისი გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

● ალკოჰოლთან ერთად ასპირინის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კუჭის ლორწოვანის გაღიზიანება და სისხლდენაც კი.

● ანტიკოაგულანტებთან (სისხლის გამათხელებელი, გამოიყენება თრომბის წარმოქმნის წინააღმდეგ) ერთად ასპირინის მიღება საშიშია.

● ასკორბინის მჟავასთან ერთად ასპირინის მიღებისას სიფრთხილეა საჭირო. ის აქვეითებს C ვიტამინის შეთვისებას და აჩქარებს მის გამოდევნას ორგანიზმიდან. C ვიტამინი კი თავის მხრივ ახანგრძლივებს ასპირინის მოქმედებას, რაც დიდი დოზებით მიღებისას შეიძლება ტოქსიკური იყოს. ასეთი ეფექტის პირველი სიგნალია ყურების შუილი (ტინიტუსი).

● ასპირინი აძლიერებს ზოგიერთი ანტიდიაბეტური წამლის მოქმედებას, რამაც შეიძლება ჰიპოგლიკემიამდე (შაქრის დონის დაქვეითებამდე) მიგვიყვანოს.

ექიმის კონსულტაციის გარეშე ასპირინის მიცემა ბავშვებისთვის ყოვლად დაუშვებელია.

■

სოია – ცხოველური საკვების შემცვლელი

ჩვენში სოიას ხშირად განიხილავენ, როგორც სუროგატს — ხორცეულის იაფფასიან შემცვლელს. მას ქერის ყავის, სტაფილოს ჩაის, სახარინის გვერდით მოიხსენიებენ ხოლმე. აღმოსავლეთში სოია სუროგატი კი არა, უნიკალური თვისებების მქონე თვითმყოფადი პროდუქტია — ბრინჯთან ერთად იგი ძირითად საკვებს წარმოადგენს. ევროპელები თავდაპირველად ნაკლებად ინტერესდებოდნენ სოიით, ახლა კი იგი ნებისმიერ სუპერმარკეტში გვხვდება. დასავლელი დიეტოლოგები ერთხმად აღიარებენ მის შეუდარებელ თვისებებს. გავეცნოთ მათ.

მომავლის საკვები

ფუტუროლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწის მოსახლეობის გამოკვება ხორცის პროდუქტებით მეცხოველეობის ზრდის ხარჯზე ძნელია. ამიტომ აქცენტი მცენარეულ საკვებზე გადაიტანეს. მცენარეული საკვები კი სრულფასოვანი რომ იყოს, საჭიროა, მოიძებნოს ისეთი მცენარე, რომელიც მთლიანად შეცვლის ცხოველურ საკვებს.

სწორედ ასეთი მცენარეა სოია. ბევრი სხვა მცენარეული პროდუქტისგან განსხვავებით, სოია ადამიანის ორგანიზმს უზრუნველყოფს არა უჯრედისით, არამედ სრულფასოვანი ცილით. სოიას ფარშისგან დამზადებული კერძები ხორცის გემოს იმიტირებასაც ახდენს და თანაც კვებითი ღირებულებითაც უტოლდება მას.

სოიისგან ამზადებენ რძის პროდუქტების შემცვლელებსაც: სოიის რძეს, იოგურტს, ხაჭოს, ყველს. ბავშვების საკვებადაც გამოიყენება სოიისგან მომზადებული დედის რძის შემცვლელი.

ახალგაზრდობის ელექსირი

სოიას სუპერპროდუქტს უწოდებენ – მასში შემავალი ცილა ყველა მცენარეულ ცილასთან შედარებით უფრო სრულყოფილია. თანაც იგი სოიაში გაცილებით მეტია, ვიდრე ხორცსა და თევზში.

ცილის გარდა სოია საკმაო რაოდენობით შეიცავს კალციუმს. სწორედ ამიტომ მისგან დამზადებული რძე ძროხის რძის საუკეთესო შემცვლელია, სოიის ხაჭო და ყველი – ვეგეტარიანელებისა და მარხვაზე მყოფთა რაციონის კარგი შემავსებელი. თანაც სოია ზეთოვანი კულტურაა, მისგან ამზადებენ ზეთს, რომელშიც ცხიმოვანი მჟავების ბალანსირებული შემადგენლობაა.

სოია უძველესი მიწათმოქმედების კულტურაა და კაცობრიობის ძველთაძველი თანამგზავრია. ათასწლეულების განმავლობაში ადამიანებმა შეიმუშავეს ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მისი ღირსებების მაქსიმალური გამოყენება და ნაკლოვანებების თავიდან აშორება. არსებობს ფერმენტაციის მეთოდები, რომლებიც ზრდის სოიის ათვისებადობას – აღმოსავლეთში მათ ფართოდ იყენებენ. იაპონური სამზარეულოს მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი წვნიანი მისო – მეტად სასარგებლო, მსუბუქი და გემრიელი კერძი.

ამ ბოლო დროს მსოფლიოში სოიის ბუმია, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს მისი ახალი თვისება – სოია აახალგაზრდავებს ორგანიზმს და ებრძვის სიმსივნის განვითარებას. ამ აღმოჩენის შემდეგ აზრიც აღარ აქვს სოიისა და სხვა პროდუქტების გემოს შედარებით ანალიზს: მთავარი ის კი არ არის, რამდენად უთანაბრდება სოიის გემო ხორცის ან რძის გემოს, არამედ ის, რომ მას აქვს რაღაც ისეთი, რაც სხვა პროდუქტებს არ გააჩნია. მაგალითად, შეიცავს ჰორმონისმაგვარ ნივთიერებებს, ფიტოესტროგენებს, რომელიც არც ხორცშია და არც თევზში. ამიტომ იგი აუცილებლად უნდა მიირთვათ, მნიშვნელობა არა აქვს, რა სახით (რძის, ხაჭოს, წვნიანის თუ უბრალოდ მოხარშული მარცვლების), მაგრამ აუცილებლად შეიტანეთ თქვენს რაციონში. ■

მედიცინის სიახლეები

ფიტნესი, როგორც ნარკოტიკი

ფიტნესით მეტისმეტად გატაცებამ შეიძლება გამოიწვიოს შეჩვევა, რომელიც ჰგავს ნარკოტიკებით, ალკოჰოლითა და აზარტული თამაშებით გამოწვეულ შეჩვევას. ასეთი დასკვნა გააკეთეს ორეგონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც ექსპერიმენტები თაგვების ორ ჯგუფზე ჩაატარეს. ერთ ჯგუფში შედიოდნენ ჩვეულებრივი მღრღნელები, მეორეში კი თაგვები, რომლებსაც სპეციალურად აჩვევდნენ ფიზიკურ აქტიურობას. შემდგომ ყველა საცდელ ცხოველს მოუსპეს სირბილის შესაძლებლობა. შედეგად სპორტსმენ-თაგვთა ტვინის აქტიურობა მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე პირველ ჯგუფში შემავალი თაგვებისა. აქტიურობა ფიქსირდებოდა ტვინის სწორედ იმ უბნებში, რომელიც ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და ნიკოტინისადმი შეჩვევაზე აგებს პასუხს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს დასკვნები შეიძლება ადამიანებზეც გავრცელდეს: ფიტნესით მეტისმეტმა დატვირთვამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ფიტნესკლუბი ოჯახზე, სამუშაოზე და მეგობრებზე უფრო მნიშვნელოვანი გახდეს ჩვენთვის. ექსპერიმენტულ შემთხვევებში ფიტნესისადმი შეჩვევა დეპრესიასა და უძილობასაც კი იწვევს.

შორს ჩვენგან ღაბაბი

ღაბაბთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდი შეიმუშავეს ამერიკელმა ქირურგებმა. ატლანტის უნივერსიტეტის სპეციალისტები პაციენტებს სთავაზობენ ქვედა ყბის ქვეშ სპეციალური რეზინის ჩაკერებას. ეს მარტივი მოწყობილობა იდეალურად ჭიმავს ნიკაპის კანს; ოპერაცია მარტივი და უმტკივნეულოა. მეთოდის ავტორებმა იგი უკვე პრაქტიკულად გამოსცადეს. ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ, პაციენტთა 99%-მა განაცხადა, რომ შედეგი აბსოლუტურად აკმაყოფილებს.

ეკლავ კომპიუტერის მავნებლობის შესახებ

კომპიუტერული თამაშებით მეტისმეტი გატაცება, ბავშვების ფსიქიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს. პატარა მომხმარებლებს ვიდეოთამაშებით გამოწვეული „ეპილეფსიის სინდრომი“ ან „კომპიუტერზე დამოკიდებულების“ სინდრომი ემუქრებათ. ბავშვი სულ უფრო და უფრო აღგზნებადი და ჭირვეული ხდება, სწავლას უგულისყუროდ ეკიდება და კომპიუტერის გარდა აღარაფერი აინტერესებს. ეს რომ არ მოხდეს, სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ნებას ნუ მისცემთ, დღეში 15 წუთზე მეტხანს ისხდნენ კომპიუტერთან.

ეპილები და მეხსიერება

აზროვნება და მეხსიერება უშუალო კავშირშია ღეჭვით მოძრაობებთან. ტოხაკუს (იაპონია) უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს კავშირი კბილების რაოდენობასა და ჰიპოკამპის მუშაობას შორის. ტვინის ეს უბანი მოკლევადიან მეხსიერებასა და ინფორმაციის გადამუშავებაზეა პასუხისმგებელი. ათასამდე ასაკოვანი ადამიანის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რაც უფრო ნაკლებია ადამიანის კბილების რაოდენობა, მით ნაკლებია ჰიპოკამპის მოცულობა. დიდი ხანია, ცნობილია, რომ ღეჭვის პროცესი ხსნის სტრესს, ასტიმულირებს აზროვნებას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ახლა პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ ღეჭვითი მოძრაობა დადებით გავლენას ახდენს ტვინის მუშაობაზე.

გახდომა გსურთ? – სვით წყალი

რაც უფრო მეტ წყალს სვამთ, მით უფრო მეტად მსუბუქდებით – ჭარბი წონის მოშორების ასეთ მარტივ მეთოდს გვთავაზობენ გერმანელი მეცნიერები. მათ გამოთვალეს, რომ ადამიანები, რომლებიც დღეში 2 ლ-ზე მეტ წყალს სვამენ, 150-მდე ზედმეტ კილოკალორიას წვავენ და ცხიმის სიჭარბეს ამგვარად აღწევენ თავს. საიდუმლო იმაშია, რომ წყალი ასტიმულირებს სიმპათიკურ ნერვულ სისტემას, რომელიც მეტაბოლიზმს არეგულირებს. მეტაბოლიზმის დაჩქარება კი ჭარბი კალორიების წვას იწვევს. თუმცა, მეცნიერები შეგვახსენებენ, რომ ასეთი ეფექტი მხოლოდ მინერალურ ან მტკნარ წყალს აქვს. გაზიანი, ტკბილი ან სხვა სახის სასმელი კი ორგანიზმს მხოლოდ ვნებს.

თრომბოზისგან წინდები დაგიცავთ

იტალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სულ რამდენიმესაათიანი მგზავრობის დროსაც კი, თვითმფრინავის მგზავრებს ღრმა ვენების თრომბოზის განვითარების საშიშროება ემუქრებათ. მათი მონაცემებით სისხლის კოლტები ფრენის პირველი 2-3 საათის განმავლობაში წარმოიქმნება, შემდგომ დიდდება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება მათთვის, ვინც თვითმფრინავიდან ჩასვლის შემდეგ მანქანით ან ავტობუსით მგზავრობს. მედიკოსები მგზავრებს ურჩევენ, ფრენისას ფიზიკური ვარჯიში შეასრულონ, მიიღონ ბევრი სითხე და ჩაიცვან სპეციალური, სისხლის მიმოქცევის მასტიმულირებელი წინდები.

სიყვარული უცნაური გრძნობაა

ნიუ-ჯერსელი მეცნიერები იტყობინებიან, რომ სიყვარული პირველ ხანებში სულაც არ ყოფილა რომანტიკული, რასაც შეყვარებულთა თავის ტვინის სკანირების მონაცემები მოწმობს. რაც მეტად ინტენსიურია ურთიერთობა, მით უფრო ინტენსიურია ტვინის აქტიურობაც. ემოციებზე პასუხისმგებელი ტვინის უბნები კი მაშინ ირთვება, როდესაც ურთიერთობა მომწიფებას იწყებს.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შეყვარებულობის პერიოდი მამაკაცებსა და ქალებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ქალებში ემოციური სტადია უფრო ადრე იწყება, მამაკაცებში კი სიყვარული თავის ტვინის მხედველობითი ანალიზატორების ჰიპერაქტიურობით ვლინდება, რაც სექსუალურ აგზნებას აძლიერებს. ამჟამად სპეციალისტები რომანტიკული ურთიერთობების ფინალურ სტადიას სწავლობენ, კერძოდ, ისინი იკვლევენ ახლახან მიტოვებული ადამიანების ტვინის აქტიურობას.

ჟღალთმიანებს გადაშენება ემუქრება

ასი წლის შემდეგ ჟღალი თმები შეიძლება ანაქრონიზმად იქცეს, – მიიჩნევენ ბრედფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტები. თმის ფერზე პასუხისმგებელი გენი 40 ვარიანტად გვხვდება. მათ შორის მხოლოდ ექვსია ჟღალი ფერის განმსაზღვრელი. ბავშვი რომ ჟღალთმიანი გაჩნდეს, 2 ასეთი გენი მაინც უნდა დაჰყვეს – თითო-თითო ორივე მშობლისგან. ასე ძალიან იშვიათად ხდება, ძირითადად, საერთო ფუძის მქონე სოციალურ ჯგუფებში (მაგალითად, პატარა ქალაქსა ან სოფელში). ამჟამად ადამიანთა მხოლოდ 1-2%-ს აქვს ნატურალური ჟღალი თმა. აი, შოტლანდიასა და ირლანდიაში, ჟღალთმიანები მოსახლეობის 8%-ს შეადგენენ. თუმცა უკანასკნელი 50 წლის ტენდენციის მიხედვით, მიგრაციის ზრდა და შერეული ქორწინებები ახლო მომავალში საგრძნობლად შეამცირებს „ჟღალი“ გენების გამოყოლის ალბათობას, რაც ჟღალთმიანი ადამიანების გადაშენებას გამოიწვევს. ■

წამალი „მთანმინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა მარანგიით

მის: ჭავჭავაძის გაზ. 2/2, ჩაის სახლთან, სგოეგბოლოგიურ პოლიკლინიკაში, მიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, მეჯდლიძე, ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ჯაჭოჩენილი ადამიანების მოსწრებული ჯაჭოსმოქმედები

მახვილგონიერება

ერთხელ ცნობილი ბერძენი მეიგავარაკე ეზოპე, რომელიც მონა იყო, მისმა ბატონმა რაღაც უმნიშვნელო დავალებით ქალაქში გაგზავნა. გზაში მას მოსამართლე შეხვდა და მკაცრად ჰკითხა:

— სად მიდიხარ?

— არ ვიცი, — მიუგო ეზოპემ.

ამგვარი პასუხი მოსამართლეს საეჭვოდ მოეჩვენა და ბრძანა, ეზოპე ციხეში გამოემწყვდიათ.

— მე ხომ სრული სიმართლე მოგახსენეთ, — უთხრა ეზოპემ. — ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ციხეში მოვხვდებოდი!

მოსამართლემ გაიცინა და გაუშვა იგი.

პირუთვნელობა

ერთმა ახალგაზრდამ გერმანელ სწავლულს, მწერალსა და კრიტიკოსს გეორგ კრისტოფ ლიჰტენბერგს გაზაფხულის შესახებ დაწერილი ლექსების მთელი დასტა გაუგზავნა გიოტინგენში თხოვნით, წაეკითხა და გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია მიეცა. როცა ავტორმა პასუხისთვის მიაკითხა, დაიტრაბახა:

— ხომ არის ჩემი ლექსები ისეთივე ნაზი და სათუთი, როგორიც თვით გაზაფხულია?

— მეტისმეტად სათუთია, ძვირფასო მეგობარო, — მიუგო ლიჰტენბერგმა, — იმდენად ნაზი, რომ მზის პირველსავე სხივებს ვერ გაუძლებს.

მეგობრული რჩევა

ერთმა ახალგაზრდამ პოეტ პფეფელს თავისი უნიჭო ლექსები მიუტანა. პფეფელმა მორიდებით მიახვედრა, რომ მისი ლექსები მხატვრულად სუსტი იყო.

— პოეტური აღმაფრენის ცეცხლში ყველა სიტყვას ხომ ვერ ავწონი... — იწყინა ახალგაზრდამ.

— მე აქ პოეტური ცეცხლი ვერ ვიგრძენი, — მიუგო მშვიდად პფეფელმა, — ან მართლა ცეცხლი უნდა შეიტანოთ თქვენს ლექსებში, ანდა პირიქით — ლექსები — ცეცხლში...

უსაზღვროება

ერთხელ, საფრანგეთის მეფემ თავის ასტროლოგს მნათობთა შესახებ რაღაც ჰკითხა, რაზეც ასტროლოგმა უპასუხა: არ ვიცი.

— ფულს იმისთვის გიხდი, რომ იცოდე! — უსაყვედურა მეფემ.

— თქვენ იმის საფასურს მიხდით, რაც ვიცი, თორემ, იმის გადასახდელად, რაც არ ვიცი, მთელი სახელმწიფოს ქონება არ გეყოფოდათ, — მიუგო ასტროლოგმა.

ანეკდოტები

***

— გაიგე? თურმე მათთვის, ვისაც გახდომა უნდა, ახალი კონსერვი გამოუგონიათ!

— რა კონსერვია ასეთი?

— ხსნი და... შიგ არაფერია!

***

ორი მეგობრის დიალოგი:

— ცოლი რას გეძახის?

— მაიმუნს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემგან რამდენიმე ადამიანი „წარმოიშვა“!

***

— პატივცემულო პროფესორო, ძალზე მიჭირს საჭირო სიტყვების პოვნა.

— არა უშავს, ქალბატონო, მთავარია, საჭირო თანხა გქონდეთ...

***

რაჭველების საუბრიდან:

— ვერ მეტყვი, მე რომ ვეძებ, ის კაცი სად ცხოვრობს?

— ა, ასე დოუყევი პირდაპირ, მერე მარცხნივ გოუხვიე და სულ პირდაპირ იარე. მეხუთე სახლია მისი.

— ნომერს ვერ მეტყვი?

— მე არ ვიცი, მარა ჭიშკარზე ეწერება.

***

გურულმა ცოლი მოიყვანა და პირველ ღამეს გაბრაზდა.

— აგია, გოგო, ქალიშვილი ვარო?

— ვიყავი; თუ არ გჯერა, ეგერ ჰკითხე როლანდიას.

***

გურული ზღვაში შევიდა. ზღვაზე ღელვა დაიწყო.

— ნუ მეჯახები, ტალღა, გეუბნები მე შენ! — აფრთხილებს გურული.

ტალღა ისევ აგორდა და „დაეჯახა“.

— ა, კიდო!.. — ბურტყუნებს გურული.

***

სერჟანტი მეთაურთან მიდის და მოკრძალებულად სთხოვს შვებულებას.

— რად გინდა შვებულება? — ეკითხება მეთაური.

— ქალიშვილი უნდა შემეძინოს და...

— მაინც როდის უნდა დაიბადოს შენი ქალიშვილი?

— ახლა თუ გამიშვებთ, ალბათ მომავალი წლის აპრილში.

***

კოსმოტურისტი დედამიწაზე ბრუნდება და შთაბეჭდილებებს ჰყვება:

— ჩვენ გვგვანან, ოღონდ, ქალებს ძუძუები ზურგზე აქვთ.

— წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდებათ ჩვილი ბავშვების გამოკვება... — შეწუხდა ერთი მსმენელი.

— სამაგიეროდ, მათთან ცეკვაა ძალიან საკაიფო, — პასუხობს კოსმოტურისტი.

***

ქუთაისელი ჩივის:

— არ მინდა ეგი ჯარში ყოფნა, სიმონ, კომისიაზე გავდივარ ხვალ, რაღაცა უნდა მევიფიქრო.

— ნაღდი გზა ვიცი, ძმაო — კბილები ამეიღე და „დაგბრაკავენ“.

ერთი კვირის შემდეგ:

— რაო კომისიამ?

— არ მომეკარო, სიმონ, გიჟი ხარ ვიღაცა, — ჩიფჩიფებს წვევამდელი.

— რა, მაინც მიყავხარ?!

— არა, „დამბრაკეს“ — ელამი ხარო...

კვირის (8 - 14 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირას საკმაოდ მხიარულად გაატარებთ. ბოლოს და ბოლოს, თქვენი იდეების გამომზეურების საშუალება მოგეცემათ. მას უმალ აიტაცებენ გარშემომყოფნი. გამორიცხული არ არის, ახალი ვალდებულებებიც დაგაკისრონ.

მამაკაცი: ფრთხილად იყავით – მოსალოდნელია, სერიოზული შეცდომა დაუშვათ. უჩვეულოდ ენერგიული იქნებით, მაგრამ ახალგაცნობილ ადამიანებს ბრმად ნუ ენდობით – შეიძლება ალღომ გიღალატოთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: უმნიშვნელო უსიამოვნებების გამო მწუხარებას ნუ მიეცემით. ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური და ნურც გმირობის ჩადენას ეცდებით. ეცადეთ, ეს კვირა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად გაატაროთ.

მამაკაცი: საკმაოდ მომქანცველი კვირა გელით. ბევრი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. თავს თუ დასვენების უფლება არ მიეცით, შესაძლოა, დეპრესიაშიც ჩავარდეთ. დიდი დაკვირვება გმართებთ დოკუმენტებზე მუშაობისას.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: კვირის განმავლობაში, უამრავ ადამიანს დასჭირდება თქვენი მხარდაჭერა. მართალია, დიდ ენერგიას დახარჯავთ, მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩებით – ბევრს მოხიბლავთ და უამრავ ქათინაურსაც დაიმსახურებთ.

მამაკაცი: ამ კვირაში წარმატება გარანტირებული გაქვთ. საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე ნაყოფიერი დღე პარასკევი იქნება. განსაკუთრებით ბიზნესმენებს გაუმართლებს. არ გირჩევთ ფულის გასესხებას.

მარჩხები – 22/V-21/VI

ქალი: დროა, ცხოვრების წესის შეცვლაზე იფიქროთ. კვირის დასაწყისში შეიძლება სევდა მოგეძალოთ – მოგეჩვენებათ, რომ არაფერში გიმართლებთ. კარგი იქნება, თუ სალონში შეივლით. ახალი ვარცხნილობა გუნებას გამოგიკეთებთ.

მამაკაცი: ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და გააქტიურდებით. ეს თქვენს კარიერაზეც დადებითად აისახება. არ გირჩევთ კოლეგების გაკრიტიკებას. ჯობს, მანდილოსნები კომპლიმენტებით შეამკოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: საკმაოდ წარმატებული კვირა გელით. განსაკუთრებით იმ კირჩხიბებს გაუმართლებს, ვისაც შემოქმედებით სფეროსთან აქვს შეხება – მათთვის შედევრების შექმნის კვირეული იწყება. თუმცა, ერთი საფრთხე მაინც გელით: შეიძლება, საკუთარი მეტიჩრობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მამაკაცი: ამ კვირას მხოლოდ პრობლემების მოგვარებას მოანდომებთ, მაგრამ თქვენდა სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერს წარმატებით გაართმევთ თავს. შემდეგ კვირაში შეგიძლიათ თავს დასვენების უფლება მისცეთ – ეს თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ქალი-ლომებისთვის ეს სიყვარულის კვირაა. კარგი იქნება, თუ ახალ რომანტიკულ ურთიერთობას ძველი, უიღბლო სიყვარულის გახსენებით არ გაუფერულებთ. ნაკლები იფიქრეთ წარსულზე და დატკბით ბედნიერი აწმყოთი.

მამაკაცი: საქმიანობაში ჯობს დინებას მიჰყვეთ და გარშემომყოფთ, ახალი იდეებით თავი არ მოაბეზროთ. ამ კვირაში შეძენილ ნივთთან ერთად თქვენს ოჯახში ბარაქა შემოვა. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გაისეირნეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ყველაზე დიდ სიამოვნებას მეგობრებთან ურთიერთობა მოგიტანთ. თუმცა, საქმესაც ნუ დაივიწყებთ. ყველაზე ნაყოფიერი დღე ხუთშაბათი იქნება. პარასკევს კი გაფრთხილდით, რომ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი არ მოგივიდეთ.

მამაკაცი: გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ოჯახის წევრების საყვედურებს. მათ მშვიდად მოუსმინეთ და ქარიშხალიც მალე ჩადგება. თუ თქვენთვის ოჯახური სიმყუდროვე ძვირფასია, მოთმინება უნდა გამოიჩინოთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის დასაწყისში დისკომფორტს იგრძნობთ. ამის მიზეზი ის იქნება, რომ კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ. ჯობს, მეტი ყურადღება საყვარელ ადამიანს დაუთმოთ – საქმე მოიცდის!

მამაკაცი: კომპრომისებზე წასვლა მოგიწევთ. რაც უფრო მეტ სიჯიუტეს გამოიჩენთ, მით უფრო გაიხლართებით პრობლემათა ქსელში. ამიტომ გაფრთხილდით: გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩაიგდოთ თავი.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

ქალი: დროა, უარი თქვათ იმ პროექტებზე, რომლებიც უშედეგოა და დაემშვიდობოთ პარტნიორებს, რომელთაც ფუჭი დაპირებების გარდა, არაფერი შეუძლიათ. წარმატების მისაღწევად სხვა გზა უნდა გამოიძებნოთ.

მამაკაცი: მთელი კვირა სიყვარულის ბურუსში იქნებით გახვეული. ისეთი ქალი დაინტერესდება თქვენით, რომ თავადაც გაგიკვირდებათ. თუ მომჭირნეობას არ გამოიჩენთ, შემდეგ კვირაში ფულის სესხება მოგიწევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში სამუშაოზე ყურადღების კონცენტრირება გაგიძნელდებათ, მაგრამ თუ თავს ძალას დაატანთ, კვირის ბოლოს წარმატებას მიაღწევთ. შესაძლოა, მეგობრისგან საინტერესო საქმიანი წინადადება მიიღოთ. კარგი იქნება, თუ რჩევას გამოცდილ ადამიანსაც ჰკითხავთ.

მამაკაცი: ყურადღება გაამახვილეთ დოკუმენტებზე მუშაობის დროს. შესაძლოა, ისეთმა ადამიანმა გაგიწიოთ პარტნიორობა, რომლის გამოც უსიამოვნება შეგხვდებათ. მეგობრებს მეტი დრო დაუთმეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: თუ თქვენს დაწინაურებაზე იქნება ლაპარაკი, ნუ გაახმაურებთ ამ ამბავს მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოშურნე ადამიანები გააქტიურდებიან და შეეცდებიან ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაგიფუჭონ.

მამაკაცი: თუ გსურთ, დასახულ მიზანს მიაღწიოთ, ყოველი ნაბიჯი კარგად აწონდაწონეთ. ნაჩქარევად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება არა მარტო თქვენ, არამედ თქვენს ახლობლებსაც გაუფუჭოს საქმე.

მერწყული – 21-19/I

ქალი: ფინანსური სფეროს გარდა, ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ ფულს, გაუფრთხილდით ნივთებსაც – თუ ყურადღებით არ იქნებით, შესაძლოა საფულე, ტელეფონი ან სხვა რაიმე საგულისხმო ნივთი დაკარგოთ.

მამაკაცი: ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები კვირის ბოლოს მოაგვარეთ. წინასწარ მოემზადეთ იმისათვის, რომ სხვისი გაფუჭებული საქმის გამოსწორება მოგიწევთ. თუმცა, ამით თქვენი პროფესიონალიზმი უფრო მეტად დაფასდება.



„ბიბლიური“ ურწმუნო
ალადინის ჯადოსნური ნივთი
სათბური უცხოეთში
გზის გზა საწყისიდან საბოლოო პუნქტამდე
კანადელი მომღერალი
ქართველი მსახიობი
ნუშის ლიქიორი
დამუხტული ნაწილაკი
სიყვარულის ინდური ტრაქტატი
მოჩვენება უდაბნოში
ფილმი ბულგაკოვის ნაწარმოების მიხედვით
შინაური ცხოველი
რუსი ილუზიონისტი
ყოფილი ტელეკომპ. საქართველოში
გადამდნარი კარაქი
ძველი სპარსეთის მეფე
ბრინჯის არაყი
მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
ჟან-კლოდ ვან ...
საველე სიმაგრე, სანგარი
მხალი
„ფალეს“ ფეხბურთელი
ბალნეოლოგიური კურორტი სუფრელში
ამერიკელი ლამაისტი მსახიობი
იტალიელი ტენორი
ძველებური შვეიცარიული ცივი ალაღი
აზარტული თამაში ბანქოთი
ქალის გულსაკიდი
სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
A; B1; B2; B6; B12; C; PP
საფრანგეთის წარჩინებული სგპარეული
ქართველი მსახიობი ... ელიავა
მსუბუქი საკონდიტრო ნაწარმი
გადამდები დაავადება
ხეხილი
... არაგვისპირელი
3,14
სოკოს ქსელი პროდუქტზე
ქლაქი ბელგიის მაცხოვრელის ანის სხელის მაცხეს
გერმანული პარფიუმერიული სერია
შეადგინა რამაზ ალანიამ

25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.



ცოტა ხნის წინ, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ გაიმართა ახალგაზრდა დიზაინერის, გვანცა ჯანაშიას შემოდგომა-ზამთრის კოლექციის თეატრალიზებული ჩვენება, რომელიც სკანდინავიურ მოტივებზე იყო შექმნილი. ამ ჩვენებას ქართული მოდის სფეროში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არავინ ელოდა ახალგაზრდა დიზაინერის ასეთ წარმატებას. გვანცა ახლა, გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაზე მუშაობს, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენებას ალბათ არ მოაწყობს.

გარუჯული კანს მოყვრე ქვედაბოლო და მკვეთრი ფერის ქსოვილი მოფხიზლება

ნათია ქევეძე

— პარიზში დავამთავრე სამოდელო აკადემია. ხატვა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ დიზაინერობაზე არასოდეს მიფიქრია. ეს იდეა პარიზში გამიჩნდა. ალბათ, ამ ქალაქმა იმოქმედა ჩემს პროფესიონალურ ჩამოყალიბებაზე. პირველად, ჩემთვის შევიკერე ქვედაბოლო და ამით ძალიან ვამაყობდი. მაშინ მივხვდი, რომ თურმე, კერვა მყვარებია და სახელოსნოში ფუსფუსიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— ჩატარებულმა ჩვენებამ დიდი პოპულარობა მოგიტანა. ეს შენი პირველი ჩვენება იყო?

— არა, პირველი ჩვენება 1995 წელს, „მეტეხში“ გავმართე, რის შემდეგაც, საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზა მქონდა. შარშან კი, საკუთარი მაღაზია-სალონი გავხსენი. რაც შეეხება ამ შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენებას, კმაყოფილი ვარ, რომ მოდის სამყაროში ბევრმა მას დადებითი შეფასება მისცა. მიმაჩნია, რომ ჩემს კოლექციაში არის ისეთი ტანსაცმელი, რომლითაც ადამიანს ქალაქში თავისუფლად სიარული შეეძლება. ამ ჩვენებისთვის სკანდინავიური მოტივები ავირჩიე. გადავწყვიტე, ყოველდღიური კოსტიუმების შემდეგ, საზოგადოებისთვის ათი საქორწინო კაბაც წარმედგინა. ჩვენებამდე ერთი კვირით ადრე კი, ჩემი სალონიდან შვიდი კაბა მოიპარეს. სხვა ყველა ნივთი ხელშეუხებლად დაგვხვდა... ერთ კვირაში, შვიდივე კაბა ხელახლა შევკერეთ. ჩემ გარშემო ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით, ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით და ერთ კვირაში, ასეთი სასწაული მოვახდინეთ...

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ახლა გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაზე ვმუშაობთ, მაგრამ ალბათ, ასეთ დიდ ჩვენებას აღარ მოვაწყობ. ჯერ არ მომიფიქრებია, რა სახით ვუჩვენებ საზოგადოებას ამ ყოველივეს.

— თქვენს სალონში აქსესუარებსაც ამზადებთ?

— რა თქმა უნდა. ამ კოლექციაში გამოყენებული მქონდა ნატი, ტყავი და ე.წ. „ფარფლები“. ერთ-ერთი საქორწინო კაბის აქსესუარი კი, ვერცხლის ყელსაბამი და ბეჭედი იყო. თუმცა, ამ ყველაფერს საკუთარი ხელით არ ვამზადებ, რადგან ისედაც ბევრი საზრუნავი მაქვს. თუ გინდა, რომ შენს საქმეში ძლიერი იყო, მხოლოდ ეს საქმე უნდა აკეთო.

— წლევანდელ ზაფხულში რა სტილისა და ფერის სამოსი იქნება მოდაში?

— ვაპირებ, კოლექციაში გამოვიყენო კოპლებიანი და ზოლებიანი ქსოვილები. უნდა იყოს ძალზე მკვეთრი და ჭრელი ფერები, რომელიც გარუჯულ კანს განსაკუთრებით მოუხდება. მოდაში იქნება მოკლე ქვედაბოლოები, ორიგინალური სილუეტების მქონე შარვლები; გავაკეთებ ყვავილებიანი და კოპლებიანი ქსოვილების სინთეზს. რაც შეეხება დეკოლტეს — ზომიერიც შეიძლება იყოს და ღრმად ამოჭრილიც. მაღაზიაში შემოსულმა მომხმარებელმა სამოსი, როგორც ქალაქში, ასევე ზღვის კურორტზე ჩასაცმელადაც უნდა შეარჩიოს.

— თავად თუ იმოსები შენ მიერ შეკერილი ტანსაცმლით?

— რა თქმა უნდა. ტანსაცმელი, რომელიც მაცვია, ჩემი კოლექციიდანაა. კარგა ხანია, არსად აღარაფერი მიყიდია.

— რომელიმე პოპულარული ადამიანი თუ არის შენი მუდმივი მომხმარებელი?

— წელიწად-ნახევარია, რაც საკუთარი სალონი მაქვს. ამ დროის მანძილზე, ბევრმა, ძალზე პოპულარულმა ადამიანმა შეიკერა ჩვენთან სამოსი. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია, ხმამაღლა ვთქვა — ესა თუ ის ცნობილი პიროვნება ჩემი მუდმივი მომხმარებელია-მეთქი. თუ ვთქვათ, სამი წლის განმავლობაში ისინი გამუდმებით ჩემთან შეიმოსებიან, მერე ამაყად განვაცხადებ - ეს პოპულარული ადამიანი ჩემი მუდმივი კლიენტია-მეთქი.

— ქართველი დიზაინერებიდან ვის გამოარჩევდი?

— მძიმე შეკითხვაა. ვფიქრობ, დღეს მოქმედ ყველა დიზაინერს თავისებური, ინდივიდუალური ხაზი აქვს, რაც დასაფასებელი და მოსაწონია. ფაქტობრივად, ყველა დიზაინერი ძალიან მომწონს, რადგან ყველა სხვადასხვანაირია.

— თავად როგორი სტილი მოგწონს? როგორ იცვამ?

— ერთ დღეს შემიძლია, კლასიკურ ფორმაში ვიყო, მეორე დღეს კი, სპორტულად ჩავიცვა. ეს ალბათ ჩემს ხასიათზე დამოკიდებული. სადად ჩაცმა არ მიყვარს, ან მყვირალა ფერის სამოსი მაცვია ხოლმე, ან არასტანდარტული რაღაც დეტალი მაქვს — კაშნე ან სხვა რამ... თავისთავად გამომდის ასე.

— როგორ ფიქრობ — საქართველოში რომელი პოპულარული ადამიანია გემოვნებით ჩაცმული და რომელი — უგემოვნოდ?

— რა ჩამჭრელი კითხვები გაქვს!.. ამ თემაზე არ მიფიქრია და ამიტომ ვერავის გამოვყოფ. დღევანდელ საქართველოში უკვე ბევრი გემოვნებით ჩაცმული ადამიანია, თუმცა, უფრო მეტი უგემოვნოდ იმოსება...

გაქვთ თუ არა მოთმინების უნარი?

გაქვთ თუ არა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი? რამდენად სცემთ პატივს სხვის აზრს და რამდენად მომთმენი ხართ? თქვენ წინაშეა ტესტი, რომელიც დაახლოებით მაინც განსაზღვრავს თქვენი მოთმინების უნარის ხარისხს. ოღონდ, ერთი პირობა უნდა გაითვალისწინოთ, დასმულ შეკითხვებს უპასუხეთ რაც შეიძლება სწრაფად, დაფიქრების გარეშე.

1) დავუშვათ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ საინტერესო იდეა გაგიჩნდათ, მაგრამ სხვებმა მას მხარი არ დაუჭირეს. დადგებით თუ არა ცუდ ხასიათზე?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 2.

2) მეგობრების წრეში ყოფნისას, ერთ-ერთი ახლობელი რაღაც თამაშის დაწყებას გთავაზობთ. რას დაუჭერთ მხარს:

ა) ითამაშონ მხოლოდ მათ, ვინც თამაშის წესებს კარგად იცნობს – 0;

ბ) ითამაშონ მათაც, ვინც თამაშის წესებში გათვითცნობიერებული არ არის – 2.

3) მშვიდად ხვდებით, როცა უსიამოვნო ამბავს გატყობინებენ?

ა) დიახ – 0;

ბ) არა –2.

4) გაღიზიანებენ თუ არა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენილი ადამიანები?

ა) თუკი ისინი ქცევის ნორმებს არ არღვევენ, ეს საერთოდ არ გაღელვებთ – 2;

ბ) ყოველთვის გაღიზიანებენ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ვერ აკონტროლებენ – 0.

5) იოლად ამყარებთ თუ არა კონტაქტს ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც თქვენგან განსხვავებული პროფესია, მდგომარეობა და ტრადიციები აქვთ?

ა) ასეთ ადამიანებთან კონტაქტში შესვლა გიჭირთ – 0;

ბ) ადამიანებთან ურთიერთობისას მსგავს რამეებს ყურადღებას არ აქცევთ – 2.

6) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა ხუმრობის ობიექტი თავად თქვენ ხდებით?

ა) არც ასეთი ხუმრობა მოგწონთ და არც მისი ავტორი – 0;

ბ) იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ხუმრობა უსიამოვნო იქნება თქვენთვის, შეეცდებით, რომ ისეთივე ხუმრობის ტონით გასცეთ პასუხი – 2.

7) მისაღებია თქვენთვის შეხედულება, რომ ბევრი ადამიანი „საკუთარ ადგილზე არ ზის“ და „არც საკუთარ საქმეს აკეთებს“?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 2.

8) თქვენ წვეულებაზე მიგყავთ მეგობარი, რომელიც საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა. როგორი რეაქცია გექნებათ ამაზე?

ა) თქვენთვის საკმაოდ უსიამოვნო იქნება ის, რომ თავად თქვენ ყურადღება მოგაკლდათ – 0;

ბ) მისი წარმატება გაგახარებთ – 2.

9) სტუმრად ყოფნისას, თქვენ ხვდებით ხანში შესულ ადამიანს, რომელიც გაუთავებლად აკრიტიკებს თანამედროვე ახალგაზრდობას და ხოტბას ასხამს გარდასულ დროს. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) მოიმიზეზებთ რამეს და დროზე ადრე წამოხვალთ – 2;

ბ) მასთან კამათს გააჩაღებთ – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-4 ქულა: ქედუხრელი და ჯიუტი ადამიანი ბრძანდებით. სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენი აზრის სხვებისთვის თავზე მოხვევას ცდილობთ. მიზნის მისაღწევად კი, ხშირად ხმამაღალ კამათსაც არ ერიდებით. თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელია ნორმალური ურთიერთობა იქონიოთ ისეთ ადამიანებთან, ვისაც თქვენგან განსხვავებული აზრი აქვს.

6-12 ქულა: საკუთარი შეხედულებების დაცვის უნარი ნამდვილად გაქვთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, არც დიალოგის გამართვა გიჭირთ და არც საკუთარი აზრის შეცვლა, თუკი საპირისპიროში დაგარწმუნებენ. ზოგჯერ მკვეთრი გამოხდომებიც გახასიათებთ და შესაძლოა, მოკამათისადმი უპატივცემულობაც გამოავლინოთ. ასეთ სიტუაციაში, თქვენზე სუსტი ნებისყოფის ადამიანთან კამათში გამარჯვება თქვენთვის ძნელი არ არის, მაგრამ დაფიქრდით, იქნებ არ ღირდეს, ადამიანს „ყელში სწვდე“ მაშინ, როცა უფრო ღირსეული გამარჯვების შანსიც არსებობს?!

14-18 ქულა: მახვილი და მოქნილი გონება, შეხედულებების სიმტკიცე — აი, ის თვისებები, რომლებიც თქვენში შესანიშნავადაა შერწყმული. თქვენ ნებისმიერი იდეის მიღება შეგიძლიათ, ერთი შეხედვით ძალზე პარადოქსულ ქმედებასაც გაგებით ეკიდებით, თუმცა შესაძლოა, არც იზიარებდეთ მას. საოცრად ტაქტიანი მოკამათე ბრძანდებით. საკუთარ აზრს საკმაოდ კრიტიკულად ეკიდებით და არც მცდარი შეხედულებების უარყოფა გიჭირთ.

ჯარისათვის თავის დაღწევის უცნაური ხერხი

სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დასახსნელად, თურმე იტალიელი მამაკაცები ჰომოსექსუალისტობას იბრალებენ, რადგან იტალიის არმია ჰომოსექსუალისტებს ჯარიდან ათავისუფლებს. ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ამგვარი ქმედებების აღმკვეთი ღონისძიებები სასწრაფოდ განახორციელოს. იტალიაში უკვე დაპატიმრეს რამდენიმე „ცრუცისფერი". ერთ-ერთი მათგანი ციხეშიც კი მოხვდა, როცა აღიარა, რომ 3 ათას დოლარზე მეტი გადაუხდია არატრადიციული ორიენტაციის დამადასტურებელი ყალბი ცნობის ასაღებად. ექიმი, რომელმაც ეს დოკუმენტი გასცა, თავისი ორი კოლეგის მსგავსად, თურმე გვარიანად ითბობდა ხელს მსგავსი მაქინაციებით. ამჟამად სამივე მათგანი დაპატიმრებულია.

„ცისფერების" ირგვლივ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც არმიის ოფიცერმა დაიჩივლა, რომ მხოლოდ ერთი პროვინციიდან, თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ 150 გაწვეულზე მეტმა განაცხადა. ■

ტუალეტში ჩაკეტილი მგზავრი თვითმფრინავის ავარიული დაჯდომის მიზეზი გახდა

მექსიკური სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ასრულებდა რეისს — „ლოს-ანჯელესი — მეხიკო", იძულებული გახდა, ავარიული დაჯდომა განეხორციელებინა, რადგან ერთ-ერთი მგზავრი, ცივ უარს აცხადებდა საპირფარეშოდან გამოსვლაზე. შედეგად, ავიალაინერი, რომლის ბორტზეც 150 ადამიანი იმყოფებოდა, ქალაქ ზაკატეკასში დაჯდა.

როგორც ავიაკომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, გადაწყვეტილება ავარიული დაჯდომის შესახებ ეკიპაჟმა მას შემდეგ მიიღო, რაც ტუალეტში ჩაკეტილი მგზავრი მოთხოვნას არ დაემორჩილა და კაბინის დატოვებზე უარი განაცხადა. „ამასთანავე — დასძინა მან — მგზავრი არანაირ აგრესიას არ ამჟღავნებდა. მისი ამ უცნაური საქციელის მიზეზი ჩვენთვის უცნობია."

თვითმფრინავმა გზა იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით განაგრძო. ■

ხარმა გზაზე 11-კილომეტრიანი საცობი შექმნა

გერმანიაში, უზარმაზარმა ხარმა, რომელიც ფერმიდან გაიქცა, ავტოსტრადაზე 11-კილომეტრიანი საცობი შექმნა.

შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციელებმა განაცხადეს, რომ „თავისუფლებისმოყვარე" ხარი ძალზე აგრესიულად იქცეოდა: არავის აძლევდა მასთან მიახლოების საშუალებას და განრისხებული, რქენითაც „იმუქრებოდა". მისი საქციელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი სულაც არ აპირებდა გზატკეცილის დატოვებას."

ბევრს ეცადნენ პოლიციელები, ხარი გზიდან გადაეყვანათ, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყვეს, იძულებულნი გახდნენ, ცხოველი მოეკლათ. ■

5,5 კგ ლითონი მუცლის ღრუში

საფრანგეთში, ქალაქ შოლში, ექიმები საოცარი ფაქტის მომსწრენი გახდნენ: ერთ-ერთი პაციენტის მუცლის ღრუში მათ 350 ცალი მონეტა, ნემსები და სხვადასხვა სამკაული აღმოაჩინეს. „გურმანს" სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, რის შედეგადაც მას მუცლის ღრუდან თითქმის 5,5 კგ ლითონი ამოუღეს. მიუხედავად ექიმების დიდი ძალისხმევისა, პაციენტი, ოპერაციის შემდგომი გართულების შედეგად, 12 დღეში გარდაიცვალა.

62 წლის მამაკაცს ექიმებისათვის ჯერ კიდევ 2002 წელს მიუმართავს — ის მუცლის არეში ტკივილებს უჩიოდა. თუმცა რენტგენოლოგიური გამოკვლევა მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინ ჩაუტარებია.

ქალაქ შოლის მთავარი ჰოსპიტლის ექიმებმა დაადგინეს, რომ პაციენტი ფსიქიკურად ყოფილა დაავადებული და ამიტომაც ყლაპავდა მონეტებს. ■

ფოტოკუიიოზები



F124
2004

№5(65) 4.III–17.III 2004

ოჯახის მეუღლეები

საამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

631/10

გაზაფხულის
უსიამოვნებანი

პაროდონტის
დაავადება

ინფექციური
მონონუკლეოზი

მთავარი თემა
იმუნიტეტი

რეზუს-ფაქტორი

ანტისტრესული
ვარჯიში

რა არ ვიცით
ნამლების შესახებ

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის